

სისხლის სამართალი
ზოგადი და კერძო ნაწილები
სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2024, №4-6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2024, №4-6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2024, №4-6

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2024, №4-6

გადაწყვეტილებების შერჩევისა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
რუსულან ჭანტურიძე

ტექნიკური რედაქტორი
მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯელო

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

სასჯელის დანიშვნა

თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შეცვლა ჯარიმით და დამატებითი სასჯელის სახით საექიმო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა	5
დანის გამოყენების მუქარით დანაშაულის ჩადენის დროს, დანის გამოყენება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩაითვლება და სასჯელის დანიშვნა საქართველოს სსკ-ის 53 ¹ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად დასაშვებია, გამოყენებული დანის ცივ იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ ექსპერტიზის დასკვნის არსებობის შემთხვევაში	10

კერძო ნაწილი

1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიცირება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობიდან განზრახ მკვლელობაზე	19
--	----

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ძალადობა	39
----------------	----

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

მუქარა	53
ადევნება	66

4. ეკონომიკური დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიცირება ყაჩაღობიდან ძარცვაზე	74
---	----

5. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარება	85
---	----

6. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შეძენა-შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება	119
--	-----

სისხლის სამართლის პროცესი

კერძო ნაწილი

კასაცია

საკასაციო განაჩენი

გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად

გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით	128
განაჩენში ცვლილების შეტანა	140
გამამართლებელი განაჩენის უცველად დატოვება (სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)	188

**სისხლის სამართალი
ზოგადი ნაწილი**

სასჯელის დანიშვნა

**თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის
შეცვლა ჯარიმით და დამატებითი სასჯელის სახით
სააქიმო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№78აპ-24

25 ივნისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),
მ. გაბინაშვილი,
ნ. სანდოძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ხ-ს დაზუსტებული საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივლისის განაჩენით მ. ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაეწყო დაკავების მომენტიდან.

2. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ხ-მ ჩაიდინა უკანონო საექიმო საქმიანობა, რამაც ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2.1. 2018 წლის ზაფხულის პერიოდში, სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, შპს „თ-ს“ მიმართა პაციენტმა ნ. ც-მ. 2017 წლის 27 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „თ-ში“ კონსულტანტის პოზიციაზე საქმიანობდა მ. ხ., რომელსაც არ გააჩნდა კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო ან/და დროებითი სერთიფიკატი არცერთ საექიმო სპეციალობაში. 2018 წლის 11 დეკემბერს შპს „თ-ში“ ნ. ც-ს, წინასაოპერაციო პერიოდში, ანესთეზია გაუკეთდა ანესთეზიოლოგ მ.

ბ-ს ხელმძღვანელობით. ოპერაციის დაწყებამდე პაციენტ ნ. ც-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა და დღემდე იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში. შესაბამისად, ანესთეზიოლოგ მ. ბ-ს მიერ განხორციელებულმა უკანონო საექიმო საქმიანობამ გამოიწვია პაციენტ ნ. ც-ს გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის შეუქცევადი დაზიანება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 დეკემბრის განაჩენით დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორებმა – მსჯავრდებულ მ. ბ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ც. წ-მ და ნ. წ-მ საკასაციო საჩივრით მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 დეკემბრის განაჩენის გაუქმება და მ. ბ-ს გამართლება; ასევე 2023 წლის 11 ოქტომბრის საოქმო განჩინების გაუქმება.

4.1. თბილისის პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსმა პროკურორმა ნ. თ-მ შესაგებლით მოითხოვა მსჯავრდებულ მ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – ც. წ-სა და ნ. წ-ს მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 დეკემბრის განაჩენის ძალაში დატოვება.

5. 2024 წლის 15 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. ც-მ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულმა მ. ც-მ გამოიჩინა კეთილი ნება და ოჯახს გადასცა ნ. ც-ს მკურნალობისათვის, სამედიცინო ხარჯების დასაფარად 50000 ლარი, ასევე დადო ხელშეკრულება, რომ ყოველთვიურად გადაიხდის 500 ევროს ეკვივალენტს ლარში, სამი წლის განმავლობაში, მისი შვილის მკურნალობის მოსალოდნელი ხარჯების დაფარვის მიზნით. ამ საფუძვლით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. ც-მ განცხადებით ითხოვა მსჯავრდებულ მ. ბ-სათვის სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმის შეფარდება.

6. მსჯავრდებულ მ. ბ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ბ-მ დაზუსტებული საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების კუთხით, კერძოდ: მ. ბ-სათვის საქართველოს სსკ-ის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის სახედ და ზომად ჯარიმის შეფარდება.

7. 2024 წლის 27 მაისს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა მსჯავრდებულმა მ. ბ-მ, რომელმაც აღიარა ჩადენილი დანაშაული და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება არასაპატიმრო

სასჯელის შეფარდების კუთხით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ მ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატის ზ. ხ-ს დაზუსტებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დაცვის მხარე დაზუსტებული საკასაციო საჩივრით სადავოდ არ ხდის მსჯავრდებულ მ. ხ-ს ბრალეულობას საქართველოს სსკ-ის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და განაჩენს ასაჩივრებს მხოლოდ სასჯელის ნაწილში, რის გამოც საკასაციო სასამართლო არ მსჯელობს მსჯავრდებულის ბრალეულობის საკითხზე.

3. რაც შეეხება სასჯელს, მისი დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე – შემამსუბუქებელ გარემოებებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ სასჯელი სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს ემსახურება. ამიტომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით და უნდა იყოს მსჯავრდებულის პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი.

5. მსჯავრდებულ მ. ხ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნებსა და ამავე კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო ელემენტებს, ასევე – პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, კერძოდ:

6. საქართველოს სსკ-ის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე.

7. საქმის მასალების თანახმად, მსჯავრდებული მ. ხ. პირველად საპრობაციო პერიოდში, მან ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, რომელიც აღიარა; საქმეში წარმოდგენილი ავადმყოფობის ისტორიის თანახმად, არის ავად (დიაგნოზი: ჰოჯკინის ლიმფომა); გამოიჩინა კეთილი ნება და ოჯახს გადასცა ნ. ც-ს მკურნალობისათვის, სამედიცინო ხარჯების დასაფარად 50000 ლარი, ასევე დადო ხელშეკრულება, რომ ყოველთვიურად გადაიხდის 500 ევროს ეკვივალენტს ლარში, სამი წლის განმავლობაში, მისი შვილის მკურნალობის მოსალოდნელი ხარჯების დაფარვის მიზნით, რასაც საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი განცხადებით ადასტურებს დაზარალებულის უფლებამონაცვლე მ. ც., რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია მის მიმართ შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება და სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება.

8. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს კანონმდებლის ჩანაწერი განსახილველი დანაშაულისათვის სასჯელის ერთ-ერთ სახედ ჯარიმის დანესებასთან დაკავშირებით, რაც იმთავითვე გულისხმობს, რომ შესაბამისი ზოგადსავალდებულო ელემენტების გათვალისწინებით, აღნიშნული სახის ქმედებისათვის შესაძლებელია, დამნაშავესათვის შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენდეს ჯარიმაც.

9. საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელად არაა გათვალისწინებული ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, თუ დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს შეუნარჩუნოს მას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

10. საკასაციო სასამართლო, ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხასიათის, ხარისხისა და დამნაშავეს პიროვნების მხედველობაში მიღებით, შეუძლებლად მიიჩნევს, მსჯავრდებულ მ. ხ-ს შეუნარჩუნოს საექიმო საქმიანობის უფლება, რის გამოც, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის შესაბამისად, მას დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განუ-

საზღვრავს საექიმო საქმიანობის უფლების ჩამორთმევას 3 წლით.

11. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: მ. ხ-ა ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 5000 ლარი. მასვე საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს საექიმო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 წლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ხ-ს დაზუსტებული საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 1 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მ. ხ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 5000 (ხუთიათასი) ლარი.

4. მასვე, საქართველოს სსკ-ის 43-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს საექიმო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 3 (სამი) წლით.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მ. ხ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმებულია.

6. ნივთიერი მტკიცებულება – ლაზერული დისკები შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**დანის გამოყენების მუქარით დანაშაულის ჩადენის დროს,
დანის გამოყენება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ
გარემოებად ჩაითვლება და სასჯელის დანიშვნა
საქართველოს სსკ-ის 53¹ მუხლის მე-3 ნაწილის
შესაბამისად დასაშვებია, გამოყენებული დანის ცივ
იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ
ექსპერტიზის დასკვნის არსებობის შემთხვევაში**

**განაჩენი
საქართველოს სახელმით**

№ 122აპ-24

25 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. კ-მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით: თ. მ-ს ბრალად ედება ბოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით:

2.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 31 მარტის განაჩენით თ. მ. ცნობილი იყო რა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მან კვლავ, არაერთგზის, ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ, 2023 წლის 15 მაისს, დაახლოებით, 02:00 საათზე, ქ. რ-ში ს-ს ქ.-ის №.. მდებარე თავიანთ ფაქტიურ საცხოვრებელ ბინაში, საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით კამათის დროს, თ. მ., დანით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა მეუღლეს – მ. ზ-ს, რის შედეგადაც, მ. ზ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2.2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 31 მარტის გა-

ნაჩენით თ. მ. ცნობილი იყო რა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მან კვლავ, არაერთგზის, ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ, 2023 წლის 15 მაისს, დილის საათებში, ზუსტი დრო დაუდგენელია, ე. ზ. მივიდა ქ. რ-ში ს-ს ქ.-ის №... მდებარე, მისი შვილის – მ. ზ-ს საცხოვრებელ ბინაში, მის შვილსა და სიძეს – თ. მ-ს შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც გაარკვია, რომ თ. მ. მის შვილს დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, მ. ზ-ს შესთავაზა, წამოსულიყო მეუღლისგან. აღნიშნულით განაწყენებულმა თ. მ-მ, სახის არეში ხელის დარტყმით, მეუღლის მამას – ე. ზ-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც, ე. ზ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 სექტემბრის განაჩენით:

3.1. თ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. თ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.3. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ერთმა თანაბარმა სასჯელმა შთანთქმა მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ, თ. მ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა თ. მ-ს მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 იანვრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატა წინა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 იანვრის განაჩენით დანიშნული მოუხდელი ძირითადი სასჯელიდან 3 წლით, 11 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთიდან – 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ასევე საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად თ. მ-ს მიმართ დანიშნულ ძირითად სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 3000 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, თ. მ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღ-

კვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 3000 ლარი;

3.5. თ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადად ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2023 წლის 16 მაისიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ, მსჯავრდებულ თ. მ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ნ. კ-მ-მ და მოითხოვა ცვლილება რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 სექტემბრის განაჩენში სასჯელის ნაწილში და თ. მ-სთვის უფრო მსუბუქი სასჯელის განსაზღვრა.

4.1. დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნუგზარ მახათაძემ და მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 სექტემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელი.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ. მ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ნ. კ-მ-მ, რომელიც ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას სასჯელის შემსუბუქების კუთხით და არსებული შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით თ. მ-სთვის უფრო მსუბუქი სასჯელის ზომის ან სახის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულ თ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატი ნ. კ-მ-ი სადავოდ არ ხდის გასაჩივრებულ განაჩენს მისი მსჯავრდების ნაწილში და ითხოვს მხოლოდ სასჯელის შემსუბუქებას. მსჯავრდებულ თ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ნ. კ-მ-ის საკასაციო საჩივარზე ბრალდების მხარეს შესაგებელი არ წარმოუდგენია.

2. სასამართლო ითვალისწინებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7¹ მუხლსა და საქართველოს სსსკ-ის 273-ე მუხლს; ასევე – ზედა ინსტანციის სასამართლოების უფლებას, დაეთანხმონ ქვედა ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებას, საფუძვლების გამეორების გარეშე (იხ., *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, §30, ECtHR, 25/12/2001); იმ გარემოებას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ვალდებულება არ მოითხოვს მხარეების მიერ მითითებულ ყველა არ-

გუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. *Fomin v. Moldova*, no. 36755/06, § 31, ECtHR, 11/11/2011) და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის გაზიარება არ არღვევს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლებას (იხ., *Gorou v. Greece* (No. 2) no. 12686/03, §37, §41, ECtHR, 20/03/2009). შესაბამისად, სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გასაჩივრებულ განაჩენში, თ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების ნაწილში, მითითებული იმ არგუმენტების გამოვრება, რასაც სასამართლოც ეთანხმება.

3. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის ნ. კ-მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

4. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობა კი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. „სასჯელი არ უნდა იყოს არც ზედმეტად მკაცრი და არც ზედმეტად ლმობიერი იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს სასჯელის მიზნები“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7). ამიტომ „სასჯელი, ერთი მხრივ, უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38), უნდა ეფუძნებოდეს საქმის სირთულეს, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებს, ქმედების ჩადენის წინაპირობებს, მოტივებს, შედეგებს, დამნაშავის პიროვნების თავისებურებებს, სასჯელის ზემოქმედებას დამნაშავის მომავალ ცხოვრებაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/7/851 „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 11 ივლისი, II-10).

5. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ რესოციალიზაციის მიზანი გულისხმობს სასჯელის მეშვეობით საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული თანაცხოვრების წესებისადმი დამნაშავის შეგუებას, ამისათვის შესაბამისი პირობების შექმნის გზით, როგორც საპატიმრო დანესებულებაში, ასევე, არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებისას, თავისუფლებაში ყოფნის პირობებში; ახალი დანაშაულის თავიდან აცილება კი ხორციელდება სპეციალური და ზოგადი პრევენციის ფარგლებში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

6. საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

7. სააპელაციო სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა მსჯავრდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები – კერძოდ, ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევმა თ. მ-მ პირობითი მსჯავრის პირობებში ჩაიდინა განზრახი დანაშაული, ხოლო, მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ მან აღიარა ჩადენილი დანაშაული, უდავო გახადა ბრალდების მხარის მტკიცებულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას; ასევე – ის გარემოება, რომ მსჯავრდებულს ჰყავს დიაბეტი დაავადებული შვილი, დაზარალებულს აქვს შემწყნარებლური პოზიცია და შეუფარდა ისეთი სასჯელი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს და სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია).

8. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – ჯარიმას (საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ჯარიმა ძირითად სასჯელად არ შეიძლება დაინიშნოს 11¹-ე მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის) ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას სამოცდაათიდან ორას საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

9. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას დამამძიმებელ გარემოებად მხედველობაში მიიღო დანაშაულის დანის გამოყენებით ჩადენის ფაქტი (2021 წლის 31 მარტის მუქარის ეპიზოდი).

9.1. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოსაყენებლად, აუცილებელია სს საქმის მასალებში წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა, გამოყენებული დანის ცივ იარაღთა კატეგორიისადმი კუთვნილების ფაქტის დასადაგენად (მაგ., იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 21 თებერვლის №761აპ-21 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 მარტის №1283აპ-22 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 12 იანვრის №796აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 27 თებერვლის №1171აპ-23 განჩინება). განსახილველ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა – რის გამოც, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას სასჯელი განსაზღვროს საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით. შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სასჯელის განსაზღვრისას, სააპელაციო სასამართლომ სასჯელის ზომა განსაზღვრა საქართველოს სსკ-ის 53¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, დანიშნული სასჯელის ზომა უნდა შემცირდეს 1 წლით.

9.2. იმავდროულად, ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, თ. მ-ს პიროვნული მახასიათებლების (ნასამართლობები) და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 იანვრის და 2021 წლის 31 მარტის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ დანიშნული განაჩენებით განსაზღვრულმა სასჯელებმა ვერ უზრუნველყო საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრული მიზნების მიღწევა, სასამართლო ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენით თ. მ-სათვის საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის განსაზღვრული სასჯელის სახის – თავისუფლების აღკვეთის – გამოყენებას. სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო მოთხოვნებს, სასჯელის მიზნებს (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან

აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) და არ ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

10. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში თ. მ-ს ბრალი ედებოდა, მათ შორის საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, დანაშაულის არაერთგზის ჩადენისათვის.

10.1. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „არაერთგზისი დანაშაული გულისხმობს წინათ ნასამართლევი პირის მიერ საქართველოს სსკ-ის იმავე მუხლით ან საქართველოს სსკ-ით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში კოდექსის სხვა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება ნასამართლობა 18 წლამდეც. რეციდივის ინსტიტუტი მოიცავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ ნებისმიერი სხვა განზრახი დანაშაულის ჩადენას. ამდენად, განზრახი დანაშაულების შემთხვევაში, არაერთგზისი დანაშაულისა და რეციდივის ცნებები არსობრივად მსგავსია. სწორედ ამ მიზეზით, საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს დანაშაულის რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესის გამოყენებას, თუ ამავე კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ნასამართლობაზე, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანზე. შესაბამისად, არაერთგზისი დანაშაულისა და რეციდივის ცნებების არსებითი მსგავსების გათვალისწინებით, არაერთგზისობის მხედველობაში მიღებასთან ერთად, რეციდივის დროს სასჯელის დანიშვნის წესის დამატებით გამოყენება გაუმართლებლად ამძიმებს ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 20 იანვრის განაჩენი საქმეზე №659აპ-21, II-20).

10.2. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ სააპელაციო სასამართლომ თ. მ-ს სასჯელი დაუნიშნა 10.1. პუნქტში მითითებულ მოთხოვნათა დაცვით.

11. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს სს საქმეში წარმოდგენილ შემამსუბუქებელ გარემოებებს (აღიარა ჩადენილი დანაშაული, უდავო გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, დაზარალებულის პოზიციას, შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას), ასევე ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და იმ გარემოებას, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 31 მარტის განაჩენით, თ. მ. ნასამართლევი იყო ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის, საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების დანაწესების, საქართველოს მიერ „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს და მიზანშეწონილად არ მიაჩნია პრევენციის და რესოცია-

ლიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, დანიშნული სასჯელის ზომის – ხანგრძლივობის – შემცირება.

12. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე თ. მ.-სათვის საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა უნდა შთანთქმას საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავდროულად, საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე უნდა გაუქმდეს თ. მ.-ს მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 იანვრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და საბოლოო სასჯელი დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილების საფუძველზე – განაჩენთა ერთობლიობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ თ. მ.-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის – ნ. კ.-მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. თ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 11¹, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. თ. მ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, თ. მ.-ს დანაშაულთა ერთობლიობით, ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდეს თ. მ.-ს მიმართ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის

21 იანვრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 და მე-8 ნაწილების საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს, 2 წლით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატოს წინა – რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 იანვრის განაჩენით დანიშნული მოუხდელი ძირითადი სასჯელიდან 3 წლით, 11 თვით და 26 დღით თავისუფლების აღკვეთიდან 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ასევე წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი დამატებითი სასჯელი – ჯარიმა 3000 ლარი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, თ. მ-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა – 4 წლითა და 3 თვით და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 3000 ლარი;

8. თ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და სასჯელის ვადის ათვლა დაეწმოს დაკავებიდან – 2023 წლის 16 მაისიდან;

9. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქერძო ნანილი
1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

**ქმედების გადაკვალიფიცირება აუცილებელი მოგერიების
ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობიდან
განზრახ მკვლელობაზე**

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№ 143აპ-24

27 ივნისი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადემაძე,
მ. ვასაძე**

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ქეთევან სონიძისა და საპროკურორო სამმართველოს უფროსის – ზვიად ფხაკაძის, ასევე – მსჯავრდებულ ნ. დ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-სა და გ. ლ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებების მიხედვით, ნ. დ-ს ბრალად ედება: ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი); ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა (სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი); განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე მუხლი), ხოლო გ. ჩ-ს – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა (სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული ქმედებები გამოიხატა შემდეგით:

2021 წლის 14 ივლისს, დაახლოებით, 00 საათსა და 30 წუთზე, ქ. კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნ. დ. და გ. ჩ. გადაადგილდებოდნენ ფეხით, რა დროსაც სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდათ იმავე ტერიტორიაზე მყოფ თ. კ-სთან, რაც კამათში გადაიზარდა. მალევე მათთან მივიდნენ თ. კ-ს მეგობრები: გ. ბ. და რ. მ., რომლებიც ჩაერთნენ კამათ-

ში, რა დროსაც ნ. დ-მ თ. კ-ს მარცხენა წარბის არეში დაარტყა ხელი. შედეგად თ. კ-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი.

2021 წლის 14 ივლისს, დაახლოებით, 00 საათსა და 30 წუთზე, ქ. კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნ. დ. და გ. რ. ფეხით გადაადგილდებოდნენ, რა დროსაც სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდათ იმავე ტერიტორიაზე მყოფ თ. კ-სთან, რაც კამათში გადაიზარდა. მალევე მათთან მივიდნენ თ. კ-ს მეგობრები: გ. ბ. და რ. მ., რომლებიც ჩაერთნენ კამათში, რა დროსაც ნ. დ-მ თ. კ-ს მარცხენა წარბის არეში დაარტყა ხელი. შედეგად თ. კ-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულის გამო, კონფლიქტი გადაიზარდა ხსენებულ პირებს შორის ჩხუბში. გაშვებულების მიზნით მათთან მივიდა თ. კ-ს თანმხლები კიდევ ერთი პირი – გ. ა., რომელიც შეეცადა აგრესიულად მოქმედი ნ. დ-ს შეჩერებას. ნ. დ-მ თანმხლებ პირთან – გ. რ-სთან – ერთად დააპირა ჩხუბის ადგილის დატოვება, რის შესაძლებლობაც ჰქონდა კიდევ, თუმცა უეცრად შეჩერდა, შემობრუნდა გ. ა-ს, რ. მ-ს, გ. ბ-სა და თ. კ-ს მიმართულებით, განეწყო მათი განზრახ მოკვლის სურვილითა და განზრახვით, შურისძიების ნიადაგზე წარმოქმნილი პირადი მოტივით, ხელთ არსებული დანა რამდენჯერმე მოუქნია რ. მ-ს, რომელმაც შეძლო, აეცილებინა დანის დარტყმები. იმავდროულად, ნ. დ-მ განაგრძო დანის მოქნევა, გ. ა-ს – გულმკერდისა და მუცლის არეში, ხოლო იქვე მყოფ გ. ბ-ს – ფერდის არეში – მიაყენა მძიმე ხარისხის, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები. აღნიშნულის შემდეგ ნ. დ. და გ. რ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2021 წლის 14 ივლისს, დაახლოებით, 00 საათსა და 30 წუთზე, ქ. კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნ. დ. და გ. რ. გადაადგილდებოდნენ ფეხით, რა დროსაც სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდათ იმავე ტერიტორიაზე მყოფ თ. კ-სთან, რაც კამათში გადაიზარდა. მალევე მათთან მივიდნენ თ. კ-ს მეგობრები: გ. ბ. და რ. მ., რომლებიც ჩაერთნენ კამათში, რა დროსაც ნ. დ-მ თ. კ-ს მარცხენა წარბის არეში დაარტყა ხელი. შედეგად თ. კ-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულის გამო, კონფლიქტი გადაიზარდა ხსენებულ პირებს შორის ჩხუბში. გაშვებულების მიზნით მათთან მივიდა თ. კ-ს თანმხლები კიდევ ერთი პირი – გ. ა., რომელიც შეეცადა აგრესიულად მოქმედი ნ. დ-ს შეჩერებას.

ნ. დ-მ თანმხლებ პირთან – გ. რ-სთან – ერთად დააპირა ჩხუბის ადგილის დატოვება, რის შესაძლებლობაც ჰქონდა კიდევ, თუმცა უეცრად შეჩერდა, შემობრუნდა გ. ა-ს, რ. მ-ს, გ. ბ-ისა და თ. კ-ს მიმართულებით, განეწყო მათი განზრახ მოკვლის სურვილითა და განზრახვით, შურისძიების ნიადაგზე წარმოქმნილი პირადი მოტივით, ხელთ არსებული დანა რამდენჯერმე მოუქნია რ. მ-ს, რომელმაც შეძლო, აეცილებინა დანის დარტყმები. იმავდროულად, ნ. დ-მ განაგრძო დანის მოქნე-

ვა, გ. ა-ს – გულმკერდისა და მუცლის არეში, ხოლო იქვე მყოფ გ. ბ-ს – ფერდის არეში – მიაყენა მძიმე ხარისხის, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები. აღნიშნულის შემდეგ ნ. დ. და გ. რ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მიღებული დაზიანებების გამო, გ. ა. იმავე დღეს, საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა, გ. ბ-ს კი ჩაუტარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რის შედეგადაც გადარჩა სიკვდილს.

2021 წლის 14 ივლისს, დაახლოებით, 00 საათსა და 30 წუთზე, ქ. კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნ. დ. და გ. რ. გადაადგილდებოდნენ ფეხით, რა დროსაც სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდათ იმავე ტერიტორიაზე მყოფ თ. კ-სთან, რაც კამათში გადაიზარდა. მალევე მათთან მივიდნენ თ. კ-ს მეგობრები: გ. ბ. და რ. მ., რომლებიც ჩაერთნენ კამათში, რა დროსაც ნ. დ-მ თ. კ-ს მარცხენა წარბის არეში დაარტყა ხელი. შედეგად თ. კ-მ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულის გამო, კონფლიქტი გადაიზარდა ხსენებულ პირებს შორის ჩხუბში. გაშვებების მიზნით მათთან მივიდა თ. კ-ს თანმხლები კიდევ ერთი პირი – გ. ა., რომელიც შეეცადა აგრესიულად მოქმედი ნ. დ-ს შეჩერებას.

ნ. დ-მ თანმხლებ პირთან – გ. რ-სთან – ერთად დააპირა ჩხუბის ადგილის დატოვება, რის შესაძლებლობაც ჰქონდა კიდევ, თუმცა უეცრად შეჩერდა, შემობრუნდა გ. ა-ს, რ. მ-ს, გ. ბ-ისა და თ. კ-ს მიმართულებით, განეწყო მათი განზრახ მოკვლის სურვილითა და განზრახვით, შურისძიების ნიადაგზე წარმოქმნილი პირადი მოტივით, ხელთარსებული დანა რამდენჯერმე მოუქნია რ. მ-ს, რომელმაც შეძლო, აეცილებინა დანის დარტყმები. იმავდროულად, ნ. დ-მ განაგრძო დანის მოქნევა, გ. ა-ს – გულმკერდისა და მუცლის არეში, ხოლო იქვე მყოფ გ. ბ-ს – ფერდის არეში მიაყენა მძიმე ხარისხის, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები. აღნიშნულის შემდეგ ნ. დ. და გ. რ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მიღებული დაზიანებების გამო, გ. ა. იმავე დღეს, საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა, გ. ბ-ს კი ჩაუტარდა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, რის შედეგადაც გადარჩა სიკვდილს. გ. რ-მ, იცოდა რა ნ. დ-ს მიერ ჩადენილი ზემოხსენებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ და, ამასთან, გააჩნდა შესაძლებლობა, მომხდარის შესახებ შეეტყობინებინა სამართალდამცავი ორგანოსათვის, რაც არ განახორციელა და მასთან ერთად მიიმალა.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 8 აპრილის განაჩენით:

ნ. დ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე; ნ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 5 წლით, 126-

ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით, ხოლო 108-ე მუხლით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და ნ. დ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალა 2021 წლის 14 ივლისიდან.

გ. ჩ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. გამართლებული დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან; მასვე განემართა საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორმა ლევან ჯალალანიამ და მსჯავრდებულ ნ. დ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ლ-მ.

4. პროკურორმა მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილებების შეტანა, ნაცვლად საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა, ნ. დ-ს დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ასევე – გ. ჩ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში მისი დამნაშავედ ცნობა.

5. ადვოკატმა გ. ლ-მ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ახალციხის რაიონული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ნ. დ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

6. გამართლებულ გ. ჩ-ს ადვოკატები – დ. მ. და ნ. დ. – შესაგებლით ითხოვდნენ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 8 აპრილის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 8 აპრილის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: ნ. დ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, ხოლო 108-ე მუხლიდან – 113-ე მუხლზე; ნ. დ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 5 წლით, 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – 1 წლით, 113-ე მუხლით კი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ნ. დ-ს, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც აეთვალა 2021 წლის 14 ივლისიდან. დანარჩენ ნაწილში განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დადგენილად არის მიჩნეული, რომ ნ. დ-მ ჩაიდინა: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (გ. ბ-ს ეპიზოდი); მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით (გ. ა-ს ეპიზოდი); ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (თ. კ-ს ეპიზოდი), ხოლო გ. ჩ-ს არ ჩაუდენია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა.

9. კასატორები – პროკურორები: ქეთევან სონიძე და ზვიად ფხაკაძე – საკასაციო საჩივრებით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, ნ. დ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 108-ე მუხლით, გ. ჩ-ს დამნაშავედ ცნობას სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მსჯავრდებულებისათვის სამართლიანი და მკაცრი სასჯელის განსაზღვრას.

10. კასატორები – ადვოკატები: გ. ნ. და გ. ლ. – საკასაციო საჩივრებით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და ნ. დ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას ან საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა (გ. ბ-ს ეპიზოდი) და 113-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების (გ. ა-ს ეპიზოდი) შეფასებას აუცილებელი მოგერიებით და ამ ნაწილში ნ. დ-ს გამართლებას ან მისი ქმედების სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილიდან 122-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებას.

11. გამართლებულ გ. ჩ-ს ადვოკატი კ. შ. შესაგებლით ითხოვს, სასამართლომ არ გაიზიაროს პროკურორების საკასაციო საჩივრების პოზიცია, გ. ჩ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე, და – თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. უდავოდ ცნობილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ 2021 წლის 13 ივლისს რ. მ., თ. კ., გ. ა. და გ. ბ., ნასვამები, დაახლოებით, 01:00 საათზე, გადაადგილდებოდნენ ქ. ჩიხის მიმდებარედ. მათ საპირისპირო მხარეს, შემხვედრი მიმართულებით, ასევე ნასვამები, მოძრაობ-

დნენ ნ. დ. და გ. ჩ. ერთმანეთთან დაყვირების გამო თ. კ-მ გადაკვეთა გზის სავალი ნაწილი და მიუახლოვდა ნ. დ-სა და გ. ჩ-ს. მას მალევე მიჰყვნენ გ. ბ. და რ. მ.ე, მოგვიანებით კი – გ. ა. თ. კ-სა და ნ. დ-ს ფიზიკური დაპირისპირება გადაიზარდა საერთო ჩხუბში. ნ. დ. და გ. ჩ. შემთხვევის ადგილიდან წავიდნენ მეგობრის – ლ. თ-ს – ბინაში და იქ მყოფ პირებს უთხრეს, რომ გზაში იკამათეს უცნობ პირებთან. ნ. დ. და გ. ჩ. დააკავეს ლ. თ-ს ბინაში (მდებარე რ...). მოწმე გ. კ-ს ჩვენებით, ნ. დ-მ მას უთხრა, რომ რ....ში მდებარე კორპუსის მ... სართულებს შორის, პარკში ელაგა მისი ტანისამოსი და გათენების შემდეგ მიეტანა მასთან, სახლში.

3. დაზარალებულმა თ. კ-მ სასამართლო მიაწოდა ინფორმაცია, რომ გ. ა-სთან, გ. ბ-სა და რ. მ-სთან ერთად ცხოვრობდა დაქირავებულ ბინაში და მუშაობდა საცხოვრებელში. შემთხვევის დღეს ი. ა-ს სტუმრობდნენ სახლში, სადაც რ. მ-ს დაბადების დღის აღსანიშნავად დალიეს ლუდი. 24 საათს რომ გადასცდა, ოთხივემ დატოვა ი. ა-ს ბინა. გ. ა. და გ. ბ. რამდენიმე მეტრით წინ მიდიოდნენ, თვითონ და რ. მ. – მიჰყვებოდნენ უკან. გზის მეორე მხრიდან გაიგო ყვირილი, თვითონაც ანალოგიურად უპასუხა. ეგონა ნაცნობები, ამიტომ გზა გადაკვეთა და მათთან მივიდა. ერთმანეთში არკვევდნენ ყვირილის მიზეზს. მალევე გ. ბ. და რ. მ-ც მიუახლოვდნენ. მათ ნ. დ-ს უთხრეს, რომ არაფერი ჰქონდათ საჩხუბარი, თუმცა მან სახის არეში ორჯერ დაარტყა მუშტი, რის გამოც დაეცა, წამოდგა და შეეცადა რ. მ-ს უკან განევას, რომელიც, გ. ბ-თან ერთად, იგერიებდა ნ. დ-ს. ნ. გაიქცა და თვითონაც უკან გაჰყვნენ. ამ დროს უკვე მათთან ერთად იყო გ. ა-ც. გაქცეული ნ. დ. გაჩერდა, მოტრიალდა, ხელში დანა ეჭირა და იქნევდა. როდესაც გ. ბ-ი მიუახლოვდა, ნ. დ-მ მუცლის არეში ჩაარტყა დანა, თვითონ კი რ. მ-მ შეაჩერა და ამიტომ გადარჩა. გ. ბ-სათვის დარტყმის შემდეგ ნ. დ-ე კვლავ იქნევდა დანას, ამ დროს ის მანქანის სავალ ნაწილზე იდგა, შემდეგ კი ავიდა ტროტუარზე. მისგან მარცხნივ მდგარი გ. ჩ., რომელიც ძირითადად მათ აშველებდა, წასვლას სთხოვდა; გ. ა-ე იდგა ნ. დ-საგან მარჯვენა მხარეს. ნ. ეუბნებოდა, მოდიო; როდესაც გ. ა-ს მიუახლოვდა, ნ. დ-მ მას მუცლის არეში დაარტყა დანა. ნ. დ-სა და გ. ჩ-ს გაქცევის შემდეგ დაინახეს, რომ გ. ა. დაეცა. გამოიძახეს სასწრაფო დახმარება; მოვიდა ორი მანქანა, პირველმა წაიყვანა გ. ბ-ი, მეორემ კი – გ. ა-ე. თ. კ-ს თქმით, მან დაინახა, როგორ დაარტყა დანა ნ. დ-მ გ. ბ-ს, ხოლო გ. ა-მ დანის დარტყმის შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და დაეცა.

4. ანალოგიური ჩვენება მისცა დაზარალებულმა გ. ბ-მ და დამატებით განმარტა, რომ ე.წ. „...–...თან“ მიახლოებისას მოიხედა და დაინახა, რომ თ. კ-მ გზის სავალი ნაწილი გადაკვეთა და უცნობ მამაკაცებთან საუბრობდა. რადგან საუბარი არ სრულდებოდა, თვითონ და რ. მ-ც მივიდნენ მათთან; ისინი პირისპირ იდგნენ და, დაძაბულები, საუბრობ-

დნენ დაყვირებაზე. მან ნ. დ-ს ხელი გადახვია და ვითარების განსამუხტად გაიყვანა. სიტუაციის დამშვიდებას ცდილობდა გ. ჩ-ც. ნ. დ-ე ისევ თ. კ-სთან დაბრუნდა და სახის არეში ორჯერ დაარტყა ხელი. თ-ს წამოდგომისას გაქცევა დააპირა ნ. დ-მ, რომელსაც იქვე მდგარ სატვირთოს მისაბმელთან ხელებს უქნევდნენ. რ. მ-ე უქნევდა პაკეტს, რომელშიც ტანისამოსი ედო. შესაძლებელია, მას მოხვდა მათი ხელი. ნ. დ. გაეცალა მათ და ჩქარი ნაბიჯებით გააგრძელა გზა. უკან დაედევნენ, უცებ ნ. დ-ე მოტრიალდა და ხელში ეჭირა დანა. თვითონ იმდენად ახლოს იყო, რომ რეაგირება ვერ მოასწრო და ნ-მ დანა დაარტყა მუცლის არეში. პირველ წუთებში ტკივილი არ უგრძნია. დაინახა, რომ თ. კ., რომელიც მირბოდა ნ. დ-ს მიმართულებით, შეაჩერა რ. მ-მ, რადგან მანაც დაინახა ნ. დ-ს ხელში დანა. ამ დროს ისინი იდგნენ გზის სავალ ნაწილზე, ხოლო გ. ჩ. და გ. ა-ე – ტროტუარზე. გ. ა. ურტყამდა გ. ჩ-ს. გ. ა. მოგვიანებით მიუახლოვდა მათ, ამიტომ არ იცოდა, რომ გ. ჩ. ჩხუბში არ მონაწილეობდა. ტროტუარზე ასვლის შემდეგ გ. ა. ნ. დ-სკენაც იქნევდა ხელებს. ისინი პირისპირ იდგნენ. ნ. დ-ე ამბობდა: „მოდო, მოდო“, როდესაც გ. ა. მიუახლოვდა, დანა დაარტყა მუცლის არეში და გაიქცნენ. გ. ა-მ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დაეცა. მასთან მისვლის დროს იგრძნო ტკივილი მუცლის არეში, უჭირდა სუნთქვა და სისხლი სდიოდა. ექიმების ინფორმაციით, რამდენიმე წუთის დაგვიანების შემთხვევაში, ისიც გარდაიცვლებოდა, რადგან დიდი რაოდენობით სისხლი დაკარგა. ჩხუბის დაწყებამდე თ. კ-მ დაუძახა თუ არა ნ. დ-სა და გ. ჩ-ს, „თქვე პიდარასტებო“, – არ ახსოვს ან ასეთი არ ყოფილა.

5. დაზარალებულმა რ. მ-მ სასამართლოს უჩვენა, რომ გზის მეორე მხარეს ორი მამაკაცი მიდიოდა; გაიგეს ყვირილის ხმა; თავდაპირველად თ. კ-ე შეეხმინა და მათ მხარეს გადავიდა; ხმაურმა რომ იმატა, ჯერ გ. ბ-ი, შემდეგ კი – თვითონაც – მივიდნენ მათთან; საუბარი დაიძაბა და ნ. დ-მ ორჯერ დაარტყა მუშტი სახის არეში თ. კ-ეს, რომელიც დაეცა; მისი წამოდგომის შემდეგ ყველა ჩაერთო ჩხუბში; გ. ბ-ი და თვითონ ნ. დ-ს უქნევდნენ ხელებს, ხოლო თ. კ-ე – გ. ჩ-ას. ამ დროს მივიდა გ. ა-ც. გაქცეულ ნ. დ-ს ისინი დაედევნენ; ნ. დ-ე მოტრიალდა და ხელში დანა ეჭირა, ზუსტად ვერ დაინახა, რა ზომის, თუმცა ხელს იქნევდა. თვითონ დაიყვირა, დანა აქვს, არ მიხვიდეთო; სწორედ ამ დროს ჩაურბინა გ. ბ-მ და მიუახლოვდა ნ. დ-ს, რომელმაც მუცლის არეში დაარტყა დანა; ამავე დროს მათ თ. კ-ც მიუახლოვდა, რომელიც იწევდა ნ. დ-საკენ, მაგრამ შეაკავა; მათგან 1-2 მეტრის მოშორებით, ტროტუარზე, ჩხუბობდნენ გ. ჩ. და გ. ა-ე. ნ. დ-მ გზის სავალი ნაწილიდან მათ მხარეს გადაინაცვლა და კვლავ იქნევდა ხელს დანის დემონსტრირებით; გ. ჩ. ცდილობდა მის გაყვანას და ნაბიჯ-ნაბიჯ უკან მიდიოდნენ. გ. ა-ც მათი მიმართულებით მიდიოდა და როდესაც მიუახლოვდა, ნ. დ-მ დანა და-

არტყა მუცლის არეში. ორივე გაიქცა და ესენიც კვლავ მათ დაედევნენ. გ. ა-ე ამ დროს ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, თუმცა დაეცა; მასთან მიიღრმინეს და ნახეს, რომ დაჭრილი იყო. გ. ბ-მ ამოატრიალა გ. ა.; მას თვითონაც სისხლი სდიოდა. მალევე მოვიდნენ სასწრაფო დახმარება და პოლიცია. ნ. დ-ს შეეძლო გაქცევა; თვითონაც არ აპირებდნენ დიდხანს დევნას. დაპირისპირება გინებას მოჰყვა. უნდოდათ, გაეგოთ, რატომ შეაგინა ნ. დ-მ.

6. სასამართლო სხდომაზე დათვალიერებული ვიდეოჩანაწერების მიხედვით, ნასვამი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი სიარულის მანერით, ხელგადახვეულები, თოდრიას ქუჩაზე გადაადგილდებიან გ. ბ-ი და გ. ა-ე, მათ რამდენიმე მეტრის დაშორებით მოჰყვებიან თ. კ-ე და რ. მ-ე. თ. კ-ე გადადის გზის საპირისპირო მხარეს, სადაც შემხვედრი მიმართულებით მოდიან ნ. დ-ე და გ. ჩ-ა. თ. კ-ე უახლოვდება მათ და საუბრობენ. მალევე მათთან მიდიან გ. ბ-ი და რ. მ-ე. ვიდეოჩანაწერში ნ. დ-ე დგას ზურგით, თ. კ-ის პირისპირ. ჩანს მისი მოძრაობა – იგი ორჯერ ურტყამს სახის არეში თ. კ-ეს, რომელიც დაეცა, თუმცა მალევე წამოდგა. მასთან ახლოსაა გ. ჩ., რომელსაც ის მიუახლოვდა და ზურგის მხრიდან მიიზიდა. გ. ჩ. ეცემა, ხოლო თ. კ-ე ფეხებს იქნევს მისკენ. თ. კ-ისათვის დარტყმის შემდეგ ნ. დ-ე მიტრიალდა და შემთხვევის ადგილიდან გარიდებას ცდილობს, თუმცა სატვირთო ავტომანქანის მისაბმელთან მას თავის არეში ურტყამენ რ. მ-ე და გ. ბ-ი (ძალადობის ეს ეპიზოდი 5 წამამდე გრძელდება). ნ. დ-ემ თავზე აიფარა ხელები, მოახერხა გაცლა და გაქცევა; მას დაედევნნენ რ. მ-ე, გ. ბ-ი და თ. კ-ე, ბოლოს – გ. ა-ეც. ნ. დ-ე რამდენიმე მეტრის გარბენის შემდეგ მოტრიალდა, დაზარალებულებთან პირისპირ გაჩერდა და ხელით მოახდინა დანის დემონსტრირება. ამის დანახვაზე რ. მ-ე გაჩერდა, შედარებით ახლოს მივიდა გ. ბ-ი, რომელმაც უკან დაიწია; რამდენიმე წამის შემდეგ სამივე დგას ნ. დ-ის პირისპირ, რომელიც აქტიურია, იქნევს დანიან ხელს, თუმცა არ ცდილობს მათთან მიახლოებას. იმ კონკრეტულ მომენტში მას თავდასხმისათვის ნაბიჯიც არ გადაუდგამს. თავის მხრივ, სამივე დაზარალებული აქტიურია. ამავე დროს გ. ჩ. და გ. ა-ე დგანან ტროტუარზე, სადაც გ. ა. ორივე ხელით ურტყამს გ. ჩ-ს, რომელიც ცდილობს დარტყმების აცილებას, თუმცა არ პასუხობს გ. ა-ს და არ ცდილობს მის ცემას, თავი დახრილი აქვს და ნაბიჯ-ნაბიჯ უკან იხევს. პარალელურად, თ. კ-ე კვლავ ბიძგების სახით მოძრაობს ნ. დ-ისაკენ, თუმცა არ უახლოვდება. ნ. დ-ე კვლავ დანის დემონსტრირებით ტროტუარის მიმართულებით გადაადგილდება. მას ისევ მიჰყვებიან: თ. კ-ე, რ. მ. და გ. ბ.. ამის შემდეგ ყველა ერთად გროვდება ტროტუარზე. ვიდეოჩანაწერში მათი დაპირისპირება არ არის ასახული, რადგან ხე ეფარება. ბოლოს ჩნდებიან ისევ შეჯგუფებულები, სადაც გარკვევით ჩანს მხოლოდ გ. ა-ე, რადგან აცვია

ლია ფერის ტანისამოსი. ჯგუფიდან გარბიან გ. ჩ. და ნ. დ-ე, შემდეგ გარკვეული დისტანციით მიჰყვებიან თ. კ-ე და რ. მ., რომლებიც რამდენიმე მეტრის გარბენის შემდეგ უკან ბრუნდებიან, რადგან გ. ა. დაეცა ხესთან. მანამდე იგი იდგა, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი. ჩანს, რომ სუნთქვა უჭირს და სახით დაეცა მიწაზე. თ. კ-ე ისევ გაიქცა. დ-ისა და გ. ჩ-ას მიმართულებით, თუმცა ისინი კამერების ჩანაწერებში აღარ ფიქსირდებიან. როდესაც თ. კ-ემ გააცნობიერა, რომ მათ დატოვეს შემთხვევის ადგილი, გაბრაზებულმა, ყვირილით ხელი მოჰკიდა ნაგვის ბუნკერს და ისროლა. გ. ა-ესთან დგანან რ. მ-ე და გ. ბ-ი, რომლებიც ითხოვენ შევლას და ცდილობენ გზაზე მიმავალი მანქანების გაჩერებას.

7. 2021 წლის 23 სექტემბრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტ ა. ბ-ის ჩვენების თანახმად, გ. ა-ის სიკვდილის მიზეზია მწვავე სისხლნაკლებობა, განვითარებული გულმკერდის მიდამოში ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობის შედეგად აორტის დაზიანებით. გვამზე აღინიშნება სამი ბრმა ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა: №1 – გულმკერდის მიდამოში, შემავალი გულმკერდის ღრუში, არხის მიმართულება – ზევიდან ქვევით, მარცხნიდან მარჯვნივ, წინიდან უკან, გულმკერდის აორტის დაზიანებით; №2 – მუცლის მიდამოში, არხის მიმართულება – წინიდან უკან, მარჯვნიდან მარცხნივ, ქვევიდან ზევით, შემავალი მუცლის ღრუში; №3 – მუცლის მიდამოში, არხის მიმართულება – წინიდან უკან, მარჯვნიდან მარცხნივ, ზევიდან ქვევით, რბილი ქსოვილების დაზიანებით, ნაჭდევები სხეულზე; ასევე – სისხლნაჟღენთი მარცხენა, ქვედა კიდურის მიდამოში. პირობითად №3 ჭრილობა ატარებს მსუბუქი ხარისხის დაზიანების ნიშნებს, ხოლო პირობითად №1 და №2 ჭრილობები მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს. დაზიანებები მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის (საგნების) მოქმედებით და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს. გულმკერდის მიდამოს ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა აორტის დაზიანებით უშუალო მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან. ნაჭდევები და სისხლნაჟღენთი მიყენებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის (საგნების) მოქმედებით და ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს.

8. ექსპერტ გ. ო-ის, 2021 წლის 30 ივლისისა და 2021 წლის 27 ივლისის ექსპერტიზის დასკვნების მიხედვით, პირადი გასინჯვის მონაცემებით (14.07.2021წ.), თ. კ-ეს აღენიშნება მარცხნივ თვალბუდეში სისხლჩაქცევა და ჭრილობა წარბის გარეთა კიდედან. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლაგვი საგნის მოქმედებით, მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად; ხანდაზმულობით არ

ენინაალმდეგება ცნობებში მითითებულ თარიღს.

9. 2021 წლის 27 ივლისის ექსპერტიზის დასკვნისა და ექსპერტ გ. ო-ის ჩვენების თანახმად, პირადი გასინჯვის მონაცემებით (14.07.2021წ.) ნ. დ-ეს სხეულზე გარეგნულად ფიზიკური დაზიანების რაიმე ნიშნები არ აღენიშნება.

10. 2021 წლის 9 სექტემბრის სასამართლო-სამედიცინო დასკვნიდან ირკვევა, რომ შპს „...-ის“ სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათის მონაცემებით, გ. ბ-ს 14.07.2021 წ. აღენიშნებოდა ჭრილობა მუცლის წინა კედელზე, მარცხნივ, შემაჯავლი მუცლის ღრუში, ელენთის დაზიანებით. ოპერაციულად დაუდგინდა: ელენთის ტრავმა, ჰემოპერიტონეუმი. დაზიანება განვითარებულია მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხს. ხანდაზმულობით არ ენინაალმდეგება წინასწარ ცნობებში მითითებულ თარიღს. ექსპერტმა მ. ლ-ემ განმარტა, რომ მუცლის და გულმკერდის ღრუში შემაჯავლი დაზიანებები, ორგანოების დაზიანების გარეშეც, ითვლება სიცოცხლისათვის სახიფათოდ, ორგანოების დაზიანება კი უფრო სახიფათოს ხდის მათ; გ. ბ-ს დაუზიანდა ელენთა და, რომ არა დროული სამედიცინო დახმარება, დადგებოდა სიკვდილი.

11. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის ჩადენაშიც ბრალი დაედო ნ. დ-ეს, ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობის (მცდელობის) ისეთი მაკვალიფიცირებელი გარემოებისათვის, როგორიცაა ორი ან მეტი პირის მკვლელობა, რაც გულისხმობს ორი ან მეტი დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობას ერთდროულად ან მეორე პირისათვის სიცოცხლის მოსპობას პირველი მსხვერპლის მკვლელობიდან მცირე დროის განმავლობაში. აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ მკვლელობის ამ პუნქტით დაკვალიფიცირებისათვის დამნაშავე უნდა მოქმედებდეს ერთიანი განზრახვით.

12. დადგენილია, რომ შემთხვევის დღეს მომხდარი კონფლიქტი იყო სპონტანური და ასეთ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა ყოველთვის განსხვავდება წინასწარ განზრახული მკვლელობებისაგან. ორი ადამიანის მკვლელობის განზრახვის მქონე პირი იღებს სათანადო ზომებს განზრახვის განსახორციელებლად. ნ. დ-ის გზავნილი დაზარალებულების მიმართ კი იყო ის, რომ, თუკი ისინი მას მიუახლოვდებოდნენ, ის დანას დაარტყამდა. მას არც მკვლელობა დაუგეგმავს და არც მსხვერპლი შეურჩევია, თუმცა გააზრებული ჰქონდა, რომ დანის გამოყენებით მონინაალმდეგეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხეს შეუქმნიდა. ნ. დ-ემ გადაწყვიტა, ხელთნაქონი დანით სხეულზე

ჭრილობების მიყენებით დაპირისპირებულ მხარესთან მოეპოვებინა უპირატესობა. გ. ბ-ისაგან არ მომდინარეობდა იმნუთიერი და რეალური ხასიათის იმგვარი საფრთხე, რომელიც შეუქმნიდა აუცილებლობას ნ. დ-ეს, დანის გამოყენებით მოგერიებინა ხელმოყოფი. დანაშაულის ჩადენის იარაღი, ხერხი და დანით მუცლის ღრუში დაზიანების მიყენება უდავოდ მიუთითებს არა თავდაცვაზე, არამედ – გ. ბ-ის სხეულის დაზიანების სურვილსა და განზრახვაზე.

13. საკასაციო პალატის შეფასებით, კონკრეტულ შემთხვევაში, უტყუარად ვერ დადასტურდა, რომ მსჯავრდებული ნ. დ-ე დაზარალებულების – გ. ა-ისა და გ. ბ-ისათვის – დაზიანებების მიყენების დროს მოქმედებდა ერთიანი განზრახვით. დადგენილია, რომ ნ. დ-ემ გ. ა-ეს სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა გ. ბ-ისათვის დაზიანების მიყენებიდან დროის მცირე მონაკვეთში, თუმცა აღნიშნული ფაქტი, თავისთავად, არ გულისხმობს მისი ერთიანი განზრახვით მოქმედებას. მსჯავრდებულმა ან გარდაცვლილ გ. ა-ეს ჭრილობები მიაყენა მას შემდეგ, როდესაც გ. ბ-ზე თავდასხმა უკვე დასრულებული ჰქონდა. მხოლოდ ის გარემოება, რომ ნ. დ-ემ დროის მცირე ინტერვალით დაზარალებულების მიმართ განახორციელა დანით დარტყმები, ვერ წარმოშობს მისი ქმედების, როგორც ორი პირის მკვლელობის მცდელობის, ჩადენის დადასტურებულად მიჩნევის საფუძველს, ვინაიდან არ ვლინდება, რომ ეს ქმედებები ერთიანი განზრახვით იყო მოცული.

14. უსაფუძვლოა ბრალდების მხარის პოზიცია, რომ, თითქოს, გ. ა-ე ცდილობდა აგრესიულად მოქმედი ნ. დ-ის შეჩერებას. დადგენილია, რომ დანის დემონსტრირებისას გ. ა-ე ურტყამდა გ. ჩ-ას და არ უცდია ნ. დ-ის შეჩერება, ხოლო ნ. დ-ემ გ. ბ-ს დანა დაარტყა მაშინ, როდესაც იგი მას მიუახლოვდა.

15. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ დაზარალებულ გ. ბ-ის მიმართ სიცოცხლის მოსპობის თუნდაც უეცრად აღმოცენებული, არაპირდაპირი განზრახვის არსებობას გამოორიცხავს ის ფაქტი, რომ დანით შეიარაღებული მსჯავრდებულის პირისპირ იყო სრულიად შეუიარაღებელი მსხვერპლი, თუმცა მსჯავრდებულმა, განზრახვის სისრულეში მოყვანის სრული შესაძლებლობის მიუხედავად, არ განაგრძო დაზიანებათა კვლავ მიყენება. აღნიშნული გარემოებები ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ ნ. დ-ეს არ ჰქონდა გ. ბ-ის სიცოცხლის მოსპობის განზრახვა და ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ მის მიმართ სხვა მოქმედებები აღარ განახორციელა.

16. ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის იარაღსა და მიყენებული დაზიანების მდებარეობაზე, არამედ – სხვადასხვა ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებებსა და ნიშ-

ნებზე, რომლებიც უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად სხვა გარემოებებთან ერთად. მხოლოდ დაზარალებულებისათვის მიყენებული დაზიანებების ლოკაცია და ხარისხი უპირობოდ ვერ ადასტურებს ნ. დ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას და, შესაბამისად, მის ქმედებაში განზრახ მკვლელობის მიზნის არსებობას. დანის გამოყენებით სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენება ყოველთვის არ მიუთითებს უპირობოდ მკვლელობის განზრახვაზე. ქმედების სწორად დასაკვალიფიცირებლად სასამართლომ დეტალურად უნდა შეისწავლოს და გააანალიზოს საქმის გარემოებები და საქმეში არსებული მტკიცებულებები. დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა (განზრახვა) განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას სხეულის დაზიანებისაგან (სუსგ: №227აპ-16, №680აპ-17). შესაძლებელია, აღნიშნული გარემოების არსებობისას სხვადასხვა დანაშაულის, მათ შორის – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების – ჩადენა. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ფაქტობრივ გარემოებათა შეფასებით ვერ დგინდება ნ. დ-ის განზრახვა, მოეკლა გ. ბ-ი. სახელმწიფო ბრალმდებელთა პოზიცია ამ ეპიზოდში მკვლელობის განზრახვის არსებობის შესახებ არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს და მხოლოდ დაუსაბუთებელ ვარაუდს წარმოადგენს.

17. ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ნ. დ-ემ გ. ბ-ის მიმართ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

18. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის მოთხოვნას ნ. დ-ის გამართლების ან მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილიდან სსკ-ის 122-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების თაობაზე და, გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე, მიაჩნია, რომ სატვირთო ავტომობილის მისაბმელთან ნ. დ-ეზე რ. მ-ისა და გ. ბ-ის ძალადობამ, რომელიც, დაახლოებით, 5 წამამდე გაგრძელდა, არ წარმოშვა ნ. დ-ის მხრიდან თავდაცვის აუცილებლობა. დაზარალებულების მხრიდან მსჯავრდებულზე სიცოცხლისათვის სახიფათო ფიზიკური თავდასხმა არ დასტურდება აგრეთვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითაც, რომლის მიხედვით, მას სხეულზე ხილული დაზიანებები არ აღენიშნება. ამასთან, ექსპერტის განმარტებით, ის დრო, რომელშიც ნ. დ-ე შემოწმდა, არ იყო საკმარისი დაზიანებების გასაქრობად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რამდენიმე დარტყმიდან ერთიც კი არ იყო იმგვარი დაზიანების გამომწვევი, რომელიც სისხლნაჟღერნებად დარჩებოდა სხეულზე. ყოველივე ზემოთქმული კი სასამართლოს აძლევს დასკვნის საფუძველს, რომ ნ. დ-ე, მის მიმართ ძალადობის გამო, დანის გამოყენების მომენტში არ იმყოფებოდა აუცი-

ლებელი მოგერიების მდგომარეობაში.

19. მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია კონფლიქტში მონაწილე ყველა პირის მოქმედება. ვიდეოჩანანერებში ჩანს, რომ გაქცეულ ნ. დ-ეს გაეკიდნენ რ. მ., გ. ბ., თ. კ-ე და გ. ა. (ამავე თანმიმდევრობით). მოტრიალებულმა ნ. დ-ემ მოახდინა დანის დემონსტრირება. დანის დანახვაზე რ. მ. შეჩერდა და ტანსაცმელზე ხელის მოკიდებით შეაჩერა თ. კ-ეც, ხოლო გ. ბ. შედარებით ახლოს მივიდა ნ. დ-ესთან, რომელმაც, დაზარალებულის გადმოცემით, სწორედ მაშინ დაარტყა დანა. ასევე ვიდეოჩანანერებითაა დადგენილი, რომ იმ მომენტში, როდესაც გ. ა-ე სცემდა გ. ჩ-ას, ნ. დ-ე ავიდა ტროტუარზე და მას მიჰყვა სამი დაზარალებული. ჩანანერის მიხედვით, ნელი ნაბიჯებით კადრში შემოსული გ. ა-ე ეცემა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ნ. დ-ემ მას დანა დაარტყა ტროტუარზე ასვლის დროს.

20. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. აუცილებელი მოგერიების მართლზომიერებისათვის საჭიროა, რომ: ხელყოფა იყოს მართლსაწინააღმდეგო; ხელყოფა იყოს იმნუთიერი, რეალური, რელევანტური (სოციალურად მნიშვნელოვანი) და ხელყოფის მოგერიება უნდა ხორციელდებოდეს, სუბიექტურად, სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან.

21. იმის დასადგენად, იმყოფებოდა თუ არა ნ. დ-ე აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან გაცდა თუ არა იგი აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა რეალური და იმნუთიერი მასზე თავდასხმა. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახაა, რომ ნ. დ-ეს გ. ა-ისა და გ. ბ-ის მხრიდან არ ემოქმედებოდა ისეთი საფრთხე, რამაც ის აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩააყენა, ხოლო მისი თავდაცვა, მასზე განხორციელებული ძალადობის მიუხედავად, იყო აშკარად შეუსაბამო. ნ. დ-ე თვითონაც აცნობიერებდა, რომ არ მოქმედებდა თავდაცვის მიზნით, რასაც ადასტურებს მეგობართან ლუდის დასალევად მისვლამდე დანისა და ტანსაცმლის გადამაღვა.

22. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის, ვიდეოკამერების ჩანანერები, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ დაზა-

რალეულებსა და ბრალდებულებს შორის ფიზიკური კონფლიქტის დაწყებიდან მის დასრულებამდე არ შექმნილა ისეთი გარემოება, რომლის დროსაც ოთხი ან რამდენიმე პირი ერთდროულად ფიზიკურად ძალადობდა ნ. დ-ის მიმართ ან, კონკრეტულად, რომელიმე მათგანმა შექმნა ნ. დ-ის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიფათო, თუნდაც ჰიპოთეტური, საფრთხე. ეს აშკარაა იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ არცერთ მათგანს არ უფიქსირდება ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღი ან რაიმე სახის საგანი, რომლის იარაღად გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა ნ. დ-ის წინააღმდეგ. ვიდეოჩანაწერები კი სხვადასხვა რაკურსით ცალსახად აფიქსირებს ფიზიკური დაპირისპირების დაწყებისთანავე ნ. დ-ის ხელში ცივი იარაღს მაშინ, როდესაც ჯერ გ. ჩ-ას, ხოლო შემდეგ – ნ. დ-ის წინააღმდეგ გ. ა-ე ერთჯერადად იქნევს მხოლოდ ხელს. ფიზიკური დაპირისპირების ყველა ეტაპზე, კონფლიქტში მონაწილე პირები, სულ მცირე, ორი მეტრით არიან დისტანცირებულები ერთმანეთისაგან, მათ შორის, ნ. დ-ისგანაც, რაც დინამიკაში არ უქმნიდა მას იმ ხარისხისა და ფორმის საფრთხეს, რომ საკუთარი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად დანა გამოეყენებინა, მით უმეტეს, როდესაც ჯერ მოახერხა და ფიზიკურად გაუსწორდა თ. კ-ეს, შემდეგ, ერთი ერთზე ფიზიკური კონტაქტისას დანით სიცოცხლისათვის საშიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა გ. ბ-ს. იმ პირობებში, როდესაც ნ. დ-ის მიერ დანის დემონსტრირება აშკარად შემაკავებელი აღმოჩნდა ჩხუბში მონაწილე სამი პირისათვის – რ. მ-ის, გ. ბ-ისა და თ. კ-ისათვის, თავდამსხმელმა მიახლოებისთანავე უიარაღო გ. ა-ეს მიაყენა სამი ჭრილობა, მათ შორის, ორი – სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანება, რაც, ცალსახად, ნ. დ-ის მხრიდან გ. ა-ის მოკვლის განზრახვაზე მიუთითებს.

23. ნ. დ-ის მხრიდან მხოლოდ თავდაცვის მიზნების არარსებობაზე მეტყველებს დანის დარტყმის შედეგად გ. ა-ისათვის მიყენებული დაზიანებები, კერძოდ, სამი შემავალი ჭრილობა, რომელიც ნ. დ-ემ მას მიაყენა წინასწარ, პირისპირ ყოფნისას, ვიდრე მასზე ისეთი ხასიათის თავდასხმა განხორციელდებოდა, რომელიც დანის გამოყენების აუცილებლობას წარმოშობდა. მართალია, ნ. დ-ეს შეექმნა აგრესიისაგან თავის დაცვისა და მისი მოგერიების საჭიროება, მაგრამ თავდასხმა არ იყო ისეთი ინტენსივობის და არ ატარებდა ისეთ სამიზნე ხასიათს, რაც საჭიროს გახდიდა თავდამსხმელის მოსაგერიებლად დანის გამოყენებით სიცოცხლისათვის საშიფათო ადგილას დაზიანებების მიყენებას. ამდენად, ნ. დ-ე გ. ა-ისათვის დანის დარტყმისას აცნობიერებდა თავის ქმედებას და ითვალისწინებდა ამ ქმედებით გამოწვეულ შესაძლო შედეგს; მას, შესაძლოა, არ სურდა გ. ა-ის სიკვდილი, თუმცა უშვებდა და გულგრილად ეკიდებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობდა უკიდურესი აუცილებლობა. შესაბა-

მისად, არც მისი ფარგლების გადაცილებას ჰქონია ადგილი.

24. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გ. ჩ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გაუქმებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე და აღნიშნავს: საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლი ანებს პასუხისმგებლობას პირისათვის, რომელმაც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განეკუთვნება ფორმალურ შემადგენლობათა კატეგორიას, რომელიც დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც პირისათვის ცნობილი გახდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა. ამასთან, მუხლის დისპოზიცია მკაფიოდ გულისხმობს პირის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ ნამდვილი/სარწმუნო ინფორმაციის ფლობის/ცოდნის აუცილებლობას, კერძოდ, პირს უნდა გააჩნდეს სარწმუნო ინფორმაცია დანაშაულის ხასიათსა და შინაარსზე ან იმ პირზე, ვინც ჩადინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული; ცოდნის ნამდვილობა კი, შესაძლებელია, ეფუძნებოდეს იმას, რომ პირი იყო დანაშაულის თვითმხილველი ან დამნაშავეებთან/თანამონაწილესთან საუბრის დროს გაიგო, ასევე – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია პირისთვის შესაძლებელია, ცნობილი/მოპოვებული გახდეს ასევე დოკუმენტებიდან, კერძო მიმოწერიდან და ა.შ.. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება დამნაშავის პასიურ ქცევაში (უმოქმედობაში), კერძოდ, პირის მიერ კომპეტენტური ორგანოებისათვის შეუტყობინებლობაში, რომ ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ხოლო აღნიშნული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რადროსაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ არ ატყობინებს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ შესაბამის ორგანოებს/პირებს, რომლის შესახებაც დანამდვილებით იცის და სურს ეს შედეგი; შეუტყობინებლობის მოტივი შესაძლებელია, იყოს შურისძიების შიში, ანგარება, დამნაშავისთვის ხელის დაფარება და ა.შ.. ამასთან, ეს დანაშაული, როგორც წესი, დენადი ფორმით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი იწყება უმოქმედობით და შემდეგ უწყვეტად ხორციელდება.

25. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განზრახ მკვლელობის შესახებ შეუტყობინებლობა გამოძიებისათვის, მტკიცების თვალსაზრისით, საკმაოდ რთული ამოცანაა. პირველ რიგში, უნდა დადასტურდეს კონკრეტული პირის ინფორმირებულობა ამგვარი დანაშაულების ჩადენის თაობაზე. მტკიცებულებებით თუ ვერ დადასტურდება უტყუარად, რომ პირი სარწმუნო ინფორმაციას ფლობს განსაკუთრე-

ბით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, მისი მხრიდან დანაშაულებრივი ქმედებების არცოდნის თაობაზე განცხადება სამართალდამცავ ორგანოში ვერ განიხილება მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლად.

26. ზოგადად, დანაშაულის ადგილზე ყოფნა უპირობოდ კონკრეტული დანაშაულის დანახვასა და მის გაცნობიერებას არ გულისხმობს. აღნიშნულთან ერთად, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რომ პირმა იცის/ შეიტყო ჩადენილი დანაშაულის შესახებ. მსგავს შემთხვევაში, სწორედ აღნიშნული ორი კრიტერიუმის ერთობლიობა განაპირობებს ცოდნის ნამდვილობას.

27. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ მომხდარ კონფლიქტში, მასზე ძალადობის ეტაპზეც კი, გ. ჩ-ს საპასუხოდ ხელიც კი არავისთვის დაურტყამს. მიუხედავად თ. კ-ის მხრიდან წაქცეულისათვის ფეხების დარტყმების, ხოლო გ. ა-ის მხრიდან – თავში მუშტების ქნევისა, გ. ჩ-ს სურვილი მისი და ნ. დ-ის შემთხვევის ადგილიდან გაცლა იყო. ბრალდება ვერ ასახუთებს, რომელ გარემოებებზე დაყრდნობით მიაჩნია, რომ გ. ჩ-მ იცოდა ნ. დ-ის მიერ დანის გამოყენების შესახებ. ვიდეოჩანაწერების გამოკვლევით გაირკვა, რომ, როდესაც ნ. დ-ე პირველად ახდენს დანის დემონსტრირებას, გ. ჩ. რამდენიმე წამის შემდეგ ჩნდება კადრში გ. ა-ესთან ერთად, რომელიც თავის არეში ურტყამს მუშტებს, ხოლო გ. ჩ-ს...ას თავი დახრილი აქვს და ცდილობს დარტყმების არიდებას. სავარაუდოდ, ამ პროცესში მას ობიექტურად არ აქვს შესაძლებლობა, თვალყური ადევნოს ნ. დ-ეს. ტროტუარზე ასვლისა და ჩხუბის გაგრძელების დროს კი ყველა ახლოსაა ერთმანეთთან და გ. ა-ისათვის დანის დარტყმის მომენტი ვერ დაინახეს ვერც თ. კ-ემ და ვერც რ. მ-ემ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მაშინვე შეეცდებოდნენ დაჭრილი მეგობრის დახმარებას და ნ. დ-ეს არ გაეკიდებოდნენ. ექვსი ადამიანის ერთად დგომისა და ჩხუბის დროს დანის დარტყმის მომენტს ვერ დაინახავდა ვერც გ. ჩ. ამდენად, გ. ჩ-ს მხრიდან ნ. დ-ის მიერ დანაშაულის ჩადენის ნამდვილად ცოდნის ფაქტი არის მხოლოდ ეჭვი, რაც სასამართლო სხდომაზე საქმის მასალებით არ დადასტურებულა.

28. „In dubio pro reo-ს“ პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-7 პუნქტი მოითხოვს, რომ მტკიცებულებების შეფასებისას წარმოშობილი ნებისმიერი ასეთი ეჭვი უნდა გადანყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ეს მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს დანაშაულებრივი ფაქტების დამდგენ სასამართლოს, რომ სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული კონფლიქტები, სათანადოდ აწონოს მტკიცებულებები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადანყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლე-

ბის სასარგებლოდ (საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ). განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან (ECtHR, El-Masri v. The Former Yugoslav Republic of Macedonia, 39630/09, §151, 13.12.2012; ECtHR, Hassan v. The UK, 29750/09, §48, 16.09.2014).

29. საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის თანახმად, არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა; ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სახელმძღვანელო მტკიცებულებით სტანდარტს წარმოადგენს ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს პირის ბრალეულობას; ხოლო ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.“ საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილი განაჩენს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს დასაბუთებულად, როდესაც იგი სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომორიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას ემყარება. ამავდროულად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყოველი დასკვნა თუ გადაწყვეტილება სათანადო დასაბუთებას მოითხოვს.

30. ამდენად, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია უტყუარი, ეჭვის გამომორიცხავი, შეთანხმებული და პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც საფუძვლიანად უარყოფდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოტივაციასა და დაცვის მხარის შესაგებელში გაცხადებულ მითითებას გ. ჩ-ას უდანაშაულობის თაობაზე.

31. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. დ-ის ქმედება უნდა დაკვალიფიკირდეს საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (გ. ბ-ის ეპიზოდი), 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (თ. კ-ის ეპიზოდი) და 108-ე მუხლით (გ. ა-ის ეპიზოდი).

32. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პა-

ლატა ითვალისწინებს ნ. დ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მის მიერ ჩადენილ ქმედებათა ხასიათსა და სიმძიმეს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებებში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედებათა განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ და ისე განუსაზღვრავს მას სამართლიან და ქმედებათა ადეკვატურ სასჯელებს, რომლებიც მკაცრად პერსონალურია და რომელთა მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ნ. დ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-ისა და გ. ლ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს პროკურორ ქეთევან სონიძისა და საპროკურორო სამმართველოს უფროსის – ზვიად ფხაკაძის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

4. მსჯავრდებულ ნ. დ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 113-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 108-ე მუხლზე;

5. ნ. დ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (დაზარალებულ გ. ბ-ის ეპიზოდი) – 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (დაზარალებულ თ. კ-ის ეპიზოდი) – 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით (დაზარალებულ გ. ა-ის ეპიზოდი) – 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და ნ. დ-ეს, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად საბოლოო-

ოდ განესაზღვროს 9 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა;

6. მსჯავრდებულ ნ. დ-ის სასჯელი აეთვალოს დაკავების მომენტიდან – 2021 წლის 14 ივლისიდან;

7. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ნ. დ-ის მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია;

8. გ. ჩ-ა ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

9. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ გ. ჩ-ას მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია;

10. გამართლებულ გ. ჩ-ას განემარტოს, რომ, უფლება აქვს, საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქმეზე ამოღებული ნივთების ბედი გადაწყდეს კანონით დადგენილი წესით, კერძოდ:

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული: ქოლგა, ლუდის ორი ცალი ქილა, ლუდის ბოთლი, პოლიეთილენის პარკი, ოთხი ცალი ლუდის ბოთლი, მონიტალო ფერის ლაქების ნიმუში 2 (ცალ ბიოლოგიურ ჩხირზე, გ. ა-ისგან აღებული სხვადასხვა ბიოლოგიური ნიმუში, ბრალდებულ ნ. დ-ისგან აღებული სხვადასხვა ბიოლოგიური ნიმუში, მონმე თ. კ-ისგან აღებული სხვადასხვა ბიოლოგიური ნიმუში, მონმე რ. მ-ისგან აღებული სხვადასხვა ბიოლოგიური ნიმუში, ბრალდებულ გ. ჩ-ისგან აღებული სხვადასხვა ბიოლოგიური ნიმუში, გ. ბ-ისგან აღებული სხვადასხვა ბიოლოგიური ნიმუში (გადაგზავნილია ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზაზე) – განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამსახველი ფოტოსურათები ერთ ცალ დისკზე, დალუქული ერთ პაკეტად, ა...-ის მობილური ტელეფონიდან გადმოწერილი ინფორმაცია ერთ დისკზე, მ....-ის მობილური ტელეფონიდან გადმოწერილი ინფორმაცია ერთ დისკზე, შპს „...ან“ გამოთხოვილი ერთი დივიდი დისკი, „...-დან“ გამოთხოვილი 4 (ოთხი) ცალი დივიდი დისკი, ინდმენარმე ნ. კ-ისგან გამოთხოვილი 4 (ოთხი) ცალი დივიდი დისკი, „...ადან“ გამოთხოვილი 3 (სამი) ცალი დივიდი დისკი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-იდან გამოთხოვილი მესხიერების ბარათი, „...დან“ გამოთხოვილი ერთი დივიდი დისკი, რომლებიც ერთვის საქმეს, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით; ცნობად იქნეს მიღებული, რომ ა-ისგან ამოღებული „აიფონის“ ფირმის მობილური ტელეფონი, მ-ისგან ამოღებული „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი დაუბრუნდათ მესაკუთრე-

ებს;

მოწმე რ. მ-ისგან ამოღებული ტანსაცმელი, მოწმე თ. კ-ისგან ამოღებული ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და „სამსუნგის“ ფირმის ტელეფონი, ბრალდებულ ნ. დ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ბრალდებულ გ. ჩ-ას პირადი ჩხრეკისას ამოღებული შარვალი, სადარბაზოდან ამოღებული ბრალდებულ ნ. დ-ის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ექთან ხ. მ-ისგან ამოღებული, გარდაცვლილი გ. ა-ისა და დაჭრილი გ. ბ-ის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მობილური ტელეფონები და პირადი ნივთები, დაუბრუნდეთ მათ მესაკუთრეებს/მფლობელებს;

12. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ქალადობა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№ 1261აპ-23

19 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზუგდიდის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ ილია ტორუას საკასაციო საჩივარი ქუთაისის
სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 29 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. ჟ-ს ბრალად ედებო-
და სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი
გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი, დანაშაული,
გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის
(შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. ჟ-ს მიერ ჩადენილი
ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 1 ივნისს, ქ. ჩ-ში, სსიპ... შენობის სამუშაო ოთახში, სსიპ
ს..... რეგიონული სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულე-
ბელმა ბ. ჟ-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ორივე ხელი ორჯერ
ჩაავლო მ. დ-ს ორივე მაჯაზე და ორივეჯერ ძლიერად მოუჭირა, რის
შედეგადაც მ. დ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 15 ივნისის განა-
ჩენით:

3.1. ბ. ჟ. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით
წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.2. გამართლებულ ბ. ჟ-ს განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღა-
ურების უფლება.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების
მხარემ. ზუგდიდის რაიონული პროკურორატურის პროკურორმა ილია

ტორუამ მოითხოვა ბ. ჟ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

4.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა გამართლებულ ბ. ჟ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ს. ჯ-მ და მოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 15 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 29 სექტემბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 15 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ილია ტორუამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 29 სექტემბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ბ. ჟ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა, ბ. ჟ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და მისთვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ილია ტორუას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა: პროკურორმა, რომელიც ითხოვს გამართლებულ ბ. ჟ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და შესაბამისი სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას.

3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქმედების საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დასტურდებოდეს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქმედებამ გამოიწვია დაზარალებულისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენება, რაც უნდა დასტურდებოდეს სუბიექტური ან/და ობიექტური კრიტერიუმებით (იხ. მაგ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 21 თებერვლის №746აპ-19 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 9 მარტის №674აპ-20 განჩინება).

4. სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულ მ. დ-ს ჩვენებას.

დაზარალებულმა მოწმის სახით ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ იგი მუშაობდა სსიპში, ვეტერინარ ექიმად. 2022 წლის 1 მარტის ხელშეკრულების თანახმად, ევალეზოდა პირუტყვის ვაქცინაცია ხ-ა და სხვა რაიონებში. მასთან ერთად სამუშაოს ასრულებდნენ მ. პ., მ. ყ., ნ. დ. და ლ. ჯ.. ისინი პანდემიის პერიოდში, ზამთარში, სიცხეში დადიოდნენ სოფელ-სოფელ და მათზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ. მათ ხელშეკრულებები არ გაუგრძელდათ და გაწეული სამუშაოსთვის ხელფასიც არ ჩაერიცხათ. აღნიშნულის გარკვევის მიზნით, 2022 წლის 1 ივნისს, სსიპში იმყოფებოდნენ ის, ნ. დ., მ. ყ., მ. პ., ლ. ჯ., რ. თ., ი. ქ. და ბ. ჟ.. შეხვედრაზე რ. თ.მ განაცხადა, რომ ბაზა ჰქონდა არეული და 10 ცალი „ბირკა“ აკლდა, რაც მისთვის იყო მოულოდნელი, რადგან მანამდე არაერთხელ იკითხა, რამე პრობლემა ან შეცდომა ხომ არ იყო, ამის გამო გაბრაზებულმა რ-ს უთხრა, რომ მისმა მოყვანილმა უზრდელმა ქალბატონებმა აურიეს ბაზა. ამ სიტყვებმა ბ. ჟ. გააბრაზა და მაგიდაზე დაარტყა ორივე ხელი, რის გამოც მას შეეშინდა. მაგიდაზე არსებული ნივთები გადმოიყარა. შემდეგ ბ... მივარდა „ბუღალავით“, შეაჯანჯლარა, რაც ძალიან გაუკვირდა, რადგან ბ. ჟ-ს განამას არ მოელოდა. როდესაც ბ. ჟ. მივარდა უყვიროდა – „გადი, გაეთრიეო“. ოთახიდან არ გავიდა და ეკითხებოდა რატომ უნდა გასულიყო. ბ... ისევ მივარდა, ორივე მაჯაზე სტაცა ხელი და უთხრა გასულიყო. ხელი ეტკინა და უთხრა, მოეშორებინა ხელი, ბ-მ ისევ უთხრა გადი გაეთრიეო, რაზეც უპასუხა არ გაეხედა მისი გაგდება, რა დროსაც მეორეჯერ მოუჭირა ხელი ორივე მაჯაზე. ძალიან ეტკინა და ერთი ხელი მოიშორა, მაგრამ ბ... მეორე ხელით მიათრევდა, თავად არ ინძროდა, მ. პ.-მ უთხრა ბ. ჟ-ს – „არ გრცხვენია? დედის ასაკის ქალს რას უკეთებო? ხელი მოტეხე ქალსო?“. ბ. ჟ. პირველად რომ მივარდა შეანჯღღრია, მერე მოკიდა ორივე მაჯაზე ხელი, დღესაც აწუხებს მარცხენა ხელი, გაურთულდა პროცესები, როცა მიათრევდა ერთი ხელი წაართვა, ტკივილი ორივე ხელზე განიცადა, მაგრამ უფრო მეტად მარცხენა ხელზე. ბ...ს ქმედებებით დაზარალებულმა თავი ცუდად იგრძნო, ინერციით დაეცა სკამზე და გააგრძელა საუბარი: ეკითხებოდა ბ. ჟ-ს რა დაუშავა და რატომ ექცეოდა ასე. იმ ქალბატონების პირადი ცხოვრება მისი საქმე არ იყო; მას ბ. ჟ-ზე არაფერი უთქვამს, ბ...ს მისი მეგობრები დასცინოდნენ რ. თ. ი და ი. ქ., გაუტეხეს სახელი, თორემ თავად არაფერ შუაში იყო. დაზარალებულის განმარტებით, ბ. ჟ-სთან პრეტენზია არ ჰქონია, ბ. ჟ. მათ უჭერდა მხარს და რ-ის ეუბნებოდა, გამოეთხოვა თავისი ახსნა-განმარტება, რომ მუშაობა გაეგრძელებინათ. დაზარალებულმა ი. ქ-ს ჰკითხა, როდესაც სამუშაო ჩააბარა ხომ ყველაფერი წესრიგში იყო და რა პრობლემებზე იყო საუბარი, რაზეც ი-მ უთხრა, რომ მათ ჯგუფში არ იყო ისეთი გადაცდომა, რის გამოც შეიძლებოდა ხელფასი ვერ მიეღოთ.

ვინაიდან, ოთახიდან არ გავიდა, ბ. ჟ-ს დავალებით ი. ქ-მ დარეკა „112-ში“. ოთახიდან გამოსულს შეხვდა ზ. ტ., რომელმაც ჰკითხა რა მოხდა და რატომ ისმოდა მისი ხმა, მან საპასუხოდ ანახა ხელი, რომელიც განითვლებული ჰქონდა, და უთხრა რომ ბ. ჟ. ცდილობდა მის გამოგდებას, რაც ეწყინა ზ-ს, პირველ რიგში რომ ასეთ დღეში იყო და მეორე, – რომ ბ. ჟ. ასე მოიქცა. ოთახიდან გამოსულმა მომხდარი მოუყვა ზ. ტ-ს და ანახა ხელი, იმავე დღეს პოლიციიდან გამოსულს ასევე შეხვდა ნ. გ., რომელმაც უთხრა, რომ შენობასთან გაიარა და ხმა ესმოდა, ხელის გაშვებას რომ ითხოვდა, ჰკითხა რა მოხდა, მან კი ნატკენი ხელი აჩვენა, მეორე დღეს კი ასევე ნახა ტაქსის მძღოლი ა. ქ. რომელსაც აჩვენა დაშავებული ხელი. დაზარალებულის განმარტებით, როდესაც პოლიციის განყოფილებაში იყო გამოკითხვაზე, ყველაფერი მოყვა, აჩვენა ხელი, უთხრეს რომ ეს სისხლის სამართლის საქმე იყო, როდესაც წაიკითხა გამოკითხვის ოქმი და ნახა, რომ არ ეწერა რაც მოყვა, ჰკითხა რატომ არ დაწერეს, რაზეც კვლავ გაუმეორეს, რომ ეს სისხლის სამართლის საქმე იყო და სხვა დროს იყო განსახილველი, ახლა მთავარი შეკრების მიზეზი იყო, მიხვდა რომ ატყუებდნენ და ჩვენებას მიაწერა, რომ ბევრი ჰქონდა სალაპარაკო, რადგან ადამიანმა შეურაცხყოფა მიაყენა, ხელი სტკიოდა, ხელფასი და სამსახური საერთოდ არ აინტერესებდა. 7 ივნისამდე განცხადება იმიტომ არ დაწერა, რომ შემთხვევიდან მეორე დღეს ელოდებოდა პოლიციიდან ზარს, რომ არ დაურეკეს მესამე დღეს კონსულტაცია გაიარა ადვოკატ შ. ჩ-თან და მოუყვა მომხდარი, ჰკითხა რა გაეკეთებინა, ხომ არ იგვიანებდა. ადვოკატმა ურჩია, ერთი კვირა დაეცადა და პოლიციიდან დაუკავშირებოდნენ. რამდენჯერმე იყო პოლიციის განყოფილებაში, დაურეკა გამომძიებელსაც, აინტერესებდა რა ხდებოდა მის საქმეზე, იკითხა გამოძიება იყო თუ არა დაწყებული, გამომძიებელმა უთხრა, რომ გამოძიება დაწყებული იყო და ყველაფერს მოახსენებდა, თუმცა რადგან არაფერი უთხრეს, შეიტანა განცხადება. დაზარალებულის განმარტებით, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით თავად არ დარეკავდა 112-ში, რადგან სამსახურში შესაძლოა ყველაფერი მოხდეს, სამსახური ოჯახივითაა, მივიდოდა ბ. ჟ-ს მამასთან, რომელიც მისი მეგობარია და მას მოუყვებოდა მომხდარი ფაქტის შესახებ, მაგრამ ვინაიდან თავად ბ. ჟ-ს სურვილით დარეკეს პოლიციაში, შესაბამისად, მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მანაც სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა.

5. მ. ყ-მ მოწმის სახით დაკითხვისას მიუთითა, რომ იგი მუშაობდა სსიპ ს-ში ვეტერინარ-სპეციალისტის თანამდებობაზე. 2022 წლის 1 ივნისს იმყოფებოდნენ სსიპ-ს განყოფილებაში, რათა ბ. ჟ-ს აეხსნა მათთვის ხელფასის მიცემასა და ხელშეკრულებების გაგრძელებაზე უარის თქმის მიზეზი. რ. თ.მ თქვა, რომ მ. დ-ს ჰქონდა ბაზა არეული, რა-

ზეც მ-მ უპასუხა – „შენს მიერ მოყვანილმა უზრდელმა ქალბატონებმა აგვირიეს ბაზებო“. ამ სიტყვებმა ბ. ჟ. გააბრაზა, წამოდგა ფეხზე, ორივე მუშტი დაარტყა მაგიდას, მივარდა მ...ს, შეაჯანჯლარა, მაჯაზე სწვდა და უთხრა – „გაეთრიეო“. მ. კიოდა – „მეტკინა, მეტკინა, ხელი გამიშვიო“. მეორედ როცა ჩასჭიდა ხელი, ბ. ჟ. მ...ს მიათრევდა კარებისკენ და თან ეძახდა – „გაეთრიეო“. მ.... კიოდა „მტკივა, მტკივა, გამიშვი ხელი, რას ჩადიხარო“. მ. პ. მივიდა ბ...სთან და უთხრა, შვილო რას შვები, დედისტოლ ქალს ხელი რომ მოტეხე არ გრცხვენიაო? ნ... მეორე მხარეს მოსთქვამდა, მ-მ მეორე ხელით მოიშორა და ინერციით დავარდა სკამზე. განითლებული იყო საცოდავი ქალი, საშინელ დღეში იყო, მაგრამ ითხოვდა აეხსნათ მისთვის, თუ რა დანაშაული ჰქონდა და რატომ არ აძლევდნენ კუთვნილ ანაზღაურებას. ბ...მ ი. ქ.ს სამჯერ უბრძანა „112-ში“ დარეკვა და ორი საპატრულო ეკიპაჟი მოვიდა ადგილზე. როდესაც პოლიციაში წაიყვანეს მათ უნდოდათ ყველაფრის დაწერა, მაგრამ გამომძიებელმა არ მისცა უფლება, დაეწერათ რაც მოხდა, უთხრეს რომ ეს სისხლის სამართლის საქმე იყო და ცალკე უნდა დაეწერათ განცხადება.

6. ნ. დ-მ მოწმის სახით დაკითხვისას მიუთითა, რომ იგი მუშაობდა სსიპ-ს განყოფილებაში ვაქცინატორად. 2022 წლის 1 ივნისს მ. დ-სთან, მ. პ.სთან, მ. ყ.სთან და ლ. ჯ.სთან ერთად შეხვდა ბ. ჟ-ს. გასაუბრების შემდეგ ბ. ჟ-მ უთხრა რ. თ.ს გამოეთხოვა ახსნა-განმარტებითი ბარათები და მათთვის გაეგრძელებინა ხელშეკრულებები. რ. თ. არ დაეთანხმა და უთხრა, რომ ბაზა იყო არეული, რაზეც მ. დ-მ მიუგო, რომ ეს ყველაფერი უზრდელი ქალების ბრალი იყო, ამაზე ბ. ჟ. გაბრაზდა და ორივე ხელი დაარტყა მაგიდას, რა დროსაც გადმოცვივდა ნივთები. ბ...მ მას უთხრა მ.. გაეყვანა. მოწმემ მ-ს უთხრა გასულიყო ოთახიდან, მაგრამ მ... არ გავიდა, სთხოვდა მისთვის რ-ს აეხსნა რა დანაშაული ჰქონდა. ბ. ჟ. კვლავ მივარდა მ. დ-ს, მკლავებზე ხელი მოუჭირა, მაგრამ მ.... არ გადიოდა, შეაჯანჯლარა და ეუბნებოდა გაეთრიეო, მიათრევდა კარებისკენ. მ-მ დაიკვილა, „მეტკინა ბიჭო, გამიშვი გამიშვიო“. თავად ძალიან ალელდა, ტიროდა, მაგრამ ესმოდა მ. პ.ს ხმა, იგი ბ...ს ეუბნებოდა, დედის ტოლ ქალს ხელი მოსტეხეო, მ-მ როცა დაიკვილა მტკივა მტკივაო, ის მაშინვე გავიდა მისაღებში, რადგან ცუდად გახდა. პირველად რომ მივარდა ბ... და ორივე ხელში ჩასჭიდა შეაჯანჯლარა და მეორედ, როდესაც მ..... არ გავიდა ბ... ერთი ხელით მიათრევდა, მ-ს წონასწორობა დაერღვა და დაჯდა სკამზე. მ-ს ხელები დაუსივდა და შეუწითლდა, რაც არა მხოლოდ მან, არამედ ბევრმა ადამიანმა დაინახა. ამის შემდეგ მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები. როდესაც პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს და ბ. ჟ-ს ქმედებების მოყოლა დაიწყეს, გამომძიებელმა თქვა, რომ ეს ცალკე სისხლის სამართლის საქმე იყო

და არ აინტერესებდათ, მათ აინტერესებდათ მხოლოდ ის, იმ დღეს ბ. ჟ-სთან რატომ იყვნენ მისულები.

7. ლ. ჯ-მ განმარტა, რომ იგი მუშაობდა ხელშეკრულებით სსიპ ს-ში ოპერატორად. მას დაუკავშირდა ბ. ჟ., რომელმაც უთხრა, რომ მისი ხელშეკრულება იყო გაუქმებული. 2022 წლის 1 ივნისს სსიპ ს-ში მ. დ-სთან, ნ. დ-სთან, მ. ყ-სთან და მ. პ-სთან ერთად შეხვდნენ ბ. ჟ-ს. მ. დ., ნ. დ., მ. ყ. და მ. პ. ითხოვდნენ ხელფასის გაცემას, თავად კი აინტერესებდა ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზი. რ. თ.მ თქვა, რომ მ. დ-ს ჰქონდა ბაზა არეული და აკლდა 10 ცალი საიდენტიფიკაციო ნომერი, რაზეც მ-მ მიუგო – „თქვენმა მოყვანილმა უზრდელმა ქალბატონებმა აგვირიეს ბაზაო“. ამის გაგონებაზე ბ. ჟ-მ ორივე ხელი დაარტყა მაგიდას და მ-ს ეძახდა – „გადი, გაეთრიო“, თან ხელი ჩაავლო ორივე მაჯაზე და მიათრევდა. მ..... ეუბნებოდა მეტკინაო, ასევე ამბობდა, რომ გარეთ არ გავიდოდა და სთხოვდა ხელი გაეშვა, შემდეგ ბ...მ ერთი ხელი გაუშვა მ...ს და ცალი ხელით კარი გააღო. ამასობაში მ-მ მეორე ხელიც გამოგლიჯა მას და სკამზე დავარდა. ბ... ყვიროდა – „ი..... დარეკე პოლიციაშიო“. კარი გაღებული რომ დაინახა ამის შემდეგ გარეთ გავიდა და წავიდა.

8. მ. პ-მ განმარტა, რომ იგი მუშაობდა სსიპ ვ.... 2022 წლის 1 ივნისს ხელფასის გაცემასთან დაკავშირებით შეხვდნენ ბ. ჟ-ს, შეხვედრა თავიდან მშვიდად მიმდინარეობდა. სიტუაცია დაიძაბა, როდესაც რ. თ-მ მ. დ-ს უთხრა, რომ მას აკლდა 10 საიდენტიფიკაციო ბარათი, რაც მათთვის გასაკვირი იყო, რადგან მათ რაც ჩაბარებული ჰქონდათ ი. ქ-სთვის ყველაფერი იყო გასწორებული. ამის შემდეგ ი-ს ჰკითხა მ-მ ეს იყო თუ არა სიმართლე. ი-მ არ დაადასტურა რ-ის ნათქვამი და მ-ს უთხრა, რომ მას ყველაფერი ჩაბარებული ჰქონდა. თუმცა, რ-ი ამბობდა, რომ გარდა იმისა, რომ 10 საიდენტიფიკაციო აკლდა, ასევე ბაზაც იყო არეული, რაზეც მ-მ უპასუხა, რომ ბაზა ალბათ იმ უზრდელმა ქალებმა არიეს, რომელიც მოწვეული ჰყავდათ სამსახურში. ამ დროს წამოვარდა ბ..., ხელები დაარტყა მაგიდას, გადმოიყარა ცოტა ნივთები, მივარდა მ-ს, ბეჭებზე მოჰკიდა ხელი, შეაჯანჯლარა და ეუბნებოდა – „გადი გარეთ, გაეთრიო“, მაგრამ მ. არ გავიდა. ბ. ჟ-მ მეორეჯერაც შეაჯანჯლარა მ. დ., მეორეჯერაც მოჰკიდა ხელი მაჯებზე და გარეთ გაყვანას ცდილობდა, მაგრამ მ... არ გაჰყვა გარეთ, ეუბნებოდა – „მეტკინა, მეტკინა, მომშორდიო“. ამ დროს მან უთხრა ბ...ს – დედის ტოლა ქალს ხელი არ მოტეხოო. შემდეგ ბ...მ გაუშვა ხელი მ-ს, რომელმაც თავი ვერ შეიკავა და დაეცა. ი. ქ-მ დარეკა „112-ში“ და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. ოთახიდან გამოსულ მ. დ-ს ხელი განითლებული ჰქონდა, იქ დახვდა ზ. ტ., რომელსაც აჩვენა ნატკენი ხელი. იმავე დღეს პოლიციის განყოფილებაში ყველაფერი მოუყვა გამომძიებელს, რო-

მელმაც აღნიშნული არ ჩანერა და უთხრა, ის მოეყოლა რაც მას გადახდა, მ. კი თავად დაწერდა.

9. მონმის სახით ჩვენების მიცემისას ზ. ტ-მ განმარტა, რომ იგი მუშაობდა სსიპს განყოფილებაში უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. 2022 წლის 1 ივნისს, მ. დ., ნ. დ., მ. ყ., მ. პ. და ლ. ჯ. შევიდნენ ბ. ჟ-სთან ოთახში. ცოტა ხანში გაიგონა ყვირილი – „გადი გარეთო“. ეგონა რ-ის ეუბნებოდნენ და გაუხარდა, მაგრამ მერე ქალის ხმა გაიგონა და მიხვდა, რომ მ. დ. იყო. პოლიცია რომ მივიდა, კარები გააღო და მ... შეეფეთა. მას მარჯვენა ხელი ეკიდა მარცხენა ხელზე და უთხრა – „აი შენმა ბ...მ რა მიეყო“. შემდეგ პოლიციამ წაიყვანა ქალბატონები.

10. მონმის სახით ჩვენების მიცემისას ა. ქ-მ განმარტა, რომ ტაქსის მძღოლად მუშაობს ჩ-ში. 2022 წლის ივნისის თვეში, მუშაობის დროს შეხვდა მ. დ., რომელმაც ხელი აჩვენა და უთხრა – „აი, ნახე, ბ...მ რა მიქნაო“.

11. მონმის სახით ჩვენების მიცემისას ნ. გ-მ განმარტა, რომ მუშაობს ჩ-ს ბაზარში. 2022 წლის ივნისის თვეში სსიპ ს-დან შემოესმა ხმა – „გამიშვი, მეტკინა, მეტკინაო“, რომელიც მიამსგავსა მ. დ-ს ხმას. იმავე დღეს, ნაშუადღეს შეხვდა მ...ს, რომელიც იყო აღელვებული. მან აჩვენა მარცხენა ხელი და უთხრა – „აი, რა მიქნა ბ...მ, მომიჭირა ხელიო“.

12. მონმის სახით ჩვენების მიცემისას ი. ქ-მ განმარტა, რომ იგი მუშაობს ს-ში უფროს ინსპექტორად. 2022 წლის 01 ივნისს იმყოფებოდა სამსახურში, მასთან ერთად ოთახში იყვნენ მ. დ., ნ. დ., მ. ყ., მ. პ., რ. თ. და ბ. ჟ.. ქალბატონებს აინტერესებდათ, თუ რატომ არ ჩაერიცხათ ხელფასები და ასევე, რატომ არ გაუგრძელდათ ხელშეკრულებები. საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ქალბატონები ბ. ჟ-სგან ითხოვდნენ განმარტებას, თუ რატომ არ გაუგრძელეს ხელშეკრულება. ბ. ჟ-ს მხრიდან მ. დ-ს მიმართ არანაირ მოქაჩვას, ხელზე ხელის მოჭერას, შეჯანჯლარებას და ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ბ. ჟ. მიმართავდა მ. დ-ს, რომ გასულიყო ოთახიდან, მაგრამ იგი არ გადიოდა. სწორედ ამის შემდეგ გამოიძახეს საპატრულო პოლიცია.

13. მონმის სახით ჩვენების მიცემისას რ. თ-მ განმარტა, რომ იგი მუშაობს სსიპ ს-ში უფროს ინსპექტორად, 2022 წლის 01 ივნისს იმყოფებოდა სამსახურში. მასთან ერთად ოთახში იმყოფებოდნენ ი. ქ., ბ. ჟ., მ. დ., ნ. დ., მ. ყ. და მ. პ.. მ-მ ბ...ს შეურაცხმყოფელი სიტყვები უთხრა, რაზეც ბ...მ მიუგო, რომ წყვეტდა მათთან ხელშეკრულებას და სთხოვდა ოთახიდან გასვლას. ბ... მ...ს ახლოს არ მიკარებია და მისი მხრიდან არანაირ ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ბოლოს ბ. ჟ-მ სთხოვა ი. ქ-ს დაერეკა „112“-ში, რაც ი-მ შეასრულა და მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები.

14. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ 2022

ნლის 8 ივნისს, 11:28-11:40 საათზე ჩატარებული პირადი შემოწმებისას, მ. დ-ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა კანის დეპიგმენტირებული უბანი. სხეულზე გარეგნულად რაიმე სახის მექანიკური დაზიანებისათვის დამახასიათებელი ობიექტური ნიშნები არ აღენიშნებოდა. პირადი გასინჯვის მონაცემების თანახმად, მ. დ. უჩიოდა სუსტი ინტენსივობის პერიოდული ხასიათის ტკივილს მარცხენა წინამხრის მიდამოში. მარცხენა სხივ-მაჯის სახსარი მცირედ შეშუპებული იყო, სახსარში მოძრაობა წარმოებდა სრულად. მარცხენა მტევნის უკანა ზედაპირზე მესამე თითის ნების ძვლის საპროექციო მიდამოში აღენიშნებოდა მოვარდისფრო, უსწორო ფორმის კანის დეპიგმენტირებული უბანი, ზომით 0,5X0,2 სმ (მისი გადმოცემით, მარცხენა მტევნის მიდამოში ჰქონდა ნაკანრი, რომელიც მიიღო თავად რამდენიმე ხნის წინ). დასკვნის სისწორე დადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა შ. თ-ემ.

15. ბ. ჟ-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და განმარტა, რომ მ. დ-სთან 2022 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ერთი თვის ვადით. ნ. დ-ს, მ. დ-ს, მ. ყ-ს, მ. პ-ს და ლ. ჯ-ს მიერ განეულ სამუშაოებთან დაკავშირებით ჩატარდა მონიტორინგი, რადროსაც აღმოჩნდა ხარვეზები, რის საფუძველზეც სააგენტომ გადაწყვეტა, რომ მათთვის ხელფასები არ მიეცა. ამ საკითხის თაობაზე მას პერიოდულად უკავშირდებოდა ნ. დ. და ეკითხებოდა, როდის იქნებოდა მათი ხელფასი, რაზეც განუმარტავდა, რომ ჰქონდათ შეცდომები და ხელფასები ვერ ჩაერიცხებოდათ. 2022 წლის 1 ივნისს მივიდა ჩ-ს ოფისში, რათა გასაუბრებოდა ნ. დ-ს, მ. დ-ს, მ. ყ-ს, მ. პ-ს და ლ. ჯ-ს. ოთახში მათთან ერთად იმყოფებოდნენ რ. თ. და ი. ქ.. საუბარი დაიწყო ნ. დ-მ. შემდეგ გადავიდნენ შეურაცხყოფაზე და დაცინვაზე, რასაც შეუერთდა მ. დ.. როდესაც ქალბატონები ხმამაღალ საუბარზე და მის მიმართ მუქარაზე გადავიდნენ, მან რამდენჯერმე მოუწოდა დამშვიდებულიყვნენ, მაგრამ ისინი ვერ მშვიდდებოდნენ. საუბარი დაახლოებით 2 საათი გაგრძელდა. მ. დ. შეურაცხყოფას აყენებდა მას. იგი მოუწოდებდა დაეტოვებინა ოთახი და გარეთ გაბრძანებულიყო, მაგრამ უშედეგოდ, რის გამოც ი. ქ-ს სამჯერ სთხოვა დაერეკა „112-ში“. მხოლოდ საპატრულო ეკიპაჟის მოსვლის შემდეგ გავიდა შენობიდან.

16. სასამართლო კვლავაც მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს სა-

ფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში.

17. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კი გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

18. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მტკიცებულებებს შორის შინაარსობრივი კავშირი არ გულისხმობს მათ იდენტურობას; მთავარია ისინი საქმის ძირითად გარემოებებთან მიმართებით არ შეიცავდეს წინააღმდეგობრივ ინფორმაციას. „შეუძლებელია, მტკიცებულებების ურთიერთშესაბამისობის კატეგორიაში მათი აბსოლუტური თანხვედრა და იდენტურობა ვიგულისხმოთ, რადგან ასეთი რამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეიძლება მოხდეს, როდესაც საქმეში არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, მაგალითად, ნივთმტკიცებების ან ფოტოდოკუმენტების სახით... მოწმეთა ჩვენებებს შორის ურთიერთშესაბამისობის არსებობის დასადგენად სავსებით საკმარისია მათ შორის შინაარსობრივი თანხვედრა იმ ზომით, რომ ისინი ერთგვარონად წარმოგვიდგენდნენ საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ერთსა და იმავე გარემოებებს“ (მაგ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი საქმეზე №626აპ-17).

19. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის თვითმხილველი მოწმეების და ბ. ჟ-ს ჩვენებას, ვინაიდან აღნიშნულ ჩვენებებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ დასტურდება სს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ეწინააღმდეგება როგორც თვითმხილველი მამხილებელი მოწმეების, ასევე ნეიტრალური მოწმეების ჩვენებებს და სხვა მტკიცებულებებს. სასამართლო ასევე არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას და ზარალეულ მ. დ-ს, თვითმხილველი მოწმეების (მ. ყ-ს, ნ. დ-ს, ლ. ჯ-სა და მ. პ-ს) ჩვენებების და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გაუზიარებლობის შესახებ, იმ საფუძველით, რომ გამოძიება 2022 წლის 1 ივნის-

სის ფაქტთან მიმართებით დაიწყო 7 ივნისს და სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა 2022 წლის 8 ივნისს. გამოძიებისათვის დაგვიანებით მიმართვის ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში ვერ გახდება დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებების გაუზიარებლობის საფუძველი. რადგან ერთი მხრივ, მოწმეთა განმარტებით მათ პირველივე დღეს განუცხადეს საგამოძიებო ორგანოებს მომხდარი მოვლენების შესახებ, ხოლო დაზარალებულ მ. დ-ს განმარტებით, ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ ელოდებოდა როდის დაუკავშირდებოდნენ საგამოძიებო ორგანოდან. მეორე მხრივ, დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტი დასტურდება როგორც თვითმხილველი მოწმეების, ასევე ნეიტრალურ პირთა ჩვენებებით, აღნიშნულ მტკიცებულებებს შორის არ არის არსებითი წინააღმდეგობა, ცალ-ცალკეც და ერთობლიობაშიც ერთგვაროვნად აღწერენ განვითარებულ მოვლენებს (მოვლენათა ნაწილს). მოწმეები უთითებენ მათ მიერ უშუალოდ ნანახ ან/და გაგონილ ფაქტებზე. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ „სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს ყველა მტკიცებულება და ერთმანეთისგან გამიჯნოს, რომელი ჩვენება, ან ჩვენების ნაწილი წარმოადგენს ირიბს და შემდეგ გადაწყვიტოს, რამდენად შესაძლებელია ამ ჩვენების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 ივლისის განაჩენი №97აპ-20).

20. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებული მ. დ. და შემთხვევის თვითმხილველი მოწმეები (მ. ყ., ნ. დ., ლ. ჯ. და მ. პ.) ერთგვაროვნად და თანმიმდევრულად აღწერენ განვითარებულ მოვლენებს. ყველა მათგანი ცალსახად ადასტურებს ბ. ჟ-ს მიერ დაზარალებულისათვის ფიზიკური ზიანისა და ტკივილის მიყენებას. მოწმეთა ჩვენებები თანხვედნილია როგორც ძალადობის ჩადენის და დაზიანების მიყენების, ასევე ძალადობის მიზეზების და მოვლენათა განვითარების ნაწილში. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რაც სასამართლოს აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებების სარწმუნოებაში ეჭვის შეტანის საფუძველს მისცემდა; არ დასტურდება აღნიშნულ მოწმეთა მიკერძოებულობა და ბ. ჟ-ს ცრუდ მხილების განზრახვა.

21. სასამართლო ასევე ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილ მოწმეთა: ზ. ტ-სა და ნ. გ-ს ჩვენებებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხვისას ზ. ტ-მ დაადასტურა ბ. ჟ-ს ოთახში კონფლიქტის ხმა და ის ფაქტი, რომ ოთახიდან გამოსულ მ. დ-ს ხელზე ჰქონდა დაზიანება. ოთახში ყვირილი და მ. დ-ს მიერ „გამიშვი, მეტკინა, მეტკინა“ დაადასტურა ასევე ნ. გ.მ, რომელმაც უშუალოდ გაიგონა აღნიშნული და ვისაც იმავე დღეს დაზარალებული

ბულმა აჩვენა დასიებული და შენითლებული ხელი, რომელზეც უთხრა, რომ აღნიშნული ბ. ჟ-მ ჩაიდინა.

21.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ შემთხვევის დღეს ნატკენი ხელი დაზარალებულმა ოთახიდან გამოსვლისთანავე აჩვენა ზ. თ-ს, იმავე დღეს კი – ნ. გ-ს.

22. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის: მოწმეების – მ. ყ-ს, ნ. დ-ს, ლ. ჯ-ს, მ. პ., ზ. თ-ს, ნ. გ-ს ჩვენებებით) გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება ბ. ჟ-ს ქმედებებით მ. დ-ს მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენება.

23. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო კვლავაც განმარტავს, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავება შესაძლებელია მათ შორის იმ შემთხვევაშიც თუ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება საჭიროა დანაშაულის თავიდან აცილების (მათ შორის, სათანადო ანალიტიკური კვლევის), დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან/და მართლწესრიგის დაცვის (მათ შორის, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს ან სასამართლოს მიერ კრიმინოლოგიური კვლევის ჩატარების) მიზნებისთვის და ამ მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია შესაბამისი კანონით ან კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

23.1. სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის, 144-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილების დანაწესებს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს დამუშავების მიზანზე (მათ შორის: გამოძიების/მართლმსაჯულების განხორციელება) და არა ბრალდების მხარეზე (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის №476აპ-23 განჩინება). სასამართლო ითვალისწინებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს, იმ გარემოებას, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-6 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავებისათვის არ ითხოვს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას.

24. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი დასჯადად მიიჩნევს ცემას ან სხვაგვარ ძალადობას, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დადასტურებულია მ. დ-ს მიმართ ძალადობის ფაქტი, ასევე დამნაშავეს ქმედებით დაზარალებულის მიერ ფიზიკური ტკივილის განცდა, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას მ. დ-ს მიერ ფიზიკური ტკივილის განცდის დაუდგენლობის შესახებ და ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია ბ. ჟ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

25. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

26. საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ან ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

27. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ზოგადად, სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს მის უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებაზე ორიენტირებული. თუ პასუხისმგებლობის სხვა ზომები/სახეები ობიექტურად საკმარისია კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნების მისაღწევად, კანონი უნდა უზიდავდეს სამართალშემფარდებელს, სწორედ არასაპატიმრო ალტერნატივების გამოყენებისკენ“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-96). ამდენად, პატიმრობის ultima ratio ხასიათიდან გამომდინარე

სასჯელის სახით პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ეს ობიექტურად აუცილებელია ქმედების სიმძიმის, გამოწვევადი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც, თუ არა საზოგადოებისგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 ნოემბრის განჩინება №886აპ-23).

28. სასამართლო ასევე ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრული რესოციალიზაციის და პრევენციის მიზნების არსს; იმ გარემოებას, რომ რესოციალიზაციის მიზანი გულისხმობს სასჯელის მეშვეობით საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული თანაცხოვრების წესებისადმი დამნაშავის შეგუებას, ამისათვის შესაბამისი პირობების შექმნის გზით, როგორც საპატიმრო დაწესებულებაში, ასევე, არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებისას, თავისუფლებაში ყოფნის პირობებში; ახალი დანაშაულის თავიდან აცილება კი ხორციელდება სპეციალური და ზოგადი პრევენციის ფარგლებში, სადაც სპეციალური პრევენცია მიმართულია რეციდივის წინააღმდეგ, რათა დამნაშავეს მოესპოს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა ან მოხდეს მათი მინიმალიზება. ზოგადი პრევენცია კი გულისხმობს დანაშაულის ჩადენის ყველა პოტენციური მსურველისათვის იმის დემონსტრირებას, თუ რა შეიძლება მათ ელოდეთ ანალოგიური ქმედების ჩადენის შემთხვევაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

29. საკასაციო სასამართლო ასევე, ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციასა და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს, იმ გარემოებას, რომ ბ. ჟ-მ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, არ არის ნასამართლევი და მიზანშეწონილად მიაჩნია ბ. ჟ-ს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. ზუგდიდის რაიონული პროკურატურის პროკურორ ილია ტორუას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 29 სექტემბრის განაჩენი;
3. ბ. ჟ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი;
4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ბ. ჟ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ გაუქმებულია;
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ

მუქარა

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№1342აპ-23

29 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

ლ. თევზაძე (თავმჯდომარე),

შ. თადემაძე,

მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორ ლაშა ამირანაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 8 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით:

ნ. მ-მა ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებოდა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 25 ნოემბერს, 12:51 საათიდან – 15:08 საათამდე პერიოდში, პენიტენციური სამსახურის №.. დაწესებულების მე-2 სარეჟიმო კორპუსის მე-2 სართულის №33 საკანში მოთავსებულმა მსჯავრდებულმა – ნ. მ-მა, ამავე საკანში დამონტაჟებულ ვიდეო-სამეთვალყურეო კამერასთან მოახდინა თავისივე ხელნაწერი, სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარის შემცველი ტექსტების დემონსტრირება, რითაც ამავე პენიტენციური დაწესებულების დირექტორს – შ. ტ-ს დაემუქრა შვილების სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით, რა დროსაც, შ. ტ-ს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 ივლისის განაჩენით:

ნ. მ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, ნ. მ-ს განემარტა, რომ უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 8 ნოემბრის განაჩენით:

საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორის, ლაშა ამირანაშვილის, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 14 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორმა, პროკურორმა ლაშა ამირანაშვილმა, მოითხოვა ნ. მ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის;

4.1. პროკურორის პოზიციით, საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 301-ე და 303-ე მუხლების მოთხოვნებს და მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე უმნიშვნელოვანესია, უზენაესი სასამართლოს განმარტება, რათა იდენტიური დანაშაულის ჩადენის მსურველებს, „ხელ-ფეხი“ არ გაეხსნათ და ერთგვარად, შეფარული მუქარით, კანონის წინაშე პასუხგაუცემლად, ვერ შეძლონ პირისათვის ზიანის მიყენება.

4.2. საკასაციო საჩივრის მიხედვით, ნ. მ-ის ბრალეულობის დასტურად, პირველი ინსტანციის სასამართლოში პროკურორმა დაკითხა მოწმეები, რომლებმაც სასამართლო განხილვისას მიცემულ ჩვენებებში დამაჯერებლად აღწერეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები. ბრალდების მხარემ წარმოადგინა წერილობითი მტკიცებულებებიც. საქმის მასალებში ასახულმა ინფორმაციამ მოიცვა ნ. მ-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის შემადგენლობის ყველა რელევანტური ელემენტი. პროკურორმა დეტალურად მიმოიხილა საქმეში არსებულ ვიდეოჩანაწერში ასახული წერილის ტექსტები. აღნიშნულ ტექსტებს კი კამერას აჩვენებს ნ. მ-ი.

5. პროკურორის საკასაციო საჩივარზე ნ. მ-მა წარმოადგინა შესაგებელი;

5.1. დაცვის მხარემ შესაგებლით მოითხოვა პროკურორის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის უცვლელად დატოვება.

5.2. შესაგებელში აღწერილია, თუ რამდენად შეიძლება იყოს დამაჯერებელი ის გარემოება, რომ პენიტენციური დაწესებულების დირექტორს გაუჩნდეს შიში, საკანში მყოფი პატიმრის მიმართ. ფაქტი, რომ 2022 წლის 25 ნოემბრის ჩანაწერში არ იკვეთება მუქარა, ადასტურებს მონმე ზ. ს-ს ჩვენება. მეორე და მესამე წერილის ჩვენების მიზანს წარმოადგენდა ყურადღების მიქცევა, ვინაიდან, ნ. მ-ს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები ემუქრებოდნენ და შეურაცხყოფდნენ. ბრალდების მხარის მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ნ. მ-ი უდანაშაულოა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არის საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 8 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და ნ. მ-ი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

2. თბილისის სააპელაციო პალატის მოტივაციას, რომლის თანახმადაც, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის ნ. მ-ის დამნაშავედ ცნობისათვის, საკასაციო პალატა არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმის მასალათა ერთობლივი ანალიზი უტყუარად მიუთითებს ბრალდებულის მიერ შ. ტ-ს მიმართ მუქარის ჩადენას; კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, ნ. მ-ს ბრალად ედება, რომ იგი შ. ტ-ს შვილების სიცოცხლის მოსპობითა და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა, რა დროსაც დაზარალებულს გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

3. საკასაციო პალატა უთითებს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სიღრმისეულად უნდა გააანალიზდეს: თუ რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნევს ბრალდების მხარე, რომ ნ. მ-მა ჩაიდინა მუქარა, რას მოიცავს მოცემული მტკიცებულებების შინაარსი და გაუჩნდა თუ არა შ. ტ-ს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. საკასაციო სასამართლო თითოეულ ამ საკითხს მიმოიხილავს ცალ-ცალკე და შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით, დეტალურად შეაფასებს ნ. მ-ის ქმედებაში საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის არსებობის საკითხს.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლთან დაკავშირებული მტკიცებულებათა ერთობლიობა:

4.1. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, შეაფასებს დაზარა-

ლებულის ჩვენებას, მასში გადმოცემულ ფაქტობრივ გარემოებათა მიმდევრობასა და დამაჯერებლობას, კერძოდ, ერთი მხრივ, თუ კონკრეტულად რა ფორმითა და შინაარსით გამოიხატა ნ. მ-ის მიერ შ. ტ-ს მისამართით გამოთქმული მუქარა, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად გაუჩნდა თავად შ. ტ-ს მოცემული მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

4.2. დაზარალებულ შ. ტ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ დაახლოებით, 7 წელია მუშაობს პენიტენციური სამსახურის №.. დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე. აღნიშნულ დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა ნ. მ-ი, შესაბამისად, მასთან ჰქონდა სამსახურებრივი შემხებლობა. 2022 წლის 25 ნოემბერს იმყოფებოდა სამსახურში, რა დროსაც დაუკავშირდა მისი მოადგილე, დ. ნ-ი და უთხრა, რომ ვიზუალური მეთვალყურეობის სამმართველოს თანამშრომლებმა როგორც აცნობეს, ნ. მ-ი ვიდეოკამერას აჩვენებდა წერილს, რომელშიც იგი შეურაცხყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა მის დას. აღნიშნულის შემდეგ, იგი უშუალოდ დაუკავშირდა ხსენებული სამმართველოს თანამშრომელს ლ. ბ-ს, რომელმაც დაუდასტურა, რომ ნ. მ-მა ვიდეოკამერას ნამდვილად აჩვენა მის დასთან დაკავშირებული, შეურაცხყოფელი ტექსტი. ამის შემდეგ, კვლავ დაუკავშირდა ლ. ბ-ი და შეატყობინა, რომ ნ. მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა მისი შვილების მისამართით, მუქარის შემცველი ტექსტის ჩვენებას, კერძოდ, ტექსტში საუბარი იყო იმაზე, რომ როდესაც შ. ტ-ს დაურეკავდნენ მისი შვილები და ეტყოდნენ, მამა გვიშველეო, გვიანი იქნებოდა. მან აღნიშნული ტექსტი აღიქვა მისი შვილების მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარად, ხოლო ნ. მ-ის პიროვნების გათვალისწინებით (რომელიც მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის), აღნიშნული მუქარა საფრთხის შემცველი იყო და გაუჩნდა მისი განხორციელების შიში. მართალია, იმ მომენტში, როგორც პატიმარი, ნ. მ-ი პირადად მოკლებული იყო შესაძლებლობას, სისრულეში მოეყვანა მუქარა, თუმცა, საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, ან მესამე პირების მეშვეობით, არსებობდა მუქარის სისრულეში მოყვანის საფრთხე. ამის შემდეგ, კვლავ დაუკავშირდა ლ. ბ-ი და აცნობა, რომ ნ. მ-მა აჩვენა მესამე წერილიც, სადაც უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელს, რ. ც-ს მოიხსენიებდა შეურაცხყოფელი სიტყვებით.

4.3. მოწმე შ. ტ-ს განმარტებით, ნ. მ-ი არაერთხელ მოქცევია თანამშრომლებს აგრესიულად, რაზეც მას დისციპლინური სახდელიც აქვს დაკისრებული. დაზარალებულის განმარტებით, მას ნ. მ-ის მიმართ რაიმე პირადი ინტერესი არ გააჩნია და მისი დასჯის საკითხს მიახლობს სასამართლოს.

4.4. მოწმედ ნ-მა (პენიტენციური სამსახურის №.. დაწესებულების დირექტორის მოადგილე) მიუთითა, რომ 2022 წლის 25 ნოემბერს, ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს თანამშრომელმა, ლ. ბ-მა, აცნობა ნ. მ-ის მიერ შედგენილი წერილის თაობაზე, რაც მან დაუყოვნებლივ აცნობა შ. ტ-ს.

4.5. თავად მოწმე ლ. ბ-მა აღნიშნა, რომ 2022 წლის 25 ნოემბერს იგი ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას – ვიზუალურად მეთვალყურეობდა საკნებსა და დერეფნებს, რა დროსაც შენიშნა, რომ ნ. მ-მა აიღო ფურცელი, დაწერა ტექსტი და ეს ფურცელი აჩვენა ვიდეოკამერას. მან შეძლო ამ წერილის წაკითხვა და ტექსტი აცნობა შესაბამის უფლებამოსილ პირებს. ნ. მ-მა აღნიშნული წერილი დახია და ჩააგდო საპირფარეოში. ამის შემდეგ ნ. მ-მა დაწერა მე-2 და მე-3 წერილებიც, რის შესახებაც ასევე აცნობა უფლებამოსილ პირებს.

4.6. რაც შეეხება უშუალოდ ხსენებულ წერილთა შინაარსს, ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმითა და მხარეთა მონაწილეობით სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ №33 საკანში არსებული ვიდეოკამერის 2022 წლის 25 ნოემბრის ჩანაწერებით, დადგინდა:

2022 წლის 25 ნოემბერს, დაახლოებით, 12:40 საათზე, ნ. მ-ი იღებს ფურცლებს და იწყებს წერას. დაახლოებით, 12:42 საათზე, მიდის საკნის კარის მიმართულებით, მალევე ბრუნდება საკნის სივრცეში. დაახლოებით, 12:43 საათზე კვლავ მიუჯდება მაგიდას და აგრძელებს წერას. დაახლოებით, 12:51 საათზე, ნ. მ-ი ასრულებს წერას, იღებს ფურცელს, მიდის ვიდეოკამერასთან, აქნევს ხელს და შემდეგ ორივე ხელით აჩვენებს ეკრანს მის მიერ დაწერილ წერილს. ტექსტი ეხება შ. ტ-ს დასა და არის უკიდურესად შეურაცხმყოფელი შინაარსის.

აღნიშნული წერილის ჩვენების შემდეგ, იგი შედის საპირფარეოში და, სავარაუდოდ, იქ აგდებს ამ წერილს, რადგან საპირფარეოდან გამოსვლისას, ხელში აღარაფერი უჭირავს.

აღნიშნულის შემდეგ, დაახლოებით, 13:40 საათზე, ნ. მ-ი კვლავ ჯდება მაგიდასთან და იწყებს წერას. 13:42 საათზე, ნ. მ-ი მიდის ვიდეოკამერასთან, აქნევს ხელს და მის მიერ დაწერილ წერილს აჩვენებს ვიდეოკამერას. წერილის ტექსტი არის შემდეგი: „შ–, ეს დღე კარგად დამიბახსოვრე, ეს მოგზავნები როგორ უნდა განახებ მე, შვილები რო დაგირეკავენ მამა გვიშველეო მერე ვნახავთ.“

წერილის ჩვენების შემდეგ, იგი შედის საპირფარეოში და, სავარაუდოდ, იქ აგდებს ამ წერილს, რადგან საპირფარეოდან გამოსვლისას ხელში აღარაფერი უჭირავს.

აღნიშნულის შემდეგ, დაახლოებით, 15:04 საათზე, ნ. მ-ი კვლავ ჯდება მაგიდასთან და იწყებს წერას. დაახლოებით, 15:08 საათზე, იგი მიდის ვიდეოკამერასთან, აქნევს ხელს და მის მიერ დაწერილ წერილს

აჩვენებს ვიდეოკამერას. წერილის ტექსტი შემდეგია:

„შ., სანამ გავალ სასამართლოზე, ხო მოგიწევს მოსვლა, საკუთარი ყურებით მოგასმენინებ შენს მისამართს რო ჩავაწერინებ და შენს შვილებზე რასაც დავაბარებ. რ-ს უსაფრთხოებას ესე გადაეცი, ვინ ვის დედას მო... ამ მისამართზე, ვნახავთ. ქ. თ-ი, რ. მ-ს 1... ბინა ...“

წერილის ჩვენების შემდეგ, იგი შედის საპირფარეშოში და სავარაუდოდ, იქ აგდება ამ წერილს, რადგან საპირფარეშოდან გამოსვლისას, მას ხელში არაფერი უჭირავს.

4.7. სხვა მტკიცებულება, რაც დაკავშირებულია შემთხვევის დღეს ხსენებული წერილების დაწერასთან, არის პენიტენციური სამსახურის №.. დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლის რ. ც-ს ჩვენება, რომლის თანახმად, 2022 წლის 25 ნოემბერს, მას კონტროლიორმა ზ. ს-მ აცნობა, რომ ნ. მ-მა დაწესებულების დირექტორ შ. ტ-ს მიმართ დაწერა შეურაცხყოფელი წერილი, რის გამოც მან მოუწოდა ნ. მ-ს, რომ შეენწყვიტა ამგვარი წერილების წერა და დაეცვა წესრიგი, თუმცა, მან მაინც დაწერა მე-2 და მე-3 წერილები.

4.8. პენიტენციური სამსახურის №.. დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ-კონტროლიორის ზ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2022 წლის 25 ნოემბერს იყო მორიგე და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც ხელის რადიოსადგურის მეშვეობით მიიღო შეტყობინება, რომ მსჯავრდებულ ნ. მ-ს საკანში დაშლილ მდგომარეობაში ჰქონდა ჩაიდანი. მან აღნიშნული ჩაიდანი გამოიტანა, რაზეც ნ. მ-ს პრეტენზია არ ჰქონია. აღნიშნულის შემდეგ, ნ. მ-თან რამდენჯერმე კვლავ ჰქონდა კონტაქტი, მათ შორის, იმ წერილებთან დაკავშირებით, რომლებითაც ის ემუქრებოდა დაწესებულების დირექტორს, შ. ტ-ს. მოწმემ დაადასტურა მისი მონაწილეობით ჩატარებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმის სისწორე, სადაც გარკვევით ჩანდა, რომ ნ. მ-მა დაწერა წერილები, რომლებიც აჩვენა ვიდეოკამერას.

4.9. თავად ნ. მ-მა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას განმარტა, რომ მას პენიტენციურ დაწესებულებაში მიზანმიმართულად დევნიდნენ, რის გამოც სისტემატურად ისჯებოდა უკანონოდ. აღნიშნული ბრალდებაც მისი დასჯის ინტერესს ემსახურება, რადგან შეუძლებელია, იგი დამუქრებოდა შ. ტ-ს, როცა მან კარგად იცოდა, რომ მასზე ვიდეოკონტროლი ხორციელდებოდა და ვიდეოჩანაწერები არქივდებოდა, ხოლო მას სასჯელის მოხდამდე დარჩენილი ჰქონდა, დაახლოებით, 9 თვე და მდგომარეობას არ დაიმძიმებდა. მან დაადასტურა, რომ აღნიშნული წერილები თავად დაწერა და ტექსტიც ავთენტურია, თუმცა, ეს გააკეთა არა ვინმეს დაშინების მიზნით, არამედ მისდამი განხორციელებუ-

ლი რეპრესიების გამო, ყურადღების მიქცევის მიზნით, რაზეც მონიტორინგის დეპარტამენტს ჰქონდა კიდეც რეაგირება.

4.10. დაცვის მხარის მტკიცებულებებიდან საკასაციო სასამართლო მიუთითებს, მოწმის, პენიტენციური სამსახურის №... დაწესებულების ინსპექტორ-კონტროლიორის, თ. შ-ს ჩვენებაზე, რომლის მიხედვითაც, 2022 წლის 25 ნოემბერს, მასთან საუბარში ნ. მ-ი არ დამუქრებია შ. ტ-ს. ამასთან, მოწმის, შ. ა-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ნ. მ-ის №... დაწესებულებიდან მე-3 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, ამ უკანასკნელის მხრიდან ფანჯრიდან გადაძახების მეშვეობით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2022 წლის 25 ნოემბერს, ნ. მ-ის საკნიდან გაიტანეს საყოფაცხოვრებო ნივთები, ასევე პატიმრებს ეპყრობოდნენ არაადამიანურად, რის გამოც ნ. მ-ის მიზანი იყო ყურადღების მიქცევა და პროტესტის გამოხატვა.

4.11. მოწმის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს უფროსის, ნ. ჯ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2022 წლის 25 ნოემბერს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს თანამშრომლებმა დააფიქსირეს, რომ ნ. მ-ი დაწესებულების დირექტორის, შ. ტ-სა და მისი ოჯახის წევრების მისამართით ვიდეო-სამეთვალყურეო კამერას აჩვენებდა შეურაცხმყოფელ და მუქარის შემცველ წერილებს. აღნიშნული ვიდეოჩანაწერები მან დაარქივა და გადასცა როგორც დაწესებულების, ასევე – დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. აღნიშნულის თაობაზე მან დაწერა მოხსენებითი ბარათიც.

4.12. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზით, უტყუარად დადასტურებული ფაქტია, რომ ნ. მ-მა N33-ე საკანში ნამდვილად დაწერა რამდენიმე, კონკრეტული შინაარსის მქონე წერილი (შ. ტ-ს მისამართით), რომლებიც ცალ-ცალკე აჩვენა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერას, რაზეც შესაბამის სამსახურს ჰქონდა რეაგირება.

5. ნ. მ-ის მიერ დემონსტრირებული ტექსტების შესაბამისობა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციასთან:

5.1. მას შემდეგ, რაც საკასაციო სასამართლომ მიმოიხილა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა და დაადგინა ნ. მ-ის მიერ რამდენიმე ტექსტის ვიდეოკამერასთან დემონსტრირების ფაქტი, უნდა შეფასდეს თავად ამ ტექსტთა შინაარსის შესაბამისობა საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის დისპოზიციასთან.

5.2. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, მუქარა უნდა მიემართებოდეს სიცოცხლის მოსპობას ან ჯანმრთელობის დაზიანებას ანდა – ქონების განადგურებას. მოცემული ჩამონათვალი არის ამომწურავი ხასიათის, რაც გულისხმობს იმას, რომ სისხლის

სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა მიესადაგებოდეს ზემოხსენებულ, რომელიმე სამართლებრივი სიკეთიდან ერთ-ერთს მაინც.

5.3. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პირობითად, სიცოცხლის მოსპობის მუქარა მოიცავს არამხოლოდ სიტყვებს, რომლებიც პირდაპირი ფორმით მოიაზრებს პირის მიმართ სიკვდილით დამუქრებას („მოგკლავ“, „დაგახრჩობ“, „არ გაცოცხლებ“ და ა.შ.), არამედ სიტყვასაც/წინადადებასაც, რომლის ერთობლივი, შინაარსობრივი ანალიზი, ანალოგიურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ პირი რეალურად, სიცოცხლის მოსპობით ან ჯანმრთელობის დაზიანებით იმუქრება; რომ არა ნორმის ამგვარად განმარტება, მუქარის ჩადენამდე პირი შეარჩევს სიტყვათა იმგვარ წყობას, რომელიც მართალია, თავის თავში პირდაპირი ფორმით სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებულ ტერმინს არ შეიცავს, თუმცა, მისი შინაარსით რეალურად, სწორედ პირის მოკვლის ან ჯანმრთელობის დაზიანებისაკენ იქნება მიმართული. ამგვარად, სასამართლოს შეფასების მიღმა დარჩება არამხოლოდ დაზარალებულის საფუძვლიანი შიშის აღქმა, არამედ ფაქტიც, რომ მისი სიცოცხლე, შესაძლოა ობიექტურად, მართლაც საფრთხის ქვეშ იყო.

5.4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქმედების მუქარად დაკვალიფიცირების დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავარაუდო დანაშაულის მიერ ნათქვამისა თუ დანერგის შინაარსს (როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ფორმით გამოხატულს), და ყოველ, კონკრეტულ საქმეში მოცემული გარემოება, შესაბამისი საქმის მასალებზე დაყრდნობით, ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და ჯეროვნად დასაბუთდეს. საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ხელშეუხლებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება. შესაბამისად, დანაშაულის შემადგენლობად ვერ განიხილება მხოლოდ ინდივიდის პერსონალური სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ანდა მხოლოდ პირადი საკუთრება, რადგან ადამიანი სოციალურ გარემოში ცხოვრობს და მისთვის იგივე ხარისხის საფუძვლიანი შიშის მომგვრელია ნებისმიერი მუქარა, რომელიც მიმართულია არამხოლოდ მისი, არამედ მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ოჯახის საერთო საკუთრებისაკენ და არა მხოლოდ – პირადი საკუთრების განადგურებისაკენ. საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის განმარტებისას, უზენაესი სასამართლოს მსჯელობა ეფუძნება დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივ დაცვის ობიექტს და არა დანაშაულის შემადგენლობის სიტყვა-სიტყვით განმარტებას, რადგან სისხლის სამართლის პრაქტიკაში, ხსენებული დანაშაულის ამგვარად განმარტება, მიგვიყვანს იქამდე, რომ თუ მაგალითად, პირს საცხოვრებელი სახლის დან-

ვით დაემუქრებიან და აღნიშნული სახლი საჯარო რეესტრში მისი მშობლის ან მეუღლის სახელზე რეგისტრირებული, მაშინ მუქარის, როგორც დანაშაულის შემადგენლობა არ გამოიკვეთება; ან, თუ პირს ოჯახის ამონყვევით დაემუქრებიან, არც მაშინ იარსებებს დანაშაულის შემადგენლობა, რაც მცდარი მსჯელობაა და ეწინააღმდეგება როგორც სამართლიანობის პრინციპს, ასევე ობიექტის ამ დანაშაულისგან დაცვის სულისკვეთებას. ამავდროულად, მოცემული მუხლით კვალიფიკაციის დროს, მთავარია, დაზარალებულს დაეუფლოს მუქარის აღსრულების საფუძვლიანი შიში, ხოლო რეალურად, განხორციელება თუ არა ქმედება დამმუქრებელის მიერ, ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არ აქვს.

5.5. საკასაციო სასამართლო დამატებით გააანალიზებს თავად მუქარის ცნებას, კერძოდ:

ქართულ განმარტებით ლექსიკონებში, მუქარა განმარტებულია ერთგვაროვნად და იგი გულისხმობს დაშინების ცდას, ავის ქმნის დაპირებას (მუქარის შეთვლა); იხილეთ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი მეორე, მთავარი რედ. არნ. ჩიქობავა, თბილისი, 1990, 753; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი V, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1958, 1163; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, რედ. არნ. ჩიქობავა, მ. ჭაბაშვილი, თბილისი, 1986, 343.

5.6. რაც შეეხება უშუალოდ მოცემულ საქმეში შესაფასებელი ტექსტის შინაარსს, წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მონმეთა, მათ შორის, დაზარალებულის ჩვენებებით, ვიდეოჩანაწერების დათვალიერების ოქმით, გამოკვლეული ვიდეოჩანაწერებით) უტყუარად დადასტურებული ფაქტია, რომ 2022 წლის 25 ნოემბერს, ნ. მ-მა ვიდეოკამერას აჩვენა სამი წერილი. როგორც აღინიშნა, მოცემულ ფაქტს თავად ნ. მ-იც არ უარყოფს, თუმცა, მიუთითებს, რომ წერილები დაწერა მისდამი განხორციელებული რეპრესიების გამო, ყურადღების მიქცევის მიზნით.

5.7. მოცემული სამი წერილიდან ბრალდებას საფუძვლად უდევს მე-2 და მე-3 წერილი. პირველი წერილის ადრესატიც არის შ. ტ, თუმცა, იმ განსხვავებით, რომ წერილის შინაარსი უკავშირდება მისი დის შეურაცხყოფას, რაც განსახილველი ბრალის მიღმაა. რაც შეეხება, უშუალოდ მე-2 და მე-3 წერილს, მათი შინაარსი როგორც აღინიშნა, შემდეგია:

„შ., ეს დღე კარგად დაიმახსოვრე, ეს მოგზავნები როგორ უნდა განახებ მე, შვილები რო დაგირეკავენ, „მამა გვიშველო“, მერე ვნახავთ...“; (მე-2 წერილი) და „შ. სანამ გავალ სასამართლოზე ხო მოგიწევს მოსვლა, საკუთარი ყურებით მოგასმენინებ შენს მისამართს რო ჩავა-

წერილები და შენს შვილებზე რასაც დავაბარებ. რ-ს უსაფრთხოებას ესე გადაეცე, ვინ ვის დედას მო...ს, ამ მისამართზე ვნახავთ. ქ. თ-ი, რ. მ-ს 1... ბინა ...“ (მე-3 წერილი).

5.8. ქმედების საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის პირველი ნაწილით შეფასებისათვის, საკასაციო სასამართლო დამატებით ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებათა ერთობლიობას:

ნ. მ-ი წერილის დაწერის შემდეგ, ირჩევს მისი დემონსტრირების იმგვარ ფორმას, რომელიც შესაბამისი ლოკაციის დანიშნულებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მის ადრესატამდე მივიდოდა (წერილს აჩვენებს საკანში არსებულ ვიდეოკამერას, ხოლო შ. ტ. წარმოადგენს იმავე დაწესებულების დირექტორს). მოცემული გარემოება ცხადყოფს იმას, რომ ნ. მ-ს ეჭვგარეშე სურს მისი მუქარის შესახებ გაიგოს კონკრეტულმა პირმა (ამ შემთხვევაში, შ. ტ-მ). აღნიშნულს მოწმობს ისიც, რომ ორივე წერილის დაწერას იგი იწყებს ადრესატის სახელით – „შ.“;

ნ. მ-ი დროის მცირე ინტერვალში წერს ორ, სხვადასხვა ტექსტს, რომლიდანაც ორივეს შინაარსი ერთმანეთის მსგავსად, მიმართულია შ. ტ-სა და მისი შვილებისაკენ; წერილების სიმრავლე თავის მხრივ, მიუთითებს ნ. მ-ის მიერ ქმედების ჩადენის სურვილის ხარისხზეც;

◆ ტექსტები რომ არამართო დამაშინებელია, არამედ მიმართულია ჯანმრთელობის დაზიანების, ან სიცოცხლის მოსპობისკენ საკასაციო სასამართლოს სადავოდ არ მიაჩნია. ადამიანის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელიც იძულებულია საშველად მოუხმოს სხვას, ამ შემთხვევაში, მამას, გულისხმობს პირის სერიოზული სახის საფრთხის ქვეშ ყოფნას, მით უმეტეს, რომ წერილები სრულდება სიტყვებით: „შვილები რო დაგიჩეკავენ მამა გვიშველეო, მერე ვნახავთ;“ „საკუთარი ყურებით მოგასმენინებ შენს მისამართს რო ჩავაწერილებ და შენს შვილებზე რასაც დავაბარებ. რ-ს უსაფრთხოებას ესე გადაეცე ვინ ვის დედას მო...ს ამ მისამართზე, ვნახავთ.“ ძალადობრივი სახის ქმედება კი პირდაპირ კავშირშია პირის ჯანმრთელობასთან ან სიცოცხლესთან; უფრო მეტიც, წერილების შემდგენი ნ. მ-ი ნასამართლევია ძალადობრივი კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის, კერძოდ, ყაჩაღობისათვის, ჩადენილი ჯგუფურად, ცეცხლსასროლი იარაღისა და დანის გამოყენებით, ბინაში უკანონო შეღწევით, ხოლო შ. ტ. წარმოადგენს იმ სამსახურის დირექტორს, რომელშიც მსჯავრდებული იხდის სასჯელს ჩადენილი დანაშაულისათვის. მოცემული სამართლებრივი ვითარება პირდაპირ მიესადაგება მუქარის ზემოგანმარტებულ ეტიმოლოგიას – დაშინების ცდას, ავის ქმნის დაპირებას და არ შეესაბამება დაცვის მხარის განმარტებას, იმის თაობაზე, რომ ნ. მ-ის მიზანს მხოლოდ ყურადღების მიქცევა და პროტესტის გამოხატვა წარმოადგენდა. საკასაციო სასამართლო უთითებს, რომ დამაშინებელი და ძალადობრივი შინაარსის მქონე

ტექსტები ვერ განიხილება მსჯავრდებულის მიერ გამოხატული პროტესტის გამართლებულ ფორმად და ვერ იქნება მიჩნეული კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილების ან მიზნის მიღწევის კანონიერ გზად.

წერილების ჩვენების შემდეგ, ნ. მ-ი შედის საპირფარეშოში და სავარაუდოდ, იქ აგდება ამ წერილს, რადგან საპირფარეშოდან გამოსვლისას მას ხელში უკვე არაფერი უჭირავს. მოცემული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ნ. მ-ს გაცნობიერებული ჰქონდა მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და ფაქტი, რომ მოცემული წერილები შესაბამისმა პირებმა ველარ მოიძიეს, მოწმობს ნ. მ-ის მხრიდან პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მცდელობას.

რაც შეეხება მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიშის წარმოშობას, მოცემულთან დაკავშირებით, დაზარალებულმა შ. ტ-მ გარკვევით განმარტა, რომ აღნიშნული ტექსტები მან აღიქვა მისი შვილების მიმართ სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარად, ხოლო ნ. მ-ის პიროვნების გათვალისწინებით, რომელიც მსჯავრდებულია განსაკუთრებით მძიმე, ძალადობრივი კატეგორიის დანაშაულისათვის, აღნიშნული მუქარა მისთვის არის საფრთხისშემცველი და გაუჩნდა მისი განხორციელების შიში. ამასთან, მართალია, იმ მომენტში პატიმარი პირადად მოკლებული იყო შესაძლებლობას, მუქარა აღესრულებინა, მაგრამ საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ, ან „მესამე პირთა“ მეშვეობით, არსებობდა მისი სისრულეში მოყვანის საფრთხე.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების შეფასებას, რომ ნ. მ-ის მიერ დაწერილი წერილები, მხოლოდ დამაშინებელი და ზოგადი ხასიათისაა. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მუქარის შეფასების ეტაპზე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თითოეული სიტყვის მნიშვნელობა და ამასთან, ის, თუ რა აზრის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა კონკრეტული წინადადება, ვის მიერ არის იგი გამოთქმული, ვისი მისამართით და რა ვითარებაში. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დეტალურად არ შეაფასეს ის ფაქტი, რომ ნ. მ-ის წერილები რეალურად შეიცავდა ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის მუქარას, რამაც დაზარალებულს გაუჩინა მისი აღსრულების საფუძვლიანი შიში.

6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცებულებათა შეფასებისას ხელმძღვანელობს მტკიცების „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტით; აღნიშნული სტანდარტი უნდა გამომდინარეობდეს საკმაოდ მყარ, ზუსტ და თანმხვედრ ფაქტებზე დამყარებული ვარაუდიდან ან მსგავსი უტყუარი ფაქტების პრეზუმფციიდან („ულკუ ეკინჯი თურთქეთის წინააღმდეგ,“ (Ülkü Ekinci v. Turkey), N27602/95, 16/07/

2002, §142). მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარის წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი ხასიათისაა.

7. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტით დადასტურებულია, რის გამოც, მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და იგი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი ზემოხსენებულ ბრალდებაში.

8. საკასაციო სასამართლოს მიერ ნ. მ-ის მიმართ შერჩეული სასჯელის სახე და ზომა:

8.1. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნის სტადიაზე მოსამართლე თანაბრად აფასებს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ, ისე შემამსუბუქებელ გარემოებებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საბოლოოდ დანიშნული სასჯელი პასუხობდეს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლით დადგენილ მიზნებს.

8.2. საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს:

ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ვადით – ასოციდან ასოთხმოც საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოს, ვადით – ერთ წლამდე ან შინაპატიმრობას ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან – და თავისუფლების აღკვეთას ვადით – ერთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან – უამისოდ.

8.3. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნ. მ-ი ნასამართლევია განსაკუთრებით მძიმე, განზრახი, ძალადობრივი ხასიათის (ყაჩაღობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) დანაშაულის ჩადენისათვის. იგი ქმედების ჩადენის დროს, უშუალოდ იხდიდა სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში, რაც მისთვის არ აღმოჩნდა შემაკავებელი ბერკეტი, კიდევ ერთი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის. მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში გამოკვეთილია რეციდივი, ვინაიდან განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევმა ნ. მ-მა, კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. მ-ის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებით, ვერ იქნება მიღწეული საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მიზნები. შესაბამისად, მის მიმართ სასჯელის სახედ და ზომად უნდა შეირჩეს თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და ამავედროულად, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის შესაბამისად, მას იარაღთან დაკავშირებული უფლებები უნდა შეეზღუდოს 5 წლით.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო ნ. მ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორ ლაშა ამირანაშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 8 ნოემბრის გამამართლებელი განაჩენი ნ. მ-ის მიმართ გაუქმდეს:

3. ნ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლით; მასვე, საქართველოს სსკ-ის 52¹-ე მუხლის საფუძველზე, შეეზღუდოს იარაღთან დაკავშირებული უფლებები 5 (ხუთი) წლით.

4. ნ. მ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს ამ განაჩენის აღსრულების გამო, მისი დაკავების მომენტიდან.

5. დამატებით სასჯელად დანიშნული იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ვადა აეთვალოს ძირითადი სასჯელის მოხდის მომენტიდან.

6. ნივთმტკიცებათა ბედის გადაწყვეტა:

ვიდეორჩანაწერები, განთავსებული ნ დისკზე, შენახულ იქნეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, საქმის შენახვის ვადით;

რ. დ-ს, რ. ქ-სა და რ. დ-ს ტანისამოსი (ინახება იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში), დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ნ. მ-ის საკნიდან ამოღებული ბოთლი, რომელიც ინახება იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში, განადგურდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

აღიკვეთა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№ 1447 აპ-23

5 აპრილი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემაღენლობით:**

**მ. გაბინაშვილი (თავმჯდომარე),
ნ. სანდოძე,
მ. ვასაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლეილა კვერნაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით თ. ვ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – ადევნებაში, ანუ პირადად არასასურველი კომუნიკაციის დამყარებაში ტელეფონისა და ელექტრონული საშუალებით, რომელიც სისტემატურად ხორციელდებოდა და იწვევდა პირის ფსიქიკურ ტანჯვას.

2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით დროის მონაკვეთში თ. ვ., მობილური ტელეფონისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, სისტემატურად ახორციელებდა არასასურველ კომუნიკაციას ლ. ს-თან ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ, რა დროსაც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მას და მისი ოჯახის წევრებს. აღნიშნული ქმედებით ლ. ს. განიცდიდა ფსიქიკურ ტანჯვას.

3. აღნიშნული ქმედებისათვის თ. ვ. დამნაშავედ ცნეს საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ. ადვოკატმა ი. შ-მ მოითხოვა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 25 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და თ. ვ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა პალატის 2023 წლის 13 ნოემბრის განაჩენით სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 25 ოქტომბრის განაჩენი გაუქმდა; თ. ვ-ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. გამართლებულს განემარტა, რომ უფლება აქვს, საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

6. კასატორი – პროკურორი ლეილა კვერნაძე – საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 13 ნოემბრის განაჩენის შეცვლას, თ. ვ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ამ მუხლით გათვალისწინებული მკაცრი უმკაცრესი სასჯელის განსაზღვრას იმ მოტივით, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობა საკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

7. გამართლებულ თ. ვ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. შ. შესაგებლად ითხოვს პროკურორის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობასა და გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და დაასკვნა, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილით ისჯება ადევნება – პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის. დანაშაულისგან დაცვის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობა, უსაფრთხო გარემო და ცხოვრების წესის თავისუფლება.

3. ადევნების ნებისმიერი ობიექტი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლია. ფსიქიკური ტანჯვა ადამიანის შინაგანი განცდაა, რომელიც სტრესულ მდგომარეობას უკავშირდება. ფსიქიკური ტანჯვა არ შეიძლება იყოს ერთჯერად, დროის მცირე მონაკვეთში განცდილი დისკომფორტი, იგი არის დროის ხანგრძლივ პე-

რიოდში მიმდინარე პროცესი, რაც შეიძლება გამოიხატოს გამუდმებული ფიქრით, შიშით, მღელვარებით, უძილობით და ა.შ.

4. „ცხოვრების წესის“ იძულებით ცვლილებასთან მიმართებით კანონმდებელი დანაშაულის დასრულებას უკავშირებს ორ ალტერნატივას: ა) მნიშვნელოვანი შეცვლა, ე.ი. პირის ცხოვრების წესი უკვე შეცვლილია; ბ) მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროება, ე.ი. დანაშაულის ქმედებები ობიექტურად შეუძლებელს ხდის, დაზარალებულმა გააგრძელოს ცხოვრება საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და შერჩეული ცხოვრების წესით. მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილება ან ცვლილების საჭიროება ნიშნავს პირის ცხოვრების ჩვეული რიტმის იმგვარ დარღვევას, როდესაც დაზარალებულს სასურველი ქცევის განხორციელებისთვის სჭირდება ზედმეტი დროისა და ენერგიის ხარჯვა, ზედმეტი ეკონომიკური სახსრების გამოყენება ან სხვა ისეთი მოქმედების განხორციელება ან მისგან თავის შეკავება, რაც მომეტებულ დისკომფორტს უქმნის დაზარალებულს. ამასთანავე, ფსიქიკურ და ფიზიკურ ზიანთან ერთად, მსხვერპლმა შეიძლება განიცადოს ეკონომიკური ზარალიც.

5. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება წარმოადგენს ერთიან დანაშაულს ალტერნატიული შედეგებით და ქმედების ამ მუხლით კვალიფიკაციისათვის საჭიროა, სახეზე იყოს ამ მუხლში მითითებული რომელიმე შედეგის დადგომა, რაც უნდა დასტურდებოდეს კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული და საკმარისი მტკიცებულებებით, რომელთა ერთობლიობა აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის საჭირო მტკიცებულებით სტანდარტს. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია უტყუარ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა თ. ვ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, კერძოდ:

6. დაზარალებულ ლ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ს-ი და ეწევა საადვოკატო საქმიანობას. თ. ვ. გაიცნო, როგორც მისი დაცვის ქვეშ მყოფი, რომელსაც იურიდიულ დახმარებას უწევდა ადვოკატ გ. ქ-ასთან ერთად. 2018 წლის აპრილში თ. ვ-ის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, რის გამოც ის გამოხატავდა მადლიერებას. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში თ. ვ-ს აღარ იცავდა. სამივე ინსტანციაში საქმის განხილვის დასრულების შემდეგ თ. ვ-მ დაიწყო მისთვის შეურაცხმყოფელი მოკლეტექსტური შეტყობინებების მიწერა. თავიდან ეგონა, რომ ნომერი ეშლებოდა, შემდეგ კი, მიწერილი ესემესების შინაარსიდან გამომდინარე, მიხვდა, რომ მათი ავტორი იყო თ. ვ., რომლის პრეტენზია იყო, რომ, თითქოს, იგი 2

წლის განმავლობაში ატარეს სასამართლოში. შემდეგ დაზარალებულს დაუზიანდა მობილური ტელეფონის აპარატი, რომლის შეკეთება ვეღარ მოხერხდა, ამიტომაც თავდაპირველი შეტყობინებების წარდგენა გამოძიებისათვის ვერ შეძლო. თ. ვ. მოკლექტესტურ შეტყობინებებს სწერდა სამი სხვადასხვა ნომრიდან 2018 წლიდან 2020 წლამდე. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ესემესები მხოლოდ მისთვის იყო ცნობილი, მოერიდა სამართალდამცავი ორგანოების შენუხებას. თვითონ მგრძნობიარე და ემოციური ადამიანია, არ არის მიჩვეული შეურაცხყოფელ დამოკიდებულებას, ამიტომ ეს ყველაფერი მისთვის მძიმე ასატანი იყო. 2020 წლის თებერვალში დაათვალიერა სოციალური ქსელის ფეისბუქგვერდი, სადაც დახვდა უაღრესად შეურაცხყოფელი კომენტარი, ბევრი ადამიანის მიერ ნანახი, რამდენადაც ფეისბუქსივრცე ხელმისაწვდომია საზოგადოების ფართო მასისათვის. კომენტარში შეურაცხყოფელი სიტყვებით მოხსენიებული იყო მისი მამა, რომელიც წლებიც განმავლობაში მუშაობდა სამართალდამცავ ორგანოებში, ასევე – მისი ან გარდაცვლილი დედა; თ. ვ. ასევე წერდა, რომ მისი, დაახლოებით, 10 წლის დისშვილი იყო ნაშვილები. მისი და არის ფსიქოლოგი და პერიოდულად მიწვეული იყო სხვადასხვა სატელევიზიო ეთერში; თ. ვ.-ს მასთან ჰქონდა ურთიერთობა. ის ლანძღავდა მის დას, სიძეს, სანათესაოს, სამეგობროს. 2-3 თვის შემდეგ მან კვლავ გამოაქვეყნა მსგავსი შინაარსის შეურაცხყოფელი ტექსტი ფეისბუქგვერდზე. აქედან გამომდინარე, დაზარალებულმა იგრძნო იმის რეალური საფრთხე, რომ თ. ვ.-ის ქმედებით, შესაძლოა, ზიანი მისდგომოდა სხვა პირებსაც, მაგალითად, მსგავსი შინაარსის ესემესები, შესაძლოა, მიეწერა მისი მცირეწლოვანი დის-შვილისათვის. თ. ვ. სწერდა „თ-ის“ სახელით რეგისტრირებული გვერდიდან, ამასთან, პერიოდულად, გაბმული ზარით სხვადასხვა ნომრიდან ურეკავდა ტელეფონზე დღე-ღამის ნებისმიერ დროს, შესაძლებელია, ყოფილიყო ღამის 12 საათი, 3 საათი და ა.შ.. მიუხედავად იმისა, რომ იგი უთიშავდა ტელეფონს, აღნიშნული არ აღმოჩნდა საკმარისი თ. ვ.-ის შესაჩერებლად. ფეისბუქის საკუთარ გვერდზე შედიოდა შიშით, რადგან არ იცოდა, თუ რა დახვდებოდა იქ. ამ ყველაფერს დენადი ხასიათი ჰქონდა, შეიძლებოდა, ყოფილიყო ყოველდღიურად, ყოველკვირეულად; ერთხელ იყო 2-3-თვიანი შუალედი, როცა თ. ვ.-ს ის არ შეუწუხებია, რის გამოც, მიეცა იმედი, რომ დაავიწყდა, მაგრამ თ. ვ.-მ კვლავ განაახლა არასასურველი კომუნიკაცია; ამასთან, ის ცვლიდა ნომრებს და დაბლოკვის შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო, ჰქონოდა მასთან წვდომა, ანუ გადალახა ეს ბარიერი. ვინაიდან ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ცხოვრების ნორმალური წესით გაგრძელება, დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ შეეცვალა ტელეფონის ნომერი, გაეუქმებინა სოციალური ქსელი ფეისბუქი, ასევე – შეეცვალა სამუშაო ადგილიც. იმის გათვა-

ლისწინებით, რომ ტელეფონის ნომერს, რომელზეც უკავშირდებოდა თ. ვ., ფლობდა წლების განმავლობაში და მისი სანაცნობო წრისათვის სწორედ ეს ნომერი იყო ცნობილი, ასევე, ფეისბუქის მეშვეობითაც უწევდა იურიდიულ კონსულტაციას მოქალაქეებს და მისთვის ეს ქსელი საჭირო იყო, გარდა ამისა, მისი კლიენტურისათვის სწორედ ის სამუშაო ადგილი იყო ცნობილი და ადვილად ხელმისაწვდომი, ამ ყველაფრის შეცვლა გამოიწვევდა მისი ნორმალური ცხოვრების წესის შეცვლას და დიდ დისკომფორტს. ამ ყველაფერს იგი ძალიან მტკივნეულად განიცდიდა. ამასთან დაკავშირებით მას შესაბამისი ექსპერტიზაც ჩაუტარდა. მას თ. ვ-სთან ფიზიკური კომუნიკაცია არ ჰქონდა, მხოლოდ ერთხელ უპასუხა მის სატელეფონო ზარს და დარწმუნდა, რომ მასთან საუბარს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ შეწყვიტა მასთან ყოველგვარი ურთიერთობა, თუმცა პირველსავე შეტყობინებაზე არ დაუბლოკავს, ვინაიდან ეს მისი უფლება იყო, თან აინტერესებდა თ. ვ-ის განაწყენების მიზეზი. გამოძიებას თ. ვ-ის მოკლეტექსტური შეტყობინებების მხოლოდ ნაწილი, დაახლოებით, 40% წარუდგინა, რაც მხოლოდ მას და მის ოჯახს შეეხებოდა.

7. მონმე გ. ქ-ამ თავისი ჩვენებით დაადასტურა, რომ დაზარალებულთან ერთად ეწევა საადვოკატო საქმიანობას ქ. ს-ი, ძ-ში მდებარე ოფისში. 2018 წელს მათ მიმართა თ. ვ-მ მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით; ისინი თ-ს მოემსახურნენ კანონის შესაბამისად; სასამართლოებმა მის მიმართ გამოიტანეს გამამართლებელი განაჩენი, თუმცა თ. ვ-მ გარკვეული პერიოდის შემდეგ ლ. ს-ს დაურეკა მობილურ ტელეფონზე, ასევე, გაუგზავნა მოკლეტექსტური შეტყობინებები, სადაც ლანძღავდა როგორც ლ-ს, ასევე – მის მამას და აწ გარდაცვლილ დედას. აღნიშნულით ლ-ი ძალიან განერვიულებული იყო, რადგან ვერ ხსნიდა, რით დაიმსახურა თ-ისაგან ასეთი დამოკიდებულება. თვითონ შეესწრო, რომ ოფისში ყოფნისას, გაბმული ზარით, დაახლოებით, 20-ჯერ დაურეკა თ. ვ-მ ლ. ს-ს, რომელიც მის ზარებს არ პასუხობდა. გარდა სატელეფონო კომუნიკაციისა, თ. ვ. ფეისბუქის მეშვეობითაც უკავშირდებოდა ლ. ს-ს, სადაც წერდა სალანძღავ სიტყვებს; ასევე კომუნიკაცია ჰქონდა ლ-ის დასთან, ახსენებდა ლ...ის არასრულწლოვან დისშვილს. თვითონ ნახა ლ. ს-ს ტელეფონში თ-ის მიერ მინერილი, შეურაცხმყოფელი შინაარსის მოკლე ტექსტური შეტყობინებები. თ. ვ-ს აგრესია ჰქონდა მის მიმართაც, კერძოდ, წყევლიდა მის ცოლ-შვილს, რის გამოც მან დაბლოკა თ-ის ტელეფონის ნომერი, თუმცა ის ლ-თან მაინც აგრძელებდა კომუნიკაციას. ამ ყველაფერს ლ. ს. ძალიან განიცდიდა და ცდილობდა ცხოვრების წესის შეცვლას: გეგმავდა სიმბარათის შეცვლას, თუმცა თავი შეიკავა, რადგან მისი ტელეფონის ნომერი ცნობილი იყო ლ-ის სანაცნობო წრისათვის, გარდა ამისა, ახალი ნომერიც უნდა გამოეკრა ოფისზე, რომ საზოგადოებისათ-

ვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ასეთ შემთხვევაში კი, თ-ი მაინც ნახავდა ახალ ნომერსაც და, დიდი ალბათობით, ისე გააგრძელებდა ლ-თან კომუნიკაციას; ასევე ფიქრობდა ოფისის შეცვლაზე და უთქვამს კიდევ, რომ, შეიძლებოდა, საცხოვრებელი მისამართიც შეეცვალა. თ. ვ. განაწყენების მიზეზად ასახელებდა იმ ფაქტს, რომ ის დიდხანს ატარეს სასამართლოში, ასევე, თ-ს სურდა ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რაც ვერ შეძლო და ამის გამოც გამოთქვამდა უკმაყოფილებას.

8. სასამართლოში მოწმედ დაკითხული ო. ს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ არის ლ. ს-ს მამა და მასთან ერთად ცხოვრობს ს-ი, რ-ში. ლ-ი ადვოკატია. დაახლოებით, 2 წლის წინ შვილს შეატყო ხასიათის ცვლილება, იგი გახდა ნერვიული, გულჩათხრობილი, გვიან ღამით დგებოდა და ეზოში დადიოდა. ბოლოს ლ-მა უამბო, რომ იცავდა თ. ვ-ის ინტერესებს, რომლის მიმართაც სამივე ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, რის გამოც, კმაყოფილები დარჩნენ თავად თ-იც და მისი მშობელიც. ამის შემდეგ თ-მა დაიწყო უმიზეზოდ სიარული ლ-თან ოფისში. ლ-მა სთხოვა, შეეწყვიტა მასთან სიარული, რადგან მათ შორის ყოველგვარი ურთიერთობა დასრულებული იყო. მისი შეფასებით, თ-ის ქმედებების გაანალიზების შემდეგ დაასკვნა, რომ თ-ს სურდა ლ-თან დაახლოება. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მან დაიწყო ლ-ისთვის ძალიან ამაზრზენი მოკლეტექსტური შეტყობინებების მიწერა, რომლებიც ნებისმიერ ადამიანს გამოიყვანდა ნყობილებიდან. ლ-ს შესთავაზა თ-ის ნომრის დაბლოკვა ტელეფონზე, თუმცა ლ-მა უთხრა, რომ, ასეთ შემთხვევაში, თ-ი შეეცდებოდა მასთან კონტაქტს ფეისბუქის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, თ. ვ-მ მაინც გამოაქვეყნა ლ-ის ფეისბუქგვერდზე შეურაცხყოფელი სიტყვები, სადაც მოხსენიებული იყო არა მარტო ლ-ი, არამედ აგრესია იყო მის მიმართაც, თითქოს, პროკურორის თანამდებობაზე მუშაობისას აწამებდა ხალხს; თ-ი ასევე ახსენებდა მოწმის ქალიშვილსაც, რაც თვითონაც ძალიან განიცადა და მიიღო საკმაოდ დიდი მორალური ტრავმა.

9. ზემოთ მითითებული მოწმეების ჩვენებების სარწმუნოობასა და უტყუარობაზე მეტყველებს ასევე სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ამბულატორიული სასამართლო ფსიქოლოგიური ექსპერტიზის 2020 წლის 16 სექტემბრის №... დასკვნა, რომლის თანახმად, „... კვლევისას მოპოვებული მონაცემები და საქმის მასალებში აღწერილი ფაქტები უნდა შეფასდეს, როგორც სიტყვიერი ან/და ქცევითი ზემოქმედებით – შიშის, დამცირების, პიროვნების პატივისა და ღირსების შელახვის და სხვა საზიანო მდგომარეობის მაპროვოცირებელი ქმედებები, რის გამოც ლ. ს. განიცდის შე-

ურაცხოფას და დამცირებას, რაც ინვეეს მის ტანჯვას“. მოწმედ და-
კითხულმა ექსპერტმა თ. ფ-ამ დაადასტურა აღნიშნული დასკვნის
სისწორე და რომ, ფსიქოემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, ლ.
ს. განიცდიდა ტანჯვას.

10. გარდა ზემოაღნიშნულისა, თ. ვ-ის ბრალეულობა დასტურდება
ლ. ს-ს განცხადებაზე დართული, ამოზეჭდილი მოკლექტექსტური შეტ-
ყობინებებით, ოქმით გასაუბრების შესახებ და საქმეში არსებული სხვა
მასალებით.

11. ამდენად, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუა-
რადაა დადგენილი, რომ თ. ვ-ის ქმედებებით ლ. ს. განიცდიდა შეუ-
რაცხოფასა და დამცირებას, რამაც მისი ტანჯვა გამოიწვია. რაც შე-
ეხება ცხოვრების წესის შეცვლის საჭიროებას, რაზეც დაზარალებული
ფიქრობდა (რასაც ადასტურებენ მოწმეები: ო. ს. და გ. ქ.), მაგრამ თავს
იკავებდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იყო ადვოკატი, წლების განმავ-
ლობაში საქმიანობდა სამუშაო ოფისიდან, მობილური ტელეფონიდან
და სოციალური ქსელიდან, რომლებიც საზოგადოებისათვის კარგად
იყო ცნობილი, ამ ყველაფრის შეცვლით კი ხელი შეეშლებოდა პროფე-
სიული საქმიანობის განხორციელებაში; ამასთან, სამუშაო ადგილისა
და მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაშიც კი მას ახა-
ლი ნომერი უნდა გამოექვეყნებინა როგორც ოფისზე, ისე – სოციალუ-
რი ქსელის ახალ გვერდზე. შესაბამისად, თ. ვ-ს არ გაუჭირდებოდა მისი
მოძებნა და არასასურველი კომუნიკაციის გაგრძელება. აღნიშნული-
დან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულ ლ. ს-ს
ცხოვრების წესი მნიშვნელოვნად არ შეუცვლია, საკასაციო სასამარ-
თლოს მიაჩნია, რომ სახეზეა აშკარად გამოხატული ცხოვრების წესის
მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროების გარემოება, რაც სა-
ქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილის დისპოზიციაში მაკ-
ვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს.

12. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარმო-
დგენილია გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიო-
ბა, რომელიც ადასტურებს თ. ვ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხ-
ლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

13. რაც შეეხება სასჯელს, საქართველოს სისხლის სამართლის საპ-
როცესო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამარ-
თლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება
მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის
სიმძიმეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის
პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან
სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით
დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულება-

თა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცქევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

14. საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ვადით ანდა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

15. საკასაციო სასამართლო მხედველობაში იღებს თ. ვ-ის პიროვნების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, განსახილველი საქმის გარემოებებს და მიაჩნია, რომ თ. ვ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 1500 ლარი – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. პროკურორ ლეილა კვერნაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 13 ნოემბრის განაჩენი;

3. თ. ვ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 151¹-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 1500 (ათას ხუთასი) ლარი – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

4. თ. ვ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო – გაუქმდეს;

5. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ეკონომიკური დანაშაული

ქმედების გადაკვალიფიცირება ყაჩაღობიდან კარცვაზე

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№ 1299აპ-23

30 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),

შ. თაღუმაძე,

მ. გაბინაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ბ. ლ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 28 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. ლ-ს ბრალად ედება თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-ის) 179-ე მუხლის პირველი ნაწილით.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ბ. ლ-ს მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

2022 წლის 8 ივლისს, დაახლოებით 23:40 საათზე, თ-ს რაიონის სოფელ ნ-ში, ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარედ, ყოფილი ს..... შენობის ახლოს, ბ. ლ-მ სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, კერძოდ დანიშნული საგნის დემონსტრირებით, ფიზიკური ძალის გამოყენებით (ც. ბ-ს წაართვა მისი კუთვნილი მოთეთრო ფერის ხელჩანთა, რომელშიც ამ უკანასკნელს პირად ნივთებთან ერთად მოთავსებული ჰქონდა თანხა 1500 ლარის ოდენობით. დაეუფლა რა ც. ბ-ს კუთვნილ ხელჩანთას, ბ. ლ-მ სირბილით დატოვა შემთხვევის ადგილი, რის შემდგომ ხელჩანთიდან ამოიღო და მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა თანხას 1500 ლარის ოდენობით, ხოლო ხელჩანთა, მასში მოთავსებულ ნივთებთან ერთად დააგდო თ-ს რაიონის სოფელ ნ-ში, სასმელი წყლის ჭის უკან მდებარე ი. ც-ის საკარმიდამო ნაკვეთში.

3. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით:

3.1. ბ. ლ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

3.2. ბ. ლ-ს სასჯელის მოხდის ვადა აეთვალა ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 9 ივლისიდან.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. ლ-მ, რომელმაც მიუთითა, რომ არ ეთანხმებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს, რომლითაც სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4.1. მსჯავრდებულმა ბ. ლ-მ და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა შ. ს-მ დააზუსტეს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვეს ბ. ლ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირება, ხოლო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში, სასჯელის შემსუბუქება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 28 ივნისის განაჩენით დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი.

6. აღნიშნული განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ბ. ლ-მ, რომელიც ითხოვს მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაკვალიფიცირებას და მინიმალური სასჯელის შეფარდებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ბ. ლ-ს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. საკასაციო საჩივრით მსჯავრდებული ბ. ლ-ს ითხოვს მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილზე გადაკვალიფიცირებას და მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ყაჩაღობა საქართველოს სსკ-

ის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავშია მოქცეული, იგი ორობიექტიანი დანაშაულია და ერთდროულად ხელყოფს როგორც ადამიანის საკუთრების უფლებას, ასევე საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას და მისი საშიშროება ხელყოფის ხასიათშიც ვლინდება. ყაჩაღობის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. ყაჩაღობის დროს პირის მიზანს წარმოადგენს დაზარალებულის მოძრავი ნივთის დაუფლება მისაკუთრების მიზნით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პირი იყენებს თავდასხმას (რომელიც ხორციელდება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან ასეთივე ძალადობის გამოყენების მუქარით). შესაბამისად, აღნიშნული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. შესაბამისად, ქმედების საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დასტურდებოდეს არამხოლოდ ამავე მუხლით გათვალისწინებული თავდასხმის ფაქტი, არამედ, პირველ რიგში მიზნის – სხვისი მოძრავი ნივთის მისაკუთრება – არსებობა (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 12 მარტის №945აპ-23 განაჩენი) და აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ინტენსივობის ძალადობის/ძალადობის მუქარის გამოყენება.

4. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეეცადოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43).

5. სასამართლო ითვალისწინებს დაზარალებულ ც. ბ-ს ჩვენებას. დაზარალებულის განმარტებით, 2022 წლის 8 ივლისს იმყოფებოდა ახლობელთან სტუმრად, სოფელ ნ-ში. დაახლოებით 23:40 საათზე წავიდა მარკეტში ლუდის საყიდლად. როდესაც მარკეტიდან უკან ბრუნდებოდა, გზაში შენიშნა ახალგაზრდა მამაკაცი, თუმცა ყურადღება არ მიუქცევია. როდესაც მიდიოდა ე.წ. „ს-ს“ ტერიტორიაზე, შენიშნა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი მას აედევნა, მიუახლოვდა და სთხოვა ბუნებაში გასეირნება, რაზეც უარით უპასუხა. ახალგაზრდა მამაკაცი მას არ შეემ-

ვა და სთხოვდა ბუნებაში გასეირნებას. ამ დროს შენიშნა, რომ მარჯვენა გვერდითა ჯიბიდან ამოიღო დანა, იქ განათება არ იყო, მაგრამ შუქის ანარეკლზე დაინახა. გაშალა, მისთვის არც მოუქნევია და არც მიუდია დანა, თუმცა ის მიხვდა უკვე მის თავს რაც ხდებოდა, ისევ გზისკენ აიღო გეზი, რა დროსაც დაემუქრა, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და წაართვა ჩანთა, ხელი ჰკრა გულმკერდის არეში, წააქცია და გაიქცა. გაეკიდა, მაგრამ მიხვდა რომ ვერ დაენეოდა და დაიწყო ყვირილი, რაც გაიგო მისმა ახლობელმა ლ. ხ-ემ და დარეკა პოლიციაში. დაზარალებულის განმარტებით, მას ხელჩანთაში მოთავსებული ჰქონდა სხვადასხვა ნივთები და თანხა, 1510 ლარის ოდენობით, ასლარიანი, ოცლარიანი და ათლარიანი კუპიურებით. თანხა მოთავსებული ჰქონდა საფულეში, რომელიც ჩანთაში ედო. დაინახა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც მას ხელი ჰკრა, წააქცია, ჩანთა გასტაცა და გაიქცა, სირბილის დროს წაიქცა. მეორე დღეს, როდესაც ჩატარდა დათვალიერება, სწორედ იმ ადგილზე სადაც ის მამაკაცი წაიქცა, იპოვეს საფულე მასში მოთავსებული პირადობის მოწმობით. როდესაც პირადობას დახვდა, იქვე იცნო თავდამსხმელი პირი – ბ. ლ-ს. მისივე განმარტებით, მან კარგად დაინახა თუ როგორ ამოიღო მარჯვენა ჯიბიდან ბ. ლ-მ ვერცხლისფერი დანა, დაემუქრა და მოსთხოვა ფული. დაზარალებულის განმარტებით ის ბ. ლ-სთან ერთად არანაირ დანგრეულ შენობაში არ შესულა და ბ. ლ-ს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება არ უთხოვია, ის მას სთხოვდა ბუნებაში გასეირნებას და თუ რატომ, მისთვის უცნობია. ბ. ლ-ს ახლობლების მხრიდან მიყენებული ზიანი აუნაზღაურდა, გადაუხადეს 2500 ლარი და ხელის მოწერიტაც დაადასტურა ზიანის ანაზღაურების ფაქტი. დაზარალებულის განმარტებით, ბ. ლ-ს მიმართ პრეტენზია არ გააჩნია და თანახმაა მის მიმართ გავრცელდეს შეღავათები.

6. ბ. ს-მ (თ-ს რაიონული სამმართველოს ნ-ის პოლიციის განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი) პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ 2022 წლის 8 ივლისიდან 2022 წლის 9 ივლისამდე იმყოფებოდა სამსახურში, ოპერატიულ მორიგედ. როდესაც მოძრაობდა სოფლის ტერიტორიაზე, მას დაუკავშირდა ტელეფონზე ლ. ხ-ე და აცნობა, რომ მის ნაცნობ ც. ბ-ს ყაჩაღურად გასტაცეს ხელჩანთა, რაშიც ედო თანხა. თავის მხრივ, აღნიშნულის შესახებ დარეკა სამმართველოს სამორიგეო ნაწილში და ხელმძღვანელობას აცნობა მომხდარის თაობაზე. მოწმის განმარტებით, როდესაც გამოცხადდა სოფელ ნ-ში, იქ ადგილზე დახვდა ლ. ხ-ე და ც. ბ-ე.

7. 2022 წლის 9 ივლისის №... შეტყობინების რეგისტრაციის ბართით დასტურდება, რომ 2022 წლის 9 ივლისს, თ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ გ. კ-ს დაუკავშირდა თ-ს რა-

იონული სამმართველოს ნ-ს პოლიციის განყოფილების დეტექტივის თა-
ნაშემნე-გამომძიებელი – ბ. ს-ე და შეატყობინა, რომ მას დაუკავშირდა
ც. ბ-ე, რომელმაც შეატყობინა, რომ თ-ს რაიონის სოფელ ნ-ში ფეხით
მოძრაობის დროს უცნობმა პირმა დანის მუქარით გასტაცა ხელჩანთა
ფულით და ითხოვა დახმარება.

8. სასამართლო ითვალისწინებს 2022 წლის 9 ივლისის საგამომძიებო
ექსპერიმენტის ოქმს, რომლითაც დასტურდება, რომ საგამომძიებო ექ-
სპერიმენტის ფარგლებში ც. ბ-მ გამომძიებელს სოფელ ნ-ში მიუთითა
ადგილზე, სადაც 2022 წლის 9 ივლისს, დაახლოებით 23:40 საათზე შეხ-
ვდა ახალგაზრდა, მისთვის უცნობი ბიჭი, რომელმაც სთხოვა ბუნებაში
გასეირნება. ც. ბ-მ მიუთითა ადგილზე, სადაც მას დანით დამუქრა მის-
თვის უცნობი ახალგაზრდა ბიჭი და გასტაცა კუთვნილი ხელჩანთა, რო-
მელშიც მოთავსებული ჰქონდა საფულე, 1500 ლარით. აღნიშნულ ად-
გილზე აღმოაჩინეს ყავისფერი, ოთხკუთხა ფორმის, დასაკეცი საფუ-
ლე. საფულეში მოთავსებული იყო ბ. ლ-ს პირადობის მოწმობა. აღნიშ-
ნული პირადობის მოწმობის დანახვისას, მოწმე ც. ბ-მ განაცხადა, რომ
პირადობის მოწმობის ფოტოსურათზე ამოიცნო ის პირი, ვინც მას 8 ივ-
ლისს დანის გამოყენებით გასტაცა ხელჩანთა ფულითა და ნივთებით.

9. 2022 წლის 9 ივლისის ადგილმდებარეობის დათვალიერების ოქ-
მით დგინდება, რომ ბ. ლ-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძ-
ველზე, ი. ც-ის საკარმიდამო ნაკვეთში იპოვეს თეთრი ფერის ხელჩან-
თა, მასში არსებული საფულითა და სხვადასხვა ნივთებით, მათ შორის
თანხით – 40 ლარის ოდენობით და ც. ბ-ს სახელზე გაცემული პირადო-
ბის მოწმობით.

10. 2022 წლის 10 ივლისის ამოცნობის ოქმით დასტურდება, რომ წარ-
დგენილი სამი პირიდან, ც. ბ-მ ამოიცნო მარჯვნიდან პირველ ადგილზე
მდგარი პირი – ბ. ლ-ს.

11. ბ. ლ-მ მოწმის სახით ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ 2022
წლის 8 ივლისს, როდესაც სახლში ბრუნდებოდა, დაინახა ქალბატონი,
რომელიც გზაზე იდგა. მივიდა მასთან და გაიცნო. შესთავაზა ინტიმუ-
რი კავშირის დამყარება, რაზეც ქალბატონი დასთანხმდა და თანხაზეც
შეთანხმდნენ. წავიდნენ ე.წ. „ს-ს“ დანგრეული შენობებისკენ. შევიდ-
ნენ დანგრეულ შენობაში. როდესაც მიმოიხედა, ადგილი არ მოეწონა
და გადაიფიქრა ც. ბ-სთან სქესობრივი კავშირის დამყარება. დანგრე-
ულ შენობაში ყოფნის დროს, ც. ბ-მ ჩაინია შარვალი, გადაიხარა და უთ-
ხრა „თუ რამე გინდა ჰა ქენიო“. ამ დროს, მან გაიტაცა ც. ბ-ს ჩანთა და
გაიქცა. გაქცევის დროს წაიქცა და იტკინა ფეხი. ასევე, გზაში, როდე-
საც გარბოდა, მეორედაც წაიქცა და დაეხვნა ნივთები. რაც შეძლო აკრი-
ფა ნივთები და გაიქცა. ბ. ლ-ს განმარტებით, მას ყაჩაღობის მიზანი არ
ჰქონია და არც დანა ჰქონია. უბრალოდ მას შემდეგ რაც აღარ მოუწდა

სქესობრივი კავშირის დამყარება, თანხა უკან მოსთხოვა ც. ბ-ს, რაც არ მისცა. აღნიშნულზე გაბრაზებულმა კი გასტაცა თანხა და გაიქცა.

12. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეთა შორის სადავო არ არის ბ. ლ-ს მიერ ც. ბ-სათვის ხელჩანთის (რომელშიც იყო თანხა 1500 ლარი და პირადი ნივთები) წართმევის ფაქტი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს შეფასების საგანია, ბ. ლ-ს თავს დაესხა თუ არა ც. ბ-ს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ძალადობის გამოყენების მუქარით დანისმაგვარი საგნის გამოყენებით და ეს ქმედება ემსახურებოდა თუ არა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს.

13. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებული ერთგვაროვნად და თანმიმდევრულად აღწერს მის მიმართ ბ. ლ-ს მიერ ჩადენილ ქმედებებს მოწმის სახით დაკითხვისას, საგამოძიებო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას და ამოცნობისას.

13.1. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ 2022 წლის 9 ივლისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსი სრულად ეფუძნება დაზარალებულ ც. ბ-ს მიერ გამოძიების ეტაპზე გამოკითხვის დროს მიწოდებულ ინფორმაციას. შესაბამისად, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი და, მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებულის ჩვენება ერთი წყაროდან მოპოვებული მტკიცებულებაა, რის გამოც, მსჯავრდების მიზნებისთვის, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი არ უნდა იქნეს განხილული დამოუკიდებელ მტკიცებულებად (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 30 მაისის №158აპ-23 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 2 ოქტომბრის №496აპ-23 განჩინება).

14. №..... შეტყობინებასთან (რომლის თანახმადაც ინსპექტორ-გამომძიებელ გ. კ-ს დაუკავშირდა ბ. ს-მ და შეატყობინა, რომ მას დაუკავშირდა ც. ბ., რომელმაც უთხრა, რომ თ-ს რაიონის სოფელ ნ-ში, ფეხით მოძრაობის დროს უცნობმა პირმა დანის მუქარით გასტაცა ხელჩანთა ფულით და ითხოვა დახმარება) მიმართებით სასამართლო ითვალისწინებს, რომ, შეტყობინების ავტორი არ არის თავად დაზარალებული. შეტყობინებაში მითითებული ინფორმაცია მისთვის ცნობილი გახდა სხვა პირისგან, ამასთან ინფორმაციის წყაროს ნაწილში შეტყობინებაში მითითებული გარემოებები ეწინააღმდეგება მოწმე ბ. ს-ს ჩვენებას. კერძოდ, მოწმის სახით დაკითხვისას ბ. ს-მ მიუთითა, რომ მომხდარი ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიიღო ლ. ხ-საგან, ხოლო შეტყობინებაში მითითებულია, რომ მას დაუკავშირდა დაზარალებული ც. ბ-ე.

15. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოწმე ბ. ს-ც ყაჩაღობის ფაქტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, უშუალოდ არ შესწრება და მომხდარის შესახებ გადმოცემით იცის დაზარალებული ნაცნობისაგან

– ლ. ხ-საგან. შესაბამისად, ბ. ს-ის ჩვენება ირიბი ჩვენებაა, რომლის გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში და არა მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ზოგადი წესით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-37, II-52). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ირიბი ჩვენებების გამოყენება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის დაუშვებელია.

16. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით საქართველოს სსსკ-ით დადგენილი მტკიცებითი სტანდარტით ვერ დასტურდება, ბ. ლ-ს მიერ დანის/დანისებრი საგნის გამოყენებით ყაჩაღობის ჩადენის ფაქტი. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის 2022 წლის 9 ივლისის ოქმის თანახმად, ბ. ლ-ს დაკავება მოხდა თ-ს რაიონ სოფელ ნ-ს საავტომობილო გზაზე და ბ. ლ-ს პირადი ჩხრეკისას ამოიღეს მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული თანხის ნაწილი – 965 ლარი, სხვა რაიმე ნივთის ამოღება პირადი ჩხრეკის დროს არ მომხდარა; დაზარალებულ ც. ბ-ს ჩვენებით დგინდება, რომ მას შემდეგ რაც ბ. ლ-მ გასტაცა ჩანთა და გაიქცა, გაქცევისას კი – ნაიქცა; ნაქცევის ფაქტს ადასტურებს მსჯავრდებულიც და განმარტავს, რომ ნაქცევისას დაეხმარა სხვადასხვა ნივთები; იმავდროულად, 2022 წლის 9 ივლისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის თანახმად, შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი იქნა მხოლოდ ოთხკუთხედი ფორმის დასაკეცი საფულე; დანა/დანისმაგვარი საგანი არ ამოუღიათ ასევე არც 2022 წლის 9 ივლისის ადგილმდებარეობის დათვალიერებისას, როდესაც ბ. ლ-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა ი. ც-ის საკარმიდამო ნაკვეთის დათვალიერება, საიდანაც ამოიღეს ბ. ლ-სს მიერ დამალული ც. ბ-სის ჩანთა.

17. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ ბ. ლ-ს არ უარყოფს ც. ბ-ს კუთვნილი ჩანთის დაუფლებას, მაგრამ მსჯავრდებული და დაზარალებული განსხვავებულად აღწერენ ჩანთის დაუფლების ხერხს და მოტივს.

18. ამდენად, ბ. ლ-ს მიერ სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, კერძოდ დანისებური საგნის დემონსტრირებით, ფიზიკური ძალის გამოყენებით ც. ბ-სათვის მისი კუთვნილი მოთეთრო ფერის ხელჩანთის წართმევის ფაქტი დას-

ტურდება მხოლოდ დაზარალებულის პირდაპირი მამხილებელი ჩვენებით. სხვა პირდაპირი ან/და გარემოებითი მტკიცებულება ბ. ლ-ს მიერ დანისმაგვარი საგნის გამოყენებით თავდასხმის ჩადენის მტკიცებისთვის, ბრალდების მხარეს არ წამოუდგენია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ბ. ლ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ერთადერთი და ძირითადი მტკიცებულებაა დაზარალებულ ც. ბ-ს ჩვენება, რაც არ არის საკმარისი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ბ. ლ-ს მიერ ყაჩაღობის ჩადენის ფაქტის მტკიცების და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისათვის.

19. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლი დასჯადად აცხადებს ძარცვას, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებას მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, რაც გულისხმობს სხვისი ქონების ანგარებით დაუფლებას თვალნათლივ იმ პირისათვის, ვის საკუთრებაში, მფლობელობასა ან სარგებლობაში იმყოფება ნივთი, ან სხვა ადამიანისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ნივთის აშკარა დაუფლება ხდება მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირთა თანდასწრებით და აუცილებელია მძარცველს შეგნებული ჰქონდეს მისი ქმედების აშკარა ხასიათი (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი საქმეზე №566აპ-18).

20. სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაზარალებულის ჩვენების თანახმად ბ. ლ-მ წაართვა ჩანთა, რომელშიც ჰქონდა თანხა 1500 ლარი და პირადი ნივთები. ჩანთის წართმევის ფაქტსა და მასში არსებული თანხის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებას ადასტურებს თავად მსჯავრდებული ბ. ლ-ც. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით (მათ შორის დაზარალებულის და მსჯავრდებულის ჩვენებებით, ადგილმდებარეობის დათვალიერების 2022 წლის 9 ივლისის ოქმით, 2022 წლის 9 ივლისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით და სხვა მტკიცებულებებით), გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია, რომ ბ. ლ-ს მიერ დაზარალებულის კუთვნილი ხელჩანთის, მასში არსებული 1500 ლარით, დაუფლება განხორციელდა აშკარად, დაზარალებულის მკაფიოდ გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ბ. ლ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ძარცვა – ჩადენა.

21. იმავდროულად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეების მიერ სადავო არ არის ბ. ლ-ს ქმედებით დაზარალებულისთვის 1500 ლარის ოდენობის ზიანის მიყენება.

22. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, სა-

ქართველოს სსკ-ის XXV თავში (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ) მნიშვნელოვან ზიანად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 150 ლარის ზევით. ხოლო საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებისთვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

23. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება ბ. ლ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

24. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ბრალდების გადაკვალიფიცირება ბრალდებულისთვის საკმარისად განჭვრეტადად არის მიჩნეული, თუ იგი ბრალდების თანდაყოლილ ელემენტს წარმოადგენს (*De Salvador Torres v. Spain*, no. 21525/93 § 33, ECtHR, 24/10/1996; *Sadak and Others v. Turkey*, 29900/96, 29901/96, 29902/96 and 29903/96, § 52 and § 56, ECtHR, 17/07/2021; *Juha Nuutinen v. Finland*, no 45830/99, § 32, ECtHR, 24/07/2007).

25. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ ქმედების კვალიფიკაციის შეცვლით არ იცვლება დანაშაულის კატეგორია. კერძოდ, მსჯავრდებულ ბ. ლ-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც საქართველოს სსკ-ის მე-12 მუხლის თანახმად, წარმოადგენს მძიმე დანაშაულს. საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულიც მძიმე კატეგორიის დანაშაულია.

26. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს – თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან ექვს წლამდე.

27. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

28. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის საფუძველზე პირს უნდა დაეკისროს „სასჯელის სწორედ ის სახე და სწორედ იმ ვადით, რაც.. საქმის გარემოებებიდან და წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას დანაშაულის ბუნების, მისი ჩადენის გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 11 ივლისის №1/7/851 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე იმედა ხახუტაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6)

29. სასამართლო, საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ სასჯელის მიზნებთან და საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, ასევე ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის ხერხს, ვითარებას, მოტივს, მიყენებული ზიანის ხასიათს, მსჯავრდებულის პიროვნებას, სამართალწარმოების მიმდინარეობისას მის ქცევას, მსჯავრდებულის პოზიციას მისთვის შერაცხულ დანაშაულთან მიმართებით (აღიარებდა ძარცვის ფაქტს), დაზარალებულის პოზიციას (დაზარალებულისათვის ზიანი ანაზღაურებულია და ბ. ლ-ს მიმართ პრეტენზია არ გააჩნია). ასევე, იმ გარემოებას, რომ ბ. ლ-ს ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 16 მარტის განაჩენით ნასამართლევია განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის.

30. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრად შერაცხული დანაშაულის ჩადენის დროს – 2022 წლის 8 ივლისს – ბ. ლ-ს იყო განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონდა), რაც, საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, წარმოადგენს დანაშაულის რეციდივს და განაპირობებს სასჯელის დანიშვნას რეციდივის წესით.

30.1. საქართველოს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული დანაწესის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სსკ-ის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

31. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სასჯელის მხოლოდ ერთ სახეს – თავისუფლების აღკვეთას. იმავდროულად, სს საქმეზე არ არის წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმება და არ არსებობს არც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების საფუძველი.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე და 58-ე მუხლების მოთხოვნების გათვალისწინ

ნებით, სასჯელის სახედ და ზომად საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის უნდა განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. ლ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 28 ივნისის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
3. ბ. ლ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე;
4. ბ. ლ-ს ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;
5. ბ. ლ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავებიდან – 2022 წლის 9 ივლისიდან.
6. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;
7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ნარკოტიკული დანაშაული

ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარება

განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო

№935აპ-23

26 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),
შ. თადემაძე,
ლ. თევზაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივლისის განაჩენზე მსჯავრდებულ ო. ც-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატი ზ. დ-სა და მ-ს რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი მექვაბიძის საკასაციო საჩივრები.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივლისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ ო. ც-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. დ-მ და მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი მექვაბიძემ.

მსჯავრდებულ ო. ც-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. დ. საკასაციო საჩივრით მოითხოვს ო. ც-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას ან განაჩენში ცვლილების შეტანას და მსჯავრდებულის გამართლებას ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის ნაწილში, შემდეგ ძირითად არგუმენტებზე მითითებით: კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ დაარღვია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი, ვინაიდან უკანონოდ განაცხადა უარი დაცვის მხარის მოწმეების – მ. ს-სა და ნ. ჯ-ს – დაკითხვაზე იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ უდავოდ გახადა ამ მოწმეთა გამოკითხვის ოქმები; ამასთან, ო. ც-ს წაერთვა სასამართლოსთვის ჩვენების მიცემისა და საბოლოო სიტყვით სარგებლობის უფლებები, ხოლო დაცვის მხარეს არ მიეცა გონივრული ვადა საქმის მასალების გასაცნობად, მტკიცებულებების გამოსაკვლევადა, დასკვნითი სიტყვების მოსამზადებლად და პოზიციე-

ბის შესათანხმებლად; ადვოკატს მიაჩნია, რომ ე.წ. „ოქროს მოწმე“ – დ. ბ. ცრუობს და დანაშაულის ჩადენას აბრალებს მსჯავრდებულს, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ იგი წარსულში ნასამართლევია თაღლითობისათვის, გამოძიებამ კი მისი ნასამართლობა დამალა; სინამდვილეში, აშკარაა, რომ ო. ც. არის დანაშაულის პროვოკაციის მსხვერპლი, მას ნარკოტიკის სთავაზობდა თვითონ დ. ბ., რომელიც თაღლითობაში დახელოვნების გარდა, ასევე ნარკოტიკული საშუალებების აქტიური მომხმარებელია; საქმეზე წამოწყებული გენეტიკური ექსპერტიზა გამოძიებამ აღარ დაასრულა, ვინაიდან არ აწყობდათ იმის გამოაშკარავება, რომ ო. ც-ს გენეტიკური კვალი საკვლევ ობიექტზე არ აღმოჩნდებოდა, რადგან მას არანაირი ნარკოტიკული საშუალება დ. ბ-სათვის არ გადაუცია; გარდა ამისა, საჩივარში დაცვის მხარის მითითებით, თუკი საკასაციო სასამართლო მაინც დამნაშავედ მიიჩნევს ო. ც-ს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ ფაქტზე, რომ მის ქმედებაში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტი ცალსახად არ იკვეთება.

მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორი გიორგი მექვაბიძე საკასაციო საჩივრით მოითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ო. ც-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) და 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისთვის და მკაცრი, სამართლიანი, კანონიერი სასჯელის განსაზღვრას, შემდეგი ძირითადი საფუძვლებით: კასატორს გასაჩივრებული განაჩენი მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ნარკოტიკული საშუალების გასაღება, ჩადენილი არაერთგზის) წარდგენილ ბრალდებაში გამართლების ნაწილში მიაჩნია უკანონოდ და დაუსაბუთებლად; საქმეში წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენი, რომლის მიხედვით, ო. ც. გასამართლებულია საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის; შესაბამისად, ახალი დანაშაულების ჩადენის დროს (2020 წლის 16 იანვარსა და 23 იანვარს), ასევე 2020 წლის 29 ოქტომბერს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის დროს, იგი იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ; დადგენილია, ისიც, რომ კანონით განსაზღვრული წესით ო. ც. წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული არ იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობაც მოხსნილი ან გაქარწყლებული არ ჰქონია; აღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ სა-

სამართლო განხილვის დროს ცალსახად დადასტურდა, რომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ნასამართლევა ო. ც-მ კვლავ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები, რაც ადასტურებს, რომ მან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა არაერთგზის.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ო. ც-მ ჩაიდინა: ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, ჩადენილი არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრისა და იმავე წლის 23 იანვრის ეპიზოდები); ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება, ჩადენილი არაერთგზის და იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ და „დ“ ქვეპუნქტებით (2020 წლის 16 იანვრისა და იმავე წლის 23 იანვრის ეპიზოდები).

ო. ც-ს მიმართ ბრალად წარდგენილი დანაშაულები გამოიხატა შემდეგით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით ო. ც-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ნასამართლობის გაქარწყლებამდე ო. ც-მ არაერთგზის უკანონოდ შეიძინა და ინახავდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, საერთო წონით – 0,2793 გრამი, რაც 2020 წლის 16 იანვარს, დაახლოებით 15:20 საათზე, ... მიმდებარე ტერიტორიაზე 150 ლარად უკანონოდ გაასაღა დ. ბ-ზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით ო. ც-ს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. ნასამართლობის გაქარწყლებამდე ო. ც-მ არაერთგზის უკანონოდ შეიძინა და ინახავდა ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, საერთო წონით 0.098 გრამი, რაც 2020 წლის 23 იანვარს, დაახლოებით 17:55 საათზე, ... მიმდებარე ტერიტორიაზე, 200 ლარად, სანაცვლოდ, უკანონოდ გაასაღა დ. ბ-ზე.

3. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით ო. ც. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში.

ო. ც. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით;

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით – თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა თავისუფლების აღკვეთამ 7 (შვიდი) წლით, შთანთქა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი), საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი) შეფარდებული სასჯელები და ო. ც-ს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი – თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქა წინა განაჩენით შეფარდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ო. ც-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით.

ო. ც-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2020 წლის 30 იანვრიდან.

გაუქმდა ო. ც-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა.

საქართველოს სსკ-ის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის და საქართველოს სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ო. ც-მ დანიშნული სასჯელი უნდა მოიხადოს შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში – შპს „აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხონი, ქუთირი) გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც, მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდა უნდა გააგრძელოს საერთო წესით.

ო. ც-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, 10 წლით: საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვის და ტარების უფლებები, ხოლო 15 წლით ჩამოერთვა: საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

ნივთმტკიცებები: 2020 წლის 16 იანვარსა და 2020 წლის 23 იანვარს ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები, ნარკოტიკის შეფუთვიდან აღებული ანაწმენდები – უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით; 2020 წლის 16 იანვრის შეხვედრის ამსახველი ერთი ცალი დისკი, უნდა დაერთოს საქმეს და შენახულ იქნეს მისი შენახვის ვადით; 2020 წლის 23 იანვრის შეხვედრის ამსახველი ერთი ცალი დისკი, უნდა დაერთოს საქმეს და შენახულ იქნეს მისი შენახვის ვადით; ბოლნისის რაიონული სასამართლოდან გადაგზავნილი სხდომის ოქმის დისკი უნდა დაერთოს საქმეს და შენახულ იქნეს მისი შენახვის ვადით; ო. ც-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული მობილური ტელეფონი, უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა.

მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გიორგი მექვაბიძემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ო. ც-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი) და 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (2 ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და შესაბამისი მკაცრი, სამართლიანი და კანონიერი სასჯელის განსაზღვრა.

დაცვის მხარემ სააპელაციო საჩივრებით მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ო. ც-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა,

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივლისის განაჩენით მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი მექვაბიძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მსჯავრდებულ ო. ც-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების: ზ. დ-სა და ვ. მ-ს სააპელაციო საჩივრები არ დაკმა-

ყოფილდა, ხოლო ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 ოქტომბრის განაჩენში შევიდა ცვლილება:

ო. ც. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში.

ო. ც. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი – 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი – 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) – თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი) დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმა მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ო. ც-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომის და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით (საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – დანაშაულთა ერთობლიობით) განსაზღვრული პირობითი მსჯავრი.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ო. ც. გათავისუფლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, ხოლო ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მასვე აღუდგა ამ განაჩენით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები (გარდა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებისა).

ამასთან, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბა-

მისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქმა ნინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378²-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი – 1 (ერთი) წლით, 11 (თერთმეტი) თვითა და 19 (ცხრამეტი) დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ო. ც-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 (შვიდი) წლით.

ო. ც-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2020 წლის 30 იანვრიდან.

ო. ც-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია.

6. აღნიშნული განაჩენით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ო. ც-მ ზემოთ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები (2020 წლის 16 იანვრისა და 23 იანვრის ეპიზოდები) ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩაიდინა (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, ჩადენილი არაერთგზის და ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღება, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, ორი ეპიზოდი), რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ და მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით და, შესაბამისად, თითოეულ ეპიზოდში, მას სასჯელი შეეფარდა არა ცალ-ცალკე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს ჰქონდა განსაზღვრული, არამედ, მხოლოდ – უფრო მძიმე მუხლით – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი).

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორების საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად ედება გამამტყუნებელ განაჩენს, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული დანაწესის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი

უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონის შესაბამისად ვერ დადასტურდება, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

3. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება (როგორც მხარეების მიერ უშუალოდ გამოკვლეული, ასევე – გამოკვლევის გარეშე მიღებული) უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. მტკიცებულებითი სტანდარტი – „გონივრულ ეჭვს მიღმა“, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.

4. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბრალდების მხარე ო. ც-ს ედავება, რომ 2020 წლის 16 იანვარსა და 2020 წლის 23 იანვარს მან არაერთგზის ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა და უკანონო გასაღება, იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული (ორი ეპიზოდი). ამდენად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ბრალდების მხარის სამხილები და ბრალად შერაცხილ თითოეულ დანაშაულებრივ ეპიზოდთან მიმართებით გადაწყვიტოს, რამდენად ქმნის წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა ო. ც-ს მიმართ წარდგენილი კვალიფიკაციებით მსჯავრდების გონივრულ ეჭვს მიღმა საფუძველს. ბრალდების მხარეს წარმოდგენილი აქვს შემდეგი მტკიცებულებები:

5. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე ე. ბ-ს ჩვენების თანახმად, მუშაობს შსს მ-ს რაიონულ სამმართველოში უზნის ინსპექტორ გამომძიებლის თანამდებობაზე. ამავე სამმართველოს გამომძიებელ დ. ბ-ს წარმოებაში ჰქონდა სს საქმე ო. ც-ს მიმართ; მოცემულ საქმეზე მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გამომძიებელ ლ. დ-სთან ერთად, ... კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატარა ო. ც-ს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს შავი ფერის „ჰუავეის“ ფირმის მობილური ტელეფონი. მის მიერვე მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებული იქნა ო. ც. მისი განმარტებით, ო. ც., როგორც პირადი ჩხრეკისას, ასევე ბრალდებულის სახით დაკავებისას უწევდა წინააღმდეგობას, იყო აგრესიული და ცდილობდა თვითდაზიანებების მიყენებას. მათ ო. ც-ს მიმართ გამოიყენეს პროპორციული ძალა მის შესაკავებლად და

არ მისცეს საშუალება თავი დაეზიანებინა. ო. ც-ს პირადი ჩხრეკა და დაკავება მიმდინარეობდა შვიდის ნახევრიდან შვიდ საათამდე პერიოდში. ბრალდებულმა ჩხრეკისა და დაკავების ოქმზე ხელი არ მოაწერა, რის თაობაზეც მითითებულია ოქმებში. დაკავების შემდეგ ო. ც. გადაყვანილ იქნა ჯერ ფ-ს პოლიციის განყოფილებაში, შემდეგ შესაბამის დაწესებულებაში ნარკოლოგიურ შემონმებაზე. ო. ც. ნარკოლოგიურში გადაყვანის შემდეგ, ბიოლოგიური მასალის ჩაბარების დროს გახდა შეუძლოდ. ო. ც. მისივე თანხმობით, სამედიცინო დახმარების მიზნით მათივე ა/მანქანით გადაიყვანეს საავადმყოფოში, რა დროსაც მას დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა.

6. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე ლ. დ-ს ჩვენების თანახმად, მუშაობს შსს მ-ს რაიონულ სამმართველოში გამომძიებლის თანამდებობაზე. 2020 წლის იანვარში, ... დასახლებაში, ... მიმდებარედ კორპუსებთან მონაწილეობა მიიღო ო. ც-ს პირად ჩხრეკაში, მასთან ერთად იყვნენ მ-ს რაიონული სამმართველოს გამომძიებლები: ვ. ქ. და ე. ბ. ო. ც-ს პირადი ჩხრეკისას რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან ნივთიერება ამოღებული არ ყოფილა. ადგილზე შედგა ჩხრეკის ოქმი, რომელზე ხელის მოწერაზეც ო. ც-მ უარი განაცხადა. პირადი ჩხრეკისას ო. ც. პოლიციის თანამშრომლებს უწევდა წინააღმდეგობას, იყო არაადეკვატური, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მათ. ო. ც. დაკავების შემდეგ გადაიყვანეს ფ-ს №-... განყოფილებაში. ო. ც-ს პირადი ჩხრეკა და დაკავება მოხდა მოსამართლის განჩინების საფუძველზე.

7. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე დ. ბ-ს ჩვენების თანახმად, მუშაობს შსს მ-ს რაიონულ სამმართველოში გამომძიებლის თანამდებობაზე. 2020 წლის 13 იანვარს მ-ს რაიონულ სამმართველოს განცხადებით მიმართა დ. ბ-მ, რომელმაც განაცხადა, რომ ფ-ში მცხოვრები ო. ც. არის ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორი და უკანონოდ ახდენს მის რეალიზაციას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, განცხადებასთან დაკავშირებით მან გამოკითხა დ. ბ. სასამართლოსგან მიღებული იქნა განჩინება ფარული საგამოძიებო მოქმედებების, ფარული ვიდეო და აუდიო ჩანერის და სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერის შესახებ, რის შემდეგაც 2020 წლის 16 იანვარს მას დაუკავშირდა დ. ბ. და აცნობა, რომ მას დაურეკა ო. ც-მ, რომელმაც გარკვეული თანხის სანაცვლოდ შესთავაზა ნარკოტიკული საშუალების მასზე გასაღება. გამოიყო თანხა, რომელიც გადაეცა ბ-ს, რომლითაც მას ო. ც-სგან უნდა შეეძინა ნარკოტიკული საშუალება. დ. ბ. აღიჭურვა კამერით, რომელიც იყო ჩართული და შეხვდა ო. ც-ს, თვითონ მოშორებით იდგა და აკვირდებოდა მათ შეხვედრას. დ. რამდენიმე წუთში დაბრუნდა მასთან და წარმოუდგინა პოლიეთილე-

ნის ნაჭერში გახვეული ნივთიერება, სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალება. მან გამოკითხა დ. ბ. და აღნიშნული ნივთიერება ამოიღო, რომელიც დაილუქა კანონით დადგენილი წესით. დაინიშნა ქიმიური ექსპერტიზა, რომლის თანახმად, ო. ც-სგან შესყიდული ნივთიერება იყო ნარკოტიკული საშუალება. 2020 წლის 23 იანვარს ო. ც. კვლავ დაუკავშირდა დ. ბ-ს და უთხრა, რომ ფულის სანაცვლოდ ისევ მიჰყიდდა მას ნარკოტიკულ საშუალებას. დ. ბ. კვლავ აღჭურვეს კამერით და იგი ჩართული კამერით მივიდა ო. ც-სთან, თვითონ მოშორებით იდგა და აკვირდებოდა მათ შეხვედრას. დ. დაბრუნდა მასთან და აჩვენა ცელოფანში გახვეული ნივთიერება, რომელიც ხელში ჰქონდა. დ. ბ-მ უთხრა, რომ აღნიშნული ნივთიერება იყიდა ო. ც-სგან, თანხის სანაცვლოდ. ფაქტთან დაკავშირებით გამოიკითხა დ. ბ. და მისგან ამოიღო ნარკოტიკული საშუალება. ამოღებული ნივთიერება დაილუქა მ-ს რაიონული სამმართველოს ლუქით, დაინიშნა შესაბამისი ექსპერტიზა, ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ამოღებული ნივთიერება იყო ნარკოტიკული საშუალება. მან მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში და დაადასტურა მათი სისწორე.

8. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე ვ. ქ-ს ჩვენების თანახმად, მუშაობს შსს მ-ს რაიონულ სამმართველოში გამომძიებლის თანამდებობაზე. მოცემულ საქმეზე მ-ს რაიონული სამმართველოს გამომძიებელ ე. ბ-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო ო. ც-ს დაკავებაში, რომელიც განხორციელდა სასამართლოს განჩინების საფუძველზე. დაკავება მოხდა ... გზატკეცილზე, სამანქანო გზის მიმდებარედ, ო. ც-მ დაკავებისას გაუწიათ წინააღმდეგობა, იყო აგრესიული, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციის თანამშრომლებს. მისთვის უცნობი მიზეზით ბრალდებულმა ხელი არ მოაწერა დაკავების ოქმს. დაკავების შემდეგ იგი გადაიყვანეს ფ-ს განყოფილებაში.

9. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე ქ. ჰ-ს ჩვენების თანახმად, ის მუშაობს შსს მ-ს რაიონულ სამმართველოში გამომძიებლის თანამდებობაზე. მოცემულ საქმეზე 2020 წლის 30 იანვარს მ-ს რაიონული სამმართველოს გამომძიებელ დ. ბ-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო სასამართლოს განჩინების საფუძველზე ჩატარებულ ბრალდებულ ო. ც-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკაში, რომელიც მდებარეობდა ... გზატკეცილზე. ჩხრეკისას რამე კანონსაწინააღმდეგო ამოღებული არ ყოფილა.

10. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე დ. ბ-ს ჩვენების თანახმად, მას ო. ც. 2019 წელს გააცნო მათმა საერთო ნაცნობმა ნიკამ, რომლის გვარი არ იცის. იმ დროისთვის იგი ჩართული იყო მეტადონის პროგრამაში, იცის, რომ ო. ც. არის ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, ხოლო ნ. იმ დროისთვის მოიხმარდა თუ არა ნარკოტიკულ

საშუალებებს არ იცის. ნ-ს იგი რამდენჯერმე გაჰყვა ო. ც-სთან, რომლისგანაც შეიძინეს ნარკოტიკული ნივთიერება. 2020 წლის 13 იანვარს დაურეკა ო ც-მ და შესთავაზა ნარკოტიკული საშუალების მისგან შეძენა, აღნიშნულ დროს საქმიანი ურთიერთობის გამო იმყოფებოდა მ-ში, რის გამოც, მივიდა მ-ს რაიონულ სამმართველოში და აღნიშნულის შესახებ დაწერა განცხადება. მისი განმარტებით, რ-ს გზატკეცილთან, ფ-ში, ო. ც-ს საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ 2020 წლის 16 იანვარს ო. ც-სგან 150 ლარად შეიძინა ორ წონაკად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, ხოლო 2020 წლის 23 იანვარს – 200 ლარად, რამდენი წონაკი იყო, არ ახსოვს. ნარკოტიკული საშუალებები პოლიეთილენის პარკში იყო შეფუთული. შესყიდვების დროს აღჭურვილი იყო ვიდეოკამერით, ო. ც-სგან შეძენილი ნივთიერებები ორივე შემთხვევაში მალევე გადასცა გამომძიებელს. კამერა და მისი ჩანაწერები გადასცა პოლიციას. მისგან ნარკოტიკული საშუალების ამოღების შემდეგ შედგა ოქმები, ნარკოტიკული საშუალებები კი დაილუქა. ოქმს გაცეცნო, შენიშვნები არ ჰქონია, ოქმები დაადასტურა ხელმოწერით. ო. ც-სგან ნარკოტიკული საშუალების შესასყიდად განკუთვნილი თანხა პოლიციამ გადასცა, პირველად 150 ლარი, ხოლო მეორედ – 200 ლარი. ო. ც-სთან კომუნიკაცია ტელეფონით ჰქონდა, რომელიც მობილური ტელეფონის სხვადასხვა ნომრით სარგებლობდა. თვითონ ერთი ნომერი ჰქონდა, რომელიც იცოდა ო-მ და უკავშირდებოდა მას. მისი განმარტებით ეზიზღება ყველა ის ადამიანი, რომელიც ყიდის ნარკოტიკულ საშუალებას, რადგან ასეთმა ადამიანებმა გარკვეული დიდი დაასვეს მის ცხოვრებას და მზადაა, როდესაც გაიგებს ასეთ ინფორმაციას შეატყობინოს სამართალდამცავ ორგანოებს.

11. 2020 წლის 16 იანვრის ამოღების ოქმის თანახმად, შსს მ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ დ. ბ-ს მიერ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მშვიდ წყნარ ვითარებაში, ბუნებრივი განათების პირობებში, წინააღმდეგობის განევის გარეშე დ. ბ-საგან ამოღებულ იქნა ყვითელი ფერის ცელოფანში გახვეული ორ წონაკად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 2020 წლის 16 იანვარს 150 ლარად შეიძინა ო. ც-სგან. ამოღებული ნივთიერება დაილუქა კანონით დადგენილი წესით.

12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის 2020 წლის 17 იანვრის N... დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი 2 ცალად დაფასოებული: 2 ცალ თერმულად დამუშავებული ყვითელი პოლიეთილენის ორმაგ ნაჭრებში მოთავსებული კუსტარული წესით მიღებული, მოყავისფრო ფერის ნივთიერებები, საერთო წონით 0,2793 გრამი შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“ 0,1657 გრამის ოდენობით.

სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა – ნ. ლ-მ და პ. ნ-მ დაადასტურეს მათ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა.

13. 2020 წლის 23 იანვრის ამოღების ოქმის თანახმად, შსს მ-ს რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ დ. ბ-ს მიერ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მშვიდ წყნარ ვითარებაში, ბუნებრივი განათების პირობებში, წინააღმდეგობის განწევის გარეშე დ. ბ-საგან ამოღებული იქნა მოწითალო ფერის ცელოფანში გახვეული ორ წონაკად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, რომელიც 2020 წლის 23 იანვარს 200 ლარად შეიძინა ო. ც-სგან. ამოღებული ნივთიერება დაილუქა კანონით დადგენილი წესით.

14. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის 2020 წლის 24 იანვრის №... დასკვნის თანახმად, ექსპერტიზაზე წარდგენილი ორ ცალად დაფასოებული მოწითალო ფერის პოლიეთილენის თავმომწვარ ნაჭრებში მუქი ყავისფერი პლასტიური ნივთიერება, საერთო წონით 0,33 გრამი შეიცავს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“ 0,098 გრამს. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმე ნ. ო-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე.

15. ბრალდებულის დაკავების 2020 წლის 30 იანვრის ოქმის თანახმად, მდებარე კორპუსის ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა ო. ც. 2020 წლის 30 იანვრის პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, კორპუსის ტერიტორიაზე, შსს მ-ს რაიონული სამმართველოს გამომძიებელ ე. ბ-ს მიერ გამომძიებელ ლ. დ-ს მონაწილეობით, ჩატარდა ო. ც-ს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი შარვლის წინა მარჯვენა ჯიბეში ნანახი და ამოღებული იქნა შავი ფერის „HUAWEI-ს“ ფირმის მობილური ტელეფონი, რომელიც დაილუქა კანონით დადგენილი წესით. პირადი ჩხრეკისას ო. ც-მ პოლიციის თანამშრომლებს გაუწია წინააღმდეგობა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

16. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების 2020 წლის 30 იანვრის ოქმის თანახმად, შსს მ-ს რაიონული სამმართველოს გამომძიებელმა დ. ბ-მ დაათვალიერა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გადმოგზავნილი დისკები.

17. შპს „...“ წარმოებული სტაციონარული პაციენტის ბარათის №... თანახმად, ო. ც. 2020 წლის 30 იანვრიდან – 01.02.20 წ. მკურნალობდა მათ დაქვემდებარებულ დაწესებულებაში დიაგნოზით დაუზუსტებელი ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებებით მონამვლა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში T43.9, სხვა და დაუზუსტებელი ნარკოტიკებით მონამვლა T40.6, ტკივილი მუცლის არეში დაუზუსტებელი T10.4.

18. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-

კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს ჰაბიტოსკოპიური და ფოტო-ვიდეო ტექნიკური ექსპერტიზის ...- დასკვნის თანახმად: 1. გამოკვლევაზე წარდგენილ ვიდეოგრამებს სახელწოდებით: „Rec1_0001.avi“, „Rec1_0002.avi“, „Rec1_0003.avi“, „Rec1_0001.avi“ და „Rec1_0002.avi“ არ აღენიშნებათ რედაქტირების ან მონტაჟის ნიშნები. 2. გამოკვლევაზე წარდგენილ №1 პაკეტში არსებული ვიდეოგრამებიდან სახელწოდებით „Rec1_0001.avi“ და „Rec1_0002.avi“, №2 პაკეტში ვიდეოგრამიდან სახელწოდებით: „Rec1_0001.avi“ ამოღებულ ფოტოსურათებზე დაფიქსირებული პიროვნების გამოსახულებები, პიროვნების იდენტიფიკაციისათვის ვარგისია. 3. გამოკვლევაზე წარდგენილ №2 პაკეტში არსებული ვიდეოგრამიდან სახელწოდებით: „Rec1_0002.avi“, ამოღებულ ფოტოსურათზე დაფიქსირებული პიროვნების გამოსახულება, პიროვნების იდენტიფიკაციისათვის პირობითად ვარგისია. 4. გამოკვლევაზე წარდგენილი №2 პაკეტში არსებული ვიდეოგრამიდან სახელწოდებით: „Rec1_0003.avi“ ამოღებულ ფოტოსურათზე დაფიქსირებული პიროვნების გამოსახულება, პიროვნების იდენტიფიკაციისათვის და მონაცემთა ბაზასთან შესადარებლად უვარგისია. 5. მონაცემთა ბაზაში რიცხულ ... ნელს დაბადებული ო. ო. ც-ს ფოტოსურათზე და გამოკვლევაზე წარდგენილ №1 პაკეტში არსებული ვიდეოგრამებიდან სახელწოდებით „Rec1_0001.avi“ და „Rec1_0002.avi“, №2 პაკეტში არსებული ვიდეოგრამიდან სახელწოდებით: „Rec1_0001.avi“, დაფიქსირებულია ერთი და იგივე პიროვნების იერსახის გამოსახულება. 6. გამოკვლევაზე წარდგენილ ლაზერულ დისკზე, არსებულ ვიდეოგრამაზე სახელწოდებით: „Rec1_0002.avi“ დაწყებიდან 00:00:10 სთ-ზე და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში რიცხული ... ნელს დაბადებული ო. ც-ს ფოტოსურათებზე, დაფიქსირებულია სავარაუდოდ ერთი და იგივე პიროვნების იერსახის გამოსახულებები. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ექსპერტმა ვახტანგ ბურჯანაძემ დაადასტურა ექსპერტიზის დასკვნის სისწორე.

19. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 2 სექტემბრის №. დასკვნის თანახმად, ო. ც.-ს აღენიშნება სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერებების ერთდროული მოხმარებით და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებით გამოწვეული პიროვნული და ქცევითი აშლილობა (კოდი- 19.71 დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით), არამკვეთრად გამოხატული ცვლილებებით ფსიქიკის მხრივ. ბრალად შერაცხილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს – 2020 წლის 16 იანვარს, დაახლოებით 15:20 საათზე და 2020 წლის 23 იანვარს, დაახლოებით 17:55 საათზე, იგი ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით, ფსიქიკის დროებითი აშლილობით, ან ჭკუასუსტობით

დაავადებული არ იყო, მას აღენიშნებოდა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული ნივთიერებების ერთდროული მოხმარებით და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მიღებით გამოწვეული პიროვნული და ქცევითი აშლილობა, არამკვეთრად გამოხატული ცვლილებებით ფსიქიკის მხრივ. მას შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლსაწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შერაცხადობა). შემდგომში იზოლაციის პირობებში ო. ც-ს განუვითარდა და ამჟამადაც უგრძელდება ფსიქიკის დროებითი აშლილობა მწვავე და ტრანზიტორული ფსიქოზური აშლილობა რეაქტიული ფსიქოზის (დეპრესიულ-ჰალუცინაციური სინდრომი) სახით, (კოდი-23-9, დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით). ამჟამად აღნიშნული დროებითი ფსიქიკური აშლილობის გამო ო. ც-ს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს და უხელმძღვანელოს მას, მისცეს სწორი ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში. აღნიშნულ ფსიქიკურ აშლილობას არ ახასიათებს ქრონიკული მიმდინარეობა და ტრანზიტორულია. ო. ც. ამჟამად დაავადებულია იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას სასჯელაღსრულების სისტემის პირობებში. ამჟამად თავისი ფსიქიკური მდგომარეობით ო. ც-ს არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისი მხრიდან არსებობს საკუთარი თავისა და სხვა პირთათვის ზიანის, მუქარისა და ძალადობის შემცველი ქცევის რისკი. თავისი ფსიქიკური მდგომარეობისა და ქცევის რისკის ხარისხის მიხედვით, ამჟამად ო. ც. წარმოადგენს სოციალურ საშიშროებას და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელი ო. ც-მ უნდა მოიხადოს (არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული დახმარება) შესაბამისი სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში (რეკომენდებულია შპს „აკადემიკოს ბ.ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ (ხონი – ქუთირი) არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმების ამონურვამდე, რის შემდეგაც სასჯელის მოხდა შეიძლება გაგრძელდეს საერთო წესით. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მონემ ექსპერტმა მ. დ-მ დაადასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა.

20. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი 2 ცალი ლაზერული დისკი, რომელთა დათვალიერებისას ჩანს თუ, როგორ გადაუხადა თანხა დ. ბ-მ ო. ც-ს, თანხის აღების შემდეგ, როგორ გადასცა ო. ც-მ ორი შეკვრა პოლიეთილენის პარკში გახვეული შეფუთვა; მეორე შემთხვევაშიც ასევე ანალოგიურად ჩანს ო. ც-ს მიერ პოლიეთილენის ნაჭერში ნივთიერების შეფუთვის, დ. ბ-

სათვის გადაცემის ფაქტი.

21. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები: სასამართლო სხდომაზე დაკითხა მოწმე, ნ. გ., რომლის ჩვენების თანახმად, დგინდება, რომ არის ლევან სამხარაულის ექსპერტიზის სამმართველოს მთავარი ექსპერტი, ბიოლოგიის მაგისტრი, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან მას დაენერა ორი დადგენილება, წარდგენილი იყო სავარაუდო ნარკოტიკული საშუალებები დაფასოებული პოლიეთილენის წონაკებში და დაევალა წონაკებიდან ანაწმენდების აღება შემდგომი გენეტიკური კვლევისთვის. მის პოლიეთილენის წონაკებიდან აიღო ანაწმენდები. კონკრეტულ ზედაპირზე არის თუ არა რაიმე ბიოლოგიური მასალა, ამის თქმის შესაძლებლობა ვიზუალური დათვალიერებით არ არის შესაძლებელი, ეს მხოლოდ გენეტიკური კვლევის ჩატარების შედეგად დგინდება და სწორედ ამიტომ არის აუცილებელი გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარება. დანიშნული იყო ქიმიური ექსპერტიზაც. მისი განმარტებით ზედაპირზე შეიძლება დარჩეს ან არ დარჩეს დნმ-ის კვალი.

22. სასამართლო სხდომაზე დაკითხული დაცვის მხარის მოწმის, ო. ც-ს ჩვენების თანახმად, არის ო. ც-ს მამა. 2020 წლის 30 იანვარს, ო. ც-ს დაკავებისას ის და მისი შვილი იმყოფებოდნენ ეზოში, კორპუსის ტერიტორიაზე, ო. ც-მ უთხრა მალაზიაში წავალ სიგარეტს ვიყიდი და მოვალო, მან თანხმობა განაცხადა და სახლში ავიდა. დაახლოებით 15 წუთის შემდეგ, მეზობელმა დაურეკა და უთხრა, რომ მისი შვილი პოლიციამ აიყვანა და ეზოში ერთი ამბავი იყო, „არის ცემა-ტყეპა უბედურებაო“. იმ წუთშივე გაიქცა სახლიდან, მალაზიასთან იდგა შავი ჯიპი, ო. ც. გარეთ იდგა, ცხვირიდან სისხლი სდიოდა, პოლიციამ ახლოს არ მიუშვა. უთხრა – „ნაბრძანდით თქვენ სახლში, უნდა დაგკითხოთო“. შემდეგ მივიდა გამომძიებელი, დაკითხა მეზობლები. პოლიციელებს ჰკითხა – „რატომ მაშინ არ აიყვანეს მისი შვილი, როცა ერთად იდგნენ“, უთხრეს, რომ „მაშინ სახეზე ვერ ვცნობდითო“. ო. ც. პოლიციამ გადაიყვანა მეთორმეტე ოთახში, ის და მისი მეორე ვაჟიც გაჰყვნენ; ო. ც-ს ფანჯრიდან ხედავდა, შეატყო, რომ ვერ იყო კარგად. რამდენიმე წუთის მერე პოლიციელი გამოვიდა და უთხრა, რომ „თქვენი შვილი ცუდად არის, რა ნამალი გადაყლაპაო“. უპასუხა გადაყლაპვამდე რატომ მიუშვეს, რატომ ვერ ამოუღეს მანამდე თუ რამე ჰქონდა მის შვილს. 10-15 წუთის შემდეგ პოლიციამ სასწრაფო გამოიძახა და უგონო მდგომარეობაში მყოფი ო. ც. გადაიყვანეს „...“ საავადმყოფოში. აღნიშნულის შემდეგ პოლიციის თანამშრომლები გაჰყვნენ ვითომდა მისი საცხოვრებელი სახლში ჩხრეკის ჩასატარებლად. პოლიციელებს ჩხრეკა არ ჩაუტარებიათ, დასხდნენ მაგიდასთან და ოქმი შეავსეს, რაზედაც მათი მითითებისამებრ მოაწერა ხელი. მისივე განმარტებით, დ. ბ.

რამდენიმეჯერ იყო მის ეზოში, რომლის წასვლის შემდეგაც აღმოაჩინა, რომ ა/მანქანიდან დაკარგული იყო სხვადასხვა დასახელების ნივთები. მისი შვილი ო. ც. არის უდანაშაულო და დღეს იგი სასჯელაღსრულების დანესებულებაშია მოთავსებული დ. ბ-ს ბოროტი განზრახვის გამო.

23. მოწმე ნ. ჯ-ს გამოკითხვის ოქმის (უდავოდ ცნობილი) თანახმად, ო. ც. არის მისი მეზობელი, რომელთანაც კარგი ურთიერთობა აქვს. ო. ც-ს რამდენიმე წლის წინ გარკვეული დამოკიდებულება წარმოეშვა ნარკოტიკების მიმართ, რის გამოც მისი ოჯახი და ო. ც. ძალიან წუხდა და მკურნალობდა, რათა თავი დაეღწია ნარკოდამოკიდებულებისაგან. რამდენიმე წლის წინ, ო-ს შეამჩნია ფსიქიკური აშლილობა, ჰქონდა სრულიად უმიზეზო პანიკური ალელეგება, რაც ზოგჯერ გადაზრდილა ჰაერის უკმარისობაში. როგორც იცის, ხშირად აკითხავდა ნევროლოგს და ფსიქიატრს და გადიოდა მკურნალობის კურსს. მოწმემ ო-სგან იცის ვილაც დ-ს შესახებ. იყო პერიოდი, როდესაც ეს პირი აწუხებდა ო-ს და ო. სულ ცდილობდა თავის დაღწევას. 2020 წლის იანვარში, ო-მ რამდენჯერმე დაუტოვა ტელეფონი და უთხრა, რომ თუ ვინმე დარეკავდა, ეპასუხა, რომ ნომერი ო-ს აღარ ეკუთვნოდა. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ვინმე დ., რომლის ტელეფონის ნომერია მიუხედავად განმარტებისა და საყვედურისა, რომ ტელეფონის ნომერი აღარ ეკუთვნოდა ო. ც-ს, მაინც არ წყდებოდა ზარები. ო. ც-მ მოწმეს აუხსნა რომ დ. ბ. აწუხებდა მას, რის გამოც ო-ს სურდა მისგან თავის დაღწევა და იძულებული იყო მოეტყუებინა ბ. იანვარში მოწმემ მის საცხოვრებელ სახლთან – (უბანში) შენიშნა თეთრი „ტოიოტა პრიუსის“ ავტომანქანა ნომრით ამ ავტომანქანით მყოფი პირი იგინებოდა ც-ს მისამართით. მოწმის კითხვაზე, თუ რა ხდებოდა, რაიმე პრობლემა ხომ არ იყო, ხელით ანიშნა გაიარეო.

24. მოწმე მ. ს-ს გამოკითხვის ოქმის (უდავოდ ცნობილი) თანახმად, ო. ც. არის მისი შვილი. 2017 წლიდან შვილს შეამჩნია, არაადეკვატური ქცევები; ღამე ეღვიძებოდა, უმიზეზოდ იწყებდა ტირილს, ესაუბრებოდა თავისთავს. ო. ც-ს ამგვარი მდგომარეობის გამო, მიმართეს სპეციალისტს, თუმცა პერიოდულად გართულებები მაინც იჩენდა თავს. მოწმის გამოკითხვის შინაარსის ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ იგი იცნობს ვინმე დ. ბ-ს. ბ-მ რამდენჯერმე მიაკითხა ო. ც-ს ოჯახში და კითხულობდა მას. ო. მუდმივად გაურბოდა ბ-სთან შეხვედრას და ხშირად არც პასუხობდა ტელეფონზე, ან ატყუებდა მის ნამდვილ სამყოფელს. ერთხელ ბ-მ მიაკითხა ო ც-ს სახლში. ო-ს თხოვნით, მ. ს-მ განუმარტა ბ-ს, რომ ო. არ იყო სახლში. როდესაც ბ. უკან გაბრუნდა, კორიდორში დაჰყო რამდენიმე წუთს, თან ტელეფონით ანათებდა ლიფტის მიმდებარე ტერიტორიაზე. როდესაც ეს შუქი ჩაქრა, მ. ს. გავიდა

და ნახა ძირს დაგდებული ინსულინის ახალი შპრიცი, რომელშიც აშკარად ჩანდა სისხლის კვალი და სისხლიანი ხელსახოცი. მაშინვე მიხვდა, რომ ამ პირმა მოიხმარა ნარკოტიკი. ამის თაობაზე მოუყვა ო-ს. ო. ც-მ დედას უთხრა, რომ ბ. არ იყო კარგი ადამიანი. მ. ს. მიხვდა, რომ ბ-ს სურდა ო. ც. დაეყოლებინა ნარკოტიკების მოხმარებაზე. ო. ც. ცდილობდა ბ-სთან არ ჰქონოდა ურთიერთობა, რაშიც თვითონაც ხელს უწყობდა.

25. საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კასატორის – დაცვის მხარის – არგუმენტებს ო. ც-ს სრულად უდანაშაულობასთან მიმართებით და მიიჩნევს, რომ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით სარწმუნოდ დგინდება, რომ ო. ც-მ 2020 წლის 16 იანვარს დ. ბ-ს გადასცა საერთო წონით – 0,2793 გრამი ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინი“, ხოლო იმავე წლის 23 იანვარს – 0.098 გრამი, ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომლის საპირისპიროს მტკიცება არ გამომდინარეობს სასამართლოში წარმოდგენილი ურთიერთშეჯერებული და დამაჯერებელი სამხილების ერთობლიობიდან.

26. დაცვის მხარის პოზიცია, რომ მოწმე დ. ბ. დანაშაულის ჩადენას აბრალებს მსჯავრდებულს, რის გამოც, მისი ჩვენება არ არის სანდო და სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა, უსაფუძვლოა და არ გამომდინარეობს საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომლის თანახმადაც, მოწმის ჩვენების სანდოობის შემოწმებისას, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოწმის ჩვენების თანმიმდევრულობაზე, კატეგორიულობაზე, თანხვედრაზე სხვა მტკიცებულებებსა და ფაქტობრივ გარემოებებთან, ასევე ამონუმებს მოწმის მახსოვრობის უნარს, შეუძლია თუ არა აღიდგინოს არსებითი ფაქტები, რომელთა თვითმხილველიც გახდა. მოცემულ შემთხვევაში, მოწმე დ. ბ-მ საქმის არსებითი განხილვისას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს, როგორც მსჯავრდებულ ო. ც-ს მიერ მისთვის ნარკოტიკული საშუალების შეთავაზების, ისე სამართალდამცავ ორგანოებთან მისი თანამშრომლობის, საკონტროლო შესყიდვის გზით ო. ც-საგან ნარკოტიკული საშუალებების შეძენის და მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის პროცედურების შესახებ. საკასაციო სასამართლოს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მსგავსად მიაჩნია, რომ მითითებული მოწმის ჩვენება სანდო, სარწმუნო და სრულად თანხვედრაშია საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან: მოწმეთა ჩვენებებთან, ექსპერტიზის დასკვნებთან და ფარულ აუდიო-ვიდეო ჩანაწერებთან. ასევე, მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებისას, არ შეიძლება მის წარსულზე აპელირება, მხო-

ლოდ იმ კონტექსტით, რომ მონმე უეჭველად ცრუობს, ვინაიდან იგი წარსულში ნასამართლევი. აღნიშნული გარემოება იმთავითვე არ მიუთითებს ფაქტზე, რომ მონმე ცრუობს და მისი ჩვენება, არასანდოა.

27. დაცვის მხარე საკასაციო საჩივარში აპელირებს დანაშაულის პროვოკაციაზეც, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგს: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე აღიარა სპეციალური საგამოძიებო მეთოდების საჭიროება, განსაკუთრებით ნარკოტიკულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლის ფარგლებში. ამგვარი ღონისძიებების, მათ შორის, ფარული აგენტებისა თუ საკონტროლო შესყიდვების, გამოყენება *per se* არ არღვევს უფლებას სამართლიან სასამართლოზე. გარკვეული წინაპირობებით, სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ, მიმართონ განსაკუთრებულ საგამოძიებო მოქმედებებს ისე, რომ აღნიშნული არ გულისხმობდეს ან ინვევდეს დანაშაულის ნაქეზებასა თუ პროვოცირებას (იხ: *Veselov and Others v. Russia*, №23200/10, 24009/07 და 556/10, 02.10.2012, §89; *Lüdi v. Switzerland*, №12433/86, 15.06.1992).

28. ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამოძიებო პროცესში თავისთავად არ ხელყოფს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ გარანტიას (სამართლიანი სასამართლოს უფლება). მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რა როლი ჰქონდა ფარულ თანამშრომელს. საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებმა/კონფიდენტებმა არ უნდა განახორციელონ პირებზე იმგვარი გავლენა, რომ შემდგომი პასუხისმგებლობის მიზნით, ნააქეზონ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა. კონვენცია ირღვევა, როდესაც აგენტები უზიძგებენ პირს დანაშაულის ჩადენისკენ და სახეზე არ არის არგუმენტი, რომ მოცემული დანაშაული მათი მონაწილეობის გარეშეც იქნებოდა ჩადენილი (იხ. *Malininas v. Lithuania*, №10071/04, 01.07.2008). ფარულ თანამშრომელთა მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პასიურად და მათ არ უნდა ჰქონდეთ როლი ბრალდებულთა განზრახვის ფორმირების პროცესში (იხ. *Ramanauskas v. Lithuania*, №74420/01, 5.02.2008). თუ ფარული აგენტი აქტიურად არის ჩართული და არსებითად უღვივებს პირს დანაშაულის ჩადენის სურვილს, სახეზეა დანაშაულის პროვოკაცია; ხოლო როცა მიმდინარე/დანეყებული დანაშაულებრივი ქმედების ფარგლებში ხდება ფარული თანამშრომლის ჩართვა, ეს ითვლება პასიურ მოქმედებად და, შესაბამისად, მისი ქმედება არ არის მაპროვოცირებელი.

29. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება მსჯავრდებულ ო. ც-ს ნაქეზება და პროვოცირება დანაშაულის ჩასადენად, კერძოდ: საქმის მასალებით დგინდება,

რომ სამართალდამცავ ორგანოებს ხელი არ შეუწყვიათ დანაშაულის ჩადენაში, ისინი მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის პასიური გამოძიებით და ამ გამოძიების პროცესში მტკიცებულებების მოძიებით შემოიფარგლებოდნენ. დადგენილია, რომ არსებობდა ობიექტური ეჭვი და არა ზოგადი ინფორმაცია დანაშაულში პირის სავარაუდო მონაწილეობის შესახებ. საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებმა დ. ბ. ფარულ საგამოძიებო მოქმედებებში ჩართეს და საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს მას შემდეგ, რაც მან ნებაყოფლობით მიმართა სამართალდამცავ ორგანოს თანამშრომლობის შესახებ, ნებაყოფლობით გამოთქვა გამოძიებასთან თანამშრომლობისა და ო. ც-ს მხილების სურვილი. გარდა ამისა, მოწმეთა ჩვენებებითა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ თითოეულ შემთხვევაში ო. ც. წინასწარ იყო განწყობილი დანაშაულის ჩადენად, ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედებების პროცესში არც ერთ შემთხვევაში მსჯავრდებულს არ უთქვამს უარი დ. ბ-სათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემაზე. ო. ც-მ დ. ბ-ს ორჯერ – 2020 წლის 16 იანვარსა და 2020 წლის 23 იანვარს გარკვეული თანხის სანაცვლოდ გადასცა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ნივთიერება. მსჯავრდებული კი იჩენდა განსაკუთრებულ სიფრთხილს დ. ბ-სთან შეხვედრის დათქმიდან და შეთანხმებულ ადგილზე მისვლიდან შეხვედრის დასრულებამდე. შესაბამისად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება დანაშაულის პროვოცირება, რომ დ. ბ. აქტიურად იყო ჩართული და არსებითად უღვივებდა მსჯავრდებულს დანაშაულის ჩადენის სურვილს.

30. დაცვის მხარის კიდევ ერთ მოსაზრება, რომ ო. ც-ს ნაერთვა სასამართლოსათვის ჩვენების მიცემისა და საბოლოო სიტყვით სარგებლობის უფლება, უსაფუძვლოა. საკასაციო სასამართლო ამ ნაწილშიც იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა დაეკითხა ბრალდებული, თუმცა იმ ეტაპზე დაცვის მხარემ უარი განაცხადა, ამასთან საქმეში წარმოდგენილია – სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 2 სექტემბრის №... დასკვნა, რომლის მიხედვით, დგინდებოდა, რომ ო. ც-ს არ შეეძლო ანგარიში გაენია თავისათვის და ეხელმძღვანელა მისთვის, მიეცა სწორი ჩვენება და მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში, დროებითი ფსიქიკური აშლილობის გამო. აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა. გარდა ამისა, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა დაიწყო 2021 წლის 9 მარტს და დაცვის მხარის შუამდგომ-

ლობისა და მოთხოვნის საფუძველზე, რომ მსჯავრდებულს სააპელაციო სასამართლოში მისი საქმის განხილვაში მონაწილეობა მიეღო და მასთან შეთანხმებული დაცვის პოზიციები, არაერთხელ გადაიდო საქმის განხილვა, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე (შპს „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ დირექტორის მომართვების თანახმად, ირკვევა, რომ სტაციონარულ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტი – ო. ც-ს ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლო პროცესში მისი მონაწილეობა მიზანშეუწონელი იყო), ო. ც-ს პროცესზე დასწრება ვერ მოხერხდა 2021 წლის 8 ივნისამდე, ესე იგი, მანამდე, სანამ 2021 წლის 8 ივნისის ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის №... დასკვნით დადგინდა, რომ ო. ც-ს ფსიქიკური მდგომარეობა ჩატარებული მკურნალობის შედეგად გაუმჯობესდა, მისი იმჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ო. ც-ს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების კრიტერიუმები ამოწურული იყო და ის აღარ საჭიროებდა არანებაყოფლობით სტაციონარულ ფსიქიატრიულ დახმარებას შპს „აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში“. შესაბამისად, ის 2021 წლის 8 ივნისს განერეს მითითებული დაწესებულებიდან და გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის საერთო წესით მოსახდელად (რაც დადასტურებულია ამავე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 8 ივნისის მომართვით). სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ დაცვის მხარეს სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას არ მოუთხოვია მსჯავრდებულ ო. ც-ს დაკითხვა და სხვა რაიმე მტკიცებულების წარმოდგენა (გარდა მონმეების – მ. ს-ს და ნ. ჯ-ს დაკითხვისა) და არ დაუყენებია შუამდგომლობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

31. ადვოკატი საკასაციო საჩივარში ასევე უთითებს, რომ გამოძიებამ არ ჩაატარა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, ხოლო სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულს უსაფუძვლოდ შეუზღუდა დაცვის უფლება, ვინაიდან უარი თქვა დაცვის მხარის მონმეების დაკითხვაზე, რასთან დაკავშირებითაც საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-9 მუხლის საფუძველზე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე; მხარეს უფლება აქვს, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. საქართველოს სსსკ-ის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სწორედაც რომ მხარეთა კომპეტენციაა მტკიცებულებათა მოპოვება და წარმოდგენა. ვერავინ დაავალდებულებს მხარეს,

მოიპოვოს და წარადგინოს ესა თუ ის მტკიცებულება.

32. რაც შეეხება მსჯავრდებულ ო. ც-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. დ-ს მითითებას, რომ სასამართლომ უკანონოდ განაცხადა უარი დაცვის მხარის მოწმეების – მ. ს-სა და ნ. ჯ-ს მოწმის სახით დაკითხვაზე, აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ბრალდების მხარემ მითითებულ მოწმეთა გამოკითხვის ოქმები მიიჩნია უდავო მტკიცებულებებად, რის გამოც, ისინი გამოკვლევის გარეშე მიღებულ იქნა მტკიცებულებებად. თავის მხრივ, სააპელაციო პალატამ დეტალურად შეაფასა და დაწვრილებით იმსჯელა ამ მოწმეთა (მ. ს-სა და ნ. ჯ-ს) გამოკითხვის ოქმებში მინოდებულ ინფორმაციაზე და ასევე განმარტა ის საფუძვლები, თუ რატომ არ გაიზიარა მათი ჩვენებები, კერძოდ: პალატამ აღნიშნა, რომ მოწმეების მიერ სასამართლოსთვის მინოდებული ინფორმაცია არ დასტურდება სხვა მოწმეთა ჩვენებებით ან/და სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულებით; ამასთან, მათივე ჩვენებებით დგინდება, რომ მოწმეებს უშუალო შეხება არ ჰქონდათ ამ კონკრეტულ დანაშაულებრივ ფაქტებთან, ისინი არ არიან რაიმე გარემოების/ფაქტის თვითმხილველი პირები. მოწმეები საქმესთან დაკავშირებით ძირითადად გადმოსცემენ მათთვის მსჯავრდებულ ო. ც-ს მიერ მინოდებულ ინფორმაციას და საკუთარ მოსაზრებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის შეფასებით, მათი ჩვენებები არ გამოირიცხავს ო. ც-ს მიერ მის მიმართ ბრალად შერაცხილი ქმედებების ჩადენას და არ დგინდება რაიმე ისეთი გარემოება, რაც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საეჭვოდ მიჩნევის საფუძველი გახდებოდა, რასაც საკასაციო პალატაც იზიარებს. ამასთან, დაცვის მხარეს აღნიშნულ მოწმეთა მიერ გამოკითხვის ოქმებში მინოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, დამატებით რაიმე ახალი ინფორმაცია, ან გარემოებები სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

33. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განხილულ სისხლის სამართლის საქმეში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირობებში, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოედგინათ თავიანთი მტკიცებულებები, მონაწილეობა მიეღოთ მონინალმდევე მხარის მტკიცებულებების გამოკვლევაში და ჯერონად დაეცვათ თავიანთი პოზიციები. დაცვის მხარე უზრუნველყოფილი იყო მტკიცებულებათა წარდგენისა და საქმის გარემოებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების შესაძლებლობით; ასევე მთელი სამართალწარმოების პროცესში საშუალება ჰქონდა ედავა მტკიცებულებების ავთენტურობაზე, დასაშვებობაზე და მონაწილეობა მიეღო მათ გამოკვლევაში, დაეკითხა მოწმეები; მოცემული საქ-

მის წარმოებისას როგორც გამოძიებაში, ისე სასამართლოში დაცვის მხარისათვის სრულად იყო უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული – საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.

34. ამდენად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკასაციო სასამართლოს უტყუარად დადასტურებულად მიაჩნია ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ დროს – 2020 წლის 16 იანვარსა და იმავე წლის 23 იანვარს – ო. ც-ს მიერ დ. ბ-სათვის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის ფაქტები, მაგრამ საკასაციო სასამართლოს პოზიცია განსხვავდება ბრალდების მხარის მიერ მსჯავრდებულის ქმედების – ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის – კვალიფიკაციასთან მიმართებით, რამეთუ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ნარკოტიკული საშუალებების დ. ბ-სათვის გადაცემით, ო. ც-მ, ანაზღაურების სანაცვლოდ, გაასალა ისინი, ხოლო საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის დროს მსჯავრდებულს მათი რეალიზაციის მიზანი არ ჰქონია, რაც არსებითად მნიშვნელოვანია ქმედების სამართლებრივი შეფასების დროს.

35. იმისათვის, რათა დამნაშავემ პასუხი აგოს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც მან ჩაიდინა, საკასაციო სასამართლო ვალდებულია მსჯავრდებულის ქმედებას სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მიანიჭოს, ხოლო იმის გამოსარკვევად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII – ნარკოტიკული დანაშაულის – თავით გათვალისწინებული, რომელი დანაშაულის შემადგენლობაა გამოკვეთილი ო. ც-ს ქმედებაში, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მათ საფუძველზე გადანყევტს მსჯავრედ შესარაცხი ქმედების საკითხს.

36. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ო. ც-ს ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისთვის მსჯავრდებას საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ ორი ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე, კერძოდ, ერთი მხრივ, ო. ც-მ 2020 წლის 16 იანვარსა და იმავე წლის 23 იანვარს გამოართვა თანხები დ. ბ-ს და, ორივე ჯერზე, მოგვიანებით, გადასცა მას ნარკოტიკული საშუალებები, ხოლო, მეორე მხრივ, - მმოწმის სახით დაკითხვისას დაადასტურა, რომ ო. ც-სათვის გადახდილი თანხების სანაცვლოდ, მისგან ნარკოტიკულ საშუალებებს იძენდა.

37. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასკვნა იმის თაობაზე, რომ ო. ც-მ უკანონოდ მიასალა ნარკოტიკული საშუალებები დ. ბ-ს, არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველ-

მხრივი და ობიექტური შეფასებიდან, კერძოდ:

38. 2020 წლის 13 იანვრის განცხადების შინაარსით ირკვევა, რომ ბ-მ მიმართა სამართალდამცავ ორგანოს და აცნობა, რომ მისი ნაცნობი – ო. ც.-მ, მცხოვრები ... სხვადასხვა ადგილებში ახდენს ნარკოტიკული საშუალების უკანონო რეალიზაციას და უთითებს მის სარგებლობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომერს.

39. მონმე დ. ბ-ს მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენებით დგინდება, რომ 2020 წლის 13 იანვარს დაურეკა ო. ც-მ და შესთავაზა ნარკოტიკული საშუალების მისგან შეძენა. ამ დროს მონმე იმყოფებოდა მ-ში, რის გამოც, მივიდა მ-ს რაიონულ სამმართველოში და აღნიშნულის შესახებ დაწერა განცხადება. მისი განმარტებით, რ-ს გზატკეცილთან, ფ-ში, ო. ც-ს საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ 2020 წლის 16 იანვარს ო. ც-სგან 150 ლარად შეიძინა ორ წონაკად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება, ხოლო 2020 წლის 23 იანვარს – 200 ლარად, რამდენი წონაკი იყო არ ახსოვს. ნარკოტიკული საშუალებები პოლიეთილენის პარკში იყო შეფუთული. შესყიდვების დროს აღჭურვილი იყო ვიდეოკამერით, ო. ც-სგან შეძენილი ნივთიერებები, ორივე შემთხვევაში, მალევე გადასცა გამომძიებელს. კამერა და მისი ჩანაწერები გადასცა პოლიციას.

40. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიო-ვიდეოჩანაწერებით დასტურდება, რომ 2020 წლის 16 იანვარს, დ. ბ-მ ო. ც-ს გადასცა თანხა, ხოლო ო-მ, იმავე დღეს, მოგვიანებით გადასცა ორ წონაკად დაფასოებული ნივთიერება; 2020 წლის 23 იანვარს, დ. ბ-მ ო. ც-ს გადასცა თანხა, ხოლო იმავე დღეს, მოგვიანებით, ო. ც-მ გადასცა ორ წონაკად დაფასოებული ნივთიერება. საქმეზე ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილია, რომ პირველ შემთხვევაში გადაცემული ნივთიერება წარმოადგენს საერთო წონით – 0,2793 გრამ, ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, ხოლო მეორე შემთხვევაში – 0.098 გრამ, ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“.

41. ამდენად, საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ო. ც-მ 2020 წლის 16 იანვარსა და იმავე წლის 23 იანვარს, დ. ბ-ს გამოართვა სხვადასხვა ოდენობის თანხა და, ყოველ ჯერზე, მოგვიანებით, გადასცა მას ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“.

42. იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ქმნის ერთი პირის მიერ სხვა პირისათვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ფაქტი (ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მიზნების, ვითარებისა და იმ ურთიერთობების მხედველობაში მიღების გარეშე, რომელიც წინ უსწრებს ნარკოტიკების გადაცემას) „a priori“, მისი უკანონო გასაღების შემადგენლობას, სასამართლომ მონმე დ. ბ-ს მიერ მიცემული განმარტებების კვალდაკვალ, საფუძვლიანად უნდა გამოიკვლიოს საქმეში წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვე-

ბული მასალები, რომლებსაც, მათი ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მტკიცებულებების შეფასების დროს, უპირობოდ ძალიან მაღალი ფასი აქვთ და რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია ო. ც-სა და დ. ბ-ს შორის ნარკოტიკული საშუალებების გადაცემამდე არსებული შეთანხმებისა და ნარკოტიკული საშუალებების გადაცემის პროცესში, მათ შორის არსებული კომუნიკაციის შინაარსის დასადგენად და, შესაბამისად, დავის საგნად ქცეული – ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის – საკითხის გადასაწყვეტად.

43. მონმე დ. ბ-ს მტკიცების საპირისპიროდ, რომლის მიხედვით, ო. ც. ნარკორეალიზატორია და თანხის სანაცვლოდ არაერთხელ მიასალა მას ნარკოტიკული საშუალებები, ფარული საგამოძიებო მოქმედებების (ფარული აუდიო-ვიდეო ჩანაწერების) შედეგად მოპოვებული მასალების შინაარსი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ცხადყოფს, რომ დ. ბ. ნარკოტიკულ საშუალებებს ო. ც-საგან კი არ ყიდულობდა, არამედ – თავადაც ნარკოდამოკიდებული მსჯავრდებული (დაკავების შემდეგ ჩატარებული ნარკოლოგიური კვლევის შედეგად, კლინიკურად იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ) ეხმარებოდა მას სხვა, გამოძიებით დაუდგენელი პირ(ებ)ისგან, ნარკოტიკული საშუალებების მოძიებასა და შეძენაში, კერძოდ:

44. 2020 წლის 16 იანვარს შეხვედრისას, პირველი ვიდეოჩანაწერი მიხედვით: ო. ც. ეუბნება დ. ბ-ს: „... – რა იყო ბიჭო, ამის წინ რომ მითხარი, ცუდი იყოო?“, რაზეც დ. ბ. პასუხობს: „ – ბიჭო!“, ო. ც. ეუბნება: „ – მეორე დავითრიე ჩვენთვის და კაი ხარისხიანი წამალი იყო“. დ. ბ. პასუხობს: „მე არ გამიკეთებია ისა, იმიტომ რომ სამნი იყვნენ ისინი და ამ ნიკუშამ რომ გაიკეთა, არ ვარგა, არ ვარგაო“. ო. ც. ეუბნება: „ფული მომე, დამტოვე მე და აქ გადმოდი და მერე უკვე ჩემით მივალ აქამდე“, დ. ბ. პასუხობს: „მაცადე“, ო. ც.: „150 ლარი ხომ გაქვს?“, დ. ბ.: „კი“, ო. ც.: „ერთი ხუთი ლარი მომე, ტაქსის ფული, რომ წამოვყვე იქიდან, გაიგე? ან ორი ლარი, რა“, დ. ბ.: „სადაა აქ მაღაზია?“, ო. ც.: „წადი იქით, მაინც იქით უნდა წავიდეთ“, დ. ბ.: „არა კაცო, არ მინდა არსად წასვლა, ქალი ქუჩაში გადმოვაგდე...“, ო. ც.: „გადი ოდნავ და დაახურდავე და მობრუნდი და წაიყვანე ცოლი, გეუბნები რამეს, ბიჭო?“, დ. ბ.: „სადა, აქ გავიდე?“, ო. ც.: „ჰო, დაახურდავე, მიდი. „პროსტო“ მიმიყვანე მეთქი, დამტოვე, რომ შევიდე“, დ. ბ.: „მოგცემ ტაქსის ფულს...“.

45. შემდეგ დ. ბ. შედის სუპერმარკეტში, მიდის „საქართველოს ბანკის ბანკომატთან“. ცოტა ხანში ბრუნდება ავტომობილთან და ფულს აძლევს ო. ც-ს. ო. ც. და დ. ბ. ავტომანქანაში აგრძელებენ საუბარს. შემდეგ ო. ც. მიჰყავს მის მიერ მითითებულ ადგილას, იგი გადმოდის ავტომანქანიდან, დ. ბ. კი ავტომობილით აგრძელებს გზა, შემდეგ ჩერდება და ელოდება შეთანხმებულ ადგილას. მომდევნო ვიდეოჩანაწერში

ჩანს, რომ დ. ბ. ზის ავტომანქანაში, რომელშიც ასევე ჯდება ო. ც. ო. ც. ეუბნება დ. ბ.-ს: „მოდით, მოაბრუნეთ მანქანა. მოტრიალდით აქ. დანა გააქვს მანქანაში?“, დ. ბ.: „არა. თვითონ? იყო?“. შემდეგ, დ. ბ. გადადის ავტომანქანიდან და ფეხით მიდის გზაზე.

46. შემდეგ ვიდეოჩანანერში დ. ბ. და ო. ც. სხდებიან ავტომანქანაში და მიდიან გზაზე. ო. ც. დ. ბ.-ს ეუბნება: „– გაჩვენებ სუყველას, ცოტას დამიტოვებ“, დ. ბ.: „ჰო“, ო. ც.: „– კარტა გააქვს ჯიბეში?“, დ. ბ.: „კი“, ო. ც.: „– მიდი, მიდი, მიდი, „ვაბშე“, წამო ჩემთან, სახლში“, დ. ბ.: „არა“, ო. ც.: „უცებ ავიდეთ“, დ. ბ. ახსენებს უცენზურო სიტყვას, ო. ც.: „– ავირბინოთ უცებ რა, ძმობას გაფიცებ, წამო, რა მართლა“, დ. ბ.: „კაი რა“, ო. ც.: „– ძმობას გაფიცებ, მარტო ვერ, უცებ ავირბინოთ რა, წამო, კულტურულად გავიკეთოთ“, დ. ბ.: „არ მინდა ბიჭო, სად უნდა გავიკეთო? აქ ვერ გავაკეთებ ვერაფერს“, ო. ც.: „ხოდა წამო ერთი წუთით“, დ. ბ.: „მანახე!“, ო. ც.: „ავირბინოთ რა!“, დ. ბ.: „ბიჭო მანახე ფაქტი (იგინება)“, ო. ც.: „აჰა“. შემდეგ ო. ც. დ. ბ.-ს ხელში აძლევს ორ პატარა პოლიეთილენის პარკში გახვეულ შეფუთვას, ე.წ. „ბაშს“. დ. ბ. ეკითხება: „– ეს რამდენია-ნია?“, ო. ც. პასუხობს: „ერთი ცალი უნდა მომცე. ცოტა გადმომიყარე მე. ასიანებია ორი“, დ. ბ.: „ეს ორი, ასიანია?“, ო. ც.: „ჰო“, დ. ბ.: „ეს მეტია, ეს ცოტაა, ბიჭო“, ო. ც.: „ჰო, რა ვქნა ახლა, იმიტომ რომ 150-ში ეგრე მომცა. აქედან გავხსნი, ძმაო და აქედან ცოტა მომეცი, რა. ქვებიდან გამოიღო ... (იყენებს უცენზურო სიტყვას), ეგ ორი“, დ. ბ.: „ბიჭო, ახლა რომ გავხსნა, ჰო?“, ო. ც.: „ჰო“, დ. ბ.: „აქედან რომ გავხსნა, აი ყ.ეობაა რა (იყენებს უცენზურო სიტყვებს), რა გინდა მე მოგცემ ..., მე კაცთან მივალ, ვანახებ და გადმომიყრის და მოგცემ. მეც არ გავიკეთებ ...“, ო. ც.: „ბიჭო, გავხსნათ და ერთად შევკრათ, რა პრობლემაა? რო მეუბნები ჯერ, ორი ასიანიაო, არ გახსოვს მაშინ ერთი ცალი რომ წაიღე? აი, ეგრეა ორი“, დ. ბ.: „ეს ორმოცდაათიანია, ეს ასიანია“, ო. ც.: „ბიჭო, რაც მომცა, ეგ არის!“, დ. ბ.: „ჰოდა მომისმინე, მივალ კაცთან თქო და რა გინდა ... (იყენებს უცენზურო სიტყვას)?“, ო. ც.: „... (იყენებს უცენზურო სიტყვას). „იმენნა“, აგურებიდან გამოიღო ტიპმა, თეთრი აგურებიდან“, დ. ბ.: „ბაზარი არაა, მე ... (იყენებს უცენზურო სიტყვას), ხომ გეუბნები, აი. მე მოგცემ მეთქი ... (იყენებს უცენზურო სიტყვას) შვილებს გეფიცები, მე რად მინდა მოტყუება?“, ო. ც.: „ბიჭო, მივდივარ დღეს და აღარ ვიქნები სახლში ... (იყენებს უცენზურო სიტყვას)“, დ. ბ.: „დღეს კი არა, მოვალ მეთქი ოც წუთში, ნახევარ საათში. ორთაქალაში ჩავალ სადგურში და ამოვალ“, ო. ც.: „ბიჭო, მივდივარ, ბავშვი მყავს გამოსაყვანი, ძმობას გაფიცებ, ახლა ისე არ დამტოვო“, დ. ბ.: „ბიჭო აქედან არ მინდა ახლა გადმოყრა. ყ.ეობა ... (იყენებს უცენზურო სიტყვებს) გამოდის, გამოდის პრ..ობა (იყენებს უცენზურო სიტყვას) მერე“, ო. ც.: „კაი, ძმაო, მიდი მიდი“. ო. ც. გადადის ავტომანქანიდან.

47. 2020 წლის 23 იანვარს შეხვედრისას, დ. ბ-ს ავტომანქანაში ჯდებოდა ო. ც. და საუბრობენ, ო. ც. ეუბნება დ. ბ-ს: „დათვლა რად უნდა, ბიჭო!“, დ. ბ.: „მოიცადე“, ო. ც.: „რად უნდა დათვლა!“, დ. ბ.: „ჰა, „კაროჩე“ 200-ია და ...“ აწვდის ფულს, მაგრამ ო. არ ართმევს და ეუბნება: „იყოს, გურემ, გქონდეს“, დ. ბ.: „ეს ის არის და მომცემ და მერე 50 /?/ შენია“, ო. ც.: „რა 50 ლარი ბიჭო, ამას ... (უკანა სავარძლიდან იღებს ტელეფონს)“. შემდეგ საუბრობენ „ბიჭების დაჭერის“ თემაზე. შემდეგ დ. ბ. ეუბნება: „ჩქარა მეჩქარება, ... (იყენებს უცენზურო სიტყვას), ცოლი მყავს სამსახურიდან გამოსაყვანი“, ო. ც.: „მე და შენ რომ წავიდეთ?“, დ. ბ.: „სად? ვერ წამოვალ იქით, რა მინდა?“, ო. ც.: „აბა რა ვქნა?“, დ. ბ.-: „დაგტოვებ იქ“, ო. ც.: „კაი რა“, დ. ბ.: „არ მინდა ... (იყენებს უცენზურო სიტყვას) ვერ შემოვალ იქ მანქანით რა, ძმაო, არ მინდა რა. მივალთ და იქ დაგტოვებ, რა გინდა“, ო. ც.: „მაიცა“. შემდეგ ო. ც. გადადის ავტომანქანიდან, დ. ბ. ც გადადის და მიდის იქვე მდგომ მსუბუქ ავტომობილთან, რომელშიც ბიჭებთან ერთად ზის ო. ც.. ო. ც. დ. ბ-ს ართმევს ქაღალდის მოკეცილ კუპიურებს. შემდეგ ო. ც. და დ. ბ. საუბრობენ: დ. ბ. ეკითხება: „რამდენ ხანში მოხვალ, ჰა?“, ო. ც.: „წავიდეთ რა ჩვენ!“, დ. ბ.: „აუ ბიჭო კარგი რა! მითხარი სად მოხვალ და იქ გავჩერდები“. ო. ც. გადადის მანქანიდან და ორივენი იქვე გვერდით გადიან. ო. ც. ეუბნება: „წამო, წამო შენც!“, დ. ბ.-: „აუ ბიჭო, რა იცი ეს ყ.ეობები (იყენებს უცენზურო სიტყვას), გოგო მელოდება სამსახურიდან მყავს გამოსაყვანი. რა გჭირს, ... (იყენებს უცენზურო სიტყვას), მიდი რა მეჩქარება. რაც მთხოვე ის გავაკეთე ყველაფერი...“, ო. ც.: „მოდით ერთი წამი, ბიჭო! რას მიჭედავ, შე ჩემა, რამეს გეუბნები ისეთს?“, დ. ბ.: „არ მინდა წასვლები და ყ.ეობები (იყენებს უცენზურო სიტყვებს), რა გინდა მითხარი!“, ო. ც.: „ჩემი დედა ვატირე, წამო, წავიდეთ შენი მანქანით“, დ. ბ.-: „ბიჭო, არ მინდა, სხვისი მანქანითა ვარ, ბიჭო, გოგოს მანქანით, როგორ ჩავიტანო მანქანა იქა, მითხარი ერთი!“, ო. ც.: „აბა იმ ყ.ეს (იყენებს უცენზურო სიტყვას) როგორ გამოვართვა მე?“, დ. ბ.: „არ მიდიხარ ეხლა მანქანით“, ო. ც.: „ხოდა, იმ ყ.ეს (იყენებს უცენზურო სიტყვას) როგორ გამოვართვა და როგორ გამოვიტანო ამდენ ხალხთან ერთად?“, დ. ბ.: „ეს ეხლა ვისი მანქანითა ხარ, ხო ხარ ვილაცის მანქანით, ამითი ხო მიდიხარ უკან ისევე?“, ო. ც.: „ხო, მერე?“, დ. ბ.: „ვერ გავიგე, რად გინდა, მითხარი წადი და მოდი ამითი. ვიდგები მე აგერ“, ო. ც.: „ბიჭო, რომ წამომყვე შენ ვაბშე მე?“, დ. ბ.: „სადა?“, ო. ც.: „წამომყევი და ავიდეთ“, დ. ბ.: „მე?“, ო. ც.: „ჰო“, დ. ბ.: „წამოდი მერე თუ გინდა“, ო. ც.: „პროსტა არ მინდა ეხლა, გაიგე? ბიჭო, იმას კიდევ რო მეუბნები 50 ლარიო, სულ ყ.ეზე (იყენებს უცენზურო სიტყვას) მკიდია ეგ 50 ლარი“. შემდეგ დ. ბ. ჯდება ავტომანქანაში, ხოლო ო. ც. მეორე ავტომანქანაში. საათნახევრის შემდეგ, ო. ც. და დ. ბ. ისევ ხვდებიან ერთმანეთს, რა დროსაც ო. ც. აწვდის ნარკოტიკულ სა-

შუალეხას, სწრაფად ტრიალდება და ჩქარი ნაბიჯით მიდის შენობის კუთხისკენ.

48. ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლოში წარმოდგენილი ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული 2020 წლის 16 იანვრისა და იმავე წლის 23 იანვრის აუდიო-ვიდეო ჩანაწერებით ცალსახად დასტურდება, რომ დ. ბ-ს მიერ გადაცემული თანხებით, ო. ც. ცდილობდა არა მხოლოდ მისთვის, არამედ – თავისთვისაც მოეძიებინა და შეეძინა ნარკოტიკული საშუალებები, დაუდგენელი პირ(ებ)ისგან, კერძოდ: პირველ ეპიზოდში, ო. ც. დ. ბ-ს სთხოვს ჯერ ტაქსის ფულს, მერე ადგილზე მიყვანას, შემდეგ სთავაზობს ნარკოტიკული საშუალების თავისთან სახლში ერთად მოხმარებას, შემდეგ კი დაჟინებით სთხოვს, რომ არ დატოვოს ისე და ცოტა მასაც დაუტოვოს და გადმოუყაროს პაკეტიდან. დ. ბ. ყველაფერზე უარით პასუხობს და მოითხოვს ნარკოტიკული საშუალების ჩვენებას. მას შემდეგ, რაც ო. ც. გადასცემს ორ პატარა პოლიეთილენის პარკში გახვეულ შეფუთვას, დ. ბ. საყვედურობს, რომ ერთი პაკეტი მეორეზე, ზომით უფრო დიდია, რაზეც ო. ც. პასუხობს, რომ აბა თვითონ რა უნდა ქნას, 150-ში მასც მისცეს, როგორც არის, რომ ეს ორი პაკეტი ქვებიდან, თეთრი აგურებიდან გამოიღო (საუბარია სხვა, დაუდგენელ პირზე). დ. ბ. უარს ეუბნება ნარკოტიკული საშუალების გადმოყრაზე, რასაც უხსნის იმით, რომ ეს პაკეტები სხვას უნდა მისცეს და მასთან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება. ო. ც. კვლავ დაჟინებით სთხოვს, რომ დ. ბ-მ ისე არ დატოვოს და გადმოუყაროს ნაწილი. დ. ბ., ო. ც-ს ჰპირდება, რომ მას მერე გადმოუყრის, რაც სხვა პირს ანახებს ნარკოტიკულ საშუალებას. მეორე ეპიზოდში დ. ბ. ო. ც-ს აწვდის ფულს და ეუბნება, რომ 200 ლარია. ო. არ ართმევს, რის შემდეგაც დ. ეუბნება, რომ როცა ის მისცემს ნარკოტიკულ საშუალებას, 50 ლარი მისია. ო. ც. კი გაკვირვებული ეკითხება, რა 50 ლარზეა საუბარი და ისევ სთხოვს, რომ დ. ბ-ს ავტომანქანით ადგილზე ერთად მივიდნენ. დ. კატეგორიულ უარს ამბობს და სთავაზობს, რომ მის გარეშე წავიდეს, ხოლო ო. პასუხობს, რომ მის გარეშე რანაირად გამოართმევს იმას (აქაც საუბარია სხვა, დაუდგენელ პირზე) და როგორ გამოიტანს ამდენ ხალხთან ერთად. ამასთან, ო. ეუბნება, რომ ის 50 ლარი, რომელიც დ-მ შესთავაზა, საერთოდ არ აინტერესებს. ხაზგასასმელია, რომ გამოძიებამ არ გამოკვეთა რეალური მოტივი, თუ რატომ შუამავლობდა ო. ც. დ. ბ-ს ნარკოტიკული საშუალებების შეძენის პროცესში და, კონკრეტულად, რით გამოიხატებოდა მისი ინტერესი.

49. ამრიგად, მოწმე დ. ბ-ს მტკიცების საპირისპიროდ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერების შინაარსის მხედველობაში მიღებით, ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ მისთვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ ო. ც. ნარ-

კოტიკების რეალიზატორი არ ყოფილა, არამედ – ეხმარებოდა მას ნარკოტიკული საშუალებების მისთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან შეძენაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, ო. ც-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღებაში დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ დ. ბ-ს თანხებით შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების მისთვის გადაცემით ო. ც-მ 2020 წლის 16 იანვრისა და იმავე წლის 23 იანვრის ეპიზოდებში ჩაიდინა – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენაში დახმარება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი).

50. საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა არ განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, რომელმაც უკვე არაერთხელ განმარტა, რომ ნარკოტიკული საშუალების გადაცემა ავტომატურად არ ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების გასაღებას და, რომ, ნარკოტიკული საშუალების ხელიდან ხელში გადაცემა არ გამოირიცხავს – ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დახმარებას (იხ.: *mutatis mutandis* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 26 აპრილის განაჩენი საქმეზე №844აპ-22, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 8).

51. ამდენად, ვინაიდან უტყუარად არ დასტურდება ო. ც-ს მიერ ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გასაღება, არამედ მის ქმედებაში გამოკვეთილია – ნარკოტიკული საშუალებების შეძენაში დახმარება, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრისა და იმავე წლის 23 იანვრის ეპიზოდები) წარდგენილ ბრალდებებში ო. ც. ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს, ხოლო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრისა და იმავე წლის 23 იანვრის ეპიზოდები) წარდგენილი ბრალდებები, უნდა დადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე (2020 წლის 16 იანვრისა და იმავე წლის 23 იანვრის ეპიზოდები), რომელთა ჩადენისთვისაც იგი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ.

52. ამასთან, ვინაიდან მსჯავრდებული ო. ც. უნდა გამართლდეს ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ გასაღების ნაწილში, გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილება ასევე უნდა შევიდეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე მსჯავრდებულისათვის ჩამორთმეული უფლებების ვადის შემსუბუქების კუთხით, კერძოდ, ო. ც-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხ-

ლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება უნდა ჩამოერთვას – 5 წლით; საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება უნდა ჩამოერთვას – 15 წლით, ხოლო საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები – 10 წლით.

53. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივლისის განაჩენს საკასაციო წესით ასაჩივრებს მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორი – გიორგი მექვაბიძე, რომელიც სადავოდ მიიჩნევს სასამართლოს გადანაცვეტილებას ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების – არაერთგზის ჩადენის ნაწილში (ორი ეპიზოდი) მსჯავრდებულის გამართლების კუთხით. საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასაბუთებას, რომ, ვინაიდან ოც-ს, წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს – 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით, მსჯავრი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისათვის, და არა – გასაღებისათვის, მას მსჯავრად ვერ შეეარცხება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, ანუ ნარკოტიკული საშუალების გასაღება, ჩადენილი არაერთგზის. გარდა ამისა, ო. ც. ამ განაჩენით გამართლდა ნარკოტიკული საშუალების გასაღების ნაწილში.

54. აქვე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ მსჯავრდებულ ო. ც-ს მიმართ წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრულ სასჯელზე კანონიერად გაავრცელა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონი, რომლის შესაბამისადაც მსჯავრდებული გაათავისუფლა 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან; ხოლო ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მასვე აღუდგა ამ განაჩენით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები (გარდა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებებისა). რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტს (ორი ეპიზოდი), რომლისთვისაც ო. ც-ს ბოლო განაჩენით უნდა დაედოს მსჯავრი და რომელიც მსჯავრდებულს ჩადენილი აქვს 2020 წლის 16 და 23 იანვარს, ესე იგი, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მოქ-

მედების გავრცელების პერიოდში – 2020 წლის 11 დეკემბრამდე, აღნიშნულ დანაშაულზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონით გათვალისწინებული შეღავათები ვერ გავრცელდება შემდეგ გარემოებათა გამო:

55. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით (გარდა ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო გასაღებისა) გათვალისწინებული დანაშაული. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის 1-ელი პუნქტის მიზნებისათვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული პირი ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება, თუ იგი წარსულში ნასამართლეს იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. მართალია, მსჯავრდებული ო. ც. უნდა გამართლდეს ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ბრალდების ნაწილში და მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მაგრამ, იგი წარსულში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით (ნარკოტიკული დანაშაული) გათვალისწინებული დანაშაულის გარდა, ასევე – ნასამართლესა საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XLIV თავით (დანაშაული სასამართლო აქტების აღსრულების წინააღმდეგ) გათვალისწინებულ დანაშაულს, რის გამოც მის მიმართ ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრული შეღავათი.

56. რაც შეეხება სასჯელს, საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამ-

სუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.

57. საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას (როგორც ამჟამად მოქმედი, ისე – 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) და წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულს. საკასაციო სასამართლომ შეაფასა, როგორც სასჯელის დანიშვნის ზოგადსავალდებულო გარემოებები, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებითა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი (დანაშაულთა სიმრავლე, რაც წარმოადგენს ჩადენილი ქმედების მახასიათებელ ისეთ გარემოებას, რომელიც მის საშიშროებას ზრდის, ახალი დანაშაულები ჩადენილია პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის პერიოდში) გარემოებებისა და ბრუნვაში უკანონოდ მოხვედრილი ნარკოტიკული საშუალების სახეობის („ჰეროინი“ შეტანილია ბრუნვისათვის მკაცრად შეზღუდული ნარკოტიკული საშუალებების ნუსხაში) მხედველობაში მიღებით, მიაჩნია, რომ ო. ც-ს ბრალდების თითოეულ ეპიზოდში უნდა მიესაჯოს – 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებასა და დამნაშავის რესოციალიზაციას.

58. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ ო. ც-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. დ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მარნეულის რაიონული პროკურორატურის პროკურორ გიორგი მექვაბიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივლისის განაჩენი უნდა შეიცვალოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლითა და 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ო. ც-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. დ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი მექვაბიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

3. შეიცვალოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივლისის განაჩენი;

4. ო. ც. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებებში.

5. ო. ც. ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებებში.

6. ო. ც-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე (2020 წლის 16 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. ო. ც-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება, გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 25, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), რომლის ჩადენისთვისაც იგი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

8. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სა-

ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (2020 წლის 23 იანვრის ეპიზოდი, 2021 წლის 21 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) განსაზღვრულმა სასჯელმა შთანთქმას მეორე თანაბარი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ო. ც-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით.

9. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომის და არსებითი განხილვის კოლეგიის 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით (საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით – დანაშაულთა ერთობლიობით) განსაზღვრული პირობითი მსჯავრი.

10. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის მე-5 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ო. ც. გათავისუფლდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, ხოლო ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მასვე აღუდგეს ამ განაჩენით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ჩამორთმეული უფლებები (გარდა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებებისა).

11. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა მთლიანად შთანთქმას წინა – თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 თებერვლის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 378²-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დანიშნული სასჯელის – 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი – 1 (ერთი) წლით, 11 (თერთმეტი) თვითა და 19 (ცხრამეტი) დღით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ო. ც-ს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლით.

12. ო. ც-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწეოს დაკავების მომენტიდან – 2020 წლის 30 იანვრიდან.

13. ო. ც-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – გაუქმებულია.

14. ო. ც-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ჩამოერთვას – 5 წლით, ხოლო: საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები – 10 წლით. მასვე, 15 წლით ჩამოერთვას – საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივლისის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

16. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ

ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნა-შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება

განაჩენი საქართველოს სახელით

№903აპ-23

26 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. ვასაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სამეგრელო-ზემო სვანეთის
საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი
პროკურორის ნონა თოლორაიას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპე-
ლაციო სასამართლოს 2023 წლის 8 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ზ. ა-ს ბრალად ედებო-
და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შექმნა-შენახვა გამოყენების
მიზნით და გამოყენება, დანაშაული, გათვალისწინებული საქართვე-
ლოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსკ-
ის) 362-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი).

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ზ. ა-ს მიერ ჩადენილი
ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2.1 ზ. ა-მ, 2013 წლის 20 სექტემბერს, უკანონოდ შეიძინა და ინახავ-
და, თითქოს მის სახელზე გაცემულ უკრაინულ მართვის მოწმობას
„BCD“ კატეგორიით, ნომრით ..., რომელიც მას შსს-ს ერთიან მონაცემ-
თა ელექტრონულ ბაზაში არ ერიცხებოდა და უკანონოდ გამოიყენა
2022 წლის 9 ივლისს, ქ. ..., ... ქუჩაზე, „ფორდის“ მარკის, სანომრე ნიშ-
ნით ... ავტომანქანის მართვისას. კერძოდ, 2022 წლის 9 ივლისს, დაახ-
ლოებით, 13:20 საათზე, ქ., ქუჩაზე მართავდა „ფორდის“ მარკის
ავტომობილს სანომრე ნიშნით – ... რა დროსაც გადამოწმების მიზნით,
შეაჩერეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა. ზ. ა-მ პატრულ-
ინსპექტორებს წარუდგინა თითქოს მის სახელზე, 2013 წლის 20 სექ-
ტემბერს გაცემული უკრაინული მართვის ყალბი მოწმობა „BCD“ კა-
ტეგორიით, ნომრით – ..., რითაც გამოიყენა იგი;

2.2 ზ. ა-მ, 2013 წლის 20 სექტემბერს, უკანონოდ შეიძინა და ინახავდა, თითქოს მის სახელზე გაცემულ უკრაინულ მართვის მოწმობას „BCD“ კატეგორიით, ნომრით –, რომელიც მას შსს-ს ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ ერიცხებოდა და უკანონოდ გამოიყენა 2019 წლის 19 დეკემბერს „ფორდის“ მარკის ავტომობილის, სანომრე ნიშნით, მართვისას, კერძოდ, ზ. ა-მ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს წარუდგინა თითქოს მის სახელზე, 2013 წლის 20 სექტემბერს, გაცემული, ყალბი უკრაინული მართვის მოწმობა „BCD“ კატეგორიით, ნომრით, რითაც გამოიყენა იგი;

2.3. ზ. ა-მ, 2013 წლის 20 სექტემბერს, უკანონოდ შეიძინა და ინახავდა, თითქოს მის სახელზე გაცემულ უკრაინულ მართვის მოწმობას „BCD“ კატეგორიით, ნომრით, რომელიც მას შსს-ს ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ ერიცხებოდა და უკანონოდ გამოიყენა 2021 წლის 8 თებერვალს „ფორდის“ მარკის ავტომობილის, სანომრე ნიშნით, მართვისას, კერძოდ, ზ. ა-მ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს წარუდგინა, თითქოს მის სახელზე, 2013 წლის 20 სექტემბერს, გაცემული, ყალბი უკრაინულ მართვის მოწმობა „BCD“ კატეგორიით, ნომრით –, რითაც გამოიყენა იგი;

2.4. ზ. ა-მ, 2013 წლის 20 სექტემბერს, უკანონოდ შეიძინა და ინახავდა, თითქოს მის სახელზე გაცემულ, უკრაინულ მართვის მოწმობას „BCD“ კატეგორიით, ნომრით –, რომელიც მას შსს-ს ერთიან მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არ ერიცხებოდა და უკანონოდ გამოიყენა 2021 წლის 6 ივნისს „ფორდის“ მარკის ავტომობილის, სანომრე ნიშნით –, მართვისას, კერძოდ, ზ. ა-მ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს წარუდგინა თითქოს მის სახელზე, 2013 წლის 20 სექტემბერს გაცემული, ყალბი უკრაინულ მართვის მოწმობა „BCD“ კატეგორიით, ნომრით –, რითაც გამოიყენა იგი.

3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 3 აპრილის განაჩენით:

3.1. ზ. ა-ე საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.2. ზ. ა-ე საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.3. ზ. ა-ე საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.4. ზ. ა-ე საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.5. ზ. ა-ს საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მართვის მოწმობა, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, უნდა დაუბრუნდეს ზ. ა-ს;

3.6. გამართლებულ ზ. ა-ს განემარტა მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ უფლების თაობაზე.

4. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსმა პროკურორმა ნონა თოლორაიამ მოითხოვა გაუქმდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 3 აპრილის გამამართლებელი განაჩენი ზ. ა-ს მიმართ და გამოტანილ იქნეს გამამტყუნებელი განაჩენი.

4.1. ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი წარადგინა გამართლებულ ზ. ა-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა რ. კ-მ მოითხოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 3 აპრილის განაჩენის უცვლელად დატოვება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 8 ივნისის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 3 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსმა პროკურორმა ნონა თოლორაიამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 8 ივნისის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ზ. ა-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა, ზ. ა-ს დამნაშავედ ცნობა წარდგენილი ბრალდების ყველა ეპიზოდით და მისთვის სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საპროკურორო სამმართველოს უფროსი პროკურორის ნონა თოლორაიას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქარველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდეგში – საქართველოს სსსკ-ის) 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა: პროკურორმა, რომელიც ითხოვს გამართლებულ ზ. ა-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოთხი ეპიზოდი) და შესაბამის

სი სასჯელის განსაზღვრას.

3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 362 მუხლის დანაშაულის შემადგენლობა ფორმალურია და იგი დამთავრებულად ითვლება მოქმედების ჩადენისთანავე, იქნება ეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, შეძენა, შენახვა გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება, თუ გამოყენება. ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება დამთავრებულად ითვლება ყალბი ოფიციალური დოკუმენტის ოფიციალური წარდგენის მომენტიდან, მიუხედავად იმისა, მიაღწია თუ არა პირმა სასურველ შედეგს. აღნიშნული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა (ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. ამასთანავე, ამ მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, პირმა იცოდეს, რომ ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც ის იყენებს, არის ყალბი.

4. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მხარეთა შორის სადავო არ არის ზ. ა-ს მიერ 2013 წლის 20 სექტემბრს მის სახელზე გაცემული უკრაინული მართვის მოწმობის „BCD“ კატეგორიის, ნომრით ფლობა და 2019 წლის 19 დეკემბერს, 2021 წლის 8 თებერვალს, 2021 წლის 6 ივნისსა და 2022 წლის 9 ივლისს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისას პოლიციის თანამშრომლებისათვის წარდგენის ფაქტი; ასევე 2022 წლის 9 ივლისს ლ. ფ-ს და ნ. გ-ს მიერ ზ. ა-საგან მითითებული მართვის მოწმობის ამოღება და სათანადო წესით დალუქვა. მხარეთა შორის დავის საგანია, ზ. ა-ს მიერ წარმოდგენილი უკრაინული მართვის მოწმობა (ნომრით) არის თუ არა ყალბი და შესაბამისად, ზ. ა-ს მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის შეძენა, შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება.

5. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ზ. ა-ს უდანაშაულობის შესახებ იმაზე მითითებით, რომ: სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად დასკვნის გამოტანა – სახელზე გაცემული მართვის მოწმობის სიყალბის შესახებ.

6. სასამართლო ითვალისწინებს, 2022 წლის 21 ივლისის №..... დოკუმენტის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმად ექსპერტიზაზე წარდგენილი უ-ს მართვის მოწმობის ბლანკი №... შევსებული – სახელზე დამზადებულია სტამბური წესით და შეესაბამება ანალოგიური სახის მქონე ნამდვილი დოკუმენტის ბლანკს. მასში ცვლილებები შეტანილი არ არის. სასამართლო სხდომაზე ექსპერტმა რ... ხ... მ-მ დაადასტურა მის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის

სისწორე და ავთენტურობა. ამასთან, მოწმის სახით დაკითხვისას მიუთითა, რომ მართვის მოწმობა სტამბური წესითაა დამზადებული, ცვლილებები შეტანილი არ არის.. ოფიციალურად სადაც მზადდება დოკუმენტები იმ სტამბაში დამზადებული დოკუმენტია... მის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ რა თქმა უნდა შესაძლებელია ეს სტამბა ბოროტადაც იქნეს გამოყენებული.

7. სასამართლო ითვალისწინებს, 2022 წლის 16 აგვისტოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი/სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს უფროსის ა. ხ-ს წერილს, რომლითაც მიმართა შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის (მთავარი სამმართველო) უფროსს (მთავარი სამმართველოს უფროსი) ვიცე-პოლკოვნიკ ს. ს-ს რათა ეცნობებინათ მართვის მოწმობა სერიული ნომრით №...., „...“, „...“, „...“ კატეგორიებით, გაცემული იყო თუ არა საქართველოს მოქალაქე, ... წელს დაბადებულ ზ-... ო-.....ში მცხოვრებ ზ. ჟ-ს ძე ა-ის (პ/ნ) სახელზე, უ-ს რესპუბლიკის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, დადებითი პასუხის შემთხვევაში როდის და რა წესით იქნა გაცემული (წერილს დაერთო ზ. ა-ს მართვის მოწმობის ასლი).

7.1. 2022 წლის 17 აგვისტოს უ-ს ნაციონალური პოლიციიდან მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ მართვის მოწმობის №.... ზ-.... ა-ის (დაბ.: ... წელს) სახელზე გაცემა უ-ს შსს ერთიან საინფორმაციო სისტემათა ბაზაში არ ფიქსირდება.

7.1.1. სასამართლო ითვალისწინებს, რომ უ-ს ნაციონალური პოლიციიდან მიღებულ პასუხში, ზ. ა-ს გვარში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა (ა-ის ნაცვლად მითითებულია ა-ე), თუმცა მითითებული დოკუმენტი შედგენილია ა. ხ-ს მიმართვის საფუძველზე, სადაც ზ. ა-ს მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების წელი) სწორად იყო მითითებული. ამასთან, წერილის პასუხში გარდა მითითებული ტექნიკური შეცდომისა, სხვა ყველა მონაცემი, მათ შორის ზ. ა-ს დაბადების თარიღი, ზ. ა-ს სახელზე გაცემული მართვის მოწმობის ნომერი სწორადაა მითითებული.

8. სასამართლო ასევე ითვალისწინებს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის საოლქო პროკურორ გიორგი მიქაიას უ-ს გენერალური პროკურატურისათვის გაგზავნილ შუამდგომლობას სისხლის სამართლის №..... საქმეზე სამართლებრივი დახმარების განევის შესახებ. რომლის თანახმად, იმისათვის, რათა საბოლოოდ დადგინდეს წელს დაბადებული ზ. ა-ს სახელზე უკრაინაში გაცემული მართვის მოწმობის – №..., „...“, „...“, „...“ კატეგორიის რეალურობა, აუცილებელია უ-ს ტერიტორიაზე ჩატარდეს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის

სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ“ მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონვენციის მე-4, მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, უ-ს რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოებს მიმართეს შუამდგომლობით, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე განახორციელონ შემდეგი საპროცესო მოქმედებები: ა) დადგინდეს – წელს დაბადებული, ზ. ჟ-ს ძე ა-ის სახელზე საერთოდ გაცემულია (ან გაცემული იყო) თუ არა უ-ს შესაბამისი ორგანოების მიერ მძღოლის მართვის მოწმობა; ბ) დადებით შემთხვევაში როდის იქნა გაცემული ეს დოკუმენტი და მისი სრული მონაცემები (კატეგორიები, დოკუმენტის ნომერი და ა.შ.); გ) მძღოლის მართვის მოწმობა ნომრით -, „.....“ კატეგორიის გაცემულია თუ არა უ-ს რესპუბლიკის მიერ; დ) დადებით შემთხვევაში ვის სახელზე იქნა გაცემული ზემოაღნიშნული მძღოლის მართვის მოწმობა.

9. უ-ს გენერალური პროკურორის ოფისიდან სისხლის სამართლის №..... საქმეზე შემოსული სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის შესრულებული მასალების თანახმად:

9.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარ სერვის-ცენტრში კომპეტენციის ფარგლებში განხილულ იქნა მოთხოვნა საქართველოს კომპეტენტური ორგანოებისთვის სისხლის სამართლის №... საქმეზე დახმარების განევის შესახებ, რომელიც ეხებოდა ... სერიის №... მართვის მოწმობის გაცემას საქართველოს მოქალაქე ზ. ჟ-ს ძე ა-ზე, დაბადებული 1... წლის ...

9.2. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან სახელმწიფო რეესტრში არსებული ინფორმაციის მიხედვით 2022 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით ... სერიის №...- მართვის მოწმობა 2016 წლის 27 იანვარს არის გაცემული სხვა პირზე. 2016 წლის 21 ოქტომბრიდან აღნიშნულ მართვის მოწმობას მინიჭებული აქვს დაკარგულის სტატუსი. რეესტრში არ არის ცნობები ზ. ჟ-ს ძე ა-ზე, დაბადებული 1... წლის ...

10. შესაბამისად, სასამართლო ითვალისწინებს, რომ სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე გამოგზავნილი დოკუმენტებით ცალსახად დასტურდება, რომ ზ. ა-ს მიერ 2019 წლის 19 დეკემბერს, 2021 წლის 8 თებერვალს, 2021 წლის 6 ივნისსა და 2022 წლის 9 ივლისს საპატრულო პოლიციის შესაბამისი თანამშრომლებსათვის წარდგენილი უკრაინული მართვის მოწმობა „BCD“ კატეგორიის, ნომრით უკრაინაში, შესაბამის სამსახურს მის სახელზე არ გაუცია.

10.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას მოცემული ინფორმაციის გაუზიარებლობის შესახებ, იმ საფუძველით, რომ სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობაში არ არის მითითებული, თუ ვის სახელზე იყო

გაცემული №... მართვის მოწმობა, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, ზ. ა-ს პასუხისმგებლობის საკითხისათვის გადამწყვეტია ის ფაქტი, რომ მოწმობა სერიული ნომრით №..., „...“ კატეგორიებით გაცემული არ იყო ზ. ა-ს მიმართ, უფრო მეტიც, რეესტრში არ არის ცნობები ზ. ა-ს ძე ა-ეზე, დაბადებული 1... წლის .., რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებს, რომ უ-ს შესაბამისი ორგანოების მიერ მართვის მოწმობა ზ. ა-ს მიმართ საერთოდ არ გაცემულა.

11. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ საგამოცდო ბარათთან მიმართებით, სასამართლო ითვალისწინებს, რომ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილია საგამოცდო ბარათის ასლი (რომელიც ითარგმნა და თარგმანი დაამოწმა ნოტარიუსმა), რომლის ნამდვილობა შესაბამისი წესით არ არის დამოწმებული და სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მისი გაზიარების თუ სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ.

12. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია ზ. ა-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (ოთხი ეპიზოდი) ჩადენა.

13. სასამართლო ითვალისწინებს, რომ, საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. „სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხესთან გონივრულ პროპორციაში ... სასჯელის დაკისრება უნდა მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38). შესაბამისად, სასჯელის მიზნის რეალიზაციას სასჯელის სიმკაცრე კი არაა, მისი გარდაუვალობა განაპირობებს.

14. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს – ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე.

15. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ზოგადად, სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს მის უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებაზე ორიენტირებული. თუ პასუხისმგებლობის სხვა ზომები/სახეები ობიექტურად საკმარისია კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნების მისაღწევად, კანონი უნდა უბიძგებდეს სამართალშემფარდებელს, სწორედ არასაპატიმრო ალტერნატივების გამოყენებისკენ“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015

ნლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-96). პატიმრობის ultima ratio ხასიათიდან გამომდინარე, სასჯელის სახით პატიმრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ეს ობიექტურად აუცილებელია ქმედების სიმძიმის, გამოწვევადი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც, თუ არა საზოგადოებისგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა.

16. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციასა (ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით) და საქართველოს სსკ-ის 39-ე და 53-ე მუხლების მოთხოვნებს, იმ გარემოებას, რომ ზ. ა-მ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაულები, არ არის სასამართლო და მიზანშეწონილად მიაჩნია ზ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების (ოთხი ეპიზოდი) ჩადენისათვის თითოეულ შემთხვევაში სასჯელის სახედ განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის საპროკურორო საქმარტველოს უფროსი პროკურორის ნონა თოლორაიას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 8 ივნისის განაჩენი;

3. ზ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (2022 წლის 9 ივლისის ეპიზოდი) ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი;

4. ზ. ა-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (2019 წლის 19 დეკემბრის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი;

5. ზ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილით (2021 წლის 8 თებერვლის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი;

6. ზ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (2021 წლის 6 ივნისის ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი;

7. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თანაბარი სასჯელებიდან საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (2019 წლის 9 ივლისის ეპიზოდი) დანიშნულმა ერთმა სასჯელმა შთანთქოს სხვა თანაბარი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით ზ. ა-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი;

8. საქართველოს სსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მართვის მოწმობა, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს განადგურდეს;

9. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ზ. ა-სთვის შეფარდებული ალკოჰოლის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია;

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სისხლის სამართლის პროცესი
კერძო ნაწილი**

კასაცია

საკასაციო განაჩენი

**გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად
გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსკ-ის
179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“
ქვეპუნქტებით**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№902აპ-23

26 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ვასაძე (თავმჯდომარე),

შ. თაღუმაძე,

ლ. ფაფიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის რაიონული პროკუ-
რატურის პროკურორ ქეთევან უზნაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის
სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023
წლის 31 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-
მეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასა-
ჩივრა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, ქეთევან
უზნაძემ, რომელიც ითხოვს, ზ. ფ-სა და მ. ს-ს დამნაშავეებად ცნობას
საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის
„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მ.
ს-სთვის სასჯელის დაუნიშნავად, ხოლო ზ. ფ-სთვის სამართლიანი
სასჯელის დანიშვნით, ვინაიდან მიიჩნევს, რომ გამამართლებელი გა-
ნაჩენი არ ემყარება სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილ
მტკიცებულებებს, დაუსაბუთებელია და არ პასუხობს საპროცესო
კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს; შემთხვევის ადგილის დათვალიე-
რების ოქმით ირკვევა, რომ ... მდებარე შპს „...“ ოფისიდან ამოღებულია
ნებოვანი ლენტის ფრაგმენტები, მონითალო ლაქების ანაწმენდები,

ორი ე.წ. „ხამუთი“ და ქალის შარფი, რომლებზეც აღმოჩნდა ადამიანის სისხლი; დაზარალებულ ნ. ნ.-ს ჩვენებით დგინდება, რომ 2020 წლის 19 იანვარს, ოფისში ყოფნისას თავს დაესხა სამი პირი, მათ შორის – მ. ს. და ზ. ფ., რომლებმაც წააქციეს და სხეულსა და თავზე უმოწყალოდ ურტყამდნენ ფეხებს, ამავდროულად, მ. ს.-მ თავში ჩაარტყა ბლაგვი საგანი, რომელიც იარაღს მიაშვავსა. მოგვიანებით შუბლიდან მართლაც ამოუდეს საფანტი, რაც დადგენილია სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებით, რისი გათვალისწინებითაც, დასტურდება, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სისხლი ეკუთვნის დაზარალებულ ნ. ნ.-ს; ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებით დასტურდება, რომ დაზარალებულმა მისთვის წარდგენილ ფოტოსურათებზე უყოყმანოდ ამოიცნო მ. ს. და ზ. ფ., რომლებიც სასამართლოში ჩვენების მიცემისას ასევე ამხილა დანაშაულის ჩადენაში; ზ. ფ.-ს ჩხრეკის ოქმითა და მოწმეების სახით დაკითხული გამომძიებლების – ო. ხ.-სა და გ. ა.-სა ჩვენებებით დგინდება, რომ ზ. ფ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია „Louis Vuitton-ის“ წარწერიანი საფულე, რომელშიც მოთავსებული იყო ნ. ნ.-სა და მისი ოჯახის წევრების პირადი ნივთები, მათ შორის – ფოტოსურათები, პლასტიკური ბარათები, პირადობის მოწმობა, ხოლო მ. ს.-ს პირადი ჩხრეკის ოქმითა და მოწმეების სახით დაკითხული გამომძიებლების – ლ. შ.-სა და გ. ნ.-ს ჩვენებებით დასტურდება, რომ მ. ს.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია ნ. ნ.-ს კუთვნილი ოქროსფერი ძეწკვი, ჯვრით, რომლებიც ამოიცნო დაზარალებულმა. ამავდროულად, დადგენილია, რომ ზემოხსენებულ საფულეზე არსებული სისხლისა და ზ. ფ.-ს გასაღების ასხმაზე აღმოჩენილი ბიოლოგიური მასალა იდენტურია, ხოლო მ. ს.-ს ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ მოშავო კაპიუშონიანი მაისურსა და ზ. ფ.-ს სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულ გრძელსახელოიან მაისურზე აღმოჩენილია დაზარალებულის სისხლი, რაც მიუთითებს ზ. ფ.-სა და მ. ს.-ს შემთხვევის ადგილზე ყოფნასა და დაზარალებულის ნივთების გატაცების ფაქტზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, რამეთუ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი, ეჭვისგამომრიცხველი მტკიცებულებების ერთობლიობით, სარწმუნოდ დგინდება ზ. ფ.-სა და მ. ს.-ს ბრალეულობა.

2. გამართლებულ მ. ს.-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. დ., საკასაციო შესაგებლით ითხოვს, ქუთაისის რაიონული პროკურორატურის პროკურორ ქეთევან უზნაძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. ბრალდების შესახებ დადგენილებების მიხედვით, ზ. ფ.-სა, – დაბადებულს ... წლის 6 სექტემბერს, – და მ. ს.-ს, – დაბადებულს ... წლის 27

მარტს, – ბრალად დაედოთ: ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგით:

3.1. 2020 წლის 19 იანვარს, დაახლოებით, 14:20 საათზე, მდებარე შპს „...“ ოფისში, ზ. ფ., მ. ს. და ა. უ. (რომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხადობის საფუძვლით), ჯგუფურად, თავს დაესხნენ ნ. ნ-ს, რომელსაც თავში ჩაარტყეს ბლაგვი საგანი, სხეულის სხვადასხვა არეებში მიაყენეს ჯანმრთელობის დაზიანებები, ნებოვანი ლენტით შეუკრეს ხელ-ფეხი და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაეუფლნენ დაზარალებულის 1500 ევროს, ჩანთას და ოქროს სამკაულებს, რის შედეგადაც ნ. ნ-ს მიადგა – 12525 ლარის – დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი.

4. ზ. ფ-სა და მ. ს-ს წარედგინათ ბრალდებები საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.

5. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის განაჩენით ზ. ფ-ს და მ. ს. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში ცნობილ იქნენ უდანაშაულოებად და გამართლდნენ.

6. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, ქეთევან უზნაძემ, რომელიც ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და ზ. ფ-სა და მ. ს-ს დამნაშავეებად ცნობას მათთვის ბრალად შერაცხილი ქმედებების ჩადენისათვის.

7. №... გარდაცვალების მოწმობის მიხედვით, მ. ს., – დაბადებული ... წლის 27 მარტს, – ... წლის 1 სექტემბერს გარდაიცვალა.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 15 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა, გააანალიზა კასატორის საკვანძო არგუმენტები და მიაჩნია, რომ ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან უზნაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის

გამამართლებელი განაჩენი გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები არ იყო საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, რამეთუ დაზარალებულ ნ. ნ-ს ჩვენება და მისი მონაწილეობით ჩატარებული ამოცნობის ოქმები ვერ განიხილებოდა, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამხილები და ვერ შექმნიდნენ მტკიცებულებათა იმგვარ ერთობლიობას, რომელიც საკმარისია გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, ხოლო სხვა სამხილები, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდნენ ზ. ფ-სა და მ. ს-ს ბრალეულობას, სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა, რასაც საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება შემდეგ გარემოებათა გამო:

3. დაზარალებულ ნ. ნ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ 2020 წლის 19 იანვარს იმყოფებოდა ... არსებულ „...“ ოფისში, სადაც თავს დაესხა სამი შუა ხნის მამაკაცი, მათ შორის – ზ. ფ. და მ. ს., რომლებსაც არ ეკეთათ ნიღბები და მათი სახეები კარგად დაინახა. მ. ს-მ თავში ჩაარტყა შავი, ბლაგვი საგანი, სავარაუდოდ, იარაღი. ეგონა, დენმა დაარტყა, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. მოგვიანებით, თავიდან ამოუღეს საფანტის-მაგვარი საგანი. თავდამსხმელები გამეტებით სცემდნენ, რის გამოც, წაიქცა. ფეხები წებოვანი ლენტით შეუკრეს. წაქცეულს, სქელძირიანი ფეხსაცმელებს ურტყამდნენ, რის გამოც, ღონე გამოეღია და წინააღმდეგობას ვეღარ სწევდა, არ ეგონა, თუ გადარჩებოდა. იყო სულ სისხლიანი და შველას ითხოვდა, მაგრამ ოფისის კარი იყო დაკეტილი და მისი ხმა არავის ესმოდა. მ. ს-მ ყელიდან ჩამოჰგლიჯა ძეწკვი, ხოლო ზ. ფ-მ წაიღო ჩანთა. თავდამსხმელებმა გასტაცეს ჩანთა, 1500 ევროთი, მისი და მისი ქალიშვილის ოქროს ნივთები და წავიდნენ. მოგვიანებით, ჩატარებული ამოცნობის დროს, ამოიცნო სამივე თავდამსხმელი, მათ შორის იყვნენ – ზ. ფ. და მ. ს.. თავდასხმის შედეგად მიაღდა, სულ, დაახლოებით, 12000 ლარის ზიანი. გამოძიების დროს წარუდგინეს და ამოიცნო შემთხვევის დროს გატაცებული მისი ორი ჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო მისი და მისი ოჯახის წევრების პირადი ნივთები და ასევე – ოქროს ძეწკვი, ჯვრით, რომელსაც დაზიანებული ჰქონდა შესაკრავი.

4. 2020 წლის 19 იანვრის ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებით დგინდება, რომ დაზარალებულმა ნ. ნ-მ, ერთი მხრივ, მისთვის წარდგენილ ოთხ ფოტოსურათს შორის ამოიცნო მ. ს., რომელიც 2020 წლის 19 იანვარს, თანმხლებ პირებთან ერთად თავს დაესხა შპს „...“ ოფისში, სცემა მას, შუბლში ჩაარტყა პისტოლეტი, რომლიდანაც ესროლა და შებოჭა წებოვანი ლენტით, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე წარდგენილ ოთხ ფოტოსურათს შორის, ამოიცნო ზ. ფ., რომელიც 2020 წლის 19 იანვარს, თანმხლებ პირებთან ერთად თავს დაესხა შპს „...“ ოფისში, სცემა და

გასტაცა ხელჩანთა და საფულე.

5. სააპელაციო სასამართლოს მტკიცების საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დაზარალებულ ნ. ნ-ს ჩვენება, გარდა მისივე მონაწილეობით ჩატარებული ამოცნობის ოქმებისა, ასევე – დასტურდება: სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ზ. ფ-სა და მ. ს-ს სახლებში ჩატარებული ჩხრეკების ოქმებითა და ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით, რომლებსაც საკასაციო სასამართლო ქვემოთ მიმოიხილავს:

6. დაზარალებულ ნ. ნ-ს განმარტებები შემთხვევის დროს, ზ. ფ-სა და მ. ს-ს თავდასხმისას, მასზე ფიზიკური ძალადობის, მათ შორის – მ. ს-ს მიერ იარაღისმაგვარი საგნით თავზე მიყენებულ ჭრილობასთან დაკავშირებით, სრულად არის თანხვედნილი სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნებსა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის შინაარსთან, კერძოდ:

7. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ნ. ნ-მ „ვეექსის“ ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალს მიმართა შემთხვევის დღეს – 2020 წლის 19 იანვარს, უჩიოდა თავის ტკივილსა და გულისრევის შეგრძნებას. მარცხნივ, წარბის არეში აღენიშნებოდა, დაახლოებით, 3,5-0,5 სმ ზომის, ოდნავ სისხლმდენი ჭრილობა, არასწორი კიდეებით და 0,25 მმ დიამეტრის ორი ზერელე, ოვალური ჭრილობა, არასწორი კიდეებით; ცხვირის ღრუში – სისხლის კოაგულები; თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევით, თხემის არეში მარჯვნივ, კანქვეშ აღმოაჩნდა უცხო სხეული (სავარაუდო ლითონის); შუბლის არეში ჭრილობა გამოირეცხა, კიდეები დამუშავდა და დაედო კვანძოვანი ნაკერები; თხემის არეში ჭრილობა გაფართოვდა და ამოიღეს 0,3 მმ დიამეტრის კანქვეშა უცხო სხეული – ლითონის თეთრი ბურთულა; მიღებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, დაზარალებულს დაესვა დიაგნოზი: ქალა-ტვინის ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, ნახეთქი ჭრილობა შუბლის არეში, მარცხნივ, ცეცხლნასროლი ჭრილობები თხემის არეში, მარცხნივ. დაზიანებები ცეცხლნასროლი ჭრილობების სახით განვითარებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის (ჭურვების), ხოლო სხვა დანარჩენი დაზიანებები – რაიმე მკვრივი-ბლავი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად. დაზიანება თავის ტვინის შერყევის სახით, იზოლირებულად აღებული, მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად, ხოლო დაზიანებები ჭრილობების სახით, იზოლირებულად აღებული – სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით.

8. ამავდროულად, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით დას-

ტურდება, რომ ნ. ნ-ს შუბლიდან ამოღებულია: 4,5 მმ კალიბრიანი, პნევმატური იარაღიდან (შაშხანები და პისტოლეტები) გასროლისათვის განკუთვნილი, ქარხნული წესით დამზადებული, სატყორცნი ჭურვი, რომელიც არ წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალის გასაწყობად გამოსაყენებელ საკუთვნოს.

9. 2020 წლის 19 იანვრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, შემთხვევის ადგილია – ... განთავსებული „...“ საბერძნეთის ოფისი, რომლის შესასვლელი კარის შიდა და გარე სახელურებზე, იატაკის მთელ გაყოლებასა და მეტლახზე, ყველგან, აღინიშნებოდა დიდი რაოდენობით მოწითალო სისხლისმაგვარი ლაქები და აღმოჩენილია ნებოვანი ლენტის ფრაგმენტები, თმისმაგვარი ლერებით, ქალის შარფი, მოწითალო სისხლისმაგვარი ლაქებით და 2 პლასტმასის ე.წ. „ხამუთი“.

10. ასევე საყურადღებოა მოწმე ბ. ჭ-ს ჩვენება, რომლითაც ირკვევა, რომ მდინარე რიონის პირას იპოვნა შავი, ტყავის საფულე, რომელსაც წინა მხარეს აქვს სიმბოლო – „MK“, ხოლო წრეზე აქვს წარწერა „Michael Kors“, მასში მოთავსებული საბუთებით და წარადგინა პოლიციაში, რომლის დათვალიერებისას საფულეში აღმოჩნდა ნ. ნ-ს სახელზე გაცემული ID-ბარათი და მართვის მოწმობა, ბ. ყ-ს სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, „თიბისი ბანკის“, „პე ეს პე-ს“, „ვითიბი ბანკის“, „ლიბერთი ბანკის“, „საქართველოს ბანკის“ პლასტიკური ბარათები და ასევე – რამდენიმე ფურცელზე პასტით შესრულებული პერსონალური ჩანაწერები, რომლებიც, მოგვიანებით, 2020 წლის 23 იანვარს, ამოიცნო დაზარალებულმა ნ. ნ-მ და მიუთითა, რომ საფულე და მასში მოთავსებული ნივთები არის მისი საკუთრება, ID-ბარათი, მართვის მოწმობა და პლასტიკური ბარათები ეკუთვნის პირადად მას, ხოლო ბ. ყ., რომელსაც ეკუთვნის საფულეში მოთავსებული პირადობის მოწმობა, არის მისი ოჯახის წევრი.

11. რაც შეეხება დაზარალებულ ნ. ნ-ს მტკიცებას, რომ შემთხვევის დღეს მას თავს დაესხნენ სწორედ ზ. ფ. და მ. ს. და ძალადობის გამოყენებით გასტაცეს ნივთები, გარდა დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმებისა, ასევე ცალსახად დასტურდება თავად ზ. ფ-სა და მ. ს.ს სახლების ჩხრეკის ოქმებითა და ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით, კერძოდ:

12. 2020 წლის 19 იანვარს ... №.... არსებულ, მ. ს-ს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ამოღებულია: შავი ნაჭრის ქურთუკი, შავი ნაჭრის კაპიუშონიანი ქურთუკი, „Reebok-ის“ წარწერით, მონაცრისფრო, კუბოკრული ნაჭრის თბილი კაშნე და ერთი წყვილი მა-

ვი სპორტული ფეხსაცმელი.

13. 2020 წლის 19 იანვარს ... №... არსებულ, ზ. ფ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია: ჯინსის შარვალი, შავი გრძელსახელოიანი მაისური მუქი ლაქებით, ასევე – მამაკაცის ერთი წყვილი, შავი ფეხსაცმელი.

14. და ბოლოს ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ, ერთი მხრივ, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ: ანანმენდებზე, ე.წ. „ხამუთზე“, ქალის შარფზე, წებოვან ლენტზე, ასევე – დაზარალებულ ნ. ნ-ს ტანსაცმელზე, ხოლო, მეორე მხრივ, მ. ს-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებულ მაისურსა და ზ. ფ-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებულ მაისურზე არსებული მონითალო ლაქები – არის ადამიანის სისხლი, რომლის გენეტიკური პროფილი ეკუთვნის მდედრობითი სქესის პირს, იდენტიურია ერთმანეთისა და შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ წებოვან ლენტსა და ამავე ლენტზე მიკროულ თმებზე არსებული ბიოლოგიური მასალის გენეტიკური პროფილისა.

15. საყურადღებოა, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ ზ. ფ-სა და მ. ს-ს წარდგენილ ბრალდებებში გამართლებას საფუძვლად დაედო სასამართლოს მიერ რამდენიმე ფაქტობრივი გარემოების გამოკვეთა, რომლებიც, თითქოსდა, ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად გამორიცხავს მათ ბრალეულობას, რასაც საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება და აღნიშნავს:

16. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაპყრო დაზარალებულ ნ. ნ-ს ჩვენებას, რომლის მიხედვით, თავდამსხმელებმა გასტაცეს ერთი შავი ხელჩანთა და ერთი შავი საფულე, თუმცა, ამავდროულად, დაზარალებულმა დაადასტურა გამოძიების დროს, გამოკითხვისას მიწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, დამნაშავეებმა თან ნაილეს პატარა ზომის, კუბოკრული საფულე და საშუალო ზომის შავი, ლაქის ხელჩანთა, წარწერით „Roberto Cavali“, მაშინ როდესაც საგამოძიებო მოქმედებისას ამოიცნო ბ. ჭ-საგან ამოღებული შავი საფულე წარწერით „Michael kors“, რაც იმის გათვალისწინებით, რომ გამოძიების მსვლელობისას, როგორც ბ. ჭ-ს მიერ სამართალდამცავებისათვის წარდგენილ შავ საფულეში, ასევე – მოგვიანებით ამოღებულ კუბოკრულ საფულეში აღმოჩენილია დაზარალებულ ნ. ნ-სა და მისი ოჯახის წევრების პირადი ნივთები, მათ შორის – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტოსურათები, პირადი ჩანაწერები და სახელობითი პლასტიკური ბარათები, მხოლოდ ის უმნიშვნელო გარემოება, რომ დაზარალებულმა გამოძიების დროს არასწორად მიუთითა საფულის ბრენდი, ვერ გახდის საეჭვოს ამოღებული ნივთების დაზარალებულისადმი კუთვნილების ფაქტს და ვერ დაუკარგავს სანდოობას ნ. ნ-ს

თანმიმდევრულ და დამაჯერებელ ჩვენებას.

17. სააპელაციო სასამართლომ ბიოლოგიურ (გენეტიკურ, სეროლოგიურ) დასკვნასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დასკვნის ირგვლივ დაკითხული ექსპერტის, ეკატერინე სხირტლაძის განმარტებით, მ. ს-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულ მაისურსა და ზ. ფ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებულ მაისურზე არსებული სისხლი ეკუთვნის მდედრობითი სქესის ერთსა და იმავე პირს, რომლის ვინაობა საექსპერტო კვლევის დროს იყო უცნობი, ხოლო საქმის მასალებით დადგენილია, რომ გამოძიების დროს, დაზარალებულ ნ. ნ-საგან ბიოლოგიური მასალის ნიმუში, ექსპერტიზაზე მისი შემდგომი წარდგენის მიზნით, არ აღებულია, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, გაუგებარია, ვინ არის მდედრობითი სქესის პირი, ვისი ბიოლოგიური მასალაც აღმოჩნდა ზ. ფ-სა და მ. ს-ს ტანსაცმელზე და, ამდენად, ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნა არ მიიჩნია მათი ბრალის დამადატურებელ მტკიცებულებად.

18. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებში მართლაც არ მოიპოვება დაზარალებულ ნ. ნ-საგან ბიოლოგიური მასალის ნიმუშის აღების ოქმი, სააპელაციო სასამართლოს ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩენოდა ის ფაქტი, რომ ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით, რომელსაც ამ სამხილის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, სამხილების შეფასების დროს, უპირობოდ ძალიან მაღალი ფასი აქვს, სარწმუნოდ დასტურდება, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ: დაზარალებულის შარფზე, ანანმენდებზე, ე.წ. „ხამუთსა“ და წებოვან ლენტზე, რომლითაც თავდამსხმელებმა შებოჭეს ნ. ნ., ასევე – ტანსაცმელზე, რომელიც დაზარალებულს ეცვა შემთხვევის დროს აღმოჩენილი სისხლი ეჭვგარეშე ეკუთვნის სწორედ დაზარალებულ ნ. ნ-ს და იდენტურია მ. ს-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებულ მაისურსა და ზ. ფ-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებულ მაისურზე არსებული სისხლის კვალისა. ამდენად, ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით, სარწმუნოდ დგინდება, რომ დაზარალებულის სისხლის კვალი აღმოჩენილია როგორც – შემთხვევის ადგილზე, იმ ტანსაცმელზე, რომელიც ნ. ნ-ს ეცვა თავდასხმის დროს და იმ ნივთებზე, რომლებიც თავდამსხმელებმა გამოიყენეს მისი წინააღმდეგობის დასათრგუნად, ასევე – ზ. ფ-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებულ მაისურსა და მ. ს-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებულ მაისურზე, რაც დაზარალებულ ნ. ნ-ს ჩვენებისა და ფოტოსურათებით ამოცნობის ოქმების კვალდაკვალ, ცხადყოფს დანაშაულის ჩადენის დროს შემთხვევის ადგილზე ზ. ფ-სა და მ. ს-ს ყოფნასა და ნივთების გატაცების მიზნით დაზარალებულზე თავ-

დასხმის ფაქტს.

19. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები – დაზარალებულ ნ. ნ-სა და მოწმე ბ. ჭ-ს ჩვენებები, ამოცნობის ოქმები, სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზების დასკვნები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, ზ. ფ-სა და მ. ს-ს ბინის ჩხრეკის ოქმები და ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნა – ქმნიან უტყუარ და საკმარის ერთობლიობას ზ. ფ-სა და მ. ს-ს მიმართ გონივრულ ეჭვს მიღმა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

20. აქვე აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ მ. ს-სა და ზ. ფ-ს მამხილებელ მტკიცებულებებზე არ განიხილა მ. ს-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ოქროსფერი ძეწკვი და ჯვარი, რადგან მიიჩნია, რომ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი ნივთმტკიცების შესაძლო გამოცვლის თაობაზე; ისევე, როგორც – ზ. ფ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული „Louis Vuitton-ის“ წარწერიანი საფულე (მასში მოთავსებული – ხუთი 50-ევროიანი კუპიურით, პირადი ჩანაწერებით, დაზარალებულის ქალიშვილის, ა. რ-ის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობითა და ქალის ორი ფერადი ფოტოსურათით, დაზარალებულისა და მისი ქალიშვილის გამოსახულებით), რადგან ჩათვალა, რომ დარღვეული იყო ნივთიერი მტკიცებულების ამოღების, დალუქვისა და დაცვის პირობები, რაზეც საკასაციო სასამართლო აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო საეჭვოდ არ მიიჩნევს, ამოღებული ნივთების – ოქროსფერი ძეწკვისა და ჯვრის, ისევე, როგორც – „Louis Vuitton-ის“ წარწერიანი საფულის დაზარალებულ ნ. ნ-სადმი კუთვნილებას, რადგან ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნით სარწმუნოდ გამორკვეულია, რომ ოქროსფერ ძეწკვსა და ჯვარზე გამოვლენილია დაზარალებულის ბიოლოგიური მასალა, ხოლო „Louis Vuitton-ის“ წარწერიან საფულეზე, რომელშიც, ამავდროულად, მოთავსებული იყო დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების პირადი ნივთები, აღმოჩენილია ნ. ნ-ს სისხლის კვალი, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომლის მიხედვით, უტყუარად ვერ დადასტურდა, რომ სადავოდ გამხდარი ნივთები – ოქროსფერი ძეწკვი, ჯვრით და ხოლო „Louis Vuitton-ის“ წარწერიანი საფულე – ამოღებულია სწორედ ზ. ფ-სა და მ. ს-ს პირადი ჩხრეკების შედეგად და, შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულებების დალუქვასთან დაკავშირებით გამოკვეთილი ბუნდოვანებები და უზუსტობები, რომლებიც ვერ გაქარწყლდა საქმის სასამართლო განხილვის დროს, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა *In dubio pro reo* – პრინციპის საფუძველზე, მართებულად გადაწყვიტეს ზ. ფ-სა და მ. ს-ს სასარგებლოდ.

21. ამავედროულად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს: ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი სხვა სამხილები, რომლებზეც დაწვრილებით იმსჯელა სასამართლომ გადაწყვეტილების მოტივაციისას, გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ზ. ფ-სა და მ. ს-ს ბრალეულობას.

22. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მსჯავრი უნდა დაედოთ ზ. ფ-სა და მ. ს-ს ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით – რვიდან თორმეტ წლამდე.

23. №.. გარდაცვალების მოწმობით დადგენილია, რომ მ. ს. ... წლის 1 სექტემბერს გარდაიცვალა, ხოლო საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ბრალდებული გარდაცვლილია, სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, რისი გათვალისწინებითაც, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ ზ. ფ-ს სასჯელის სამართლიანობაზე.

24. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაცქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.

25. სასჯელის დანიშვნის ზოგადსაველდებულო გარემოებების, ასევე – პირის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებითა და საქართველოს სსკ-ის 39-ე, 53-ე მუხლების მოთხოვნათა მხედველობაში მიღებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ზ. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უნდა მიესაჯოს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სრულად შეესაბამება სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნებს.

26. ამდენად, ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან უზნაძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან უზნაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის გამამართლებელი განაჩენი;

3. მ. ს. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის დაუნიშნავად;

3. ზ. ფ. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მიესაჯოს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

4. მსჯავრდებულ ზ. ფ-ს სასჯელის მოხდა აეთვალოს ამ განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2020 წლის 19 იანვრიდან 2020 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით;

5. ნივთიერი მტკიცებულებების ბედი გადაწყდეს შემდეგნაირად:

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული: ნებოვანი ლენტი, 4 ანანმენდი, 2 ე.წ „ხამუთი“, ანანმენდის 6 ნიმუში, ხელის 4 კვალი, ასევე – ამოღებული ტყვიის ფრაგმენტი, ზ. ფ-სა და მ. ს-ს ნერწყვისა და ხელის ნიმუშები, განადგურდეს;

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული: შარფი და მობილური ტელეფონი დაუბრუნდეს დაზარალებულ ნ. ნ-ს;

საქმეზე ამოღებული ოქროსფერი ჯვარი ყელსაბამთან ერთად, ქალის საფულე, მასში მოთავსებული თანხითა და ნივთებით, ასევე – ნ. ნ-ს ტანსაცმელი და ბ. ჭ-ს მიერ წარმოდგენილი საფულე, დაუბრუნდეს ნ. ნ-ს. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დოკუმენტები დაბრუნებული აქვს დაზარალებულს;

მ. ს-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული: გასაშლელი დანა, ფულადი თანხა, სათვალე, საათი და ბეჭედი, ასევე – მ. ს-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებული: პალტო, ქურთუკი, ნაჭრის ყელსახვევი, ფეხსაცმელი, დაუბრუნდეს უფლებამოსილ პირს;

ზ. ფ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული: მაჯის საათი, მობილური ტელეფონი, შავი საფულე, მასში მოთავსებული ნივთებით და გასაღებების ასხმა, ასევე – ზ. ფ-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებული: ჯინსის შარვალი, მაისური, ფეხსაცმელი, დაუბრუნდეს ზ. ფ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

ა. უ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული: 50-ლარიანი კუპიურა, 2-ლარიანი მონეტა, შავი მობილური ტელეფონი, მაჯის საათი, ე.წ „კალიცო“, ტყავის საფულე, დოკუმენტებით, ასევე – ა. უ-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებული: ქურთუკი, შარვალი და ა. უ-საგან ამოღებული სვიტერი, დაუბრუნდეს ა. უ-ს ან კანონიერ წარმომადგენელს;

CD დისკი, რომელზეც ჩანერილია შემთხვევის ადგილის ფოტოები, შენახულ იქნეს საქმის შენახვის ვადით;

6. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განაჩენი ცვლილების შეტანა

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№998აპ-23

6 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნ. სანდოძე (თავმჯდომარე),

მ. გაბინაშვილი,

შ. თაღუშაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილის – ზიტა ჭულუხაძის, მსჯავრებულების – დ. კ.-ს და კ. მ.-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. მ.-ის, ასევე, მსჯავრდებულ გ. ზ.-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობით – სამოტივაციო ნაწილი:

1. წარდგენილი ბრალდების არსი:

1.1. ი. ს. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

ი. ს.-მ გამოიძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და თ-ში მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში შეინახა საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობა. კერძოდ, ქარხნული წესით დამზადებული „Ф-1“ ტიპის ხელის მსხვრევადი ყუმბარის კორპუსი სასკდომი მუხტით და ქარხნული წესით დამზადებული ხელის მსხვრევადი ყუმბარებისათვის განკუთვნილი „УЗГРМ“ ტიპის ამფეთქი ფალია, რაც 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს თერჯოლის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

1.2. დ. კ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით), საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და

საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა), საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება) საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2017 წლის 30 მარტს, დაახლოებით 21:30 საათზე, თ-ში, ცეცხლსასროლი იარაღებით – პისტოლეტით შეიარაღებული დ. კ-ი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული კ. მ-ი და დანით შეიარაღებული გ. ზ-ე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, თავს დაესხნენ თ-ში მდებარე მ. დ-ს საცხოვრებელ სახლს, რომელშიც ამ უკანასკნელთან ერთად იმყოფებოდა მისი შვილი გ. ბ-ი. დ. კ-ი, კ. მ-ი და გ. ზ-ე, მ. დ-ს და გ. ბ-ს ჯგუფურად, ცეცხლსასროლი იარაღებითა და დანით დაემუქრნენ მოკვლით, სცემეს ისინი და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით გაიტაცეს ფულადი თანხა 500 ლარი, 1500 ლარად ღირებული „სონი-ს“ ფირმის სათამაშო მოწყობილობა „ფლეისთეიშენი“, 500 ლარად ღირებული ორი ბოთლი სომხური კონიაკი, 1200 ლარად ღირებული ერთლულიანი სანადირო თოფი, 1300 ლარად ღირებული საყურეები, 800 ლარად ღირებული ოქროს ბეჭედი, 200 ლარად ღირებული ორი ხელჩანთა, 350 ლარად ღირებული „სამსუნგი-ს“ ფირმის მობილური ტელეფონი, 800 ლარად ღირებული „ქენონი-ს“ ფირმის ფოტოაპარატი, 300 ლარად ღირებული ორი ცალი სამურაის ხმალი, 50 ლარად ღირებული დისკის ჩასადები მუსიკალური „ფლეერი“ და მ. დ-ს პირადი დოკუმენტები, მათ შორის „უნიქარდი-ს“ პლასტიკური ბარათი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

დ. კ-მ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ქ. თ-ში მდებარე საკუთარი საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოში (ავტოფარეხის სარდაფში) შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – ქარხნული წესით დამზადებული 1974 წლის ნიმუშის კალაშნიკოვის კონსტრუქციის „AK-74“ მოდელის 5.45 მმ კალიბრის ავტომატი და საბრძოლო მასალა – ქარხნული წესით დამზადებული 1974 წლის ნიმუშის 5.45 მმ კალიბრის 30 ცალი ვაზნა, რაც 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს შს რაიონული სამმართვე-

ლოს თანამშრომლებმა. ასევე, დ. კ-მ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – 9 მმ კალიბრის პისტოლეტი და საბრძოლო მასალა – 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნა.

2017 წლის 30 მარტს თ-ში, დ. კ-მ მართლსაწინააღმდეგოდ ატარა ცეცხლსასროლი იარაღი – 9 მმ კალიბრის პისტოლეტი და საბრძოლო მასალა – 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნა.

აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის გამოყენებით 2017 წლის 30 მარტს დ. კ-ი თანამზრახველებთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა თ-ში მდებარე მ. დ-ს და გ. ბ-ს საცხოვრებელ სახლს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულმა დ. კ-მ კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“, რისი მოხმარებაც 2017 წლის 5 აპრილს ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დაუდგინდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულმა დ. კ-მ დაუდგენელ გარემოებებში პირადი მოხმარების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და პირადად შეინახა, მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – 0,28 გრამი გამომშრალი „მარიხუანა“, რაც 2017 წლის 5 აპრილს ქ.ტ-ში მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს თერჯოლის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

1.3. კ. მ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით), საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა), საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარე-

შე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2017 წლის 30 მარტს, დაახლოებით 21:30 საათზე, თ-ში, ცეცხლსასროლი იარაღებით – პისტოლეტით შეიარაღებული დ. კ-ი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული კ. მ-ი და დანით შეიარაღებული გ. ზ-ე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, თავს დაესხნენ თ-ში მდებარე, მ. დ-ს საცხოვრებელ სახლს, სადაც ამ უკანასკნელთან ერთად იმყოფებოდა მისი შვილი – გ. ბ-ი. დ. კ-ი, კ. მ-ი და გ. ზ-ე მ. დ-სა და გ. ბ-ს ჯგუფურად, ცეცხლსასროლი იარაღებითა და დანით დაემუქრნენ მოკვლით, სცემეს ისინი და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით გაიტაცეს ფულადი თანხა 500 ლარი, 1500 ლარად ღირებული „სონი-ს“ ფირმის სათამაშო მოწყობილობა „ფლეისთეიშენი“, 500 ლარად ღირებული ორი ბოთლი სომხური კონიაკი, 1200 ლარად ღირებული ერთლულიანი სანადირო თოფი, 1300 ლარად ღირებული საყურეები, 800 ლარად ღირებული ოქროს ბეჭედი, 200 ლარად ღირებული ორი ხელჩანთა, 350 ლარად ღირებული „სამსუნგი-ს“ ფირმის მობილური ტელეფონი, 800 ლარად ღირებული „ქენონი-ს“ ფირმის ფოტოაპარატი, 300 ლარად ღირებული ორი ცალი სამურაის ხმალი, 50 ლარად ღირებული დისკის ჩასადები მუსიკალური „ფლეერი“ და მ. დ-ს პირადი დოკუმენტები, მათ შორის „უნიქარდი-ს“ პლასტიკური ბარათი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

კ. მ-მ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ქ. თ-ში მდებარე საკუთარ სახლში შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – ქარხნული წესით დამზადებული „COMBAT PP“ მოდელის 9 მმ ნომინალური კალიბრის პისტოლეტი, თავისივე მჭიდრით და საბრძოლო მასალა – 9 მმ ნომინალური კალიბრის პისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის განკუთვნილი მასრების გამოყენებით კუსტარული წესით ჭურვებით დამუხტული 2 ცალი ვაზნა, რაც 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს თერჯოლის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულმა კ. მ-მ კვლავ უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“, რომლის მოხმარებაც 2017 წლის 5 აპრილს ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დაუდგინდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით, ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის ად-

მინისტრაციულ სახელმწიფო დებულებმა კ. მ-მ დაუდგენელ გარემოებებში, პირადი მოხმარების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და ქ. თ-ში მდებარე საკუთარ სახლში შეინახა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – 0,0007 გრამი „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“, რაც 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს თერჯოლის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

1.4. გ. ზ. ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლევ სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის) და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის, რაც გამოიხატა შემდეგით:

2017 წლის 30 მარტს, დაახლოებით 21:30 საათზე, თ-ში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენითა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 ივლისის განაჩენით, სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ორჯერ ნასამართლევ, დანით შეიარაღებული გ. ზ-ე, ცეცხლსასროლი იარაღებით – პისტოლეტით შეიარაღებული დ. კ-ი და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული კ. მ-ი, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად თავს დაესხნენ თ-ში მდებარე მ. დ-ს საცხოვრებელ სახლს, სადაც ამ უკანასკნელთან ერთად იმყოფებოდა მისი შვილი გ. ბ-ი. დ. კ-ი, კ. მ-ი და გ. ზ-ე მ. დ-სა და გ. ბ-ს ჯგუფურად, ცეცხლსასროლი იარაღებითა და დანით დაემუქრნენ მოკვლით, სცემეს ისინი და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით გაიტაცეს ფულადი თანხა 500 ლარი, 1500 ლარად ღირებული „სონი-ს“ ფირმის სათამაშო მოწყობილობა „ფლეისთეიშენი“, 500 ლარად ღირებული ორი ბოთლი სომხური კონიაკი, 1200 ლარად ღირებული ერთლულიანი სანადირო თოფი, 1300 ლარად ღირებული საყურეები, 800 ლარად ღირებული ოქროს ბეჭედი, 200 ლარად ღირებული ორი ხელჩანთა, 350 ლარად ღირებული „სამსუნგი-ს“ ფირმის მობილური ტელეფონი, 800 ლარად ღირებული „ქენონი-ს“ ფირმის ფოტოაპარატი, 300 ლარად ღირებული ორი ცალი სამურაის ხმალი, 50 ლარად ღირებული დისკის ჩასადები მუსიკალური „ფლეერი“ და მ. დ-ს პირადი დოკუმენტები, მათ შორის „უნიქარდი-ს“ პლასტიკური ბარათი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გ. ზ-ემ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და წ.... მდებარე საკუთარ სახლში შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – ქარხნული წესით დამზადებული „3K“ მოდელის, 16 კალიბრიანი, ერთლულიანი სანადირო თოფი, რომელსაც კუსტარული წესით გადაჭრილი აქვს ლულა და კონდახი, რაც 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს თერჯოლის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

2.1. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა ი. ს-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი მონყობილობის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა და შენახვა), დ. კ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა და შენახვა) და კ. მ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა და შენახვა) და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დ. კ-ის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ) წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ, საქართველოს სსკ-ის 2017 წლის 26 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე. გარდა ამისა, საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეწყდა კ. მ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ)

წარდგენილ ბრალდებაში სისხლისსამართლებრივი დევნა.

2.2. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. კ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით), საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარება) და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგი.. დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის №2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ნარკოტიკული საშუალებები“ 92-ე გრაფით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალების - მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ) გათვალისწინებული დანაშაულები; კ. მ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით) გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო გ. ზ-ემ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ყაჩაღობა, ესე იგი თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც ორჯერ იყო ნასამართლეთი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის) და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა) გათვალისწინებული დანაშაულები, რაც გამოიხატა შემდეგით:

2017 წლის 30 მარტს, დაახლოებით 21:30 საათზე, თ-ში, ცეცხლსასროლი იარაღებით – პისტოლეტით შეიარაღებული დ. კ-ი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული კ. მ-ი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენითა და

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 ივლისის განაჩენით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისთვის ორჯერ ნა-სამართლევი, დანით შეიარაღებული გ. ზ-ე, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით, თავს დაესხნენ თ-ში მდებარე მ. დ-ს საცხოვრებელ სახლს, სადაც ამ უკანასკნელთან ერთად იმყოფებოდა მისი შვილი გ. ბ-ი. დ. კ-ი, კ. მ-ი და გ. ზ-ე, მ. დ-ს და გ. ბ-ს ჯგუფურად, ცეცხლსასროლი იარაღებით და დანით დაემუქრნენ მოკვლით, სცემეს ისინი და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, გაიტაცეს ფულადი თანხა 500 ლარი, 1500 ლარად ღირებული „სონი-ს“ ფირმის სათამაშო მოწყობილობა „ფლეისთეიშენი“, 500 ლარად ღირებული ორი ბოთლი სომხური კონიაკი, 1200 ლარად ღირებული ერთლულიანი სანადირო თოფი, 1300 ლარად ღირებული საყურეები, 800 ლარად ღირებული ოქროს ბეჭედი, 200 ლარად ღირებული ორი ხელჩანთა, 350 ლარად ღირებული „სამსუნგი-ს“ ფირმის მობილური ტელეფონი, 800 ლარად ღირებული „ქენონი-ს“ ფირმის ფოტოაპარატი, 300 ლარად ღირებული ორი ცალი სამურაის ხმალი, 50 ლარად ღირებული დისკის ჩასადები მუსიკალური „ფლეერი“ და მ. დ-ს პირადი დოკუმენტები, მათ შორის „უნიქარდის“ პლასტიკური ბარათი, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2017 წლის 30 მარტს თ-ში მდებარე მ. დ-სა და გ. ბ-ს საცხოვრებელ სახლზე ყაჩაღური თავდასხმის დროს, დ. კ-მ მართლსაწინააღმდეგოდ ატარა ცეცხლსასროლი იარაღი – 9 მმ კალიბრის პისტოლეტი და საბრძოლო მასალა – 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულმა დ. კ-მ დაუდგენელ გარემოებებში, პირადი მოხმარების მიზნით, უკანონოდ შეიძინა და პირადად შეინახა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – 0,28 გრამი გამომშრალი მარიხუანა, რაც 2017 წლის 5 აპრილს, ქ.ტ... ჩატარებული დ. კ-ის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს თ..... შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

გ. ზ-ემ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ნ-ში მდებარე საკუთარ სახლში შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – ქარხნული წესით დამზადებული „3K“ მოდელის 16 კალიბრიანი ერთლულიანი სანადირო თოფი, რომელსაც კუსტარული წესით გადაჭრილი აქვს ლულა და კონდახი, რაც 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს თ... შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა.

2.3. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენით:

ი. ს-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

დ. კ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა დ. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) წარდგენილ ბრალდებაში;

დ. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, სსკ-ის 2017 წლის 26 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

დ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველი ნაწილით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დ. კ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 და მე-2 ნაწილების საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის №1/262-17 განაჩენით დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 1000 ლარი და საბოლოოდ, დ. კ-ს

სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დ. კ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება; საადვოკატო; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლება.

კ. მ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელშეფარდებული პირის მიერ) წარდგენილ ბრალდებებში;

საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა კ. მ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) წარდგენილ ბრალდებაში;

კ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და გ. ზ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ივლისის № 1/191-2015 განაჩენით გ. ზ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთას, ნაწილობრივ დაემატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ გ. ზ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2.4. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ კ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. ქ-ამ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვა კ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში უდანაშაულოდ ცნობა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

2.5. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულ დ. კ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. მ-მ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვა, დ. კ-ის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში უდანაშაულოდ ცნობა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

2.6. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ზ-ემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

2.7. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში გაასაჩივრა ზესტაფონის რაიონული პროკურატუ-

რის პროკურორმა ვახტანგ ნიქაბაძემ, რომელმაც წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და კ. მ-ს, დ. კ-ს და ი. ს-ს წარდგენილ ბრალდებებში სრულად დამნაშავედ ცნობა და მათთვის რელევანტური სასჯელის განსაზღვრა.

3. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 აპრილის განაჩენით ბრალდებისა და დაცვის მხარეთა სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენში შევიდა ცვლილება.

ი. ს-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

კ. მ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) წარდგენილ ბრალდებებში;

კ. მ-ი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან;

კ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

დ. კ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში;

დ. კ-ი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან;

დ. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2017 წლის 26 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება (პირადი

მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

დ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველო სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველი ნაწილით – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათით, რომლის მოხდისგანაც გათავისუფლდა 2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის საფუძველზე;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დ. კ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 და მე-2 ნაწილების საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის №1/262-17 განაჩენით დანიშნული, ნაკლებად მკაცრი სასჯელი – ჯარიმა 1000 ლარი და საბოლოოდ დ. კ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დ. კ-ს იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლების გარდა აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 3 წლით ჩამორთმეული ყველა სხვა უფლება.

გ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და გ. ზ-ეს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ივლისის №1/191-2015 განაჩენით გ. ზ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთას ნაწილობრივ დაემატა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით გ. ზ-ეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3.2. 2023 წლის 19 მაისს ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილემ – ზიტა ჭულუხაძემ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ი. ს-ს, კ. მ-სა და დ. კ-ის წარდგენილ ბრალდებებში სრულად დამანაშავედ ცნობა და მათთვის რელევანტური სასჯელის განსაზღვრა.

3.3. 2023 წლის 19 მაისს მსჯავრდებულმა გ. ზ-ემ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 აპრილის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3.4. 2023 წლის 19 მაისს მსჯავრდებულების – დ. კ-ს და კ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. მ-მ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და დ. კ-ს და კ. მ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

3.5. 2024 წლის 5 თებერვალს მსჯავრდებულების – დ. კ-ს და კ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. მ-მ დაზუსტებული საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხო-

ვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და დ. კ-ს და კ. მ-ს მიმართ გამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. კასატორთა არგუმენტები:

4.1. კასატორის, ზუგდიდის რაიონული პროკურორის მოადგილის – ზიტა ჭულუხაძის პოზიციით, გასაჩივრებული განაჩენი ი. ს-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, კ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახელმწიფოებრივი პირის მიერ) წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო დ. კ-ის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლების ნაწილში არის უკანონო, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად ადასტურებენ მათ ბრალეულობას. სააპელაციო პალატამ საეჭვოდ მიიჩნია ი. ს-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის ოქმის შინაარსობრივი მხარე, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენდა ისეთ არსებით დარღვევას, რაც ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას დაედებოდა საფუძვლად. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მონშეების – ლ. ზ-ს, მ....., გ. ა-ს, ლ. ჭ-ს და ბ. ს-ს ჩვენებები, რომლებმაც უტყუარად დაადასტურეს, რომ ზემოხსენებული სახლის ჩხრეკისას ამოიღეს მოყავისფრო, გირჩის მაგვარი ხელყუმბარა თავისივე ამფეთქით, რაც ადგილზევე დალუქა გამომძიებელმა. ბიოლოგიური ექსპერტიზის №..... და №.... დასკვნებითა და ექსპერტების – ნ. ნ-ს და ი-ს ჩვენებებით კი დადასტურდა, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი იყო გამჭვირვალე საქალაღდე, რომელშიც მოთავსებული იყო გირჩის ფორმის მქონე მეტალის ნივთი და მოვერცხლისფრო მეტალის ნივთი, ლუქის მთლიანობა კი დარღვეული არ ყოფილა. ამასთან, გირჩის ფორმის მქონე მეტალის ნივთზე არსებულ ბიომასალაში გამოვლინდა ი. ს-ს გენეტიკური თანამონაწილეობა. მართალია ჩხრეკის ოქმის ერთ-ერთ გრაფაში მითითებულია, რომ ამოღებული ხელყუმბარა დაილუქა პაკეტში, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს ხელყუმბარასთან ერთად ამფეთქი ფალის დალუქვასაც, მით უფრო, რომ ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილსა და თანდართულ ფოტოცხრილში ასახულია, რომ პაკეტში მოთავსებული იყო ხელყუმბარა თავისივე ამფეთქით. კასატორი ასევე უთითებს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ დ. კ-მ უკანონოდ შეიძინა და შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. დ-ს საცხოვრებელ სახლში ყაჩაღური თავდასხმის

დროს დ. კ-ი უკანონოდ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას, თუმცა განმარტა, რომ გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დადასტურდა დ. კ-ის მიერ აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენისა და შენახვის ფაქტი, რაც არის არასწორი, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული იარაღი და საბრძოლო მასალა დ. კ-ს გადაეცა დროებით სარგებლობაში, აღნიშნული წარმოადგენს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შეძენასა და შენახვას, ვინაიდან თხოვებით იარაღის დაუფლების შემთხვევაშიც ხდება კანონით დაცული სიკეთის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევა, რა დროსაც თავისუფალი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი ხდება იმ პირის ხელში, ვისაც ამის უფლება არ გააჩნია. შესაბამისად, იარაღის ყიდვისას, სხვა ნივთში გაცვლისას, პოვნისას, საჩუქრად მიღებისას ან თხოვებისას შედეგი არის ერთი და იგივე, კერძოდ, არარეგისტრირებული იარაღი ხდება არაუფლებამოსილი პირის ხელში, რომელსაც ეძლევა მისი განკარგვა-გამოყენების რეალური შესაძლებლობა. იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის დანაშაულად მიჩნევის საფუძველს წარმოადგენს არაუფლებამოსილი პირის მიერ იარაღის კანონსაწინააღმდეგოდ გამოყენებისაგან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა. ამასთან, უშუალოდ ყაჩაღური თავდასხმის დროს ან მისი ჩადენისთანავე რომ მომხდარიყო ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული დ. კ-ის დაკავება, მისი ქმედება ტარებასთან ერთად შეფასდებოდა როგორც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი მიუთითებს, რომ თუ დ. კ-ი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს – 9 მმ კალიბრის პისტოლეტსა და საბრძოლო მასალას – 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნას, შესაბამისად, იგი იმავდროულად ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ ზემოაღნიშნული იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენასა და შენახვაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოწმეების – კ. ნ-ის, ვ. ა-ისა და დ-ა ჯ-ის ჩვენებებით დადასტურდა, რომ მათ დ. კ-ის საცხოვრებელი სახლის გვერდით არსებული ავტოფარეხის სარდაფში ნახეს და ამოიღეს კედელზე მიყუდებული ავტომატური იარაღი, რომელშიც მოთავსებული იყო მჭიდი, მასში არსებული 30 ვაზნით. ჩხრეკას ესწრებოდა დ. კ-ის მამაც, რომელმაც ხელი მოაწერა ლუქსა და ჩხრეკის ოქმს და განაცხადა, რომ აღნიშნული ნივთები, მათ შორის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი უნდა ყოფილიყო მისი შვილის საკუთრება. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ადასტურებს, რომ დ. კ-ი საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოში ინახავდა ცეცხლსასროლ იარაღს და საბრძოლო მასალას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის განაჩენით,

დ. კ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან უკანონოდ შეიძინა და ტ-ში მდებარე თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებულ ავტოფარეხში უკანონოდ შეინახა ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი მარიხუანა. ამდენად, დ. კ-ს იარაღის ამოღებამდე ორი თვით ადრეც იმავე ადგილზე ჰქონდა შენახული კანონსაწინააღმდეგო ნივთი. ყოველივე ზემოაღნიშნული კი უტყუარად ადასტურებს დ. კ-ის მიერ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა, შენახვის ფაქტს. კასატორი ასევე უთითებს, რომ მოწმეების – ა. ბ-ის, გ. ქ-ის, გ. ლ-ას და თ. გ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ კ. მ-ს საცხოვრებელი სახლის მეორე სართულიდან ამოიღეს შავ პოლიეთილენის ცელოფანში შეფუთული პისტოლეტი თავისივე მჭიდით, რომელშიც მოთავსებული იყო სამი ცალი დამუხტული ვაზნა, რაც ადგილზევე დალუქეს. ყოველივე ზემოაღნიშნული კი უტყუარად ადასტურებს, რომ კ. მ-მ უკანონოდ შეიძინა და შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა. ამასთან, აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტთა ჩვენებებით დადგინდა, რომ კ. მ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს ჩიბუხი, რომელშიც მოთავსებული იყო ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდრაკანაბინოლი“ წონით 0,0007 გრამი.

4.2. კასატორის, მსჯავრდებულ გ. ზ-ს პოზიციით, გასაჩივრებული განაჩენი მისი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში დამნაშავედ ცნობის ნაწილში არის უკანონო, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ მის ბრალეულობას. მოცემულ საქმეზე ყველა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით. მოწმე პოლიციელებმა ჩვენების მიცემისას განმარტეს, რომ 2017 წლის 5 აპრილს მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ა. ა. დ., ლ. კ-ე და ე. პ-ე ჩხრეკის ჩასატარებლად მივიდნენ ნ.... მდებარე გ. ზ-ს საცხოვრებელ სახლში. საქმის მასალებით კი ირკვევა, რომ სახლთან მობილიზებული იყო 50-ზე მეტი პოლიციელი, რომლებიც შევარდნენ სახლში, დააკავეს იგი და არ მისცეს გადაადგილების საშუალება. პოლიციის თანამშრომლები იყვნენ ყველა ოთახში. მას კი არ ჰქონდა მათი გაკონტროლების შესაძლებლობა. კასატორი ასევე უთითებს, რომ გამოძიების ეტაპზე დაზარალებული მ. დ-ე დაიკითხა არაერთხელ და ყოველი დაკითხვის შემდეგ გამოძიებელი ატარებდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებას. დაზარალებულის მიერ მიცემულ თავდაპირველ ჩვენებაში ნახსენები არ იყო ის ნივთები, რაც მოგვიანებით ამოიღეს გ. ზ-ს სახლიდან. შესაბამისად, იგი ვარაუდობს, რომ როდესაც

გამოძიებამ მიიღო მისი სახლის ჩხრეკისა და დაკავების გადანყვები-
ლება, დაზარალებულს კვლავ მიაცემინეს ჩვენება და მ. დ-სგან წამოი-
ღეს ის ნივთები, რომლებიც შემდეგ მოათავსეს მის სახლში. ეს ნივთე-
ბი და სახლის ჩხრეკისას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი არ
ეკუთვნოდა მას. პოლიციის დანესებულებაში მყოფ დაზარალებულს
იგი წარუდგინეს, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირი, რასაც შეესწრო
ადვოკატი ც. ბ-ი, თუმცა ბრალდების მხარის მიერ ზენოლის გამო ად-
ვოკატმა ჩვენება აღარ მისცა. კასატორი ასევე უთითებს, რომ მას და-
ნაშაული არ ჩაუდენია და არის პოლიციელების ინსცენიერების მსხვერ-
პლი. ამასთან, დაზარალებულებმა – გ. ბ-მა და მ. დ-ემ სასამართლოს
მიმართეს თხოვნით, რათა მის მიმართ გავრცელდეს შეღავათები.

4.3. კასატორის, მსჯავრდებულების – დ. კ-ს და კ. მ-ს ინტერესების
დამცველის, ადვოკატ – ვ. მ-ის პოზიციით, გასაჩივრებული განაჩენი კ.
მ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი-
თა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებუ-
ლი დანაშაულის ჩადენაში, ხოლო დ. კ-ის საქართველოს სსკ-ის 179-ე
მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“
ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით
გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში დამნაშავედ ცნობის ნა-
წილში არის უკანონო, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები არ
ადასტურებენ მათ ბრალეულობას.

5. საკასაციო სასამართლოს შეფასებები:

5.1. საკასაციო პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საკასა-
ციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების
საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საჩივრის მოთ-
ხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო დაცვის მხარეს სა-
ჩივრების დაკმაყოფილებაზე უნდა ეთქვას უარი.

5.2. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას
– გ. ზ-ს, კ. მ-სა და დ. კ-ის უდანაშაულობის შესახებ და ეთანხმება გა-
საჩივრებული განაჩენის მოტივაციას.

5.3. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას
ამახვილებს მსჯავრდებულ დ. კ-ის ჩვენებაზე, რომელმაც განმარტა,
რომ მას ყაჩაღობა არ ჩაუდენია და მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული
– ფოტოაპარატი, „ფლიისთეიშენი“ და ოქროს ნივთები მან 350 ლარად
შეიძინა ქ.ქ....., ვინმე „გ.....“, რის შემდეგაც ოქრო მიიტანა ოქრომჭე-
დელთან, რომელსაც გადაადნობინა და დაამზადებინა საქორწინო ბე-
ჭედი, რასაც თვითონ ხმარობდა. იგი ადრეც იყო ნივთების ყიდვითა და
შემდგომი რეალიზაციით დაკავებული და შეძენილ ნივთებს ყიდდა
თბილისში, მშრალ ხიდზე. იგი დაკავების შემდეგ, პოლიციის განყოფი-
ლებაში ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ ცივმა ოფლმა დაასხა და წყალი ჩა-

მოუვიდა სახეზე. მას გამომძიებელმა ფ-ემ შეხედა და მიაწოდა ხელ-სახოცი. სახის მოწმენდის შემდეგ იგი ხელსახოცს იდებდა ჯიბეში. თუმცა ხელსახოცი უცებ გამოართვა გამომძიებელმა ფ-ემ და უთხრა, რომ გარეთ გადააგდებდა. მან იფიქრა რამეში არ გამოეყენებინათ, მაგალითად დნმ-ისთვის და უკან მოითხოვა, თუმცა გამომძიებელმა უთხრა, რომ გარეთ მდებარე ურნაში გადააგდო. დ. კ-მ ასევე განმარტა, რომ სამხედრო „ბატინკები“ მას ჰქონდა სახლში, თუმცა სხდომაზე გამოკვლეული არ ჰგავს მის კუთვნილს, რომელსაც ქვემოთ ეწერა ზომა – 41. იგი 2017 წლის 30 მარტს იმყოფებოდა ქ.ქ..., მერე ისევ ქ... და შემდგომი რეალიზაციის მიზნით ეძებდა ნივთებს.

5.4. მსჯავრდებულმა გ. ზ-ემ კი განმარტა, რომ იგი 2017 წლის 30 მარტს, დილის საათებში, პირად საქმეზე იმყოფებოდა ქ... შუადღის შემდეგ მივიდა თავის მეგობართან, სადაც იმყოფებოდა დაახლოებით 3 საათი. 7 საათის შემდეგ წავიდა დეიდაშვილთან, სადაც მივიდა მეზობელიც და საუბრობდნენ. შემდეგ გარეთ ნახა მეზობელი მამაო, რომელთანაც ისაუბრა დაახლოებით ნახევარი ან ერთი საათი შემდეგ შევიდა სახლში და დაახლოებით 23:00 საათზე დაიძინა. მეორე დღეს ადგა დაახლოებით 11:00 საათზე, მოწესრიგდა და გავიდა გარეთ, სადაც ნახა დეიდაშვილის მეზობელი, რომელთანაც ისაუბრა დაახლოებით 2-3 საათი და შუადღისას წავიდა სოფელში. 2017 წლის 5 აპრილს მასთან სახლში მივიდა დაახლოებით 50 პოლიციელი, რომლებსაც ჩრეკის ჩასატარებლად არ ჰქონდათ ორდერი, თუმცა უთხრეს, რომ ჩხრეკა აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო, რასაც დათანხმდა. საძინებელ ოთახში მდებარე „ტუმბო“ ცარიელი აღმოჩნდა, თუმცა კართან მყოფმა პირმა გამომძიებელს დაუძახა კარგად გადაემონებინა, რის შემდეგაც გამომძიებელმა თავიდან გამოაღო უჯრა, ხელი მოუსვა და ამოიღო ფლეერი და „უნიქარდის“ ბარათი, რაც მას არ ეკუთვნოდა და ჩაუდეს. გ. ზ-ემ ასევე განმარტა, რომ მასთან სახლში მივიდა ბევრი პოლიციელი და ჩხრეკდნენ. მეზობლები კი ჭიშკრიდან აკვირდებოდნენ სახლში პოლიციელთა გადაადგილებას. მან ნებაყოფლობით განაცხადა თანხმობა ნიმუშის აღებაზე, თუმცა ექსპერტიზაზე მისი სუნი არ უნდა ამოსულიყო, ვიანიდან როდესაც ნიმუშს უღებდნენ, მას ფეხზე ეცვა პარკი და შემდეგ ე.წ. „ნასკი“. ის ჩუსტი კი საიდანაც ნიმუში აიღეს, მას არ ეკუთვნოდა და იყო იმ პირის, ვინც მასთან ერთად იჯდა საკანში. ეს იმიტომ გააკეთა, რომ ეჭვი ჰქონდა, რომ რაღაცას გააყალბებდნენ.

5.5. მსჯავრდებულ კ. მ-ს განმარტებით კი, იგი 2017 წლის 29 მარტს ავეჯის შესაძენად მეუღლესთან – ს. ბ-თან ერთად იმყოფებოდა ქ.ქ....., მაგრამ ვერ შეიძინეს. მეორე დღეს ავეჯის შესაძენად წავიდნენ ქ.ზ..... ავეჯის შეძენის შემდეგ მან მეუღლე გაუშვა ტ..., თვითონ კი წავიდა ქ.ქ... 30 მარტს, საღამოს, ქ.ტ..... მოხდა მკვლელობა, პოლიციამ კი მას

დაუწყო ძებნა. მან დაახლოებით 23:00 საათზე ტელეფონით დაურეკა პოლიციის განყოფილების უფროსს – თ. ქ-ეს და უთხრა თუ საჭირო იყო მივიდოდა პოლიციაში, რაზეც თ-მა უთხრა, რომ არ იყო საჭირო. 2017 წლის 5 აპრილს როდესაც პოლიციელები მივიდნენ მასთან სახლში და მძინარეს დაადგნენ თავზე პირის არეში იგრძნო რაღაც, რომ გამოიღო ნახა, რომ იყო ბამბის „კუსოკი“, რაზეც ტყიბულის პოლიციის განყოფილების უფროსს ჰკითხა – „ეს რა გამიკეთეთო“. დაკავების შემდეგ იგი გადაიყვანეს თ..... რაიონულ სამმართველოში, სადაც ნახა დაზარალებული მ.დ-ე, რომელსაც გამომძიებელმა მიუთითა „აი მ... შენი ყაჩაღი“. მ. დ-ე მას სწორედ ამის გამო ადებს ხელს. ამოცნობამდე მან გამომძიებელს მოსთხოვა ქურთუკის გაცვლა და ამოცნობისას ჩაიცვა გამომძიებლის დუტის ქურთუკი, რის გამოც იგი მ. დ-მ ველარ ამოიცნო. მას ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჰქონდა შიში, რომ „რაღაცას გაუჩალიჩებდნენ“. მისი ტელეფონი ჭ-ის ანძამ იმიტომ დააფიქსირა, რომ მას ქ.ქ-..., სალორიის გადასახვევთან მანქანა გასაკეთებლად ჰყავდა მიყვანილი. იმ ადგილიდან ი. ს-ს სახლამდე დაახლოებით 1-2 კილომეტრია და შესაძლოა 2017 წლის 30 მარტს სახელოსნოში ყოფნისას მან კომუნიკაცია ი-სთანაც დაამყარა.

5.6. გარდა ამისა, მოწმეების – ს. მ-ისა და ნ-ის განმარტებით, 2017 წლის 29 მარტს კ. მ-ი და ს. მ-ი ავეჯის შესაძენად წავიდნენ ქ.ქ-..., მაგრამ ვერ შეიძინეს, ამიტომ 2017 წლის 30 მარტს კვლავ ერთად წავიდნენ ქ.ზ., სადაც შეიძინეს ავეჯი. ამასთან, მოწმე ს. მ-ის განმარტებით, ისინი დაბრუნდნენ ქ.ტ-..... და იყვნენ ერთად. თუმცა აღნიშნულისგან განსხვავებულ ინფორმაციას აწვდის სასამართლოს მოწმე ნ-ე, რომელმაც განმარტა, რომ ავეჯი მიიტანეს ს-მ და მძღოლმა, კ. მ-ი კი არ მისულა. საღამოს როდესაც გადავიდა მათთან, ნახა რომ უკვე ყველანი სახლში იყვნენ, რაც დამაჯერებლობას უკარგავს მოწმე ს. მ-ის ჩვენებას.

5.7. მართალია მსჯავრდებულებმა – დ. კ-მ, კ. მ-მ და გ. ზ-ემ განმარტეს, რომ შემთხვევის დღეს ისინი დაზარალებულების სახლში არ ყოფილან და ყაჩაღობა არ ჩაუდენიათ, თუმცა მათი ჩვენებები ეწინააღმდეგება გამოკვლეულ მტკიცებულებებს, კერძოდ, დაზარალებულების – მ. დ-სა და გ. ბ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ 2017 წლის 30 მარტს, საღამოს, ისინი იმყოფებოდნენ თ-ში მდებარე მათ საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მ. დ-მ გაიგო „ფაჩუნის“ ხმა და კარის სახელურის დაწევა. იგი წამოდგა და მივიდა კართან, რა დროსაც სამმა თავდამსხმელმა ნიხლით შეამტვრია კარი და შევიდნენ სახლში. თავდამსხმელთაგან მაღალს ხელში ეჭირა ავტომატი, საშუალო სიმაღლისას – დანა, დაბალს კი – რევოლვერი. მაღალი პიროვნება მივიდა მ. დ-სთან და ძალის გამოყენებით დასვა სკამზე. თავდამსხმელები სიცოცხლის მოსპობის მუქარითა და ძალადობით ითხოვდნენ ფულს, ოქროულობას, ერთლუ-

ლიან თოფსა და პატარა პისტოლეტს. მ. დ-მ თავდამსხმელთაგან მაღალს თვითონ მისცა ოქროს საყურეები და ბეჭედი. საბოლოოდ, თავდამსხმელებმა მათი ბინიდან წაიღეს – ოქროს საყურეები გიშრის თვლებით; ოქროს ბეჭედი, შუაში ერთი თვლითა და გარშემო ცირკონის თვლებით; „ქენონის“ ფირმის ფოტოაპარატი; სათამაშო აპარატი „ფლეის-თეიშენი“, თავისი მოწყობილობით; ფლეერი; სომხური კონიაკები; ქართული ხანჯალი; სამურაის ხმლები; საფულე თვლებით; მეორე საფულეც, რომელშიც მოთავსებული ჰქონდა თანხა 470 ლარიდან 500 ლარამდე, თიბისი ბანკის „ფრაიმ ქარდის“ ბარათები, „უნიქარდის“ ბარათი, თოფის საბუთი, მისი მეუღლის პირადობის მოწმობა, „პსპ-სა“ და „ავერსის“ ბარათები; ერთლულიანი თოფი და მობილური ტელეფონი. მათთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 6400 ლარამდე. მ. დ-მ თავდამსხმელთაგან ამოიცნო მაღალი პიროვნება – კ. მ-ი, ასევე დაბალი თავდამსხმელი – დ. კ-ი, გ. ზ-ე კი არ ამოუცვინია, რადგან იგი ნახა პოლიციის განყოფილებაში და იცოდა, რომ იქ მხოლოდ მისი თავდამსხმელები ჰყავდათ მიყვანილი. დაზარალებულ მ. დ-ს განმარტებით, თავდამსხმელთაგან კ. მ-ს ხელში ეჭირა ავტომატი, დ. კ-ს – პისტოლეტი, გ. ზ-ეს კი – დანა. მას დ. კ-მ ხელი სამჯერ გაარტყა სახეში და მოსთხოვა ოქრო და ფული, ხოლო გ. ზ-ემ დ. კ-ისგან მიწოდებული იარაღი დაადო შუბლზე და მოსთხოვა ფული და ოქრო. გარდა ამისა, გ. ზ-ემ დანა ყელის არეში მიადო გ. ბ-საც და მოსთხოვა ფული და ოქრო, ასევე, მამამისის კუთვნილი იარაღები. ერთ-ერთმა თავდამსხმელმა გ. ბ-ი ჩაიყვანა მარანში, საიდანაც ამოიტანეს მათი იარაღი, მეორე ოთახიდან კი – აიღეს თოფი. ასევე, ეკითხებოდნენ სად იყო შავი სეიფი და სახისა და თავის არეში ურტყამდნენ მუჭებს, უშვერდნენ იარაღს და ემუქრებოდნენ მოკვლით. ერთ-ერთს იგი კედელთან ჰყავდა მიყენებული და აგრძელებდა მის ცემასა და მუქარას, რა დროსაც თავდამსხმელს გაუვარდა იარაღი და მოხვდა ფანჯრის ფიცარს. ამასთან, მაღალმა თავდამსხმელმა მას ავტომატის კონდახი ჩაარტყა თავში, რის გამოც თავი გაუტყდა და წამოუვიდა სისხლი. დაზარალებულ მ. დ-ს განმარტებით, თავდამსხმელებს ეცვათ შავი ე.წ. „პლამოვკები“. მათ შორის ერთ-ერთს სამხედრო ჩექმა თასმებით, მეორეს კი რალაც ნაზადის ფაჩუჩებივით. გ. ბ-ს განმარტებით კი, სამივე თავდამსხმელს თავზე ეფარათ ქუდები და პირბადე ჰქონდათ აფარებული. თავდამსხმელებმა მათ ე.წ. „სკოჩით“ შეუკრეს ხელები, ხოლო ფეხები ლურჯი ნაჭრით და დაყარეს ძირს. თავდამსხმელები მათი სახლიდან მას შემდეგ წავიდნენ, რაც სახურავზე ახმაურდა კვერნა და ეგონათ, რომ პოლიცია მივიდა. დაზარალებულ მ. დ-ს განმარტებით, სახლში შესვლისას დ. კ-ს ხელზე ხელთათმანი არ ეკეთა და გაიკეთა ჩანთიდან „სკოჩების“ ამოღების შემდეგ. მათი წასვლის შემდეგ გ. ბ-ი გადავიდა მეზობელ დ-ს

ესთან, რომელმაც პირზე მოხსნა „სკოჩი“ და დარეკა პოლიციაში. რაც ასევე დასტურდება მონმე დ. ს-ის ჩვენებით. მოგვიანებით ჩატარებული ამოცნობისას მ. დ-მ ამოსაცნობად წარდგენილი ნივთებიდან ამოიკნო მისი კუთვნილი „ქენონის“ ფირმის ფოტოაპარატი და სამხედრო „ბატინკები“. გ. ბ-მა კი ამოიკნო – „ქენონის“ ფირმის ფოტოაპარატი, „ფლეისთეიშენი“, ფლეერი და თვლები.

5.8. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს 2017 წლის 25 ივნისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმზე, რომლითაც დადგენილია, რომ გ. ბ-მა საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებულ მისაღებ ოთახში მიანიშნა ადგილზე, სადაც ყაჩაღური თავდასხმის დროს დააყენეს ყაჩაღებმა და სთხოვდნენ ფულსა და ოქროს. ამ დროს მასთან იყო ერთი ნიღაბაფარებული მამაკაცი, რომელსაც ხელში ეჭირა პისტოლეტი, დანარჩენი ორი კი იყო მ. დ-სთან, რა დროსაც მასთან მყოფ პიროვნებას გაუვარდა პისტოლეტი და ტყვია მოხვდა სამხარეულოს ოთახის ფანჯრის გვერდით არსებულ ხის ჩარჩოს.

5.9. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ დაზარალებულთა ჩვენებები ეწინააღმდეგება როგორც ერთმანეთს, ასევე მათ მიერ გამოძიებაში, გამოკითხვისას მიწოდებულ ინფორმაციას, რის გამოც ისინი არ უნდა გაეზიარებინა სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, მონმის ჩვენება არის მონმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შესახებ. შესაბამისად, სასამართლო შეფასებას აძლევს სწორედ სასამართლო სხდომაზე მონმეთა მიერ მიცემულ ჩვენებებს. ამასთან, შესაძლოა დაზარალებულთა ჩვენებებში არის გარკვეული ხასიათის ცდომილებები, თუმცა არა იმ შინაარსის, რაც საკასაციო სასამართლოს მათი ჩვენებების გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველს მისცემდა. დაზარალებულთა ჩვენებებში მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგანთან დაკავშირებით, არ არის არსებით წინააღმდეგობაში ერთმანეთთან და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებიდან სასამართლოში ჩვენებების მიცემამდე გავიდა გარკვეული პერიოდი, რის გამოც სრულიად შესაძლებელია დაზარალებულებს არ ახსოვდეთ გარკვეული დეტალები, მაგრამ მათ დეტალურად, დამაჯერებლად და თანმიმდევრულად აღწერეს ადგილზე განვითარებული მოვლენები. შესაბამისად, არ არსებობს დაზარალებულთა ჩვენებების უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი. ამასთან, დაზარალებულთა ჩვენებები გამყარებულია სხვა მტკიცებულებებით.

5.10. ის გარემოება, რომ დაზარალებულებს აღენიშნებოდათ და-

ზიანებები დასტურდება ექსპერტიზის დასკვნებით, კერძოდ, სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით ირკვევა, რომ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის (სს „სამედიცინო კორპორაცია“ ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალის სტაციონარული პაციენტის სამედიცინო ბარათი №...-ის ასლი და ამავე დანესებულების ცნობა №... ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (დათარიღებული 31.03.2017წ.)) – მონაცემებისა: მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებით მოქ. გ. ბ-მა აღნიშნულ საავადმყოფოს მიმართა 30.03.2017 წლის 23:10 საათზე, საიდანაც გაენერა 31.03.17 წლის 01:20 საათზე, დიაგნოზით: ნახეთქი ჭრილობა შუბლის არეში. 2017 წლის 31 მარტს 06:06-06:25 საათზე ჩატარებული პირადი შემოწმებისას, მოქ. გ. ბ-ს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები, გაკერილი უსწორო კიდეებიანი ჭრილობა, უსწოროკიდეებიანი ჭრილობის, ნაჭდევისა და სისხლნაჟღენთების სახით. დაზიანებები განვითარებული არიან რაიმე მკვრივი-ბლავი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად. დაზიანება გაკერილი უსწორო კიდეებიანი ჭრილობის სახით მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით, ხოლო დაზიანებები უსწოროკიდეებიანი ჭრილობისა და სისხლნაჟღენთების სახით ცალ-ცალკე და ერთად აღებულნი მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

5.11. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, 2017 წლის 31 მარტს 06:29-06:40 საათზე ჩატარებული პირადი შემოწმებისას, მოქ. მ. დ-ს სხეულზე გარეგნულად ტანსაცმლით დაუფარავ მიდამოებში აღენიშნებოდა დაზიანებები, სწორკიდეებიანი ჭრილობისა და სისხლნაჟღენთების სახით. დაზიანება სწორკიდეებიანი ჭრილობის სახით განვითარებულია რაიმე მჭრელი თვისების მქონე საგნის ზემოქმედების შედეგად, ხოლო დაზიანებები სისხლნაჟღენთების სახით განვითარებულნი არიან რაიმე მკვრივი-ბლავი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად, ცალ-ცალკე და ერთად აღებულნი მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგებიან დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

5.12. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმსა და მოწმე გ. წ-ის ჩვენებაზე,

რომლებითაც დგინდება, რომ 2017 წლის 30 მარტს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოიღეს ნებოვანი ლენტები, მოლურჯო ფერის ნაჭერი, ტყვიის გულა, ფიცარი, თითის კვლები, სუნისა და სისხლის ნიმუშები.

5.13. მოწმეების – დ-ა ჯის, ვ. ა-ისა და კ. ნ-ის ჩვენებებით კი დასტურდება, რომ მათ 2017 წლის 5 აპრილს მონაწილეობა მიიღეს ქ.ტ....., გ..... ქუჩაზე მდებარე დ. კ-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკაში, რა დროსაც სხვადასხვა ნივთებთან ერთად, დ. კ-ის საძინებელი ოთახის კარადიდან ამოიღეს ე.წ. „პლაშოვკა“, ხოლო აიგნიდან – ყავისფერი სამხედრო „ბატინკები“, რომელიც ი. კ-ის განმარტებით, ეკუთვნოდა მის შვილს – დ. კ-ს. აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები გამყარებულია სახლის ჩრეკის ოქმითა და ი. კ-ის ჩვენებით, რომელმაც დაადასტურა, რომ ამოღებული „ბატინკები“ ეკუთვნოდა მის შვილს – დ. კ-ს, რომელიც ე.წ. „ზბორებიდან“ დაბრუნების შემდეგ მიიტანა სახლში. მანვე განმარტა, რომ 2017 წლის აპრილის პირველ და ორ რიცხვებში დ-მა სახლში მიიტანა ნივთები, მათ შორის ფოტოაპარატი, კომპიუტერი, ოქროს ბეჭედი და უთხრა, რომ ისინი საზღვარგარეთიდან ჩამოიტანეს ქ.... და იყიდა. მან შვილს უთხრა რამე უკანონოებაში არ გარეუღიყო, რაზეც დ-მა უპასუხა, რომ საქორწინო ბეჭედი მეუღლისთვის უნდა გადაედნო, სხვა ნივთები კი საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი იყო და რაიმე პრობლემა არ შეიქმნებოდა.

5.14. პირადი ჩხრეკის ოქმითა და მოწმეების – ზ. ფ-ისა და მ-ის ჩვენებებით კი დასტურდება, რომ 2017 წლის 5 აპრილს მათ ჩაატარეს დ. კ-ის პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს „ელჯის“ ფირმის მობილური ტელეფონი; საფულე, მასში მოთავსებული ნივთებით, მათ შორის ბეჭდის თვლის ნაწილაკებით; ზურგჩანთიდან ამოიღეს შავი „ქენონის“ ფირმის ფოტოაპარატი №..., „სონის“ ფირმის შავი ფლეისთეიშენი №..., ორი ჯოისტიკითა და ელსადენებით. ასევე, ამოიღეს დ. კ-ის თითზე არსებული ოქროს ბეჭედი. მათ დ. კ-მ განუმარტა, რომ ბეჭედი იყო მისი, ფოტოაპარატი, ფლეისთეიშენი და ბეჭდის თვლის ნაწილაკები კი იპოვა ქ.ქ.... განთავსებულ ნაგვის ურნაში.

5.15. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისა და მოწმეების – ა-ა დ-ის, ლ. კ-ისა და ე. პ-ის ჩვენებებით კი დადგენილია, რომ 2017 წლის 5 აპრილს ნ..... მდებარე გ. ზ-ს საცხოვრებელ სახლში, ჩატარებული ჩხრეკისას გ. ზ-ს საძინებელ ოთახში განთავსებული დაბალი, პატარა კარადიდან ამოიღეს „.....ის“ ბარათი და ფლეერი, რაზეც გ. ზ-მ განაცხადა, რომ არ იყო მისი საკუთრება. ამასთან, ჩხრეკის დროს გ. ზ-ე იმყოფებოდა მათთან ერთად.

5.16. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს მოწმე ნ. ბ-ს ჩვენებაზე, რომლითაც დგინდება, რომ არის ოქრომჭედელი.

2017 წლის 3 აპრილს მას დ. კ-მ გადასადნობად მიუტანა ოქროს ბეჭედი და საყურეები. მან დ. კ-ის მიერ მიტანილი ბეჭედიდან ამოიღო თვლები, საყურეებიდან კი გიშრის თვლები, გადაადნო ოქრო და დაუმზადა ბაჯალოს „კალიცო“ ბეჭედი, ზომით 22. მის მიერ დამზადებული ოქროს „კალიცო“ ბეჭედი, წონით 13,6 გრამი დარჩა. მოწმე კ-ა კი დაადასტურა, რომ 2017 წლის 3 აპრილს, საღამოს, დაახლოებით 18:00 საათზე, ქუჩაში ნახა დ. კ-ი, რომელმაც აჩვენა თითზე არსებული ბაჯალოს „კალიცო“ და უთხრა, რომ იყო ცამეტგრამნახევარი, ყიდდა 1300 ლარად და თუ ვინმეს ენდომებოდა ყურადღებით ყოფილიყო. ობიექტის ამოცნობის ოქმით ირკვევა, რომ 2017 წლის 5 აპრილს ნ. ბ-მა ამოსაცნობად წარდგენილი ბეჭედებიდან ამოიცნო მის მიერ დამზადებული ე.წ. „ბაჯალო“ ოქროს „კალიცო“ ბეჭედი.

5.17. ამასთან, 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული ამოცნობის ოქმებით დგინდება, რომ მ. დ-მ ამოიცნო დ. კ-ი და კ. მ-ი, ხოლო ნ. ბ-მა – დ. კ-ი. 2017 წლის 24 აპრილს ჩატარებული ამოცნობის ოქმით ირკვევა, რომ ამომცნობმა პირმა მ. დ-მ ამოიცნო ე.წ. „ბატინკები“. აღნიშნული „ბატინკები“ ამოღებული იქნა დ. კ-ის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას. 2017 წლის 2 მაისს კი დაზარალებულმა გ. ბ-მა ამოიცნო ციფრული აპარატი „ქენონი 1... D“, ნომრით, რომელიც ამოიღეს 2017 წლის 5 აპრილს დ. კ-ის პირადი ჩხრეკისას. 2017 წლის 7 ივლისს კი დაზარალებულმა გ. ბ-მა ამოიცნო ფლეერი, შავი კორპუსით და ვერცხლისფერი სახურავით, მრგვალი ფორმის. დაზარალებულ გ. ბ-ს მიერ ამოცნობილი ე.წ. მუსიკალური „ფლეერი“ ამოღებული იქნა 2017 წლის 5 აპრილს ჩატარებული გ. ზ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად.

5.18. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას და მიუთითებს, რომ ზემოხსენებული საგამოძიებო მოქმედების ოქმებით დასტურდება, რომ თითოეულ შემთხვევაში ამოცნობის დაწყების წინ, ამომცნობმა პირმა თანხმობა განაცხადა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობაზე, ასევე მიუთითა ობიექტის იმ ნიშან-თვისებების თაობაზე, რითაც შეეძლო პირის/ნივთის ამოცნობა, რაც საკმარისი იყო ობიექტის იდენტიფიკაციისათვის, რაზეც შესაბამისი მითითებებია გაკეთებული საგამოძიებო მოქმედების ოქმებში. შესაბამისად, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მათი მტკიცებულებად გაზიარებაზე უარის თქმის საფუძვლები.

5.19. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს დათვალიერების ოქმებზე, რომლებითაც ირკვევა, რომ 2017 წლის 5 აპრილს დათვალიერდა ამოღებული ბეჭდის თვლები, რაზეც ნ. ბ-მა განაცხადა, რომ აღნიშნული არის სწორედ ის თვლები, რომლებიც მან

გადადნობისას ამოიღო ბეჭდიდან და დაუბრუნა მისთვის უცნობ პიროვნებას. 2017 წლის 5 აპრილს ასევე დათვალიერდა დ. კ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნივთები – თერთმეტი ცალი მცირე ზომის ერთგვარად სამკუთხა-ტრაპეციული ფორმის მოთეთრო ფერის თვლებისმაგვარი ნაწილაკები და მრგვალი ფორმის მოვერხცლისფრო ფერის ბუდეში ჩასმული მოთეთრო ფერის ბეჭდის თვალისმაგვარი დეტალი თვლის ბუდეზე სხივებისმაგვარი ორნამენტებით, რომელსაც ქვედა ნაწილში გააჩნია ვერტიკალური სამაგრისმაგვარი. დაზარალებულ გ. ბ-ს განმარტებით, მითითებული არის მისი ოჯახიდან 2017 წლის 30 მარტს ყაჩაღური თავდასხმის დროს გატაცებული ოქროს ბეჭდის შემადგენელი ნაწილები და ამ ბეჭდის თვლები. 2017 წლის 27 აპრილს, კი დაზარალებულ გ. ბ-ს თანხმობითა და მონაწილეობით, დათვალიერდა ამოღებული სათამაშო „სონი ფლეისთეიშენის“ კომპიუტერი. პაკეტში აღმოჩნდა „სონი ფლეისთეიშენის“ სათამაშო კომპიუტერი საქარხნო ნომრით ..., თავისი ორი ცალი ჯოისტიკით.

5.20. ამოღების ოქმებით ირკვევა, რომ 2017 წლის 1 მაისს დაზარალებულ მ. დ-ს საცხოვრებელი სახლიდან ამოიღეს „ქენონის“ ფირმის ფოტოაპარატისა და მის ობიექტივზე დასაფარებელი შავი ფერის ორი ცალი ხუფი. გარედან ორივე ხუფს აქვს ერთნაირი წარწერა „CANON“, შიდა მხრიდან კი ხრახნები, რომლითაც ეს ხუფები ეხრახნება ერთმანეთს. იმავე დღეს, ასევე ამოიღეს კომპიუტერული სათამაშო მოწყობილობის „ფლეისთეიშენის“ ყუთი, რომელსაც გარედან აქვს წარწერა უცხოურ ენაზე „PLAYSTATION R4 and the Enviroment“, ყუთი არის თეთრი და კუთხეში აწერია „-.....“, მის ქვემოთ „.....“ და „.....“.

5.21. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 1 მაისს დაზარალებულ მ. დ-ს მონაწილეობით დათვალიერდა „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონის თეთრი ყუთი, რომელზეც იკითხება ყუთის კედელზე ჩაჭრილი წარწერა – „.....“, ასევე დათვალიერდა „SAMSUNG GALAXY J1“-ის მოდელის მობილური ტელეფონის პასპორტი, რომელსაც გარედან შემოკრული აქვს თეთრი ფერის ქაღალდი, რომლებზეც აღნიშნულია წარწერა – „.....“. 2017 წლის 21 ივნისს კი მ. დ-სა და გ. ბ-ს მონაწილეობით დათვალიერდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №..... კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნით „Canon-ის“ მოდელის ფოტოაპარატის მეხსიერებიდან ამოღებული ინფორმაცია, 2 ცალ DVD დისკზე. დისკების დათვალიერების შედეგად მასში აღმოჩნდა სურათები დაზარალებულებისა და მათი ნათესავების გამოსახულებით.

5.22. ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმით ირკვევა, რომ 2017 წლის 10 ივლისს დათვალიერდა შპს „მობიტელიდან“ გამოთხოვილი ინფორმაცია დ. კ-ის სარგებლობაში არსებულ

ტელეფონის ნომერზე, 2017 წლის 29 მარტიდან, 2017 წლის 5 აპრილამდე განხორციელებული შემავალი და გამავალი ზარების შესახებ. აღნიშნულ სატელეფონო ნომერს 2017 წლის 30 მარტს ემსახურება ანდა, რომლის მისამართია თ..... რაიონი, სოფელი ჭ-ი. 2017 წლის 10 ივლისს ასევე დათვალა ირდა შპს „მაგთიკომიდან“ გამოთხოვილი ინფორმაცია კ. მ-ს მობილური ტელეფონის ნომერზე, 2017 წლის 29 მარტიდან, 2017 წლის 5 აპრილამდე პერიოდში განხორციელებული შემავალი და გამავალი ზარების, მოკლექტეტური შეტყობინებების, კავშირზე მყოფი პირების დემოგრაფიული მონაცემების, მომსახურე ანძების დასახლებისა და მისამართების შესახებ ინფორმაცია, რომლითაც ირკვევა, რომ 2017 წლის 30 მარტს, კ. მ-ს სარგებლობაში არსებულ სატელეფონო ნომერს ემსახურება ჭ-ის ანდა.

5.23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ამოღების ოქმზე, რომლითაც ირკვევა, რომ 2017 წლის 3 ივლისს დაზარალებულ მ. დ-საგან ამოიღეს „უნიქარდის“ კომპანიის მიერ გაცემული ამონაწერი, რომელზეც მითითებულია, რომ ანგარიშის მფლობელია მ. დ-ე, ანგარიშის ნომერია, ბარათის ნომერი – ამასთან, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული იქნა უნიქარდის ბარათი, რომლის წინა მხარეს იკითხება ნომერი იმავე დღეს დაზარალებულ მ. დ-საგან ამოიღეს მისივე მობილური ტელეფონის „სამსუნგ გალაქსის“ თეთრი ყუთი წარწერების გარეშე და მობილური ტელეფონის პასპორტი წარწერით „SAMSUNG GALAXY J1“.

5.24. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის კინოლოგიის სამსახურის ოდოროლოგიური ექსპერტიზის №..... დასკვნით დგინდება, რომ 2017 წლის 30 მარტს თ-ში მცხოვრებ გ. ბ-ს და მ. დ-ს ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით ოდოროლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენილი შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ, მისაღებ ოთახში ხალიჩის ზედაპირიდან ამოღებული სუნის კვალის ნიმუში იდენტიურია ბრალდებულების – კ. მ-საგან, გ. ზ-საგან და დ. კ-ისგან აღებული სუნის კვალის ნიმუშების, ხოლო არაიდენტიურია ბრალდებულ ი. ს-საგან აღებული სუნის კვალის ნიმუშისა. დასკვნის სისწორე და შინაარსი დაადასტურა მოწმე ბ. ი-მ, რომელმაც დამატებით განმარტა, რომ ოდოროლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისას, თუ ძალში არ არის მწყობრში და არ შეუძლია დავალების მიღება, არ შეასრულებს მითითებულ დავალებას. ექსპერტიზის ჩატარებამდე ძალში გადის შესაბამის შემოწმებას და აღნიშნულის შემდეგ მიჰყავთ მასთან ექსპერტიზის ჩასატარებლად. ამასთან, თუ სუნის ნიმუშისა და მოლეკულის რაოდენობა საკმარისი არ იქნება, ძალში ვერ მოახდენს ამოცნობასა და იდენტიფიცირებას.

5.25. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №..... დასკვნის თანახმად, სეროლოგიური და გენეტიკური კვლევებისა და სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პაკეტი, წარწერით: „...დაზარალებულ მ. დ-ს მიერ ამოცნობილი ერთი წყვილი ხაკისფერ მოყვითალო ფერის სამხედრო ბატინკები...“ მოთავსებულ ფეხსაცმელებზე არსებულ მონითალო – მოყავისფრო ლაქებში (ობ. №..) აღმოჩნდა ადამიანის სისხლი. ობ. №.-ის პროფილის ძირითადი წილი და გ. ბ-ს (ექსპერტის №..... დასკვნა) გენეტიკური პროფილი იდენტურია. ობ. №.-ს პროფილის ერთი წილი და დ. კ-ის (ობ. №..) გენეტიკური პროფილი იდენტურია.

5.26. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს სახლის ჩხრეკის ოქმსა და მოწმეების – ა-ა დ-ის, ლ. კ-ისა და ე. პ-ის ჩვენებებზე, რომლებითაც დგინდება, რომ 2017 წლის 5 აპრილს ჩატარდა გ. ზ-ს საცხოვრებელი სახლის და დამხმარე სათავსოს ჩხრეკა, რა დროსაც საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოში განთავსებული კარადიდან ამოიღეს გადაჭრილი სანადირო, ერთლულიანი თოფი, მასში მოთავსებული ერთი ცალი ვაზნით. თოფი შეხვეული იყო შავი ფერის სვიტერში, შემდეგ კი შავი ფერის პოლიეთილენის პარკში, რაზეც გ. ზ-ემ განაცხადა რომ აღნიშნული თოფი და ვაზნა არ იყო მისი.

5.27. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბალისტიკური ექსპერტიზის №..... დასკვნით დგინდება, რომ უნომრო იარაღი არის ქარხნული წესით დამზადებული, „3K“ მოდელის 16 კალიბრიანი, ერთ ლულიანი სანადირო თოფი, რომელსაც, კუსტარული წესით გადაჭრილი აქვს ლულა და კონდახი. იგი მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის; ერთი ცალი ობიექტი არის ქარხნული წესით დამზადებული 16 კალიბრის ვაზნა, დამუხტული ქარხნული წესით ფინდიხით. იგი მიეკუთვნება სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისათვის (მათ შორის წარმოდგენილი თოფისთვისაც) განკუთვნილ საბრძოლო მასალას და ვარგისია გამოყენებისათვის.

5.28. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, იმერეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ტრასოლოგიურ-ქიმიური ექსპერტიზის №..... დასკვნის თანახმად, სისხლის სამართლის №..... საქმეზე ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილი ერთლულიანი გადაჭრილი თოფის მორაკის გადასახსნელ კავზე და ტიბჟირზე ნიშნები გამოვლენილი ვერ იქნა, ხოლო მორაკის გადასახსნელ კავზე იქ, სადაც ქარხნული წესით დაიტანება საიდენტიფიკაციო ნომერი, გამოვლინდა ნიშნები „...“.

5.29. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მსჯავრდებულ გ. ზ-ს ჩვენებას, რომ 2017 წლის 5 აპრილს მასთან მისულ პოლიციის თანამშრომლებს ნება დართო ჩაეტარებინათ სახლის ჩხრეკა, რადგან სახლში კანონსაწინააღმდეგოს არაფერს ინახავდა. იმ დროს, როდესაც იგი ამშვიდებდა დედას, პოლიციელები შევიდნენ საძინებელში და მიხვდა რასაც აპირებდნენ. პოლიციელებმა ჩხრეკა იმ ოთახიდან დაიწყეს, სადაც თვითონ და დედამისი იმყოფებოდნენ, შემდეგ შევიდნენ საძინებელში, სადაც განთავსებულ კარადაში ნახეს ტომარა, რომელიც მის თვალწინ გახსნეს. ტომარაში აღმოჩნდა გადაჭრილი იარაღი, რომელიც არ იყო მისი საკუთრება და მიიტანეს პოლიციელებმა. გ. ზ-ს ჩვენება არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებით, ამასთან, არ ვლინდება პოლიციელების მხრიდან მის მიმართ რაიმე დაინტერესების არსებობა. გარდა ამისა, ყურადსაღებია მსჯავრდებულის დედის – მონმე ლ-ის ჩვენება, რომელმაც განმარტა, რომ 2017 წლის 5 აპრილს პოლიციელებმა მათ სახლში ჩაატარეს ჩხრეკა, რა დროსაც სახლში იმყოფებოდა გ. ზ-ეც. ამასთან, მონმემ კატეგორიულად მიუთითა, რომ იგი სახლში ცხოვრობს შვილთან – გ. ზ-სთან ერთად. მათთან მიდიოდნენ ხოლმე სტუმრები და ნათესავები, მაგრამ სახლში არავინ რჩებოდა. აღნიშნული კი საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით გამორიცხავს მათ სახლში სხვა პირის მიერ ზემოაღნიშნული ნივთების შენახვის ვარაუდს.

5.30. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მხარეთა მიერ სადავოდ არ გამხდარა, ის ფაქტი, რომ დანაშაულის ჩადენის დროს გ. ზ-ე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 სექტემბრის განაჩენითა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 ივლისის განაჩენით იყო სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის ორჯერ ნასამართლვეი პირი, სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული იყო 2017 წლის 27 იანვარს და იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ. მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება სისხლის სამართლის სამეში წარმოდგენილი სასამართლოს განაჩენებით, განჩინებით და ცნობით.

5.31. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორთა პოზიციას, დ. კ-ის საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულობის შესახებ და მიაჩნია, რომ დაზარალებულთა ჩვენებებით უტყუარად დადასტურდა, რომ ყაჩაღობის დროს დ. კ-ს თან ჰქონდა იარაღი, რომელიც გაუფარდა. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბალისტიკური ექსპერტიზის №..... დასკვნით დასტურდება, რომ სს №..... საქმეზე გამოკვლეული ობიექტი არის ქარხნული წესით დამზადებული, 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნების შემადგენელი ნაწილი-ტყვია,

განკუთვნილი 9მმ (9X19 მმ) კალიბრის პისტოლეტების და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების დიდი ჯგუფისათვის. წარმოდგენილი ტყვია ვარგისია, იდენტიფიკაციისათვის და გასროლილია 9 მმ კალიბრის საშტატო იარაღის ლულიდან.

5.32. სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით დასჯადია ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. ყაჩაღობა ორობიექტიანი დანაშაულია და იგი ერთდროულად ხელყოფს როგორც ადამიანის საკუთრებას, ისე მის ჯანმრთელობას. ობიექტური მხრივ ყაჩაღობა გამოიხატება თავდასხმაში, სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად, რასაც თან ერთვის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა. თავდასხმაში იგულისხმება დაზარალებულისათვის დამნაშავის უეცარი, აგრესიული მოქმედება, რომელიც დაკავშირებულია ძალადობასთან. ყაჩაღობის დროს გამოყენებული ფიზიკური ძალადობა საშიში უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ხოლო მუქარა უნდა იყოს იმშეთიერი და რეალური. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ყაჩაღობის ჩადენა ჯგუფურად. საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის დროს აუცილებელი არ არის ყველა თანამსრულებელმა გამოიყენოს ისეთი ძალადობა, რომელიც საშიშია ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის. საკმარისია მათგან თუნდაც ერთმა მიმართოს ამგვარ ძალადობას და ეს ფაქტი სხვა თანამონაწილეთა განზრახვითაც იყოს მოცული. საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასებით, სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ დ. კ.-მ, კ. მ.-მ და გ. ზ.-ემ მსჯავრად შერაცხილი დანაშაული ურთიერთშეთანხმებული ქმედებებით ერთობლივად, ჯგუფურად განახორციელეს.

5.33. ამასთან, ყაჩაღობის მაკვალიფიცირებელ გარემოებას ასევე წარმოადგენს – ყაჩაღობა ჩადენილი ბინაში უკანონო შეღწევით. სასამართლო განმარტავს, რომ ბინაში მოიაზრება შენობა-ნაგებობა, რომელიც ადამიანთა საცხოვრებლად არის გამიზნული, ხოლო შეღწევა ბინაში უკანონოა თუ იგი ხორციელდება იმ პირის მიერ, რომელსაც ამის უფლება არ აქვს.

5.34. ყოველივე ზემოაღნიშნულით კი სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ გ. ზ.-ემ, კ. მ.-მ და დ. კ.-მ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, უკანონოდ შეაღწიეს დაზარალებულების ბინაში და ცეცხლსას-

როლი იარაღითა და დანით მოკვლის მუქარით, ასევე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, გაიტაცეს ფულადი თანხა და სხვადასხვა ნივთები. ასევე დადგენილია, რომ დ. კ-ი ყაჩაღობის დროს ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას. ხოლო გ. ზ-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი, რაც ამოღებული იქნა მისი ბინის ჩხრეკისას.

5.35. საკასაციო პალატა არ იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად ადასტურებენ ი. ს-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, ხოლო კ. მ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას და ამ ნაწილში ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას. ამასთან, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება დ. კ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ, მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურდა, რომ დ. კ-მ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – ქარხნული წესით დამზადებული 1974 წლის ნიმუშის კალაშნიკოვის კონსტრუქციის „AK-74“ მოდელის 5.45 მმ კალიბრის ავტომატი და საბრძოლო მასალა – ქარხნული წესით დამზადებული 1974 წლის ნიმუშის 5.45 მმ კალიბრის 30 ცალი ვაზნა, ამასთან მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურდა, რომ დ. კ-მ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – 9 მმ კალიბრის პისტოლეტი და საბრძოლო მასალა – 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნა. (აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის გამოყენებით 2017 წლის 30 მარტს დ. კ-ი თანამზრახველებთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა თ-ში მდებარე მ. დ-ს და გ. ბ-ს საცხოვრებელ სახლს).

5.36. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კასატორის მიერ მითითებული მოწმეების – ლ. ჭ-ს, ლ. ზ-ს, მ....., გ. ა-სა და ბ. ს-ს ჩვენებებზე, რომლებითაც დგინდება, რომ 2017 წლის 5 აპრილს მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

გამოცხადდნენ ი. ს-ს საცხოვრებელ სახლში. გამომძიებლის მიერ ი. ს-სთვის უფლებების განმარტებისა და დადგენილების გაცნობის შემდეგ დაიწყო სახლის ჩხრეკა, რა დროსაც მისაღებ ოთახში განთავსებული კარადის მარჯვენა მხარეს მდებარე ჩანთიდან ლ. ჭ-მ ამოიღო გირჩის მსგავსი, მოყავისფრო ნივთი – სავარაუდოდ ხელყუმბარა თავისი ამფეთქით, რაც ადგილზე დალუქა გამომძიებელმა. სახლის ჩხრეკისას ასევე ამოიღეს ხანჯალი, „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი და ი. ს-ს მიერ წარდგენილი პატარა დასაკეცი დანა. მოწმე ლ. ზ-ემ კი დამატებით განმარტა, რომ ამოღებული ნივთები დაილუქა სამ პაკეტად. პირველ პაკეტში მოთავსდა ყუმბარა თავისივე ამფეთქით. პაკეტში ჯერ ხელყუმბარა ჩადეს, შემდეგ კი – ამფეთქი. მეორე პაკეტში კი მოთავსეს შავტარიანი დანა, ხანჯალთან ერთად, ხოლო მესამე პაკეტში – „სამსუნგის“ ფირმის მობილური ტელეფონი. ჩხრეკისას ლ. ჭ-მ ხელყუმბარა და ამფეთქი ამოიღო ცალ-ცალკე, კერძოდ, მარცხენა ხელში ეჭირა ყუმბარა, მარჯვენაში კი – ამფეთქი და დადო მაგიდაზე, რის შემდეგაც დალუქეს. მოწმის ჩვენება, რომ ამოღებისას ლ. ჭ-ს ხელყუმბარა და ფალია ეჭირა ცალ-ცალკე, შემდეგ კი დაილუქა ერთად, თანხვედრილია მოწმე გ. ა-ს ჩვენებასთან, რომელმაც დამატებით განმარტა, რომ ბ. ს-ემ შიშველი ხელი მოჰკიდა ყუმბარას, რომელიც იყო მომწვანო, სამხედრო ფერს რომ ეძახიან ისეთი. აღსანიშნავია, რომ ამ მოწმეებისგან განსხვავებული ჩვენება მისცა სასამართლოს მოწმე მ-მ, რომელმაც განმარტა, რომ ამოღებისას ხელყუმბარა და ფალია ცალ-ცალკე არ ყოფილა, თუმცა არ იცის ჩახრახნილი იყო თუ არა. მისივე განმარტებით, ხელყუმბარა იყო ხაკისფერი, მოყავისფრო. მოწმე ბ. ს-მ კი განმარტა, რომ ამოღებისას ხელყუმბარა და ფალია იყო ცალ-ცალკე. ვინაიდან ფალია არის ხელყუმბარის შემადგენელი ნაწილი, ჩხრეკის ოქმში ჩანერა, რომ დალუქა ყუმბარა და ცალკე აღარ მიუთითა ფალია, თუმცა ორივე მათგანი დალუქა ერთად. ამასთან, მან ყუმბარა აიღო ფაილით და არა შიშველი ხელით, რადგან ჩვევად აქვს ამოღებულ ნივთებს შიშველი ხელით არ შეეხოს. მოწმის განმარტებით, ამოღებული ყუმბარა იყო გირჩის ფორმის, სამხედრო ფერის, რის გამოც ჩათვალა, რომ იყო ყავისფერი და სწორედ ასე ჩანერა ოქმშიც.

5.37. ექსპერტ ალ. ჩ-ის ჩვენებითა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის პიროტექნიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დგინდება, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი საგნები წარმოადგენენ: 1 ერთეულ ქარხნული წესით დამზადებულ „Ф-1“ ტიპის ხელის მსხვერვადი ყუმბარის კორპუსს სასკდომი მუხტით, რომელიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და წარმოადგენს ასაფეთქებელ მოწყობილობას. საბრძოლო გამოცდის ჩატარებამდე ვარგისი იყო დანიშნულებით გა-

მოსაყენებლად. ასევე, 1 ერთეულ ქარხნული წესით დამზადებულ ხელის მსხვერველადი ყუმბარებისათვის განკუთვნილ „V3IIPM“ ტიპის ამფეტე ფალიას, რომელიც მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და წარმოადგენს ასაფეთქებელ მოწყობილობას. საბრძოლო გამოცდის ჩატარებამდე ვარგისი იყო დანიშნულებით გამოსაყენებლად.

5.38. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებებში არის გარკვეული ხასიათის ცდომილებები, კერძოდ, მოწმეები განსხვავებულად უთითებენ ხელყუმბარა და ფალია ერთად ამოიღეს, თუ ცალ-ცალკე, ასევე, ყუმბარის ფერს. ამასთან, მართალია მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ჩხრეკისას ამოღებული ყუმბარა და ფალია გამომძიებელმა დაილუქა ერთ პაკეტად, თუმცა აღნიშნული ეწინააღმდეგება ჩხრეკის ოქმს, რომელშიც მითითებულია, რომ ი. ს-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოღებული იქნა მოყავისფრო, გირჩის მაგვარი, ლითონის ხელყუმბარის მსგავსი ნივთი თავისი ამფეტეით, რაც დაილუქა 33/12/4 ბეჭდით. თუმცა, გრაფაში „ამოღებული ნივთები და საგნები აღწერის შემდეგ დაილუქა და შეიფუთა“ მითითებულია, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებული გირჩისებური ხელყუმბარა დაილუქა ლუქის ბეჭდით და მასში არაფერია ნათქვამი ამფეტეზე, რაც მოწმეთა ჩვენებებს დამაჯერებლობას უკარგავს. გარდა ამისა, მართალია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის №..... დასკვნაზე დართულ №5 ფოტოზე გამოსახულია, ხელყუმბარა, ამფეტეი, ლუქი და პაკეტი, თუმცა პაკეტზე, რომელშიც აღნიშნული ხელყუმბარა და ამფეტეი იყო მოთავსებული იკითხება წარწერა: „მ/წლის 5 აპრილს თ-ში მცხოვრებ ი. ს-ს საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული ლითონის გირჩისებური ნივთი...“ და არაფერია ნათქვამი ფალიაზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი არ არის უარყოფილი გონივრული ეჭვი ნივთიერი მტკიცებულების შესაძლო გამოცვლის, ან მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის შესახებ, რის გამოც, ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №... დასკვნაში მითითებული გარემოება, რომ ობ. №..-ის (გირჩის ფორმის მეტალის ნივთზე არსებული ბიომასალა) პროფილში ვლინდება ი. ს-ს (ობ. №..) გენეტიკური თანამონაწილეობა, საფუძვლად ვერ დაედება ი. ს-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

5.39. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოწმე პოლიციელებისაგან განსხვავებული ჩვენებები მისცეს სასამართლოს მოწმეებმა – ი-ე ს-ემ და ჟ. ჭ-ემ, რომლებმაც განმარტეს, რომ 2017 წლის 5 აპრილს, დილით, მათთან სახლში მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები, რომელთა შორის იყო ბ. ს-ე და იკითხეს ი. ს-ე. ი-ე ს-ემ გააღვიძა ი. და უთხრა, რომ

პოლიციელები იყვნენ მისული. ამ დროს პოლიციის თანამშრომლები უკვე მისაღებ ოთახში იყვნენ შესული. ი. ს-ს გამოსვლის შემდეგ ჩატარდა სახლის ჩხრეკა, რა დროსაც, ამოიღეს ე.წ. „ლიმონკა“, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ და ჩაუდეს პოლიციელებმა, რომლებმაც არ მისცეს ჩხრეკაზე დასწრების უფლება. ამასთან, მოწმე ჟ. ჭ-ემ დამატებით განმარტა, რომ მას შეიღმა უთხრა, რომ „პოლიციელებმა იქ რაღაც დადეს“, რის გამოც პოლიციელები არასრულწლოვანს დაჭერით დაემუქრნენ. ის ჩანთა კი, საიდანაც პოლიციელებმა „ლიმონკა“ ამოიღეს მას თურქეთიდან გამოუგზავნა დედამ. შესაბამისად, ჩანთაში რომ კანონსაწინააღმდეგო ნივთი ყოფილიყო საბაჟოზევე აღმოაჩენდნენ სამართალდამცველები და თვითონაც ნახავდა, რადგან ჩანთაში მოთავსებული იყო გასაყიდი საბნები, რომლებიც აჩვენა ნათესავებს. აღნიშნულ მოწმეთა განმარტებით, მათ ისე მოაწერეს გამოკითხვის ოქმებს ხელი, რომ თვითონ არ წაუკითხვათ. ი. ს-ემ კი განმარტა, რომ იგი იმიტომ დასთანხმდა ჩხრეკის ჩატარებას, რომ იცოდა სახლში კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ამოღებული ე.წ. „ლიმონკა“ კი მას ჩაუდეს პოლიციის თანამშრომლებმა.

5.40. მოცემულ შემთხვევაში მოწმე პოლიციელთა ჩვენებები ეწინააღმდეგება, როგორც ერთმანეთს, ასევე, დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებს, ჩხრეკის ოქმსა და ექსპერტიზის დასკვნებს. ამასთან, წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება ამოღებული ხელყუმბარისა და ფალიის ი. ს-სადმი კუთვნილება. გარდა ამისა, უარყოფილი არ არის ეჭვი ამ ნივთიერი მტკიცებულებების შესაძლო გამოცვლის, ან მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ი. ს-ე საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

5.41. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს ჩხრეკის ოქმსა და მოწმეების – ა. ბ-ის, გ. ლ-ას, გ. ქ-ისა და თ. გ-ის ჩვენებებზე, რომლებითაც ირკვევა, რომ 2017 წლის 5 აპრილს, დაახლოებით დილის რვა საათზე, ისინი მივიდნენ ტ..., გ..... ქუჩაზე მდებარე კ. მ-ს საცხოვრებელ სახლში. გამომძიებელმა დაუძახა მასპინძელს, რის შემდეგაც მათ გამოსასვლელ კარში დახვდათ კ-ის მეუღლე. ოთახში კი, სანოლზე იწვა კ. მ-ი, რომელსაც გამომძიებელმა გააცნო დადგენილება, რის შემდეგაც ჩატარდა სახლის ჩხრეკა, რა დროსაც ამოღებული იქნა სხვადასხვა ნივთები. მათ შორის, მისაღებ ოთახში დადებული მოსაცმელის ჯიბიდან ამოიღეს ე.წ. „ჩიბუხი“, რომელშიც იყო რაღაც „ნარჩენები“, ხოლო სახლის მეორე სართულზე მდებარე დიდ ოთახში განთავსებული ხის სათავსოდან ამოიღეს შავ პარკში შეხვეული პის-

ტოლეტი მჭიდრითა და დამუხტული სამი ვაზნით. ჩხრეკის მიმდინარეობისას მათთან ერთად მუდმივად იმყოფებოდა კ. მ-ს მეუღლე, თვითონ კ-ი კი გ. ლ-ასთან ერთად დარჩა ერთ-ერთ ოთახში. იარაღის ამოღებისას იქვე მყოფმა ს. ბ-მა განაცხადა, რომ არ იცოდა საიდან მოხვდა იქ იარაღი. ჩხრეკის დასრულების შემდეგ კ. მ-მ ჩხრეკის ოქმის სამ გვერდზე მოანერა ხელი, ს. ბ-მა კი უარი განაცხადა ხელის მოწერაზე. მოწმე გ. ქ-მ დამატებით განმარტა, რომ ხის სათავსოს დათვალიერებისას, რომელშიც მოთავსებული იყო ტანსაცმელი გაიგო მძიმე საგნის ძირს დავარდნის ხმა და დაინახა შავ პარკში მოთავსებული შავი პისტოლეტი, მჭიდრითა და სამი ცალი ვაზნით, წარწერით „COMBAT PP“.

5.42. მოწმე გ. ძ-ისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით კი დგინდება, რომ სს №... საქმეზე წარმოდგენილი უნომრო იარაღი არის ქარხნული წესით დამზადებული, „COMBAT PP“ მოდელის 9 მმ ნომინალური კალიბრის პისტოლეტი, რომელიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის. სამი ცალი ვაზნიდან ერთი არის ქარხნული წესით დამზადებული, 9 მმ ნომინალური კალიბრის პისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის (მათ შორის წარმოდგენილი პისტოლეტისათვისაც) განკუთვნილი ხმოვანი ვაზნა და არ მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას; ორი არის 9 მმ ნომინალური კალიბრის პისტოლეტებისა და რევოლვერებისათვის განკუთვნილი მასრების გამოყენებით კუსტარული წესით ჭურვებით დამუხტული ვაზნა. ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოყენებისათვის; წარმოდგენილი მჭიდი განკუთვნილია „COMBAT PP“ მოდელის პისტოლეტებისათვის და არ მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება ამოღებული ნივთების კ. მ-სადმი კუთვნილება.

5.43. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოწმე პოლიციელთა ჩვენებები ეწინააღმდეგება მოწმე ს. ბ-ის ჩვენებას, რომლითაც ირკვევა, რომ იგი 2017 წლის 5 აპრილს იმყოფებოდა სახლში, რა დროსაც შემოესმა ნაბიჯების ხმა და ხმაური. გაიხედა და ნახა, რომ მათთან მისული იყვნენ ტყიბულის პოლიციის უფროსი – კ-ე და სხვა პოლიციელები. კარის გაღებისთანავე პოლიციელები შევიდნენ სახლში, ააყენეს მისაღებ ოთახში წამოწოლილი კ. მ-ი, გაიყვანეს გვერდზე და დაიწყეს სახლის ჩხრეკა. მას და მის შვილს კი არ აძლევდნენ ნორმალურად გადაადგილების საშუალებას. ჩხრეკისას იგი იყო პოლიციელებთან ერთად, რომლებსაც აქცევდა ყურადღებას, რადგან ეშინოდა რაიმე არ ჩაედოთ. ჩხრეკისას მეორე სართულზე მდებარე ოთახში განთავსებული ლოგი-

ნის ჩასაწყობიდან გამომძიებელმა ამოიღო იარაღი. იმ დროს როცა ერთი პოლიციელი იდგა სალოგინესთან, მეორე პოლიციელი იდგა იმავე ოთახში, ოღონდ სხვა ადგილზე. იგი ცდილობდა ორივესთვის მიექცია ყურადღება, თუმცა იმ დროს როდესაც გახედა მეორე პოლიციელს, გაიგო დავარდნის ხმა, გამოიხედა და დაინახა, რომ სალოგინესთან მყოფ პოლიციელს ხელში ეჭირა იარაღი და ამბობდა „ეს ჩერჩეტი კაცის ნამოქმედარიო“. მოწმემ ასევე განმარტა, რომ მან ჩხრეკამდე სამი დღით ადრე დააღაგა სალოგინე და იქ იარაღი არ უნახავს. პირველ სართულზე ყოფნისას, მას მეორე სართულიდან შემოესმა ფეხის ხმა, რის გამოც ფიქრობს, რომ იარაღი იქ დადო პოლიციამ. სწორედ ამიტომ განაცხადა მან უარი ჩხრეკის ოქმის ხელმოწერაზე. მოწმემ ასევე განმარტა, რომ ჩხრეკისას პოლიციელებმა ამოიღეს ჩიბუხი, რომელიც კ.მ-ს მან აჩუქა. მოწმე ნ-ემ კი განმარტა, რომ 2017 წლის 5 აპრილს, დაახლოებით დილის 07:30 საათზე, შემოესმა ხმაური, გაიხედა და დაინახა პოლიციის 8 მანქანა, რომელთაგან ოთხი გაჩერდა, ოთხმა კი განაგრძო გზა. გაჩერებისთანავე ავტომანქანიდან გადმოვიდნენ პირები, რომლებმაც გააღეს კ.მ-ს სახლის ჭიშკარი, შევიდნენ ეზოში და ოთხი მათგანი პირდაპირ ავიდა სახლის მეორე სართულზე. დაახლოებით ხუთი წუთი მოძრაობდნენ აივანზე, შემდეგ კი შევიდნენ სახლში. ამ დროს სახლის ჩხრეკა ჯერ არ იყო დაწყებული. მას დაამახსოვრდა, რომ სახლის მეორე სართულზე მდებარე ოთახში სხვა პირებთან ერთად შევიდა წითელ ზედიანი ბიჭიც, რომელიც მალევე ჩამოვიდა ქვემოთ. ეზოში და სახლში იყო ბევრი პოლიციელი. ვინაიდან მ-ების ოჯახთან აქვს ნათესაური კავშირი იგი ამბის გასაგებად მივიდა მათთან, თუმცა პოლიციელებმა არ შეუშვეს. ამიტომ იგი თავისი სახლის აივნიდან აკვირდებოდა განვითარებულ მოვლენებს. მოწმის განმარტებით, სახლის მეორე სართულზე მდებარე ოთახში სხვა პირებთან ერთად შევიდა წითელ ზედიანი ბიჭიც, რომელიც მალევე ჩამოვიდა ქვემოთ. მსჯავრდებულ კ.მ-ს განმარტებით კი, იმ ოთახში სადაც ეძინა, გადაკიდებული ჰქონდა სპორტული მოსაცმელი, საიდანაც ამოიღეს ჩიბუხი და დანა. პოლიციელები ჩხრეკდნენ მის სახლს, თუმცა სურვილის მიუხედავად მას არ მისცეს ჩხრეკაში მონაწილეობისა და პირველ სართულზე მდებარე ოთახიდან გასვლის უფლება. რამდენიმე ხანში მასთან შევიდა გამომძიებელი, რომელმაც აჩვენა საქალაქო, მასში არსებული პისტოლეთითა და სამი დამუხტული ვაზნით და უთხრა, რომ ეს ნივთები ნახა სახლის მეორე სართულზე, თუმცა აღნიშნული ნივთები მას არ ეკუთვნოდა და არც ის იცის ვისია. მის სახლში ჩხრეკას ატარებდნენ პოლიციელები, რომლებიც საგამომძიებო მოქმედების ოქმში არ არიან მითითებულნი. იქ ბევრი პოლიციელი იყო და ვინ რას ჩხრეკდა ვერ არკვევდა. ჩხრეკისას ამოიღეს მისი მეუღლის კუთვნილი ოქროს ნივთები და

დედის კუთვნილი თანხა.

5.44. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება, რომ ჩხრეკის ოქმში მითითებული სახლის ჩხრეკისას ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა კ. მ-მ. სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რაც გაამყარებდა ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებებს და დაადასტურებდა ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის კ. მ-სადმი კუთვნილებას წარმოდგენილი არ არის, რის გამოც კ. მ-ი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ უნდა იქნეს ცნობილი და გამართლდეს.

5.45. ამასთან, აღსანიშნავია, რომ როგორც ბრალდების მხარის მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმითა და ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, კ. მ-ს სახლის ჩხრეკისას ამოღებული იქნა ჩიბუხი, რომელზეც აღინიშნებოდა შავი ფერის, რალაც ნივთიერების ნარჩენი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით კი დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი: მეტალის ჩიბუხის თავში არსებული მოშავო ფერის ნივთიერება, წონით 0,005 გრამი, შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ტეტრაჰიდროკანაბინოლს“ 0,0007 გრამის ოდენობით. ამასთან, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია „ტეტრაჰიდროკანაბინოლის“ დასჯადობის საწყისი მინიმალური ოდენობა – 0,05 გრამი. შესაბამისად, კ. მ-ს ჩიბუხზე არსებული ნივთიერების 0,005 გრამის ოდენობით ქონა, რომელიც შეიცავს ნარკოტიკულ საშუალებას „ტეტრაჰიდროკანაბინოლს“ 0,0007 გრამის ოდენობით, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას, რის გამოც კ. მ-ი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახელმეფარდებული პირის მიერ) წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

5.46. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს კასატორის მიერ მითითებულ ჩხრეკის ოქმსა და მოწმეების – დ-ა ჯ-ის, კ. ნ-ისა და ვ. ა-ის ჩვენებებზე, რომლებითაც ირკვევა, რომ 2017 წლის 5 აპრილს მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ისინი გამოცხადდნენ ქ.ტ, გ... ქუჩაზე მდებარე დ. კ-ის საცხოვრებელ სახ-

ლში, სადაც დახვდათ დ. კ-ის მამა – ი. კ-ი, რომელსაც გამომძიებელმა გააცნო დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩხრეკის ჩატარების თაობაზე, რაზეც ი. კ-მა განაცხადა თანხმობა. ამის შემდეგ ჩატარდა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს სხვადასხვა ნივთები. მათ შორის ზემოაღნიშნულ სახლზე მიბმული ავტოფარეხის ქვევით მდებარე სარდაფიდან ამოიღეს ავტომატი ხის კონდახით, ერთი მჭიდითა და ოცდაათი ვაზნით, რაც ი. კ-ის განმარტებით მას არ ეკუთვნოდა. მათ ჩათვალეს, რომ ავტომატი და ვაზნები სავარაუდოდ ეკუთვნოდა დ. კ-ს. მოწმეთა განმარტებით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მიყუდებული იყო კედელზე და აფარებული ჰქონდა ე.წ. „ფეშტი“, რომელიც გადმოსწია ი. კ-მა და ნახა ავტომატი, რაზეც თქვა „ეს რა მოუტანიაო“. მოწმე კ. ნ-ემ კი დამატებით განმარტა, რომ ი. კ-ის განმარტებით, ამოღებული ნივთები უნდა ყოფილიყო მისი შვილის – დ. კ-ის საკუთრება.

5.47. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბალისტიკური ექსპერტიზის №..... დასკვნით დგინდება, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი უნომრო იარაღი (ჩამკეტზე ნომრით ..) არის ქარხნული წესით დამზადებული, 1974 წლის ნიმუშის, კალაშნიკოვის კონსტრუქციის „AK-74“ მოდელის, 5.45 მმ კალიბრის ავტომატი, რომელიც მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის როგორც ცალმაც, ასევე ავტომატურ რეჟიმში. ხოლო ოცდაათი ცალი ობიექტი არის ქარხნული წესით დამზადებული, 1974 წლის ნიმუშის, 5.45 მმ კალიბრის ვაზნა, განკუთვნილი 1974 წლის ნიმუშის 5.45 მმ კალიბრის კალაშნიკოვის კონსტრუქციის „AK-74“, „AKC-74“, „AKC-74“ ავტომატებისათვის, „РПК“ ხელის ტყვიამფრქვევებისათვის და სხვა, მათ შორის, წარმოდგენილი ავტომატისათვისაც. ვაზნები მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია გამოყენებისათვის. წარმოდგენილი მჭიდი განკუთვნილია კალაშნიკოვის კონსტრუქციის 5.45 მმ კალიბრის ავტომატებისათვის და არ მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

5.48. მართალია ჩხრეკის ოქმითა და მოწმე პოლიციელთა ჩვენებებით ირკვევა, რომ დ. კ-ის სახლის ჩხრეკისას ამოიღეს ავტომატი ხის კონდახით, ერთი მჭიდითა და ოცდაათი ვაზნით, თუმცა აღსანიშნავია, რომ პირდაპირი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა აღნიშნული ნივთების დ. კ-სდმი კუთვნილებას წარმოდგენილი არ არის. ამასთან, მოწმეთა ჩვენებები ეწინააღმდეგება მოწმე ი. კ-ის ჩვენებას, რომელმაც განმარტა, რომ მას პოლიციელებისთვის არ უთქვამს, რომ იარაღი და ვაზნები ეკუთვნოდა მის შვილს – დ. კ-ს. მოწმის განმარტებით, 2017 წლის 5 აპრილს პოლიციელებმა გაჩხრიკეს მისი საცხოვრებელი სახლი,

რა დროსაც ავტოფარების ქვემოთ მდებარე სარდაფიდან ამოიღეს იარაღი და ოცდაათი ცალი ვაზნა, თუმცა საიდან აღმოჩნდა ეს ნივთები სარდაფში მისთვის უცნობია. მას პოლიციელებმა უარი უთხრეს სახლის ჩხრეკაზე სხვა პირთა დასწრებაზე, რის გამოც ეჭვობს, რომ იარაღი სარდაფში დადეს პოლიციელებმა. დ. კ-ის განმარტებით კი, მას იარაღთან არასდროს ჰქონია შეხება და არც ამოღებული ავტომატი და ვაზნები ეკუთვნის მას. სახლი, რომელიც გაჩხრიკეს ეკუთვნის მამამისს და ამ უკანასკნელის ძმას. იგი სახლში ცხოვრობდა მამასთან ერთად და სარდაფს მხოლოდ მაშინ იყენებდა, როცა ავტომანქანა ჰყავდა, სხვა დროს მას სარდაფთან შეხება არ ჰქონია. აღნიშნული სარდაფით სარგებლობდა მამამისიც.

5.49. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადასტურდა, რომ ზემოაღნიშნული დამხმარე სათავსოთი სარგებლობდა მხოლოდ დ. კ-ი და რომ იქ არსებული ნივთები, მათ შორის ამოღებული ავტომატი ერთი მჭიდითა და ოცდაათი ვაზნით ეკუთვნოდა მას. კასატორის განმარტება, რომ ვინაიდან წარსულში აღნიშნული სათავსოდან ამოღებული იქნა ნარკოტიკული საშუალება, რისთვისაც დ. კ-ი გაასამართლეს, ვერ მიიჩნევა დ. კ-ის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი იმის დასადასტურებლად, რომ დ. კ-მ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ქ. თ-ში მდებარე საკუთარი საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსოში შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – ქარხნული წესით დამზადებული 1974 წლის ნიმუშის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის „AK-74“ მოდელის 5.45 მმ კალიბრის ავტომატი და საბრძოლო მასალა – ქარხნული წესით დამზადებული 1974 წლის ნიმუშის 5.45 მმ კალიბრის 30 ცალი ვაზნა. შესაბამისად, იგი ამ ნაწილში ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს.

5.50. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები (2017 წელს 30 მარტს მოქმედი რედაქცია) დასჯად ქმედებად მიიჩნევენ ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას და ტარებას. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა გულისხმობს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით მის მოპოვებას, რაც გამოიხატება მოქმედებაში, კერძოდ, მის ყიდვაში, სხვა ნივთში გაცვლაში, ვალში ჩათვლაში, ნაჩუქარის მიღებაში, ნაპოვნის დაუფლებაში და ა.შ. იმ გარემოებას, რომ დაუდგენელია, როდის და რა ვითარებაში შეიძინა დ. კ-მ ცეცხლსასროლი იარაღი – 9 მმ კალიბრის პისტოლეტისა და საბრძოლო

მასალა – 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნა, ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ეს დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირს ეძლევა იარაღის განკარგვის შესაძლებლობა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა გულისხმობს მისთვის ადგილსამყოფელის მიჩენას იმ პირის მიერ, ვისაც მისი შენახვის კანონიერი უფლება არ აქვს, თუმცა მისი სურვილის შესაბამისად შეუძლია იარაღი გამოიყენოს მაშინ, როდესაც დასჭირდება. შენახვა შეიძლება განხორციელდეს საცხოვრებელ ბინაში, სარდაფში, ეზოში და ა.შ. მის ხანგრძლივობას ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

5.51. ამასთან, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება, რაც თავისთავად შენახვასაც მოიცავს, გამოიხატება იარაღთან ერთად გადაადგილებაში, როდესაც პირი ამას კანონით მინიჭებული უფლების გარეშე ახორციელებს. აღნიშნული ქმედება შესაძლებელია განხორციელდეს ტანსაცმლით, ჩანთით, მანქანით, რომლითაც პირი მოძრაობს და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ დ. კ-ი მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ იარაღს უკანონოდ ინახავდა და უკანონოდ ატარებდა დაზარალებულებზე ყაჩაღური თავდასხმის დროს. გარდა ამისა, დადგენილია, რომ დ. კ-ს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მინიჭებული არ ჰქონდა იარაღის ფლობის, განკარგვის, იარაღით სარგებლობისა და ტარების უფლება. შესაბამისად, მას ცეცხლსასროლი იარაღი – 9 მმ კალიბრის პისტოლეტი და საბრძოლო მასალა – 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნა შეძენილი ჰქონდა, ინახავდა და მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა დაზარალებულებზე ყაჩაღური თავდასხმის დროს.

5.52. გასათვალისწინებელია, რომ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე განსაზღვრავს იარაღის სახეებს, არეგულირებს იარაღის ბრუნვასთან და მასზე კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, იარაღის ბრუნვის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ტერმინში „იარაღი“ იგულისხმება მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად, ან სიგნალის მისაწოდებლად. ამავე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, ცეცხლსასროლი იარაღი არის იარაღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენთის ან სხვა მუხტის წვისას გამოყოფილი ენერგიის შედეგად და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკურად დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად.

5.53. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნაზე, რომლითაც დადგენილია, რომ სს №... საქმეზე გამოკვლეული ობიექტი არის ქარხნული წესით დამზადებული, 9 მმ კალიბრის PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნების შემადგენელი ნაწილი-ტყვია, განკუთვნილი 9მმ (9X19 მმ) კალიბრის პისტოლეტების და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების დიდი ჯგუფისათვის. წარმოდგენილი ტყვია ვარგისია, იდენტიფიკაციისათვის და გასროლილია 9 მმ კალიბრის საშტატო იარაღის ლულიდან. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ დ. კ-მ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა ცეცხლსასროლი იარაღი – 9 მმ კალიბრის პისტოლეტი და საბრძოლო მასალა – 9 მმ კალიბრის „PARABELLUM/LUGER-ის“ 1908 წლის ნიმუშის ვაზნა, რის გამოც იგი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

5.54. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №4-285-2016 დადგენილებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ დ. კ-ი ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით და სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

5.55. დ. კ-ის პირადი ჩხრეკის ოქმითა და მოწმეების – ზ. ფ-ისა და მ-ის ჩვენებებით კი დასტურდება, რომ 2017 წლის 5 აპრილს მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მათ ქ. ტ....., გ..... ქუჩაზე ჩაატარეს დ. კ-ის პირადი ჩხრეკა, რა დროსაც დ. კ-ის შარვლის მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს წარწერებიან ქაღალდში გახვეული მომწვანო ნივთიერება.

5.56. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, იმერეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნაზე, რომლითაც დგინდება, რომ წარმოდგენილი მომწვანო ფერის, სპეციფიკური სუნის მქონე მცენარეული მასა, მშრალ მდგომარეობაში, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას გამომშრალ მარიხუანას წონით 0,28 გრამს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას დ. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილი ბრალდების საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე გადაკვალიფიცირებისა

და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის პირველი მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელისგან მისი გათავისუფლების შესახებ.

5.57. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის სიტყვების „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, კ. მ-ი და დ. კ-ი უნდა გათავისუფლდნენ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რასაც არც მხარეები ხდნიან სადავოდ.

5.58. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, წარმოდგენილ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად არ დასტურდება ი. ს-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და კ. მ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა, რის გამოც ბრალდების ამ ნაწილში მტკიცებულებათა შეფასებისას წარმოშობილი ეჭვი სასამართლოებმა სამართლიანად გადაწყვიტეს ბრალდებულების სასარგებლოდ. ამასთან, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, ურთიერთშეჯერებული, ამკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება დ. კ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებითა და საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, კ. მ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო გ. ზ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა. ამასთან, დ. კ.-ს და კ. მ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახელმწიფარდებული პირის მიერ).

5.59. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ მსჯავრდებულების დ. კ.-ის და კ. მ.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა ვ. მ.-მ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 აპრილის განაჩენზე საკასაციო საჩივარი წარადგინა 2023 წლის 19 მაისს, სადაც მითითებულია, რომ სააპელაციო სასამართლომ განაჩენი ჩააბარა დაგვიანებით (2023 წლის 19 მაისს), რის გამოც დაზუსტებულ საკასაციო საჩივარს წარადგენდა გონივრულ ვადაში. სისხლის სამართლის საქმე და საკასაციო საჩივრები საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოგზავნილი იქნა 2023 წლის 19 სექტემბერს. ვ. მ.-ის საკასაციო საჩივარი მხარეთა სხვა საკასაციო საჩივრებთან ერთად განსახილველად დაშვებული იქნა 2024 წლის 25 იანვარს. ადვოკატმა ვ. მ.-მ დაზუსტებული საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემოიტანა 2024 წლის 5 თებერვალს, მას შემდეგ რაც ეცნობა ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის თარიღი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 302-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საკასაციო საჩივარი შეიტანება განაჩენის გამომტან სასამართლოში მისი გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში. მოცემულ შემთხვევაში კი, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის დაგვიანებით ჩაბარების წინაპირობის გათვალისწინებით, დაზუსტებული საკასაციო საჩივარი არ შეიძლება ჩაითვალოს გონივრულ ვადაში წარდგენილად (წარმოდგენილი იქნა სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამომტანიდან ათი თვის, ხოლო ჩაბარებიდან ცხრა თვის გასვლის შემდგომ). შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ იმსჯელებს დაზუსტებულ საკასაციო საჩივარზე.

6. სასჯელის დასაბუთება:

6.1. საქართველოს სსსკ-ის 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. სასჯელის სამართლიანობის პრინციპს განამტკიცებს ასევე საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიც, რომელიც სასამართლოს ავალდებულებს დამნაშავეს დაუნიშნოს სამართლიანი სასჯელი და პრიორიტეტს ანიჭებს ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელის გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

6.2. სასჯელის დანიშვნის დროს საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები, ყოფაქცევა ქმედების შემდეგ.

6.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასჯელის სახით გამოყენებული თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა უნდა იყოს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, რეალური და პროპორციული სასჯელის მიზნების მისაღწევად. ერთის მხრივ სასჯელის სახემ და ზომამ დაუსჯელობის განცდა არ უნდა გამოიწვიოს, ხოლო მეორე მხრივ, მსჯავრდებულს და საზოგადოებას არ უნდა გაუჩინოს განცდა, რომ სასჯელის მიზანს ადამიანის პირადი დასჯა და ტანჯვა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სასჯელის შერჩევისას სასამართლომ თანაბრად უნდა გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი ფაქტორები, რომელთა სამართლიანი ურთიერთშეფასებისას, არ უნდა მოხდეს რომელიმე საგულისხმო ფაქტორის უგულვებელყოფა.

6.4. სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს კ. მ-ს, გ. ზ-სა და დ. კ-ის მიერ ჩადენილი ქმედებების საზოგადოებრივ საშიშროებას (მათ მიერ ჩადენილია მომეტებული საშიშროების მატარებელი ძალადობრივი ხასიათის დანაშაული), ქმედებების განხორციელების სახესა და ხერხს (ქმედება ჩაიდინეს იარაღის გამოყენების მუქარით, თავდასხმის დროს იჩენდნენ განსაკუთრებულ აგრესიას დაზარალებულთა მიმართ), მართლსაწინააღმდეგო შედეგს, ქმედების ჩადენის ანგარებით მოტივს, მათ პიროვნებას და წარსულ ცხოვრებას (დ. კ-ი დანაშაულის ჩადენისას იყო ნასამართლობის არქონე, ხოლო კ. მ-ი ნასამართლევი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, გ. ზ-ე კი – განზრახი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის). საკასაციო სასამართლო, ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ კ. მ-მ მსჯავრდმურა ცხილი დანაშაული ჩაიდინა პენიტენციური დაწესებულების დატოვებიდან დროის მოკლე პერიოდში, ხოლო გ. ზ-ემ პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში, რაც მიუთითებს, რომ მათ მიმართ გამოყენებულმა სასჯელებმა ვერ უზრუნველყო სასჯელის ერთ-ერთი მიზანი – ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების მხედველობაში მიღებით და იმის გათვალისწინებით, რომ დაზა-

რალებულებს აღარ გააჩნიათ მსჯავრდებულების მიმართ პრეტენზია, საბოლოოდ კ. მ-ს სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს – 10 წლით თავისუფლების აღკვეთა; დ. კ-ს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გ. ზ-ეს – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იქნება პრო-პორციული ზემოქმედების ღონისძიება, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს – სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაციას. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. ზ-ემ დანაშაული ჩაიდინა პირობით გამოსაცდელ ვადაში, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან გათავისუფლებიდან უმოკლეს ვადაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მის მიმართ, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის განსაზღვრისას გამოყენებული უნდა იქნეს სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების წესი.

6.5. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ზესტაფონის რაიონული პროკურორის მოადგილის ზიტა ჭულუხაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. მსჯავრდებულების – დ. კ-ს და კ. მ-ს ინტერესების დამცველის ადვოკატ ვ. მ-ის, ასევე, მსჯავრდებულ გ. ზ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 21 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. ი. ს-ე საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნას უდანაშაულოდ და გამართლდეს;

5. ი. ს-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს თანხა;

6. გამართლებულ ი. ს-ეს განემართოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

7. კ. მ-ი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკო-

ტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) წარდგენილ ბრალდებებში ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს;

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, კ. მ-ი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობისაგან;

9. კ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა;

10. კ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 5 აპრილიდან;

11. დ. კ-ი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობისაგან.

12. დ. კ-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა და შენახვა, ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ-სახდელშეფარდებული პირის მიერ, 2017 წლის 26 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 273'-ე მუხლის პირველ ნაწილზე;

13. დ. კ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, საქართველოს სსკ-ის 273'-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

14. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

15. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა;

16. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

17. საქართველოს სსკ-ის 273¹-ე მუხლის პირველი ნაწილით – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათით; რომლის მოხდისგანაც გათავისუფლდეს „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2021 წლის 11 იანვრის კანონის პირველი მუხლის საფუძველზე;

18. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელები და დ. კ-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

19. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 და მე-2 ნაწილების საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის №1/262-17 განაჩენით დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 1000 ლარი და საბოლოოდ დ. კ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა;

20. დ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 5 აპრილიდან;

21. 2021 წლის 11 იანვრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე დ. კ-ს აღუდგეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 აპრილის №1/262-17 განაჩენით „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 3 წლით ჩამოერთმეული ყველა უფლება, გარდა იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებისა;

22. გ. ზ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს:

23. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

24. საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

25. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი და გ. ზ-ეს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განე-

საზღვროს – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა;

26. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ივლისის №1/191-2015 განაჩენით გ. ზ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 8 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ გ. ზ-ეს, განაჩენთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 14 წლით თავისუფლების აღკვეთა;

27. გ. ზ-ეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყოს ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2017 წლის 5 აპრილიდან;

28. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

29. განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა გამოტანისთანავე;

30. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**გამამართლებელი განაჩენის უცვლად დატოვება (სსკ-ის
126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი)**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№ 1026აპ-23

8 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლ. ფაფიაშვილი (თავმჯდომარე),
შ. თადუმაძე,
მ. გაბინაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორ ლაშა ამირანაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით: ი. ყ-ს, ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – საქართველოს სსკ-ის) 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

2. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით:

2021 წლის 18 ივლისს, დაახლოებით 19:36 საათზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის №- დანესებულების პირველი სარეჟიმო კორპუსის №-.. საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულებს ვ. შ-ს და ი. ყ-ს შორის, ყოფით საკითხზე, ადგილი ჰქონდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების ფაქტს, რა დროსაც ვ. შ-მ საკანში არსებული ხის ტუმბოს კარის ნაჭერი თავში დაარტყა ი. ყ-ს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა, საპასუხოდ ვ. შ-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის განაჩენით:

3.1. ი. ყ-ი საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა;

3.2. ი. ყ-ს განემარტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების

მოთხოვნის უფლება.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორმა ლაშა ამირანაშვილმა და მოითხოვა ი. ყ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორი ლაშა ამირანაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს ი. ყ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლო ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრით ბრალდების მხარე ითხოვს ი. ყ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

3. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „ბრალდებულს არ უნდა შეეცადოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში... დანაშაულებრივი ქმედება უნდა დადასტურდეს გონივრულ ეჭვს მიღმა, უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი გონივრული ეჭვი პირის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება „საქართველოს მო-

ქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41-43).

4. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მტკიცებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საქართველოს სსსკ-ით დადგენილი სტანდარტით ადასტურებენ ი. ყ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

5. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ქმედების საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დასტურდებოდეს, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქმედებამ გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი.

6. სასამართლო ითვალისწინებს 2021 წლის 29 სექტემბრის ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმს, რომლითაც დასტურდება 2021 წლის 18 ივლისს საკანში მოთავსებულია ექვსი პატიმარი. მათ შორის არიან ვ. შ-ი, ი. ყ-ი და ზ. ფ. ჩანაწერის დროით 19:36:00 საათზე ვ. შ-ი ადის საკანში შესასვლელი კარებიდან მარცხნივ მდგარი საწოლის მეორე სართულზე, რომლის გვერდით ასევე დგას კარადა. კარადის ჭერზე დევს ხის ოთხკუთხა ფორმის ნაჭერი, რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა სახის ნივთი. ვ. შ-ი ჯერ საწოლზე გადმოალაგებს ნივთებს, შემდეგ კარადის სახურავიდან იღებს ზემოხსენებულ ხის ნაჭერს და 19:37:05 საათზე თავზე გადაატეხავს ი. ყ-ს, რომელიც ზის საწოლის მოპირდაპირედ მდგარ მაგიდასთან, პირისახით საწოლისკენ და რაღაცას წერს ქაღალდზე. ხის ნაჭერი ტყდება ორ ნაწილად. მეორე ნაწილს, რაც ვ. შ-ს ხელში შერჩება, კვლავ მოუქნევს ი. ყ-ს, რაც ამ უკანასკნელს ხვდება ხელებში. ამის შემდეგ ვ. შ-ი მიდის საკნის კართან, რა დროსაც მასთან სწრაფი ნაბიჯით მიდის ორი თანასაკნელი, რომლებიც მას რაიმე სახის ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ თუ არა არ ჩანს. 19:36:09 საათზე მასთან ასევე მიდის კიდევ ერთი თანასაკნელი ზ. ფ., რომელიც მარჯვენა ფეხს არტყამს ფეხების არეში. 19:36:10 საათზე კი ი. ყ-იც მარჯვენა ფეხს ურტყამს ფეხების არეში, რის შემდეგაც თავზე ისვამს ხელს. 19:36:47 საათზე იღება საკნის კარები და ვ. შ-ი გადის საკნიდან. გარდა აღნიშნულისა, ჩანაწერზე გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაცია დაფიქსირებული არ არის.

7. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემული ვიდეოჩანაწერით დგინდება მხოლოდ ი. ყ-ის მიერ ვ. შ-ისათვის ფეხის ჩარტყმის ფაქტი. თუმცა მითითებული ქმედებით ვ. შ-ის მიერ ფიზიკური ტკივილის განცდის ფაქტი ობიექტურად ვერ დგინდება.

8. სასამართლო ითვალისწინებს, მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილ ზ. ფ-ს, დ. პ-ს და ნ. კ-ს გამოკითხვის ოქმებს. მოწმეებმა ზ. ფ-მ და დ. პ-მ

მიუთითეს მხოლოდ ვ. შ-ის მიერ ი. ყ-ისათვის ხის ნაჭრის ჩარტყმის ფაქტზე. ხოლო ი. ყ-ის მიერ ვ. შ-ისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაზე საერთოდ არ მიუთითებიათ; ნ. კ-მ ზ. ფ.სა და დ. პ-ს იდენტურად მიუთითა ვ. შ-ის მიერ ი. ყ-ისათვის ხის ნაჭრის ჩარტყმის ფაქტზე. ამასთან მოწმემ აღნიშნა, რომ ი. ყ-ს ფეხი ჩაარტყა ვ. შ-ს წელს ქვემოთ არეში. თუმცა აღსანიშნავია, რომ მოცემული მოწმის მიმართ გამოძიების ეტაპზე არ დასმულა კითხვა ი. ყ-ის მიერ ვ. შ-ისათვის ფეხის ჩარტყმის შემდეგ დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ, უჩიოდა თუ არა რაიმე სახის ტკივილსა და დისკომფორტს, მითითებულ გარემოებასთან მიმართებით არაინფორმატიულია სამედიცინო ცნობაც (ცნობის თანახმად: 2021 წლის 18 ივლისს ვ. შ-ის გარეგანი დათვალიერებით გასინჯვისას დგინდება, რომ ქვედა ტუჩის არეში აქვს მცირე ზომის ნახეთქი ჭრილობა. პაციენტის გადმოცემით დაზიანება მიიღო თანასაკნელთან დაპირისპირების გამო. სამედიცინო დახმარებას არ საჭიროებს); მოწმის სახით არ დაკითხულან არც ის პირები (სასჯელალსრულების დანესტებულების თანამშრომლები), რომლებსაც შემთხვევიდან მალევე ჰქონდათ დაზარალებულთან შემხებლობა და შეეძლოთ შეეფასებინათ როგორც მისი ფიზიკური ასევე ემოციური მდგომარეობა; სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ვ. შ-ს დაზიანება აღენიშნებოდა მხოლოდ ქვედა ტუჩის არეში, რასაც ბრალდების მხარე ი. ყ-ს არ ედავება.

9. სასამართლო ითვალისწინებს, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის განჩინება ვ. შ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, ასევე არ არის წარმოდგენილი 2023 წლის 27 თებერვლის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნით დგინდა, რომ ბრალად შეარაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს (2021 წლის 18 ივლისი) ვ. შ-ს აღენიშნებოდა ემოციურად არამდგრადი პერსონოლოგიური აშლილობა დეკომპენსაციის მდგომარეობა (კოდი – 60.3 დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-10 გადასინჯვის მიხედვით) და მას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის (შეურაცხადობა). დასკვნის გაცემის მომენტისთვისაც, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით არ შეეძლო მიეცა ჩვენება და მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებებში), რომელზეც უთითებს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, ასევე ბრალდების მხარე სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში. ამასთან, მითითებული ექსპერტიზის ფარგლებში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს მხარეები სადავოდ არ ხდია.

9.1. სასამართლო ითვალისწინებს შპს „ა-ს“ გენერალური დირექტო-

რის გ. ბ-ს 2023 წლის 25 აპრილის წერილს (სტაციონალურ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტის, ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება მიზანშეწონილი არ არის), რომლითაც დგინდება ვ. შ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე.

10. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებას ბრალდების მხარის შუამდგომლობის (დაზარალებულ ვ. შ-ის 2021 წლის 20 ივლისისა და 2022 წლის 12 იანვრის გამოკითხვის ოქმების საქართველოს სსსკ-ის 243-ე მუხლის საფუძველზე გამოქვეყნების შესახებ) არდაკმაყოფილების თაობაზე. სასამართლო ეთანხმება კასატორს, რომ მიუხედავად პირის შეურაცხადობისა, არ შეიძლება უგულვებელყოფილი იქნეს მის მიერ ტკივილის აღქმის უნარი საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენამდე.

10.1. მოცემულ შემთხვევაში კი (როგორც საქმის მასალებით დგინდება), 2023 წლის 27 თებერვლის ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად ვ. შ-ს 2021 წლის 18 ივლისს არ შეეძლო გაცეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და ეხელმძღვანელა მისთვის (შეურაცხადობა), მაგრამ არაფერია ნათქვამი ფიზიკური ტკივილის აღქმის/შეგრძნების უნარზე. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 75-ე მუხლის პირველი ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევს მონმის ჩვენებას მხოლოდ თუ შეზღუდული შესაძლებლობის გამო მას არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს ფაქტები.

11. სასამართლო ითვალისწინებს, რომ „სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლებები არ არის აბსოლუტური და ამ უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია, რიგ შემთხვევებში, გამართლებული იყოს არა მხოლოდ ქმედუწუნაროდ აღიარებულ, არამედ ქმედუწუნარიან პირებთან მიმართებითაც, თუმცა ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს და პასუხობდეს თანაზომიერების მოთხოვნებს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-145).

12. შეზღუდული შესაძლებლობა „შესაძლებელია იწვევდეს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით სარგებლობის მოდიფიცირებას ან ნაწილობრივ შეზღუდვას, მაგრამ ასეთი ზომები არ უნდა ლახავდეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის და სამართლიან სასამართლო გან-

ხილვაზე უფლების არსს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-146).

13. სასამართლო ითვალისწინებს რომ რიგ შემთხვევებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (ქმედუნარო) შეიძლება მოკლებული იყოს საკუთარი აზრის გადმოცემის შესაძლებლობას, მაგრამ პირის ინტელექტუალური (ქმედების მნიშვნელობის შეგნება) ან/და ნებელობითი (საკუთარი ქმედებების ხელმძღვანელობა) უნარის დაქვეითება უპირობოდ არ გულისხმობს მის უუნარობას გამოთქვას მოსაზრებები უშუალოდ მის მიერ განცდილ ტკივილთან ან უშუალოდ მასზე გარკვეული გარე ფიზიკური ზემოქმედების შედეგების შესახებ.

14. „სწორედ დაზარალებული არის პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიადგა ფიზიკური, მორალური თუ ქონებრივი ზიანი. ის საკუთარ თავზე განიცდის ამა თუ იმ დანაშაულის მავნე/უარყოფით შედეგებს – ზიანი ადგება მის ჯანმრთელობას, საკუთრებას, ღირსებას ... და სხვა. მაშასადამე, დაზარალებული მთელი სიმწვავეთ განიცდის კონკრეტული დანაშაულის შედეგად ფიზიკურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ სტრესს, განსაცდელს, ტკივილს ან/და მატერიალურ დანაკარგს. შესაბამისად, პირველ რიგში, სწორედ დარღვეული უფლებების (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსების, საკუთრების და სხვა უფლებების) აღდგენის, დაცვის, ზიანის ანაზღაურების ინტერესი აქცევს დაზარალებულს სამართლიანი სასამართლოს უფლების სუბიექტად (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8)

15. სასამართლო ითვალისწინებს საქმეზე *Stanev v. bulgaria* განხორციელებულ შედარებით კვლევას (იხ. *Stanev v. Bulgaria* [GC], no. 36760/06, paras. 88-90, 243, ECtHR, 17/01/2012) და ევროპული სასამართლოს მიდგომას, რომ „სასამართლოსთან პირდაპირი ხელმისაწვდომობის აბსოლუტური აკრძალვა არ შეესაბამება საერთო ტენდენციას ევროპულ დონეზე“ (*Nikolyan v. Armenia*, no.74438/14, par. 101, ECtHR, 3/10/2019)

16. სასამართლო *mutadis mutandis* ითვალისწინებს და ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას, რომლის თანახმად, „კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის კონტექსტში, სასამართლო აღიარებს, რომ საქმეებში, რომლებიც ეხება ფსიქიკურად დაავადებულ პირს, ეროვნული სასამართლოები უნდა სარგებლობდნენ თავისუფალი შეფასების გარკვეული ფარგლებით – მაგალითად, მათ შეუძლიათ გაატარონ შესაბამისი პროცედურული ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელება, და-

ინტერესებული პირის ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ.“ (Nikolyan v. Armenia, no.74438/14, par. 89, ECtHR, 3/10/2019; ix. Shtukaturv v. Russia, no. 44009/05, § 68, ECHR, 2008).

17. „შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, როდესაც ქმედუნარიანობას მოკლებულ პირს სრულიად არ შეუძლია თანმიმდევრული შეხედულების გამოხატვა. თუმცა, იგი მიიჩნევს, რომ ხშირ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ინდივიდი უნდა მოექცეს მეურვეობის ქვეშ, რადგან მას არ აქვს უნარი წარმართოს თავისი საქმეები, არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია გამოხატოს აზრი მის მდგომარეობაზე. ასეთ შემთხვევებში, აუცილებელია, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს სასამართლო ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობა ჰქონდეს მოუსმინონ პირადად ან, საჭიროების შემთხვევაში, წარმომადგენლობის რაიმე ფორმით. ფსიქიკურმა დაავადებამ შეიძლება გამოიწვიოს ასეთი უფლების განხორციელების წესის შეზღუდვა ან შეცვლა, მაგრამ ის ვერ ამართლებს უფლების არსის შელახვას, გარდა უკიდურესად გამონაკლისი შემთხვევებისა, შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური პროცედურული გარანტიები იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომლებსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამო არ შეუძლიათ სრულად იმოქმედონ დამოუკიდებლად (იხ. D.D. v. Lithuania, no. 13469/06, par. 118, ECtHR, 14/02/2012).

18. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“ (ანალოგიურად არის განმარტებული შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირის ცნება 2020 წლის 2 დეკემბრის გაერთიანებული ერების „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის (შემდეგში – გაეროს კონვენცია) პირველი მუხლით, რომლის თანახმად, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში“).

19. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად, „1. სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონის წინაშე თანასწორობასა და უფლებების რეალიზებას სხვებთან თანას-

ნორად, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. 2. სახელმწიფო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების მიზნით იღებს შესაბამის ზომებს. სახელმწიფო მხარს უჭერს ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე და მორგებულია მათ საჭიროებებზე“; მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვას მათ შორის ძალადობისა და დამამცირებელი მოპყრობისაგან, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, „სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სამართალწარმოების ხელმისაწვდომობას, რაც გულისხმობს როგორც შესაბამისი პროცედურული მექანიზმების შექმნას, ისე ნებისმიერ გონივრულ მისადაგებას იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა სრულფასოვანი მონაწილეობა შეძლოს ყველა ტიპის ადმინისტრაციულ წარმოებაში, სანოტარო მოქმედებაში, აგრეთვე გამოძიების, სასამართლო განხილვის, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ან/და აღსრულების პროცესში“.

20. გაეროს კონვენცია ნევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სრული რეალიზება შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე (მე-4 მუხლის პირველი პუნქტი) და განახორციელონ „შესაბამისი ზომები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის იმ დახმარების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელიც მათ შეიძლება სჭირდებოდეთ სამართლებრივი უფლებაუნარიანობის რეალიზებისათვის“ (მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი); ხოლო მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ნევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყონ „მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის იმ პროცესუალური და ასაკთან შესაბამისი კორექტივების გათვალისწინებით, რომელიც ხელს უწყობს მათ მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილის როლის ეფექტურად განხორციელებას, მათ შორის, მონმის სახით, იურიდიული პროცედურების ყველა საფეხურზე, გამოძიებისა და საქმეთა წარმოების სხვა საწყისი საფეხურების ჩათვლით“.

21. სასამართლო ასევე ითვალისწინებს ევროპის კავშირის 2012/29/EU „დაზარალებულთა უფლებების მინიმალური სტანდარტების, მათი დახმარებისა და დაცვის შესახებ“ დირექტივის მე-10 მუხლით აღიარებულ დაზარალებულის უფლებას იყოს მოსმენილი სასამართლო განხილვისას; შესაბამისი დირექტივის იმპლემენტაციის სახელმძღვანე-

ლო დოკუმენტს (Ref. Ares(2013)3763804 _ 19/12/2013), რომლის თანახმად, მე-10 მუხლის მიზანია, სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოს ყველა დაზარალებული ინფორმაციის, შეხედულების და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობით.

22. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1985 წლის 28 ივნისის No. R (85) 11 რეკომენდაციას „სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ“, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1987 წლის 17 სექტემბრის No. R (87) 18 რეკომენდაციას „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ“;

23. საქართველოს სსკ-ის 57-ე მუხლი დაზარალებულს სხვა უფლებებთან ერთად, მათ შორის ანიჭებს უფლებას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას და სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა, ან წერილობით წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული ინფორმაცია.

24. სასამართლო ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას „აღჭურვოს დაზარალებული მისი ინტერესებისა და უფლებების დაცვის საკმარისი და ეფექტური ბერკეტებით, ასევე უნდა გაუქარწყლოს დაუცველობის განცდა, გამოირიცხოს მისი შემდგომი ვიქტიმიზაცია და ამ გზით უზრუნველყოს მართლმსაჯულებისადმი მისი ნდობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45).

25. „დაზარალებულს, ერთი მხრივ, უნდა ჰქონდეს დანაშაულის შედეგად დარღვეული უფლებების (ჯანმრთელობის, სიცოცხლის, საკუთრების, ღირსების და სხვა) აღდგენის, დაცვის საკმარისი ბერკეტები. მეორე მხრივ, დაზარალებულს აქვს ინტერესი, სისხლის სამართლის საქმეზე მიღებულ იქნეს სწორი გადაწყვეტილება, რაც, მათ შორის, მნიშვნელოვანია მიყენებული ზიანის ადეკვატური ანაზღაურებისთვის. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, დაზარალებულის ინტერესია, მონაწილეობა მიიღოს გამოძიებასა თუ სასამართლო პროცესში იმ ფორმითა და დოზით, რაც ობიექტურად აუცილებელი და საკმარისია საქმეზე სწორი გადაწყვეტილების ხელშეწყობისთვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/8/594 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41).

26. სასამართლო ასევე ითვალისწინებს, რომ საქართველოს სსკ-ის

126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სა-
ვალდებულო ნიშანს დაზარალებულისთვის ფიზიკური ტკივილის მი-
ყენება წარმოადგენს, ხოლო მყარად დამკვიდრებული სასამართლო
პრაქტიკის თანახმად, ფიზიკური ტკივილის მიყენება ფასდება ობიექ-
ტური ან/და სუბიექტური კრიტერიუმით. მოცემულ შემთხვევაში, იმ
პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი
მტკიცებულებებით ობიექტურად ვერ დგინდება გამოიწვია თუ არა
ფიზიკურმა შეურაცხყოფამ (მოცემულ შემთხვევაში – ფეხის ჩარ-
ტყმამ) დაზარალებულისთვის ტკივილის მიყენება, განსაკუთრებული
მნიშვნელობა ენიჭებოდა სასამართლოს მიერ დაზარალებულის პოზი-
ციის გარკვევას.

27. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამარ-
თლოს გადაწყვეტილებას დაზარალებულ ვ. შ-ის 2021 წლის 20 ივლისი-
სა და 2022 წლის 12 იანვრის გამოკითხვის ოქმების საქართველოს სსსკ-
ის 243-ე მუხლის საფუძველზე გამოქვეყნებაზე უარის თქმის შესახებ
(შპს ა-ს გენერალური დირექტორის გ. ბ-ს 2023 წლის 25 აპრილის წერი-
ლის გათვალისწინებით).

28. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს
ა-ს გენერალური დირექტორის გ. ბ-ს 2023 წლის 25 აპრილის წერილით
დგინდება, რომ სტაციონალურ ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფი
პაციენტის, ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საპროცე-
სო და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღება მიზანშე-
წონილი არ არის.

29. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დადასტურებული იქნა,
რომ ამონურული იყო სასამართლოს წინაშე დაზარალებულის წარ-
მოდგენის შესაძლებლობა, რის გამოც საქართველოს სსსკ-ის 243-ე
მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დასაშვები იყო მისი გამოკით-
ხვის გზით მიღებული ინფორმაციის საქმის არსებითი განხილვის
სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა/გამოქვეყნება, რის გამოც საქმის გან-
მხილველ სასამართლოს უნდა დაეკმაყოფილებინა ბრალდების მხარის
შუამდგომლობა, გამოექვეყნებინა კასატორის მიერ მითითებული გა-
მოკითხვის ოქმები და მათში მითითებული ინფორმაცია უნდა შეეფა-
სებინა მოგვიანებით, მათ შორის, საქართველოს სსსკ-ის 75-ე და 82-ე
მუხლებით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

30. სასამართლო ითვალისწინებს, რომ 2022 წლის 11 იანვარს ვ. შ-ი
ცნობილ იქნა დაზარალებულად, მის მიმართ საქართველოს სსსკ-ის 126-
ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადე-
ნისათვის.

31. შესაბამისად სასამართლოს უარმა მისი გამოკითხვის ოქმის გა-
მოქვეყნებაზე, დაზარალებულ ვ. შ-ს მოუხპო საქართველოს სსსკ-ის

57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, „გაეროს კონვენციითა“ და ევროპის კავშირის 2012/29/EU „დაზარალებულთა უფლებების მინიმალური სტანდარტებით“ გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა – უფლება ყოფილიყო მოსმენილი სასამართლოს მიერ, და მიენოდებინა სასამართლოსთვის ინფორმაცია (გამოკითხვის ოქმის გამოქვეყნების გზით), მის მიმართ განხორციელებული ქმედებით მისთვის ფიზიკური ტკივილის განცდის/არ მიყენების საკითხზე.

32. სამართლიანი სასამართლოს უფლება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება, „რომელთა ერთობლიობამაც უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, ადამიანების რეალური შესაძლებლობა, სრულყოფილად და ადეკვატურად დაიცვან, აღიდგინონ საკუთარი უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლება-თავისუფლებებში ჩარევისას, დაიცვას ადამიანი სახელმწიფოს თვითნებობისაგან. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების თითოეული უფლებრივი კომპონენტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური შინაარსით საკმარისი პროცედურული უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა. სამართლიანი სასამართლოს უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები უნდა უზენაესად ადამიანებს იმის განცდას, რომ ისინი შეძლებენ საკუთარი უფლებების/კანონიერი ინტერესების სასამართლოში დაცვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-59).

33. შესაბამისად, ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს სსსკ-ით, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს და საერთაშორისო აქტებით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

34. სასამართლო ითვალისწინებს, რომ ვინაიდან დაზარალებულ ვ. შ-ის გამოკითხვის ოქმები მხარეების მიერ არ იქნა უდავოდ ცნობილი და არც არსებით სასამართლო სხდომაზე იქნა გამოკვლეული, სასამართლო მოკლებულია აღნიშნული მტკიცებულებების სარწმუნოების შეფასების შესაძლებლობას.

35. იმავდროულად, საკასაციო სასამართლო კვლავაც აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი, ხოლო საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილისა და 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას, რაც საქართველოს სსსკ-ის

მე-3 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, გულისხმობს მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში.

36. შესაბამისად, ვინაიდან სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დგინდება ი. ყ-ის ქმედებით დაზარალებულისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტი, რაც წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს, არ დგინდება ი. ყ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორ ლაშა ამირანაშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის განაჩენი დარჩეს უცვლელად;

3. განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge